

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის  
საკითხები

**XIV**

Issues of the Structure of Kartvelian  
Languages

ექვეყნება აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას**  
დაბადებიდან 120 წლისთავზე

თბილისი 2018 Tbilisi

## მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

## Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

## სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული  
თეა ბურჭულაძე (სწავლული მდივანი)  
ნანა მაჭავარიანი  
მურმან სუხიშვილი  
ვაჟა შენგელია  
იზა ჩანტლაძე  
მერაბ ჩუხუა  
გიორგი ცოცანიძე

## Editorial Board

Avtandil Arabuli  
Tea Burchuladze (scientific secretary)  
Nana Machavariani  
Murman Sukhishvili  
Vazha Shengelia  
Iza Chantladze  
Merab Chukhua  
Giorgi Tsotsanidze

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ.8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108, 8 Ingorokva Str., Tbilisi  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ISBN

## ავთანდილ არაბული

### არნოლდ ჩიქობავას საუკუნე

მიმდინარე წელს არნოლდ ჩიქობავას კიდევ ერთ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს ქართული სამეცნიერო საზოგადოება – 120 წელი შესრულდა დიდი მეცნიერის დაბადებიდან.

მაგრამ უფრო არსებითია ის, რომ ზუსტად 100 წელი შესრულდა ამ გამორჩეული პიროვნების ზიარებიდან ქართულ საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან. იგი იმ ერთეულ ქუდბედიანთა შორის იყო, ვინც 1918 წელს შევიდა ახლადდაარსებულ ეროვნულ უნივერსიტეტში და, შესაბამისად, მისი მძლავრი განვითარების ორგანული ნაწილიც გახდა და აქტიური მონაწილეცა და შემოქმედიც. წლეულს დედაუნივერსიტეტმა თავისი დიდი ისტორიის ერთი საუკუნე აღნიშნა და ეს თარიღი ასევე ამშვენებს მის პირველწვეულთ – ყველანაირი პირველობით ნიშანდებულთ, მათ შორის – გამორჩეულად – არნ. ჩიქობავას.

ერთი საუკუნე ის მინიმალური, მაგრამ საკმარისი დროული დისტანციაა, რომლის გათვალისწინებითაც შეიძლება ობიექტურად შეფასდეს შესაბამისი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულება ისტორიული პროცესების მუდმივსა და ცვლადს, რეტროსპექტულსა და პროსპექტულ შემადგენელთა გათვალისწინებით და მათთან მიმართებით.

არნოლდ ჩიქობავა, მთელი მისი ბიოგრაფიის გასიგრძელებით – ცხოვრების სტილით, საზოგადოებრივი პოზიციით, აზროვნების წესით, მეცნიერული თვალსაწიერით – იყო თავისი დროის ფართო, პროგრესული მოაზროვნე, ფილოსოფოსი (ამ ცნების კლასიკური შინაარსით), რომლის ყოველი ნაბიჯი (ყოფითიც, ზნეობრივაც, შემოქმედებითიც) წარმოადგენდა ზოგადი მსოფლმხედველობრივი სისტემის აუცილებელ, ორგანულ ნაწილს<sup>1</sup>.

ამიტომაც გვევლინება მისი აქტივობის ყოველი გამოვლენა მყარ ნიშანდებად როგორც მეცნიერის თანამედროვე ეპოქის მასშტაბითა და გან-

---

<sup>1</sup> აი, როგორ ფართოვდება (თვით – პოლიტიკურ აღკვეთილებამდე!) მისეული რეფლექსიის საზღვრები მეცნიერული ძიების ბუნების შესახებ: “ძიებას მივყავართ ხან უდავო, ხან კი უაღრესად სადავო დებულებებამდე, ერთი სიტყვით, აზრთა სხვადასხვაობამდე. აუცილებელია ტოლერანტობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, თუ ამოსავალი პრინციპები და კვლევის პროცესები შეესაბამება მეცნიერების ზოგად მოთხოვნილებებს.

აუცილებელია ტოლერანტობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ (მეცნიერების საკითხებში) და არატოლერანტობა პირადი მონოპოლიის ყოველგვარი გამოვლენის მიმართ (ისეთი მოქმედების მიმართ, რომლის პრინციპია “Cujus regio, ejus religio!” “ვისიც ქვეყანა არის, რელიგიაც მისია!” უფრო მარტივად რომ ვთქვათ: “ვის ნავშიც ზიხარ, იმის სიმღერა იმღერეო!).

ზომილებით, ისე უფრო ზოგადადაც – ზოგადადამიანური შინაარსით; სწორედ ამიტომ გვევლინება მისი ცხოვრება, იმ ურთულესი დროის პირობებში, მომავლის (იდეალური) სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების, პიროვნების თვითსრულყოფის ერთ-ერთ თვალსაჩინო ორიენტირად.

\* \* \*

არნოლდ ჩიქობავა, ცხადია, განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მეცნიერული აზრის ისტორიაში.

ისტორია დროისა და სივრცის მუდმივი ჰარმონიისა და დისჰარმონიის შეუცნობელი დინამიკით ვითარდება და ადამიანიც, ბუნებრივია, ხშირად ამ “ვითარების” ლოგიკაში ეძებს პასუხს მისთვის საიდუმლო კითხვებზე...

უეჭველია, არც დრო და არც სივრცე, არც ორივე ერთად თავისთავად არ ქმნის პიროვნებას, მაგრამ დროისა და სივრცის კოორდინატთა კოლოკაცია და ბედნიერი დამთხვევა ბედისწერის ამოუცნობ ფენომენტთან ნამდვილად განაპირობებს ადამიანის შესაძლებლობების განსაკუთრებულ, სასწაულებრივ გამოვლინებას.

იმ პირველი ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რომელთაც ტრივიალურად წარმოგვიდგენს საცნობარო ლიტერატურა, ერთი შეხედვით, არაფერი არ მოასწავებს ამ მასშტაბის მოაზროვნის ვარსკვლავის გამობრწყინებას:

არნ. ჩიქობავა დაიბადა 1898 წელს მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ საჩიქობაოში, დარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება ძველი სენაკის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო და 1911 წლიდან ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შევიდა. ოჯახის ხელმოკლეობის გამო იგი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, იძულებულია ჩამორჩენილი მოსწავლეები ამეცადინოს და ამ გზით მოაგროვოს სწავლის გადასახადი...

მაგრამ ყმაწვილობიდანვე უხილავად ისახება პერსპექტივა, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაფერხებს.

შეფარული კითხვის ნიშანი, რომელიც თავიდანვე დაისვა, ხშირად აწუხებთ სიღრმისეული კანონზომიერებების მადიებელ ადამიანებს და მის პასუხს უპირატესად გენეალოგიაში ეძებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს უფრო ღრმა და უფრო ხანგამძლე გენეალოგია – ხალხის კავშირი ერის ისტორიასთან. საკმარისია მომავალი მეცნიერის მშობლიური სოფლიდან გაუწვდინოთ თვალი სამეგრელოს სანახებს და ჰორიზონტის შორეულ კონტურებს, რომ მყისვე შეიგრძნოთ სიღრმე და სივრცე იმ ფესვებისა, რომლებიც შთამომავალთა პერსპექტივას დაუშრეტლად ასაზრდოებენ...

საქართველოს ისტორიულ სოფლებს მართლაც მოსდევს ამგვარი მადლი.

არნოლდ ჩიქობავას და მის თაობას – უფლისმიერი ნიჭით ნიშანდებულით – ჭეშმარიტად გაუმართლა: მათს სამომავლო შემართებას ეროვნული უნივერსიტეტი დახვდა!

უეჭველად ბედის წყალობაა ის, რომ არნოლდ ჩიქობავა პირველწვე-

ულთაგანი იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ენათმეცნიერების მიმართულებით და უნივერსიტეტის პირველი გამომშვება ამ სპეციალობით აღმოჩნდა ორი გამორჩეული ფიგურა ქართველოლოგიისა – არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია.

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რა მადლი უსაგზლა დედაუნივერსიტეტის წიაღმა მომავალ მეცნიერს, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პროფესორ აკაკი შანიძის რეკომენდაციით იქნა დატოვებული არნოლდ ჩიქობავა პროფესორად მოსამზადებლად.

საჭიროდ მიგვაჩნია იმის ხაზგასმაც, რომ მაშინაც ერთ სამეცნიერო ხარისხს იცავდნენ – სადოქტოროს, მაგრამ ამ ხარისხის დონესა და სიმადლეს მართლაც ჩინებულად წარმოაჩენს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან დაცული პირველი სამეცნიერო ნაშრომი – არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არნოლდმა უნივერსიტეტი 1922 წელს დაამთავრა, ხოლო აღნიშნული ნაშრომი წიგნად 1928 წელს გამოქვეყნდა, დისერტაციის დაცვა კი 1929 წელს გაიმართა, ძნელი დასანახი არ უნდა იყოს, თუ რა შემოქმედებითი ძალისხმევით მზადდებოდა ეს საეტაპო ნაშრომი.

დღეს აღიარებულია, რომ არნ. ჩიქობავას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა წინ უსწრებს ანალოგიურ ევროპულ ნაშრომებს სტრუქტურული სინტაქსის სფეროში, ხოლო სიმწყობრით არაფრით ჩამოუვარდება ამ რიგის საუკეთესო გამოკვლევებს.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ კი – ლინგვისტიკის, სფეროში ამ დროისათვის ევროპის ქვეყნებში რამდენიმე მიმდინარეობა უკვე საფუძვლიანად ჟამმოთეულია, ხოლო სტრუქტურალიზმი სწორედ ახლა იკავავს საკუთარ გზას. ქართული უნივერსიტეტის მესამირკვლეთა და მათი მოწაფეების განსაკუთრებული გამოცდა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ღირებული მონაპოვარი – ძველიც და ახალიც – უმოკლეს დროში უნდა იქნეს დამუშავებული, შეფასებული და ჩაყენებული ქართული მეცნიერებისა და განათლების სამსახურში.

ამიტომაც არის, რომ არსებითად ყველა პირველმკვალავი თეორიულ საფუძვლებსაც ქმნის და, იმავე დროს, მასშტაბურ ემპირიულ კვლევებსაც ეწევა, თანადროული ევროპული დონის განზოგადებებსაც სთავაზობს სამეცნიერო საზოგადოებას და მუხლჩაუხრელ საველე თუ ლაბორატორიულ სამუშაოებსაც გასაოცარი ნაყოფიერებით წარმართავს.

არნ. ჩიქობავას პირველი მონოგრაფიის თავისებურება სწორედ ის არის, რომ მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს ფუნდამენტურ ანალიზს იმ დროისათვის ლინგვისტიკის სფეროში არსებული თეორიებისა და კვლევის მეთოდებისას და ამ კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ე. წ. მეთოდოლოგიური იმანენტის იდეა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, ენობრივი მოვლენების კვლევაში გამოყენებული უნდა იყოს სწორედ ლინგვისტური და არა ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური და სხვ. მიდგომა და თვალსაზრისი, და მეორეც – ენის ამა თუ იმ მონაცემთა კვლევისას მომარჯვებული უნდა იყოს დაკვირვების ობიექტის კვლევის იმანენტური მეთოდი.

„მარტივი წინადადების პრობლემის“ მეორე ნაწილი ჩინებული მაგალითია ქართული სინტაქსის თანამიმდევრული სტრუქტურული კვლევისა, რომლითაც მართლაც რელიეფურად არის წარმოჩენილი ტრადიციული, უნივერსალური ანუ ყველა ენის სინტაქსს მორგებული სქემების ნაკლოვანება და პირველად არის სრულად გახსნილი ქართული პოლივალენტოვანი ზმნის ჭეშმარიტი სინტაქსური ბუნება, რომელიც შესაფერის ლინგვისტურ ცნებას – კოორდინაციას და არაერთგვაროვან კოორდინატთა სისტემას გულისხმობს.

უთუოდ ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ თეორიის ემპირიული დასაფუძვლებისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა ძველი ქართული აირჩია, როგორც ამ თვალსაზრისითაც უფრო დამდგარი, ნორმირებული კლასიკური ენა; ხოლო შემდგომი ტენდენციების – ძველი სისტემის ჯერდაუმდგარი ცვლილებების – საჩვენებლად ნაშრომს დამატებები დაურთო, რომლებშიც ნათლად წარმოაჩინა ენის განვითარების ის კანონზომიერებები, რამაც კლასიკური პერიოდის შემდეგ იჩინა თავი სალიტერატურო ენაში და რისი ჩამოყალიბებაც დღემდე გრძელდება...

„მარტივი წინადადების პრობლემა“ არნ. ჩიქობავას მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან მაინც განზედგომად აღიქმება, რადგან მეცნიერის შემდგომი პერიოდის უმთავრესი ძალისხმევა ქართველური და სხვა ენების ისტორიულ კვლევას დაუკავშირდა; არნ. ჩიქობავას სამეცნიერო საზოგადოება უფრო მეტად იცნობს როგორც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპულ დამცველსა და ერთგულ მიმდევარს, ქართველური და იბერიული-კავკასიური ენების თავდადებულ მკვლევარს.

მაგრამ, აღნიშნულთან ერთად, არნ. ჩიქობავას უადრესი აღწერითი ხასიათის ნაშრომები ნათლად წარმოაჩენს მის არანაკლებ შესაძლებლობებს დესკრიფციული კვლევების სფეროში; წარმოაჩენს იმას, რომ თუ არა ჩამორჩენილობა ისტორიულ-შედარებითს, ანუ ენათა ნათესაობის მაძიებელ კვლევებში, არნ. ჩიქობავა ყველანაირად იყო მზად იმისათვის, რომ სტრუქტურალიზმს საქართველოში თანადროული განვითარება ჰქონოდა. კერძოდ, აღნიშნულთან ერთად, აქ უნდა იქნეს დასახელებული მისი უადრესი ნაშრომები დიალექტების კვლევის სფეროში: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ (1923); „-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის თვალსაზრისით“ (1923) და „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (1924). აღწერითი ენათმეცნიერების ყველა სიკეთე არის წარმოჩენილი ამ ნაშრომებში და შედეგებიც ფრიად შთამბეჭდავია. ერთი რამ არ ჰყოფნის მხოლოდ ამ ნოვატორულ კვლევას – ფორმალური აპარატით უზრუნველყოფა, რათა ზუსტი და შესაფერისი ადგილი მიეჩინოს ყოველ ენობრივ მონაცემს და უფრო თვალსაჩინო გახდეს სტრუქტურების ბუნება და მექანიზმი: ეროვნული პოლიგრაფია იმ ეტაპზე სპეციფიკური მახვილის გადმოცემასაც კი ვერ ახერხებს!..

დებულებები, რომლებიც ამ ნაშრომებში არის ჩამოყალიბებული, მართლაც ღირსეულად უმშვენებს მხარს „მარტივი წინადადების“ ერთიან კონცეფციას; მაგალითად, ცნებათა ზუსტი კვალიფიკაციის პრობლემა მეცნიერებაში: როგორც კი მთიულურის მიმართ „თქმა“ ცნებას გამოიყენებს, ახალგაზრდა მეცნიერი იქვე შენიშნავს: „ვიღებთ ამ სიტყვას არა როგორც

სპეციფიკურ საენათმეცნიერო ტერმინს (რომლითაც აღინიშნება კილოკავის მიმართ სახეობითი ცნება, ხოლო ქცევის მიმართ გვაროვნული ცნება), არამედ როგორც სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ენობრივ თავისებურებათა კრებულს“... (ჩიქობავა 1924).

\* \* \*

არნ. ჩიქობავას განგებისაგან წილად ხვდა მისია, მთელი მასშტაბებით გაეაზრებინა ახალ ეტაპზე ქართული და ქართველური ენების კვლევის შედეგები და ამოცანები და ზუსტად განესაზღვრა ქართველოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები; ამავე დროს, ყოფილიყო ამ მიმართულებების ერთი ძირითადი წარმმართველი და ორგანიზატორი. თუ შეიძლება აქ ხატოვანებას მივმართოთ, არნ. ჩიქობავას მძლავრი გონებით განსაზღვრული მემკვიდრეობა შეიძლება შევადაროთ დიდ წყალშემკრებს, რომელშიც თავს იყრის და თავის კუთვნილ ადგილს იკავებს ყველა არსებული მონაპოვარი (ამ ნიშნით არის აღბეჭდილი არნ. ჩიქობავას მიერ გააზრებული რომელიმე უმნიშვნელო პრაქტიკული გრამატიკაც კი) და, იმავე დროს, სათავეს იღებს მომავლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არაერთი ახალი ნაკადი.

განგებისმიერი ნიჭით ნიშანდებული პიროვნების ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ მონაცემთა, ერთი შეხედვით, მოუწესრიგებელი სიმრავლიდან, ქაოსიდან თვალსაჩინო სისტემა შექმნას, მოვლენებს კუთვნილი ადგილი მიუჩინოს, ფართო სივრცე გახსნას ახალ იდეათა და მეცნიერულ კვლევათა განვითარებისათვის.

ასეთი იყო დროისა და სივრცის კარნახი – ყველაფერი ახლად ან – უფრო მეტად – პირველად და ფაქტობრივ ცარიელ ადგილზე უნდა შექმნილიყო:

შესაქმნელი იყო ეროვნული უნივერსიტეტის საფუძვლები და სამომავლო პრესტიჟი...

შესაქმნელი იყო პროგრამები, სახელმძღვანელოები, კურსები...

შესაქმნელი იყო დარგობრივი ენები, ცნებათა სისტემა და ტერმინოლოგიები...

შესაქმნელი იყო ბიბლიოგრაფიები, ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები...

რაც მთავარია, იმავე ადამიანებისაგან, ვინც ამ ყველაფერს საკუთარი ხელით აკოწიწებდა, შესაქმნელი იყო მკვიდრი სამეცნიერო სკოლები, რომლის გარეშეც ეროვნული უნივერსიტეტის იდეა პროვინციულ მასშტაბებს ვერ გასცდებოდა.

და მართლაც, ეროვნული უნივერსიტეტის მესამირკვლეებმა ორ-სამ ათეულ წელიწადში შექმნეს მკვიდრი საფუძველი ასეთი სკოლების ჩამოსაყალიბებლად. თავიანთ დარგებში მათ საფუძველი ჩაუყარეს ისეთი მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლებს, რომლებიც იმ დროისათვის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეესაბამებოდნენ საერთაშორისო სამეცნიერო დონეს და, ზოგ შემთხვევაში, თვით განსაზღვრავდნენ ამ დონეს.

ასეთი საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლების შემქმნელთა შორის უკავია ადგილი არნ. ჩიქობავას:

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა საკუთარი ლინგვისტური თეორია და ჩამოაყალიბა სამეცნიერო სკოლა, რომელიც ფართოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სახელით არის ცნობილი.

არნ. ჩიქობავამ შექმნა თეორიული საფუძვლები საქართველოში ენათმეცნიერების განვითარებისათვის, საფუძვლები, რომელიც მომავალი მკვლევრის მომზადების არსებითად სრულ ციკლს გულისხმობდა, დაწყებული ენათმეცნიერების შესავლის ელემენტებით და დამთავრებული ლინგვისტური კვლევის ურთულესი მეთოდებითა და პრინციპებით.

რაც მთავარია, არნ. ჩიქობავამ შექმნა ფუნდამენტური სახელმძღვანელოები იბერიულ-კავკასიური ენების აღწერითი თუ კომპარატივისტული კვლევის საფუძვლად: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ და „იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“...

არნ. ჩიქობავამ ფაქტობრივ ახლად შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტი და, მიუხედავად იმისა, რომ თავად ორიოდ წელიც არ ყოფილა ამ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთელი შემდგომი გზა ამ სკოლის პერსპექტივის არნოლდისეულ ხედვასა და პრინციპებს ექვემდებარებოდა.

არნ. ჩიქობავამ შექმნა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა საინსტიტუტო განყოფილება და მოკლე დროში ის აქცია შესაბამისი სამეცნიერო კადრების სწორუპოვარ სამჭედლოდ...

არნ. ჩიქობავამ შექმნა საკავშირო კავკასიოლოგიური ფორუმი, რომელიც მორიგეობით ტარდებოდა კავკასიის რესპუბლიკების საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრებში, რაც არსებითად აყალიბებდა კავკასიის ერთიან სამეცნიერო სივრცეს და მეთოდურად ავითარებდა არა მხოლოდ სამეცნიერო ურთიერთობებს, არამედ უნიკალურ ადამიანურ და სანათესაო კავშირებს. ძნელი გასააზრებელი არ უნდა იყოს, რამდენად „ადვილი შესაგუებელი“ იქნებოდა ეს ოფიციალური მოსკოვისათვის (თუნდაც, რუსეთის სამეცნიერო წრეებისათვის) და რაოდენ ზუსტი გათვლები, გააზრებული სტრატეგია და ტაქტიკა იყო საჭირო იმისათვის, რომ ეს უნიკალური მემკვიდრეობა დღევანდელი პერმანენტული საომარი ვითარების პირობებშიც კი შენარჩუნებულიყო...

ამიტომაც მიგვაჩნია შესაძლებლად ამის თქმა: ერთადერთი ბრძოლა კავკასიისათვის, რომელიც მოსკოვმა არსებითად პირწმინდად წააგო, ეს იყო ბრძოლა უნივერსიტეტის კავკასიურ იდეასა და არნ. ჩიქობავას იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან.

სრულიად აშკარაა, რომ ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეა, რომელზეც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ეროვნული უნივერსიტეტი დააფუძნა, იყო კავკასიის ერთიანობის იდეა და არნოლდ ჩიქობავამ – მისმა უერთგულესმა მოწაფემ – ეს იდეა მასშტაბურ სამეცნიერო თეორიად განავითარა. არნოლდ ჩიქობავას სიცოცხლის პერიოდში, მისი უშუალო მეთვალყურეობით, თუ მისი სიცოცხლის შემდგომ იმდენად მნიშვნელოვანი კვლევები წარიმართა და დასრულდა, რომ დღეს ამისი არალიარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა აღნიშნული სკოლის ძირითადი ორგანო – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, რომლის 4 ათეულზე მეტი



ტომი ქართული ენათმეცნიერული აზრის ერთ-ერთი გამორჩეული კორპუსია.

არნ. ჩიქობავამ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან შექმნა რეგიონალური (ცნების მაშინდელი შინაარსით) კავკასიოლოგიური ორგანო – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“.

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა სალიტერატურო ენის ნომრათა დადგენის ძირითადი პრინციპები და ამით დასაბამი დაუდო ქართული სახელმწიფო ენის სწორი განვითარებისა და სიწმინდის დაცვის პოლიტიკას.

კიდევ რამდენი რამ შექმნა არნ. ჩიქობავამ - მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა...

მაგრამ ერთი რამ მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას:

იმ დროს, როცა ქართული მეცნიერების ფუძემდებლები ასპარეზზე გამოდიან, XIX საუკუნის ერთ-ერთი საოცარი აღმოჩენის – ენათა ნათესაობის თეორიის – ძირითადი „აღლუმი“ უკვე ჩავლილია და ინდოევროპული მონათესავე ენები უკვე მშვიდად დალაგებულან საერთაშორისო „ტრაპეზზე“, ისე, რომ ზოგიერთი "გარენათესავის" განთავსებაც გადაუწყვეტიათ და უცდიათ კიდევ...

სრულიად გასაგებია, რა აზრისა და გულის ხეთქებაში არიან ამ დროს უნათესაოდ დარჩენილი „ობოლი“ ერები...

ამიტომაც ამ დროისათვის მართლაც სასიცოცხლო ამოცანად აღიქმებოდა მეცნიერულად ზუსტად დადგენა იმ ისტორიული ფესვებისა, რაც საშუალებას მისცემდა, განსაკუთრებით, მცირერიცხოვან ერებს, საიმედო „ზურგის მისაყრდნობი“ ანუ „სისხლისმიერი ნათესავი“ ეპოვათ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე ასპექტი: ქართველ მეცნიერებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, იმპერიული „გამთიშველი“ პოლიტიკისათვის დაეპირისპირებინათ ენათა ნათესაობის მაკონსოლიდირებელი იდეა. და ეს შესაძლებლობა ქართველმა მეცნიერებმა უცთომლად გამოიყენეს, ჩამოაყალიბეს რა ქართველური ენებისა და, უფრო ფართოდ, იბერიულ-კავკასიური ნათესაობის თეორია.

ამიტომაც ვინც ამ მონაპოვრებით სპეკულირებს, იგი შეგნებულად უწევს სამსახურს იმ „გამთიშველთა“ პოლიტიკას...

\* \* \*

დიახ: დრო და სივრცე იყო ასეთი – ყველაფერი დასაცავი იყო:

წარსული და აწმყო, ისტორია და მემკვიდრეობა...

ქართული სამეცნიერო აზრი და ქართული უნივერსიტეტი...

ქართული ენა და ქართული ხელოვნება...

ეროვნული განათლება და ზნეობრივი ორიენტირები...

და არნოლდ ჩიქობავაც – უნივერსიტეტის მესამირკვლეთა გვერდით – ყოველივე ღირებულის თვალმოუხუჭავი დარაჯი, თავდადებული დამცველი და შეუპოვარი პოლემისტი იყო. როგორც ნოდარ ანდლულაძე წერდა, „არნოლდ ჩიქობავას ადამიანური სიმაღლე, მორალური სისპეტაკე და სიმტკიცე მისი მეცნიერული მონაპოვრის ტოლფასია“.

ცნობილია, თუ რა როლი შეასრულა მან, როდესაც დიმიტრი უზნაძის ცნობილი თეორიის დაცვა აღმოჩნდა საჭირო გავემებული საბჭოთა იდეოლოგიისაგან.

რაც მთავარი, მას ათწლეულების განმავლობაში უხდებოდა დაეცვა ქართული უნივერსიტეტის, ქართველოლოგიური სამეცნიერო სკოლების თეორიული მონაპოვრები, ქართული ენის საარსებო სივრცე საშიში და ჭინიანი პოლიტიკურ-სპეკულანტური შემოტევებისაგან.

სწორედ ამ ნიშნით იყო აღბეჭდილი არნოლდ ჩიქობავას მკვეთრი გამოსვლა ე. წ. მარიზმის წინააღმდეგ ენათმეცნიერებაში.

ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია 1950 წლის 9 მაისს გაიხსნა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ (სადისკუსიო სტატია)“, რომელიც სამართლიანად ითვლება გადამწყვეტ მომენტად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზაზე და ეს ფაქტი განსაკუთრებულ წვლილად მიიჩნევა არნოლდ ჩიქობავას მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში; ამას თითქმის უგამონაკლისოდ აღნიშნავდა ყველა – საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

მაგრამ დამაფიქრებელია, რომ დისკუსია მიმდინარეობს იმ დროს, როცა საბჭოურ სივრცეშიც და, განსაკუთრებით, ქართულ ენათმეცნიერებაში არა მხოლოდ საკმაოდ მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული მსოფლიო თეორიულ მონაპოვრებს, არამედ ეს თეორიები პრაქტიკულად არის რეალიზებული ცნობილ ენათმეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში. სხვას რომ თავი დავანებოთ, უკვე 20-იანი წლებიდან, ეროვნული უნივერსიტეტის მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, მკვიდრ თეორიულ ბაზისს ქმნის აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას ფუძემდებელი კვლევები აღწერთსა თუ შედარებით ენათმეცნიერებაში; სახელდობრ: ა. შანიძის მონოგრაფია პირის ნიშნების შესახებ, მისი ერთიანი გრამატიკული მოძღვრება...; გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები; არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა“, „შედარებითი ლექსიკონი“, ზოგადენათმეცნიერული სახელმძღვანელო ნაშრომები...

თანაც ამ (დისკუსიის) დროისათვის, მართალია, იდეოლოგიურად საშიში, მაგრამ უკვე აშკარად კარიკატურული ფორმა აქვს მიღებული მარიზმის „აჩრდილს“... გავიხსენოთ: არნ. ჩიქობავას კრიტიკული პათოსით გამსჭვალული მოხსენება ჯერ კიდევ დისკუსიამდე 10 წლით ადრე აქვს რუსეთში წაკითხული და 1941 წელს „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნებული.

ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდად ლინგვისტური შეხედულებების შიდასაბჭოური კოლიზია დისკუსიის წამოსაწყებად მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რომლის უკანაც სერიოზული იდეოლოგიური მიზანი იყო დაფარული. ვფიქრობთ, ეს განაზრახი დღეს არცთუ ძნელი წასაკითხია...

ნ. მარის შეხედულებებთან პოლემიკის წმინდად ენათმეცნიერულ ასპექტებს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება ძირითადად იცნობს არნ. ჩიქობავას ორი ქრესტომათიული ნაშრომით, რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ 1926 წელს გამოქვეყნდა (ჩიქობავა 1926), ხოლო მეორე – 1940-41 წლებში (ზემოდასახელებული ნაშრომი) (ჩიქობავა 1941). აშკარაა, რომ პირველივე ნაშრომი უაღრესად ნათლად გამოკვეთს დამოკიდებულებას: ნ. მარის კვლევების (თანაც, მათგან ყველაზე აკადემიურის) წმინდად პროფესიული შეფასების თვალსაზრისით არნ. ჩიქობავამ უკვე 1926 წელს სრუ-

ლად გამოხატა საკუთარი პოზიცია, როდესაც მარის „მველი ქართული ენის გრამატიკის“ (1925 წ.) ვრცელი, ამომწურავი და, ფაქტობრივ, გამანადგურებელი რეცენზია გამოაქვეყნა. შესაბამისად: თუ არა რაიმე სხვა მოტივი, ამ რეცენზიის შემდგომ მართლაც ძნელად გაუჩნდებოდა ავტორის სურვილი იმავე ობიექტს დაჰბრუნებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ რეცენზიაში, ცხადია, ყველა არსებულ პრობლემას არ შეხებია). ამ რეცენზიაში ახალგაზრდა მკვლევარმა მართლაც გამანადგურებელი შეფასება მისცა მეცნიერების უდიდესი ავტორიტეტის კვლევის შედეგებს:

„იაფეტიდოლოგიის კოსმიური ჰიპოთეზებისათვის მეგრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძღვნიდა, პრესტორიული ადამიანის დაუდევარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარემის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ – ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „მველი ქართულის გრამატიკის“ მსგავსად.

თქმა არ უნდა, მაშინ ასეთი გრამატიკა, სხვა მეთოდოლოგიურსა და ფაქტიურ საფუძველზე დამყარებული, შეუდარებლად მეტი მეცნიერული ღირებულების მატარებელი იქნებოდა“ (ჩიქობავა 1926: 168).

არადა, გაბედულება და მეცნიერული თავდადება ნამდვილად სჭირდებოდა საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური მანტიით მოვლენილი მარის მოძღვრების კრიტიკას. სწორედ მეთოდოლოგიური მიზანდასახულების მოხსენებას წაიკითხავს 1940 წელს ლენინგრადში არნ. ჩიქობავა და ის 1941 წელს გამოქვეყნდება „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბეში“; ამ ნაშრომის მე-7 ნაწილი ეთმობა ნ. მარის თეორიას ენის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს მოხსენება რუსეთში ვერ გამოქვეყნდა და მომდევნო წელს რუსულადვე დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“.

ამ ვრცელი ნაშრომის ბოლო ნაწილი ეძღვნება მარის თეორიული პოსტულატებისა და შესაბამის მოსაზრებათა დინამიკის შეფასებას. მაგრამ ამ შეფასებათა ძირითადი ნაწილი არნ. ჩიქობავას უკვე კარგა ხნის წინ აქვს გაცხადებული.

ამ მოხსენების ძირითადი სიახლე ის არის, რომ აქ პირველად ჩნდება ენის ფილოსოფიის ის თემა, რომელიც ათი წლის შემდეგ ენის როლის განსაზღვრაში მეთოდოლოგიური რევოლუციის არსებით ქვაკუთხედად იქცევა.

საკითხი ეხება ენის „ზედნაშენურ“ კატეგორიად მიჩნევას.

ოღონდ ამ ეტაპზე მეცნიერს თვით ეს საკითხი შემოაქვს ფაქტის კონსტატაციის სახით, ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნის გარეშე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი აქცენტირებით, ვინაიდან მიმოხილვას სწორედ ამის აღნიშვნით იწყებს:

„დიდი საბჭოთა მეცნიერი-ფილოლოგის, ლინგვისტის, არქეოლოგის – აკად. ნ. მარის უზარმაზარ დამსახურებას საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე – ენის არსის განსაზღვრაში – წარმოადგენს საკითხის დასმა ადამიანური ენის ზ ე დ ნ ა შ ე ნ უ რ ი ბ უ ნ ე ბ ი ს შესახებ“ (ჩიქობავა 1941: 386).

მოხსენების პუბლიკაციისას ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მიმოხილვა წარმოადგენდა შესავალ ნაწილს „ზოგადი ენათმეცნიერების“ მე-2 ტომი-

სას. ეს ტომი გამოიცა 1945 წელს (ჩიქობავა 1945) და, მართლაც, ძირითადი დებულებები ნ. მარის (და სხვათა) მეცნიერული შეხედულებების შესახებ გარკვეული რედაქტირებით ამ წიგნშიც არის ასახული. რაც მთავარია, ზემომითითებული აქცენტი ენის „ზედნაშენურობის“ შესახებ აქაც ხაზგასმით არის ფიქსირებული.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არნ. ჩიქობავამ დისკუსიამდე მინიმუმ ათი წლით ადრე გამოკვეთა ის, რაც უნდა ყოფილიყო ძირითადი ორიენტირი ენის არსისა და საკაცობრიო როლის მსოფლმხედველობრივი გადააზრების დროს.

და, აი, სერიოზული იდეოლოგიური კამპანიის სიგნალი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას სადისკუსიო წერილი, რომელიც 1950 წლის გაზაფხულზე საბჭოეთის მთავარ გაზეთში „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

თუ ამ დისტანციიდან შევაფასებთ, მთავარი საბედისწერო შეცდომა, რომელიც ნ. მარმა „ახალი მოძღვრების“ უნივერსალურობის წარმოჩენის დროს დაუშვა, ეს იყო ის, რომ მან ეს თეორია სოციალისტურ იდეოლოგიას დაუკავშირა და ერთადერთ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებად გამოაცხადა.

მაგრამ იყო კი ეს შეცდომა?

რაც მთავარია, ეს „ერთადერთობა“ საჭირო რაკურსით იქნა გამოყენებული „დისკუსიის“ დროისათვის.

თუ არა ეს იდეოლოგიური მიზანი, შესაძლებელი იყო მარის ახალი ლინგვისტური თეორიის უნაყოფობის ჩვენება დასრულებულიყო ოთხელემენტოვანი მეთოდის პრაქტიკული უუნარობის გამოამჟღავნებით (რაც საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითებით ჰქონდა კიდევ წარმოჩენილი არნ. ჩიქობავას).

საინტერესოა, როგორ ხდება გადასვლა ნ. მარის თეორიის იდეოლოგიურ ასპექტზე?

არნ. ჩიქობავა წერს: „ნ. მარის თეორიის ეს საკუთრივ ლინგვისტური მოსაზრებები მოპირკეთებულია (ошлицованы) ორი ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის დებულებით: ენა ზედნაშენი მოვლენაა; ყველა ენა კლასობრივია: არაკლასობრივი ენები არც ყოფილა და არც იქნება; ეს არის მხოლოდ მომავალი არაკლასობრივი საზოგადოების საქმე“ (ჩიქობავა 1951: 13).

ენათა განვითარებაში სტადიალური თეორია ქადაგებდა „მყისიერ აფეთქებებს“ და ენათა შერწყმის პრინციპს. ენათა შერწყმა განვითარების უნივერსალურ კანონად ცხადდებოდა. რაც მთავარია, ეს „კანონი“ გამოყენებული იყო არა მოვლენათა ისტორიული ახსნისათვის, არამედ ეს იყო პირდაპირი შეთავაზება საყოველთაო მოდელისა ერთიან იდეოლოგიურ სივრცეში ენათა დაჩქარებული (დაპროგრამებული) ასიმილაციისათვის. სწორედ ამ ასპექტით არათუ უხიფათო, არამედ ავისმომასწავებელი იყო ამ იდეის „ჭეშმარიტად“ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მანტიით შემოსვა.

\*\*\*

ამ კლასობრივი, აგრესიული და სუბმარქსისტული პოზიციის უკუგდება იმ ეპოქაში ალბათ მხოლოდ „პროლეტარიატის ბელადის“ სახელით იყო შესაძლებელი და ეს სიტყვებიც მხოლოდ მისი სახელით შეიძლება

წარმოთქმულიყო: „ექვი არ არის, რომ შერწყმის თეორიას არ შეუძლია რაიმე სერიოზული მისცეს საბჭოთა ენათმეცნიერებას“ (Сталин 1950).

შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი იდეა ენის განსაკუთრებული სტატუსისა ბაზისურ და ზედნაშენურ კატეგორიათა მარქსისტულ-ლენინურ დიქტომიაში.

ეს მოასწავებდა სრულიად ახალ მიმართულებას საბჭოურ ჩაკეტილ სისტებაში. ღიად გამოცხადება იმისა, რომ „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა“ და ეროვნული ენების „აყვავება“ მოსალოდნელია მაშინაც კი, როდესაც სოციალიზმი „მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს“, ცხადია, იმ იდეოლოგიურად დაგეგმარებულ დროსა და სივრცეში არსებით შემობრუნებას ნიშნავდა ნაციონალური ენებისა და კულტურებისაკენ.

უთუოდ ეს იყო საფუძველიც და მოტივიც ქართველ მეცნიერთა გამორჩეული, განსაკუთრებული აქტიურობისა ამ მიმართულებით.

კიდევ ერთი არაპირდაპირი არგუმენტი იმისათვის, რომ პოლიტიკის წილი 50-იანი წლების დისკუსიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო:

თავისი სპეციალური ბროშურის მე-18 გვერდზე არნ. ჩიქობავა აშკარად მიზანმიმართულად უბრუნდება ნ. მარის ადრინდელ „ცოდვას“ – ოთხელემენტოვან თეორიას და დასძენს: „მარისტები ოთხელემენტოვანი ანალიზისგანაც კი მოკლე დროით გათავისუფლდნენ: 1940 წელს ელემენტური ანალიზი მიჩნეულ იქნა ზედმეტად, 1949 წელს კი ისევ დაუბრუნდნენ მას, თუმცა იცოდნენ, რომ ეს მომღვრება დამტკიცებული არ არის“. აქ შენიშვნის ადრესატზე კონკრეტული მინიშნება არ კეთდება, მაგრამ სქოლიოში ჩნდება საინტერესო კომენტარი:

*„ელემენტური ანალიზის პრინციპი გამოსადეგი მხოლოდ თურქი რასისტების თავისუფალი სავარჯიშოებისათვის (для вольных упражнений) თუ იქნება, რომლებიც ერთელემენტოვანი ანალიზის გზით „ამტკიცებენ“, რომ დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა დადის ერთ ელემენტზე – თურქული – „აღ“, „აკ“ „თეთრი“ და, შესაბამისად, აცხადებენ, რომ ყველა ენა წარმოიშვა თურქულისაგან“ (ჩიქობავა 1951: 18) (შდრ.: „ენათმეცნიერების შესავალში“ თურქული თემა სხვა რედაქციით არის წარმოდგენილი (ჩიქობავა 1952: 397)).*

გავიხსენოთ, როდის შემოიტანა არნ. ჩიქობავამ მარის თურქი „მიმდევრების“ თემა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ დაუკავშირდა მარის ოთხელემენტოვანი თეორია თურქულ ერთელემენტოვან აბსურდს?

ამისათვის უთუოდ უნდა გავიხსენოთ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო საკმაოდ ინტენსიური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი სამეცნიერო-იდეოლოგიური შეტევა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შესახებ. დღეისათვის ეს დოკუმენტები განსაჯაროებულია და ყველას შეუძლია გაეცნოს, რამდენად საფუძვლიანად არის დამუშავებული ეს თემა, მაგალითად, სიმონ ჯანაშიას სპეციალურ ნარკვევში...

ამავე კონტექსტში უნდა წავიკითხოთ არნ. ჩიქობავას ერთი წერილი – „რამდენიმე შენიშვნა ლაზების შესახებ“, რომელიც 1945 წლის 20 დეკემ-

ბერს გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკაში“. ამ წერილის დასაწყისიდანვე თვალსაჩინოა მისი კავშირი ზემომოყვანილ სქოლიოსთან:

„თურქული ლინგვისტური „თეორიის“ თანახმად („Гюнеш-Дил“ – „Язык солнца“), ყველა ენა დაიყვანება თურქულზე...“ (ჩიქობავა 1945).

მეცნიერის შეფასებით: „მეცნიერებასთან, საზოგადოდ, და ლინგვისტიკასთან, კერძოდ, „გიუნეშ-დილის“ თეორიას არავითარი საერთო არა აქვს“.

ხოლო აქტიური პუბლიცისტური პათოსი, გამჟღავნებული წერილის დასასრულს, საკმაოდ იშვიათია მეცნიერის მემკვიდრეობაში:

„ისტორია არ გვაპატიებდა ჩვენ, რომ გულგრილი მაყურებლები აღმოვჩენილიყავით იმისა, თუ როგორ ქრება ჩვენს თვალწინ ერთ-ერთი ქართველური ტომი თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, არსებობისათვის ბრძოლაში გამძლეობის შთამბეჭდავი ძალით“ (ჩიქობავა 1945).

\* \* \*

არნოლდ ჩიქობავასეული ზემოაღნიშნული მასშტაბური გააზრების სფეროში იმთავითვე მოექცა ქართულ-ქართველური ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის პრობლემები, როგორც შემსწავლელი ენობრივი სისტემის იმ უმნიშვნელოვანესი უბნისა, რომელიც ყოველი კონკრეტული ენის ძირითად საფუძველს შეადგენს. ერთი მხრივ, ქართულ-ქართველური ენების გრამატიკული წყობის თანამედროვე – სტრუქტურულმა – გააზრებამ, მეორე მხრივ, ქართველური ენების მიმართ ისტორიულ-შედარებითი კვლევის აქტუალობამ, ხოლო, მესამე მხრივ, დიდი ისტორიისა და არსებითი პოლიტიკური დატვირთვის მქონე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ამოცანებმა, მკვლევრის წინაშე გარდაუვალად დააყენა საკითხი მრავალმხრივი პრაქტიკულ-აღწერითი თუ შედარებითი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განვითარებისა.

ენის კვლევის ამოცანების ზოგადენათმეცნიერული გააზრება მკვლევარს შესაძლებლობას აძლევდა ზუსტად განესაზღვრა ლექსიკური ფონდის მნიშვნელობა მიმდინარე ენობრივი მშენებლობისა თუ მისი ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს გააზრება კი გულისხმობდა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენისა და მისი სხვადასხვა ქვესისტემის ლექსიკის სრულყოფილ აღწერას, მეორე მხრივ კი – ისტორიული და შედარებითი კვლევის დაფუძნებას საიმედო ლექსიკოლოგიურ ბაზისზე.

უკვე ცნება „ძირითადი ლექსიკური ფონდისა“, რომელსაც არაერთგზის ეყრდნობა მკვლევარი, ამ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი თეორიული დატვირთვის შემცველი, ვინაიდან ეს ცნება თავისთავში გულისხმობს როგორც ზემოხსენებულ აღწერით ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიას, ასევე ისტორიული ლექსიკის კვალიფიციურ დახარისხებას. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელი პირობაა ისტორიულ-შედარებითი მივლის სათანადო დონეზე წარმართვისათვის; როგორც არნ. ჩიქობავა წერდა: „ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების ზუსტად გამოყოფა არაა ადვილი, მაგრამ ცნება ძირითადი ლექსიკური ფონდისა უადრესად მნიშვნელოვანი ცნებაა როგორც ლექსიკის თანამედროვე ვითარებაში, ისე ლექსიკის ისტორიაში გარკვევის თვალსაზრისით“ (ჩიქობავა 1952: 186).

ამკარაა, რომ თუნდაც „ძირითადი ლექსიკური ფონდის“ განსა-

ზღვრა მოითხოვს როგორც აღწერითი, ასევე ისტორიული ლექსიკოლოგიის წინაშე მდგარი პრობლემების სრულად გააზრებას. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ აღწერითი ლექსიკოლოგიის პრობლემების დამუშავება უსწრებდეს წინ და უქმნიდეს საფუძველს ლექსიკის ისტორიულ და ისტორიულ-შედარებით კვლევას. მაგრამ დაგროვილი პრობლემებისა და დროის ობიექტურად დასაზღვრული განზომილების გათვალისწინებით, მკვლევარი არსებითად ერთდროულად წარმართავს ძიების ინტერესებს რამდენიმე მიმართულებით – აღწერითითაც და შედარებითითაც. აქედან გამომდინარე, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის აქტუალური პრობლემები არნ. ჩიქობავას კვლევითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად წარმოგვიდგება.

ენათმეცნიერული აზრის ისტორიის თვალსაზრისით, არნოლდ ჩიქობავას მოღვაწეობა ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სფეროში შეიძლება შეფასდეს როგორც **სრულიად ახალი, თვისებრივი ეტაპი** ქართულ-ქართველური ენების მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკის აღწერისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ ახალი ეტაპის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი მეცნიერის მრავალმხრივ ლექსიკოლოგიურ საქმიანობას – როგორც თეორიული პრობლემების გადაწყვეტის, ასევე პრაქტიკული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით.

არის სიმართლის წილი იმის აღნიშვნაში, რომ მეცნიერმა გარკვეული მსხვერპლი გაიღო, როდესაც კარგა ხნით გვერდზე გადადო თავისი თეორიული გამოკვლევები და დიდი დრო და ენერგია შეაღია არა მარტო ლექსიკოლოგიური, არამედ პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადაწყვეტას; მაგრამ, ამავე დროს, არც იმის აღნიშვნა იქნება ზედმეტი, რომ ეს იყო მკვლევრის მოღვაწეობის ერთი აუცილებელი ეტაპი – უწინარესად სწორედ ენის სტრუქტურისა და ისტორიის ფუნდამენტურად გააზრების მიზნებს დაქვემდებარებული.

უპირველესად, ამოსავალი სახელმძღვანელო ცნებები – ისტორიზმი და მემკვიდრეობა – მოითხოვდა შესაბამისი მონაპოვრების სათანადოდ შესწავლასა და შეფასებას. ამაში იგულისხმება როგორც გრამატიკული აზრის საფუძვლიანი ანალიზი, რასაც მნიშვნელოვანი დრო და ადგილი დაუთმო მკვლევარმა, ასევე, კონკრეტულად, არსებული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის სრულად გათვალისწინება თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ყურადღება, რაც მეცნიერმა დაუთმო ამ მემკვიდრეობის მშვენიებას – სულხან-საბას „სიტყვის კონას“ (ჩიქობავა 1959).

უპირველესად სწორედ ისტორიის გააზრებით არის გასაგები ის მნიშვნელობა, რასაც არნ. ჩიქობავა „განმარტებით ლექსიკონს“ ანიჭებდა ერის ცხოვრებაში: „ლექსიკონი ხალხის პირველ წიგნად თქმულა“. – ისევე, როგორც „დედა-ენა“ ზავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს. ჩვენ მოგვეპოვება მდიდარი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია; უხერხული იქნებოდა, ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი არა გვქონოდა“, – წერდა იგი „ქართული ენის გან-

მარტებითი ლექსიკონის“ ბოლო (VIII) ტომის წინასიტყვაობაში.

სწორედ ქართული ენის სისტემისა და სტრუქტურის ფუნდამენტური გააზრება შეიძლება ყოფილიყო საიმედო საფუძველი ისეთი მასშტაბური საქმის წამოსაწყებად, როგორც იყო „განმარტებითი ლექსიკონის“ სამუშაოები. ამგვარი საქმის წარმატება შეუძლებელია ყოველი დეტალის უზუსტესი გათვლის გარეშე; ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადასაწყვეტად ენის ბუნებისათვის ადეკვატური მეთოდისა და პრინციპების შემუშავების გარეშე. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, შეიძლება ითქვას, არის სანიმუშო მაგალითი სალექსიკონო პრინციპების ზუსტი განსაზღვრისა და შესაბამისი ლექსიკოგრაფიული სამუშაოების ოპტიმალური ორგანიზაციისა. მეტიც, ეს არის თითქმის ერთადერთი კოლექტიური მასშტაბური სამუშაო საქართველოში, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. და ეს წარმატება უნდა მივიჩნიოთ შედეგად წარმმართველი მძლავრი გონებისა და განუხრელი პიროვნული ნებისა, რომელმაც გაანეიტრალა ამგვარი მოვლენის აუცილებლად თანმხლები აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობები და ერთი მიმართულებით გააერთიანა ქართველოლოგთა მნიშვნელოვანი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ძალებიც კი.

შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც მხოლოდ ორგანიზაციული თვალსაზრისით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ჩადგება ისტორიულად მოგებულ მნიშვნელოვან ბრძოლათა რიგში. შემთხვევითი არ იყო, რომ, სრულიად მიუკერძოებელი შეფასებებით, ეს ლექსიკონი გვერდით დაუყენეს ქართული ენის ისეთ უკვდავ ძეგლს, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო გამოჩენილი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი წერდა: „ეს არის ძეგლი, აღმართული ენისა და მისი ძველი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყოდ მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

მაგრამ ამ გამარჯვების საწინდარი მაინც ქართული ენის სისტემისა და სტრუქტურის ის თეორიული გააზრებები იყო, რომელიც „განმარტებითი ლექსიკონის“ პრინციპებს დაედო საფუძვლად, დაწყებული, ვთქვათ, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელო საკითხით, როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშნის ადგილია სალექსიკონო ერთეულთა რეესტრში და დამთავრებული ისეთი რეკოლუციური ცვლილებით, როგორც ზმნის ძირითად სალექსიკონო ერთეულად აწმყოს მესამე პირის შერჩევა (ქეგლ 1950: 082). რა პოზიციიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ არჩევანს, ერთი რამ უეჭველია: ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულია ქართული ზმნის როგორც ფორმარმოებითი, ისე სიტყვაწარმოებითი ასპექტების სრული გათვალისწინებით. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა აუცილებლად მიიჩნია ამ ლექსიკონისათვის ქართული ენის სრულიად ახლებური გრამატიკული ნარკვევის წამმღვარება (მთელი აკადემიური წინასიტყვაობის კონტექსტით), რომლის დანიშნულება და კონცეპტუალური საფუძველი ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადო გააზრებას.

ქეგლის შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელიც ცალკე ბროშურად განმარტებითი ლექსიკონის გამოცემამდე 5 წლით ადრე გამოქვეყნდა, გამოირჩევა სიზუსტით, სინათლითა და ლაკონიზმით (სულ სამი ნაბეჭდი ფურცელია!). აქ გათვალისწინებულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რაც,



ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, განმარტებითი ლექსიკონის შედგენას უნდა დაედოს საფუძვლად. ხაზი გაესმის ზმნური სალექსიკონო ერთეულის შერჩევის პრინციპულ სიახლეს და, ტრადიციულ პოზიციასთან მიმართების გათვალისწინებით, შესაბამის პუნქტებში პოლემიკური პათოსიც შეიგრძნობა:

„ქართული ზმნის თავისებურებასთან შეფარდებით **კანონზომიერია ზმნა წარმოდგენილი იყოს არა მასდარით** (ზოგ ზმნას მასდარი არც ეწარმოება: შესცინის, მისტირის...), არამედ **პირიანი ფორმით**, სახელდობრ, **მესამე პირის ფორმით**. ეს მესამე პირი აწმყოსია (ხოლო თუ ზმნას აწმყო არა აქვს – მყოფადისა იქნება): **ჭრის... აკეთებს... (გადმოსცემს, აღმოუჩენს)...**

თუ ზმნას მასდარით წარმოვადგენდით, **აღურიცხველი დარჩებოდა მრავალი ისეთი ერთეული**, რაც ქართული ზმნისათვის ნიშანდობლივია და რის ტოლი ოდენობაც სხვა ენებში ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოყოფილი...

ამა თუ იმ ენის ლექსიკონმა უნდა ასახოს სათანადო ენის ლექსიკონის თავისებურება. **ქართული ლექსიკონის თავისებურება ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნურ ერთეულებს მათი შესაფერისი ადგილი არ დაეთმო**. ზმნური ერთეულები მათთვის კუთვნილ ადგილს ვერ დაიჭერს, თუ ნაზმნარ სახელებზე დავალაგეთ“... (ქეგლ 1950: 5).

ამ მიმართებით გარკვეული შეფასებითი მნიშვნელობა აქვს არნ. ჩიქობავას იმ მითითებას, რომელიც „განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულის მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში გვხვდება: „...მასდარის (სახელზმნის) წყალობით ლექსიკონში ზმნა ხელოვნურად იყო გაღარიბებული. აწმყოს ფუძის მეშვეობით ზმნამ ლექსიკონში მოიპოვა ის ადგილი, რაც მას ენაში უკავია.

მთავარია ის, რომ სალექსიკონო ერთეულად შერჩეულია ზმნის ის ფუძე, რისგანაც მასდარი (სახელზმნა) იწარმოება და რამაც **ქართული ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური სიმდიდრის გამოვლენა ლექსიკონში შეგვაძლებინა**“ (ქეგლ 1986: 6).

ქართული ზმნის ბუნებასთან დაკავშირებული ეს პრინციპი ორი არსებითი ასპექტით იქცევს ყურადღებას: პირველი ის, რასაც თვით პრინციპებში გამოკვეთილად გაესმის ხაზი – ზმნის ლექსიკური შესაძლებლობის სრული გამოვლენა, მეორე მხრივ კი – ყველა ლექსიკონისათვის სავალდებულო ეკონომიის პრინციპი, იმ ფლექსიურ მონაცემთაგან განყენების პრინციპი, რაც ლექსიკურ მნიშვნელობასთან არ არის უშუალოდ დაკავშირებული. ამ შემთხვევაში არსებითი ის არის, რომ აწმყო-მყოფადის დიფერენციაციის შემდგომ სწორედ აწმყომ შეიძინა მიმართულება-ორიენტაციის გამოხატვისაგან განყენებული ასეთი მონაცემის მნიშვნელობა. ამავე დროს, ამ არჩევანში სემანტიკური თვალსაზრისით ნიშანდობლივია მეტი შესაბამისობა ზმნურ ლექსიკურ შინაარსთან, მის დროულ-ასპექტურ ბუნებასთან, ხოლო ფორმალურად – პარადიგმატული პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს ფლექსიური პარადიგმის ერთ-ერთი – მთელი სისტემის გათვალისწინებით, ოპტიმალური – წევრის არჩევას ლექსიკურ წარმომადგენლად (და თუ ეს პრინციპი გზადაგზა რამდენადმე დაირღვა, ამაში თვით პრინციპი ნაკლებ არის „დამნაშავე“).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ძირითად პრინციპებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ კორპუსის – როგორც საერთოეროვნული ლექსიკონის – მნიშვნელობის ხაზგასასმელად ყურადღება უნდა მიექცეს ორ ურთიერთშემავსებელ ასპექტს: კერძოდ, აშკარაა, რომ ეს არის ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია მისი ნორმატიულობა, კანონიკურობა, მეორე მხრივ კი – ანგარიშგასაწევია ფართო ასპარეზის მიცემა იმ კილოური, დარგობრივი ლექსიკისათვის, რომელიც, საზოგადოდ, სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური მარაგის სარეზერვო ფონდად არის ნაგულვები. „სარეზერვო ფონდის“ ცნება ფაქტობრივ გულისხმობს ახლებურ პოლიტიკას ლექსიკის სფეროში, ვინაიდან ამგვარი ცნება გრამატიკული შინაარსით არსებითად მიუღებელია. არნ. ჩიქობავა ამ საკითხებს, როგორც ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს, განმარტებითი ლექსიკონის შესავალში აყალიბებს, ამავე დროს, პრობლემას ზოგადენათმეცნიერული განსჯის საგნად აქცევს:

„თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას: სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს...“ (ჩიქობავა 1952: 115).

უნდა ითქვას, რომ ეს პრინციპი განზოგადებაა იმ პრაქტიკული გამოცდილებისა, რაც ქართულ ლექსიკოგრაფიას სანიმუშო მემკვიდრეობად გადმოეცა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ სახით და რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა სალიტერატურო ენაში ლექსიკური პლასტების გრამატიკულ-სტილისტიკური შეფასების, კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები.

თავის მხრივ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ეს იყო ის მასშტაბური ასპარეზი, რომლის დამლევამ განსაკუთრებით ნათლად გამოკვეთა პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენის წინაშე მდგარი უახლესი ლექსიკოლოგიური პრობლემები: იქნება ეს ქართველურ ენათა და მათი დიალექტების, თარგმნითი თუ მრავალგვარი სპეციალური ლექსიკონები. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ განმარტებითმა ლექსიკონმა ახლებურად წარმოაჩინა ქართული ენის კვლევის პერსპექტიული მიმართულებები და საფუძველი ჩაუყარა არაერთ სერიოზულ ლექსიკოლოგიურ თუ ლექსიკოგრაფიულ კვლევას, რომელთა ხორცშესხმა აუცილებელ წინაპირობად გულისხმობს განმარტებითი ლექსიკონის არსებობას.

ბევრი ამგვარი ლექსიკოლოგიური ნაშრომის წამოწყება და განხორციელება სწორედ არნ. ჩიქობავას სახელს უკავშირდება. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი რუსულ-ქართული აკადემიური ლექსიკონი, რომელიც შეიძლება თარგმნითი ლექსიკონების შესანიშნავ ნიმუშად, ქართული ლექსიკოგრაფიის მონაპოვრად იქნეს მიჩნეული; ასევე განმარტებითი ლექსიკონის მემკვიდრეობას წარმოადგენს ისეთი ლექსიკონები, როგორი-

ცაა: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ძირ-ფუძეებისა და მორფმათა ლექსიკონები, ინვერსიული და ტერმინოლოგიური ლექსიკონები და მისთ.

არნ. ჩიქობავამ სპეციალურ ლექსიკონთა რიგში გამოყო ერთი უფრო ვიწრო, თუმცა თავისი დანიშნულებით უმნიშვნელოვანესი, უბანიც – ე. წ. საენათმეცნიერო ლექსიკონები: „**დიალექტოლოგიური** (ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა აღნუსხვით), **ისტორიული** (სადაც ლექსიკის შემადგენლობისა და სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაა აღნუსხული), **შედარებითი**, რომელშიაც ორი ან მეტი მონათესავე ენის სიტყვებია შედარებული“ (ჩიქობავა 1952: 197).

არნ. ჩიქობავამ, როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერული მეთოდის ორთოდოქსული ერთგულებით მიმდევარმა, ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიული და შედარებითი კვლევის სფეროში გაავლო. შეიძლება ითქვას, ქართველურ ენათა შედარებითი კვლევა მეცნიერულ ფუნდამენტზე არნ. ჩიქობავამ დააფუძნა და ამ თვალსაზრისით მისი „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება“ და სხვა გამოკვლევები კომპარატივისტიკის კლასიკას წარმოადგენს.

მეცნიერმა ზუსტად განსაზღვრა შედარების პროცესში რეგულარული ბგერათშესატყვისობების გადამწყვეტი მნიშვნელობა; მაგრამ, ამასთანავე, არა მხოლოდ ბგერათმიმართებების, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინების აუცილებლობა, როგორცაა სიტყვის ფონემატური და მორფოლოგიური სტრუქტურა, ფუძეთა სემანტიკა და შესაბამისი გადაწვეები, კომბინატორული ფონეტიკური ცვლილებები, შედარებითისა და ისტორიულის ურთიერთმიმართება; ეტიმოლოგიური დასკვნების ადგილი შედარებითი კვლევის პროცესში და ეტიმონის დადგენის, რეკონსტრუქციის პრობლემა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მკვლევრისეული დამოკიდებულება შედარებითი კვლევის ამოცანებთან ყველაზე უფრო პრეტენზიული უახლესი მოთხოვნების დონეზე დგას. თვით მკვლევრის შეხედულებებიდან გამომდინარე, არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, რომ არნ. ჩიქობავა რეკონსტრუქციებს არ გვთავაზობს. მკვლევარი ყველა ასპექტს ითვალისწინებს როგორც ფორმალური, ასევე სემანტიკური რეკონსტრუქციისას, მაგრამ ამ რეკონსტრუქციის კონკრეტულ ფორმალიზაციას თვითმიზნად არ სახავს, მაშინ როცა ზოგიერთი ანალოგიური ძიება მხოლოდ ამ მომენტით არის ორიგინალური...

ისტორიულ-შედარებითი კვლევის წარმატებებმა ქართველურ ენებში და ისეთმა მნიშვნელოვანმა ლექსიკოგრაფიულმა მონაპოვრებმა, როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი იყო, მოამზადა სათანადო ნიადაგი უფრო დიდი ამოცანის, შეიძლება ითქვას, **საუკუნის ოცნების** განსახორციელებლად და არნ. ჩიქობავამაც დიალექტიკური სიზუსტით განსაზღვრა მომწიფებული ამოცანის აქტუალობა, კერძოდ, ქართული ენის **ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის** შექმნის აუცილებლობა.

ამიტომაც, ცხადია, სრულიად ბუნებრივია, რომ ქეგლ-ის ბოლო ტომის მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში უკვე ხაზგასმით აღნიშნება ის, რომ „რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზე ამჟამად

მუშავდება **ერთტომეული** განმარტებით ლექსიკონი; გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე“ (ქეგლ 1964: 6).

ისიც ბუნებრივია, რომ ცოტა უფრო ადრე (1961 წელს) არნ. ჩიქობავა საკავშირო კონფერენციისათვის ამზადებს სპეციალურ მოხსენებას ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სპეციფიკურ თავისებურებათა და დანიშნულების შესახებ (ჩიქობავა 1961/63).

ამ საგულისხმო ნაშრომის მიზანდასახულებას არნ. ჩიქობავა სწორედ კონკრეტული ამოცანის აქტუალობით განსაზღვრავს დასაწყისიდანვე: „ეტიმოლოგიური და ისტორიული ლექსიკონების ურთიერთობის საკითხი ჩვენ გვანტერესებს არა განყენებულ-თეორიული თვალსაზრისით, არამედ ჩვენში, საქართველოში, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესადგენად გაჩაღებული მუშაობის გამო“ (ჩიქობავა 1961/63).

იქვე, სქოლიოში დაზუსტებაა: „ჯერჯერობით მიმდინარეობს მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები: ბარათებზე ამოწერილი გამოქვეყნებული ძველი ქართული ტექსტების (IX, X, XI სს.) მთელი ლექსიკური მასალა (950 ათასი ბარათი). როდესაც დამთავრდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VIII ტომის ბეჭდვა და რვატომეულის საფუძველზე შედგება ერთტომეული, ყურადღების ცენტრში დადგება დამუშავება ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური დოკუმენტირებული ლექსიკონისა, სადაც, ბუნებრივია, მოხმობილი იქნება სხვა ქართველურ ენათა სათანადო ლექსიკური მასალაც“ (ჩიქობავა 1961/63).

ამ ნაშრომში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული ეტიმოლოგიური კვლევის ისტორიის, მეთოდებისა და ხერხების, ამგვარ კვლევაში შედარებითი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობაზე; ამ კვლევაში ისტორიულის ადგილზე როგორც თეორიული საფუძვლების, ისე მიზნის გათვალისწინებით; საბოლოო დასკვნების თვალსაზრისით კი საყურადღებოა დებულება ისტორიულისა და ეტიმოლოგიურის არსებითი განუყოფლობის შესახებ ორივე მიმართულებით: როგორც ისტორიიდან ეტიმოლოგიისაკენ, ასევე ეტიმოლოგიური ანალიზიდან – ისტორიისაკენ.

„ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ – ეს იყო არნ. ჩიქობავას მიერ დასახული კიდეც ერთი მასშტაბური პერსპექტიული ამოცანა, რომლის განხორციელებას, როგორც ჩანს, უშუალო ხელმძღვანელობით გეგმავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო მეცნიერის ის ერთადერთი წამოწყება, რომელსაც განხორციელება არ ეწერა და ალბათ შეიძლება წარმოდგენა იმ განცდისა, რომლითაც მან უკვე 60-იან წლებშივე ხელი აიღო ამ ამოცანის რეალურ გადაწყვეტაზე. მიზეზი ამისა, უნდა ვივარაუდოთ, იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. ობიექტური: ამ ამოცანისათვის არ არსებობდა თანამოაზრეთა ისეთი შეკრული კვალიფიციური გუნდი, როგორც ჩამოყალიბდა განმარტებითი ლექსიკონისათვის. სუბიექტური: არნ. ჩიქობავამ განმარტებით ლექსიკონს 20 წელზე მეტი შეაღია და, როგორც ჩანს, მეცნიერის გონებამ თუ ინტუიციამ განჭვრიტა კიდეც ერთი ამდენის პერსპექტივის არარეალურობა...

მაგრამ დიდი მეცნიერის მოღვაწეობის კონონზომიერება ისიც არის,

რომ მისი საქმე მისი ფიზიკური აღსასრულით არ მთავრდება.

წინამორბედის მძლავრი გონების მიერ განსაზღვრული პერსპექტივები, სამომავლოდ დასახული ამოცანები საპასუხისმგებლო მემკვიდრეობად დარჩა შთამომავლობას, სახელდობრ კი – იმ ინსტიტუტს, რომელსაც მეცნიერის სახელი ჰქვია.

### ლიტერატურა

**ჩიქობავა 1924** – არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. – ტუმ, № 4, 1924.

**ჩიქობავა 1926** – არნ. ჩიქობავა, რეცენზია შრომაზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. – მიმოხილველი, I, ტფ. 1926.

**ჩიქობავა 1941** – არნ. ჩიქობავა, Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания (VII. акад. Н. Я. Марр о сущности языка). – ენიმკის მოამბე, თბილისი, 1941, т. 10.

**ჩიქობავა 1945** – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. II. თბილისი, 1945.

**ჩიქობავა 1945<sub>2</sub>** – არნ. ჩიქობავა, Несколько замечаний о лазах. – Заря Востока, 1945, 20 дек.

**ჩიქობავა 1949** – არნ. ჩიქობავა, აკად. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია (1949 წლის 21 აპრილის მოხსენება). – იკეწ, 12, თბილისი, 1985.

**ჩიქობავა 1951** – არნ. ჩიქობავა, Труды И. В. Сталина по вопросам языкознания и их значение для науки о языке, Стенограмма публичной лекции. Тб. 1951.

**ჩიქობავა 1952** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

**ჩიქობავა 1959** – არნ. ჩიქობავა, საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. – ს. კრ. „ს-ს ორბელიანი“, თბილისი, 1959.

**ჩიქობავა 1961/1963** – არნ. ჩიქობავა, К вопросу об взаимоотношении этимологического и сравнительного словарей. – 7-ое пленарное заседание словарной комиссии, посвященной проблемам сравнительно-исторической лексикологии, М. 1961. – Лексикографический сборник, 6, 6, 1963.

**ჩიქობავა 1985** – არნ. ჩიქობავა, როდის იყო და როგორ. – იკეწ, 12, თბილისი, 1985.

**ქეგლ 1950** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950.

**ქეგლ 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964.

**ქეგლ 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

**Сталин 1950** – И. В. Сталин, Марксизм и вопросы языкознания, М. 1950.

---

**Avtandil Arabuli****Arnold Chikovaba's Century**

## Summary

Arnold Chikobava belongs to the generation of the Georgian scientists and public figures who laid the foundation for the new European science and education in Georgia and founded the national scientific schools in a number of fields and directions.

Arnold Chikobava established the scientific school of Ibero-Caucasian linguistics and created fundamental theoretical works in this field. He extended these studies throughout the Caucasus region and in spite of the overt or covert resistance of Moscow's officials he inspired the Caucasian people to study their own, common genetic roots.

Arnold Chikobava founded the linguistic institute and used it as a basis of putting the issues of the structure and the history of the Georgian literary language, the Kartvelian languages and their dialects, the language functioning, norms, terminological and lexicographical providing on a high scientific level.

Arnold Chikobava had a crucial role in protecting the science, in particular linguistics, from the ideological attacks. His righteous and determined position provided a right direction and an international reputation for the Georgian linguistics.

## თეა ბურჭულაძე

### განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის გამოყენების შესახებ

ქართულ ენაში რთული წინადადების ორ სახეს – რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილს – შორის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის კავშირები, დაკავშირების ხერხები. როგორც ცნობილია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების დამოკიდებულთან დასაკავშირებლად გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები. გარდა ამისა, რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც გვავარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, საკორელაციო სიტყვები ჰქვია (კვაჭაძე 2010 : 373).

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის სფეროა **როდესაც/როცა, სადაც/საიდანაც** კავშირების გამოყენების საკითხი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. ის მთავარ წინადადებას უკავშირდება მიმართებითი ნაცვალსახელებით, მიმართებითი ზმნიზედებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით.

თანამედროვე ქართულში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ისეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მაკავშირებელ საშუალებებად იყენებენ **სადაც/საიდანაც, როდესაც/როცა** კავშირებს. სასაუბრო მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული აღნიშნული კონსტრუქციის წინადადებები. განსაკუთრებით ხშირია ის საზოგადოებრივი ინფორმაციის ენაში (როგორც ბეჭდურ, ისე ტელე- და რადიომედიაში). დასტურდება თარგმნილ და მხატვრულ ტექსტებშიც. მაგალითად: „ღარ არსებობდა ის სახლი, **სადაც** ისინი ცხოვრობდნენ“; „ექვმიტანილმა სამართალდამცველებს უჩვენა ის ადგილი, **სადაც** გასაღები და გილზა გადაადგოდო“; „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, **როცა** მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“; „რა საჭიროებას წარმოადგენდა ისეთი ცვლილებები, **როცა** გადაწყვეტილება არსებობდა და ვილაცამ რატომღაც შეგნებულად, თვითნებურად შეცვალა ის“, „წელიწადში მხოლოდ ორი დღეა ისეთი, **როდესაც** ვერაფერს გააკეთებ“; „ცინიზმი ჰქვია ასეთ დამოკიდებულებას, **როდესაც** ბატონი მინისტრი ამბობს, რომ ფაქტობრივად მთელი სა-

ქართველო პანიკაშია“; „ხარება ისეთი დღესასწაულია, **როდესაც** ჩიტი ბუდესაც კი არ იკეთებს“; „მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, **სადაც** არავინ მელოდა“.

როგორც აღნიშნა, ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში მოიპოვება მისათითებელი სიტყვა. განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ძირითადად გვხვდება შემდეგი საკორელაციო სიტყვები და მაქვემდებარებელი კავშირები, რომლებიც ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს აკავშირებენ ერთმანეთთან:

ისეთი – როგორც

ისეთი – რომ

ის – რომელიც

იმგვარი – როგორც

იმდენი – რამდენიც

გარდა აღნიშნულისა, დასტურდება **ისეთი-როდესაც, ისეთი-როცა, ის-როცა, ის-სადაც** წყვილ-წყვილი სიტყვები. ზოგადად, **როდესაც/როცა, სადაც/საიდანაც** მაქვემდებარებელი კავშირები ძირითადად გამოიყენება დროისა და ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში: „მაშინ დაგებრუნდება, **როცა** შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეხიარები იმას სულით და გულით“ (დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება); „**როდესაც** მოვიცალე, მაშინ მოვედი“ (დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება); „**როცა** გიჭირს, ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა“ (დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება); „აღუქსანდრე **სადაც** იჯდა, იქვე შეხვდა განთიადს“ (ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება); „**სადაც** კი გამოჩნდებოდა, ყველგან გრძნობდა ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს“ (ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება).

დასახელებული კონსტრუქციის შესახებ აღნიშნავენ, რომ როცა ქვეწყობილ წინადადებაში მისათითებელ სიტყვად დროის ზმნიზედა (მაშინ) გვაქვს, დროისგარემოებითდამოკიდებულია; როცა **იმ-** ჩვენებითი ნაცვალსახელია კორელატად, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მიუხედავად იმისა, რომ შეერთების საშუალებად ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მიმართებითი ზმნიზედა (როცა, როდესაც) გვაქვს (გეგუჩაძე 2010 : 308).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნა, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში **სადაც/საიდანაც** და **როდესაც/როცა** მიმართებითი ზმნისართების კავშირებად გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულშივე მრავლად დასტურდება. მითითებულია, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებისათვის ძველ ქართულშივე დამახასიათებელი იყო **სადა-იგი, სადაცა, როდესაც** კავშირების გამოყენება. ასეა საშუალო ქართულის ლიტერატურულ ძეგლებშიც. შენიშნულია, რომ „ფართო გამოყენება აქვს ქართულში განსაზღვრებით კავშირად **სადა-**ს. იგი უკავშირდება მთავარი წინადადების გარკვეულ წევრს და გამოხატავს ლოკალობას დამოკიდებული წინადადების ფარგლებში“ (შ. ძიძიგური 1989 : 261). ხოლო **როდესაც** კავშირის შესახებ მსჯელობისას ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ „ასეთი კონსტრუქციის წინადადებები მიმართებაში იმყოფება მთა-



ვარ წინადადებასთან წარმოდგენილ დროის გამომხატველ არსებით სახელთან“ (შ. მიძიგური 1989 : 271). ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით ასეთი კონსტრუქციის არსებობას ადასტურებს ანტონ კიზირიაც (ა. კიზირია 1969 : 84-96). ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ მსგავსი წინადადებები ხშირად გამოიყენება როგორც თანამედროვე, ისე XIX-XX საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში: „თვალთ შორიდანვე სოფელში შეიგულა ისეთი ადგილი, **სადაც** მთელი დღე კაციშვილი არ გაიჭაჭანებდა“ (ფანჯ.); „საწყალიც ასწავალა ფრთოსნებმა იმ გორაკზე დასასაფლავეს, **სადაც** გუშინ სასამართლო მოუწყვეს“ (ჩოხ.); „იმერეთის დაპყრობის ჟამს ეს იყო უკნასკნელი ციხე, **საიდანაც** იმერლები იგერიებდნენ მტრის ჯარის შემოტევას“ (აკაკი); „მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, **სადაც** არავინ მელოდა“ (ბიბ.); „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, **როცა** მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“ (გამს.); „ეს ის წამი იყო, **როცა** მიქელანჯელოს ადამი ენთება...“ (რობ.); „ეს იმ წამს მოხდა, **როცა** ბერზინმა თავისი შუშის თვალების ბასილისკური მზერა მასზე შეაჩერა“ (რობ.); „არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, **როცა** ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებდა იგი თავისას შენ გაგებინებს“ (ილია); „ჩავა კანტორაში და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დასასვენებელ საგზურს სთხოვს სადმე ისეთ ადგილზე, **სადაც** ბევრი ნაძვია“ (ჩოხ.); „ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, **როცა** ჩემი მისამართით ხმამაღლა ყვიროდა ბატონი საშა“ (იოს.)

რატომ იყენებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა კავშირებს? სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი ადრეც გახდა განხილვის საგანი. ლ. ლეჟავას თვალსაზრისით, ამის გასაღები თვით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა მოიძებნოს: დამოკიდებულ წინადადებას სჭირდება დროისა და ადგილის გარემოება და ამიტომ კავშირად იყენებს დროის ან ადგილის ზმნისართს, რომელიც სათანადო წევრადაც გამოდგება დამოკიდებულში (ლეჟავა 1981 : 52). ანალოგიურია მსჯელობა ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებული წინადადებების შემთხვევაშიც, როცა მათ წევრ-კავშირად გამოიყენება ადგილისა და დროის მიმართებითი ზმნისართები, ან მიმართებითი **ვინც, რაც** ნაცვალსახელები (ლეჟავა 1981 : 57).

ჩვენი თვალსაზრისით, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გარემოების მაქვემდებარებელი კავშირების გამოყენებას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. **როდესაც/როცა, სადაც/საიდანაც** კავშირები გამოიყენება ისეთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, როცა მას მთავარ წინადადებაში ახლავს კორელატი (ჩვენებითი ნაცვალსახელები). გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კი ყოველთვის არ მოიპოვება მისათითებელი სიტყვა (ბურჭულაძე 2014 : 113). შევადაროთ: „ფრთხილი ნაბიჯით მივიდა **იმ** ეზოსთან, სადაც მარკიზა ელოდებოდა და ჭიშკრის ღრიჭოდან შეიხედა“ (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება) – ეზო კარგად მოათვალა და მერე მივიდა, სადაც ზესადგარები ელაგა“; „**იმ** ღამეს, როცა პირველად ვნახე, ჯერ კიდევ არ შემძლო შოკის სიდიდე წარმომედგინა.“ – „როდესაც წყალი კუკარაჩას მკერდზე მისწვდა, შვებით ამოვისუნთქეთ“. ცხადია, მოყვანილ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინა-

დადებებში რომ არ იყოს საკორელაციო სიტყვა, მაშინ ის არა განსაზღვრებითი, არამედ ადგილისა (პირველ წინადადებაში) და დროის გარემოებითი (მეორე წინადადებაში) დამოკიდებული წინადადებები იქნებოდა.

იმავითად შეიძლება დადასტურდეს უკორელატიო წინადადებებიც: „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ.); „იგი იმ წუთში მენავეს ჰგავს, რომელსაც ადღვებულ ზღვაში ხუთი ადამიანის ბედი ებარა“ (ფანჯ.); „ყენობა იყო მასიური გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა“ (გრიშ.); „მოვიდა მებატონის სახლთან, რომელიც საკმაოდ დამველებულიყო“ (ყაზბ.)

ხემოთ დასახელებულ წინადადებებში გადამწყვეტი ფაქტორი მისათითებელ სიტყვას ენიჭება, რადგან სწორედ ის გახაზავს წინადადების განსაზღვრებითობას, გამოკვეთს იმ სიტყვას, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ნიშან-თვისებით.

2. განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში მთავარი წინადადების არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს **მიემართება დამოკიდებული წინადადების არა რომელიმე შესაბამისი წევრი** (როგორც ეს **რომელიც/როგორც** კავშირის შემთხვევაშია), **არამედ მთლიანად წინადადება განსაზღვრავს მთავრის მისათითებელ წევრს, უფრო ზოგადი შინაარსით ახასიათებს მას.** აღნიშნული სახის წინადადებებში კორელატი იმავე ბრუნვაში კი დგება, რომელ სიტყვასაც განსაზღვრავს, მაგრამ, რაკი მთავარს უკავშირდება მიმართებითი ზმნიზედებით, ამიტომ სინტაქსური დამოკიდებულება არ ჩანს. ასეთიშინაარსისკონსტრუქციამოითხოვს **როცა/როდესაც, სადაც/საიდანაც** კავშირებს. უფრომეტყვე, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის ბუნებრივი **რომელიც, როგორც** კავშირები დასახელებულ შემთხვევებში ყოველთვის ვერ გამოიყენება. მაგალითად: „წელიწადში მხოლოდ ორი დღეა ისეთი, **როდესაც** ვერაფერს გააკეთებ“ – წელიწადში მხოლოდ ორი დღეა ისეთი, **რომელშიც/როგორც...** ვერაფერს გააკეთებ. ან კიდევ: „ფრთხილი ნაბიჯით მივიდა იმ ეზოსთან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ“ – ფრთხილი ნაბიჯით მივიდა იმ ეზოსთან, **რომელშიც/როგორც...** ისინი ცხოვრობდნენ. ცხადია, დასახელებული სახის ნიმუშებში ყოველთვის ვერ ხერხდება, არაა ბუნებრივი **რომელიც/როგორც** კავშირებით ჩანაცვლება. თუმცა შევნიშნავთ, რომ ამის პარალელურად ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია **რომელიც/როგორც** კავშირების გამოყენება: „მალე იმ ოთახში დამაწვინეს, **სადაც** ბიძაჩემს უნდა დაეძინა“ (აკაკი) – მალე იმ ოთახში დამაწვინეს, **რომელშიც** ბიძაჩემს უნდა დაეძინა; „მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, **სადაც** არავინ მელოდა“ (ბიბ.) – „მე უნდა დავშვებულიყავი ამ ბილიკზე და შევსულიყავი ჩემთვის უცნობ იმ სოფელში, **რომელშიც** არავინ მელოდა“ (ბიბ.)

3. საკითხის ანალიზმა აჩვენა, რომ **დასახელებულ კონსტრუქციებში უფრო ადგილის, ან დროის შინაარსის გაგება წამოიწევს წინ, ვიდრე შესაბამისი წევრის განსაზღვრებისა.** ამიტომაცაა, რომ ასეთი წინადადებები იყენებენ გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მიმართებით ზმნიზედებს. შევადაროთ: „ფიქრით ხაზგასმული იყო ის სამი ადგილი, **სადაც**

ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი“ (რობ.); „სწორედ ის სასახლე იყო, **სადაც** შარშან დღეისწორს სრულად საქართველოს „დიდ გარიგებას“ ჩაეყარა საფუძველი“ (ფანჯ.) – აქ ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ ადგილზე და წევრ-კავშირიც მიემართება უფრო **ადგილის** (ის ადგილი, ის სასახლე) აღნიშვნას და არა მისათითებელ სიტყვას (რომელი ადგილი? – ის ადგილი, რომელი სასახლე? – ის სასახლე). შესაბამისად, ასეთმა განსაზღვრებითმა წინადადებამ გამოიყენა ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი. ამის ანალოგიით, როცა საჭიროა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იყენებს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებს **როცა/როდესაც**: „მთელი დღე მის გონებაში იდგა ის დრო, **როცა** ცოლთან ერთად გატარებული ყოველი ღამე უსასრულო გამხდარიყო“ (დუმბ.); „ეს არის ისეთი კავშირი, **როდესაც** ერთის აღქმას...დაუყოვნებლივ მოჰყვება მეორე“ (კვირის პალიტრა). ასეთ კონსტრუქციებში კი ყურადღება მახვილდება დროის გამოხატვაზე და წევრ-კავშირიც მიემართება სწორედ ასეთ სიტყვას და არა მისათითებელ სიტყვას: დრო – როცა, კავშირი – როდესაც (რომელი დრო? – ის დრო, როგორი კავშირი? – ისეთი კავშირი). ასეთ კონსტრუქციებში კი გამოყენებულია დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი.

დასახელებული ფაქტორები ცხადყოფს, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება საჭიროებისამებრ იყენებს დროისა და ადგილის გარემოების წევრ-კავშირებს. ეს ბუნებრივად დასტურდება მაშინ, როცა აქცენტი ადგილის, ან დროის შინაარსის გაგებაზე მახვილდება, ხოლო განსაზღვრების ნიშან-თვისება შესუსტებულია, ის მისათითებელ სიტყვას მიემართება და არა შესაბამის წევრს.

## ლიტერატურა

**ბურჭულაძე 2014** – თ. ბურჭულაძე, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, თბილისი, 2014.

**გეგუჩაძე 2010** – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, სინტაქსის საკითხები, თბილისი, 2010.

**ლეჟავა 1981** – ლ. ლეჟავა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.

**კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2000.

**კიზირია 1969** – ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1969.

**ძიმიგური 1989** – შ. ძიმიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი, 1989.

**Tea Burchuladze****On Using Some Conjunctions of a Definitive  
Subordinate Clause**

## Summary

Definitive subordinate clauses using the conjunctions *sadac/saidanac* “where”, *rodesac/roca* “when” are more often used in modern Georgian. In our opinion, the use of subordinate conjunctions of an adverbial modifier has several reasons: 1. the conjunctions *sadac/saidanac* “where”, *rodesac/roca* “when” are used in such a definitive subordinate clause where it is accompanied by a correlative (demonstrative pronouns) in the main clause. In the said definitive subordinate clauses the member of the main clause represented by a noun is not referred by any member of the subordinate clause (as it happens with the conjunction *rodesac/roca* “which”) but the entire clause defines the relevant member of the main clause giving its more general description. The analysis has shown that in the said constructions the understanding of the content of time and place are more emphasized than the understanding of the modifier of the relevant member. That is why such sentences use relative adverbs of an adverbial clause as well as, if necessary, a definitive subordinate clause uses the conjunctions *rodesac/roca* of an adverbial clause of time.

The above-mentioned factors indicate that a definitive subordinate clause uses member-connectors of adverbial modifiers of time and place as required. This is naturally confirmed when the understanding of the content of time and place are more emphasized and the peculiarities of a modifier are weakened.

## გიორგი გოგოლაშვილი

ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი...  
(მუხრან მაჭავარიანის პოეზიის გამო)

მუხრან მაჭავარიანი აცხადებს: „პირადად მე ლექსში სასვენიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“...

თითქოს ამ განცხადებაში უცნაური არაფერია: ყოველი წიგნიერი კაცი იცავს პუნქტუაციის დადგენილ წესებს; ეს მისი წიგნიერების გამოვლენაა... პუნქტუაციას კი, ცხადია, აქვს თავისი წესები; გრამატიკოსთა მიერ დადგენილი „მშრალი“ წესები.

თუ ასეა, რა თქვა მაშინ მუხრან მაჭავარიანმა ორიგინალური?.. არა, მუხრანი რომ სასვენიშნებზე საუბრობს, ეს არაა პუნქტუაციის ის წესები, ჩვენ რომ ვიცით... ეს „მუხრანული“ წესებია... ის ვერ ჯდება ორდინალურ წესებში...

ვინც დაფიქრებულა ანა კალანდაძის, გალაკტიონ ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, ოთარ ჩხეიძის ნაწერებში პუნქტუაციის საკითხით, დაგვეთანხმება: შემოქმედთა აზრით, პუნქტუაციის „მშრალი გრამატიკული წესები“ ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს... თეორიულად თითქოსდა ერიდებიან ამის თქმას, თუმცა არც უამისობაა. თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „დედანს საშინელი სისწრაფით ვწერ. შავში სასვენიშნებს უნდა გადავახტე (მე მგონია, როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში უკეთ გაიწაფებიან, სასვენიშნები უნდა გავაძევათ. ეს დიდ დროს გვართმევს. ძველებს ხომ ჩვენებური სასვენიშნები არა ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ. პირადად მე არა მგონია, ასეთ რამეს რომ მოვესწრო).“

ვახტანგ ჭელიძისათვის მიუმართავს ოთარ ჩხეიძეს: „თქვენ რომ რედაქტორი დამინიშნეთ „ტინის ხიდისა“ შიშობს, ჩემს პუნქტუაციას არ თანხმდება, დამსჯიანო და შიშობს.

მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაცია, აუარებელი და ზედმეტი მძიმეობა, უნდა განიტვიროთოს. „მეც ასე მგონია, ამბობს ვახტანგი, – როგორც გინდოდეს, ოღონდ სჯობს, დაიწეროს კიდევაც“. კიდევაც ვაპირებმეთქი, თუ თანახმა ხარ, შენც მოაწერე ხელიმეთქი. კარგიო, თანხმდება“... ეს ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებშია; მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მას ასეთი წერილი არ დაუწერია... ალბათ იმიტომ, რომ არაა იოლი, ოთარ ჩხეიძისეული „პუნქტუაციის სისტემა“ წესებში მოაქციო...

ვახტანგ ჯავახიძე წერს ერთგან: „ანა კალანდაძის ლექსებში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება, ისევე, როგორც მარინე ცვეტაევასთან

– ტირე. ორთავეს გამიზნული ფუნქცია აკისრია. ალბათ რომელიმე ლინგვისტი დაწერს ოდესმე – „მრავალწერტილი ანას პოეზიაში“... ამ ნაკარნახევი სათაურით მე ვცადე გამოკვლევის დაწერა (იხ.; „მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში“: კრებული „ზურაბ ჭუმბურიძეს“, თბ., 2017). ეს წერილი ანას ხელნაწერი წიგნების მიხედვით დაიწერა. საინტერესო სურათი დაიხატა: ანას თავისებური სისტემა აქვს სასვენი ნიშნებისა: მძიმე და ორი წერტილი (...), მძიმე და სამი წერტილი (...), მძიმე და ოთხი წერტილი (...); ანდა ძახილის ნიშანი და ორი (ან სამი, ან ოთხი) წერტილი... საინტერესო ფაქტია: ანა კალანდაძე პროფესიონალი ენათმეცნიერია; ცხადია, ზედმიწევნით იცის პუნქტუაციის დაკანონებული წესები, მაგრამ... თურმე როდესაც წიგნის რედაქტორმა ვ. ჯავახიძემ მძიმისა და ორი წერტილის (...) შეცვლა მოითხოვა სამი წერტილით, პოეტს წინააღმდეგობა არ გაუწევია რედაქტორისათვის... როგორც ჩანს, პოეტური სათქმელი რაღაც სხვას ითხოვდა, არასტანდარტულს, მაგრამ მტკიცება თავისი პოზიციის სისწორისა არ უცდია პოეტს... აქვს ასეთი ნათქვამი ანას: სათქმელმა თავისი ფორმა მოითხოვაო; ანდა: „*ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავიც*“...

ლევან ბრეგაძესთან ვნახე: ამონარიდში გამოტოვებული ადგილის მისანიშნებლად ფრჩხილებში ჩასმულო სამი წერტილი (...); ამით შემოკლებული ამონარიდის შემთხვევა განასხვავა სამი წერტილის ჩვეულებრივი ფუნქციისაგან. ასეთი ხერხისთვის მეც მიმდმართავს, რადგან ლოგიკური მეჩვენება, თუმცა ტრადიციულ სასვენი ნიშანთა სისტემაში ასეთი წესი არაა...

\*\*

ჩვენ მუხრან მაჭავარიანზე დავიწყეთ საუბარი...

დავუბრუნდეთ ისევ მუხრან მაჭავარიანს – ძალზე ორიგინალურ შემთხვევას სასვენი ნიშნებზე საუბრისას...

ოთხი რამ – **ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი** – არის ურთიერთკავშირში და ქმნის იმ რთულ რეალობას, რასაც მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურება ჰქვია...

\*\*

მუხრან მაჭავარიანი წერს: „*ერთ დროს პოეტების გარკვეული წრე (და ძალიან საგულისხმო პოეტებისაც) სრულიად უარყოფდა პუნქტუაციის მნიშვნელობას ლექსში.*

**პირადად მე ლექსში სასვენი ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არ ვთქვა, დიდ მნიშვნელობას.**“ – ეს ზოგადი პოზიციია პოეტისა...

ასევე: ავტორისეული პუნქტუაციის სწორად გააზრება; ტექსტის სწორად წაკითხვა (პაუზა, გრძელ და მოკლე სტერიქონთა განლაგების გათვალისწინება...) – აუცილებელი პირობაა ავტორის ჩანაფიქრის სწორი გაგებისათვის: „*მკითხველი, რომელიც მისთვის საჩოთირო ლექსში, დაიცავს პუნქტუაციას, თავის ადგილზე გააკეთებს პაუზას, ანგარიშს გაუწევს გრძელ და მოკლე სტერიქონთა განლაგებას – ერთი სიტყვით, ლექსს წაიკითხავს ისე, როგორც უნდა წაიკითხოს, და, როგორც ის ავ-*

ტორს აქვს დაწერილი – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შედეგი გაცილებით უკეთესი იქნება“...

უცნაურად მოეჩვენოს შეიძლება ვინმეს, მაგრამ მუხრან მაჭავარიანის აზრით, **პოეტის ნიჭი პუნქტუაციაში ვლინდება:**

„არსებობს თუ არა **ნიჭის საზომი** რაიმე ხელსაწყო? არსებობს! – ეს არის **წერტილი!** დიახ! **წერტილი** (აი, ეს – ).

სად გაჩერდები, სად დასვამ წერტილს, რა სტადიაში ჩათვლი შენს ნაწარმოებს გასრულებულად... ჩათვლამდის კი მიება და მიება! ხოცვა-ჟლეტაა, ხოცვა და ჟლეტა, სტრიქონთა და სიტყვათა, აზრთა, რითმთა... ჰოდა, ამ ხოცვა-ჟლეტისას, რაც თავში მოვივა და რასაც ცოცხალს დატოვებ – იგია, სწორედ რომ იტყვის – რას წარმოადგენ შენ, როგორი ნიჭის პატრონი ხარ!

ამიტომ ადვილად არ უნდა ენდო სიტყვას, არ უნდა მოგხიბლოს მისმა გარეგნობამ, არ უნდა დაინდო იგი, არ უნდა მისცე შეღავათი, რადგან მან თვითონ არ იცის დანდობა. მანძილი ბოლო წერტილიდან ნაწარმოების პირველი სიტყვის პირველი ასოს მარცხენა კუთხემდე პირდაპირპროპორციულია ავტორის ნიჭის“...

„წერტილი“ ამ შემთხვევაში ზოგადი ტერმინი ჩანს: პუნქტუაციას გულისხმობს – წერტილს, მძიმეს, ტირეს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს, ფრჩხილებს!.. ამ ნიშანთა „მუხრანული“ კომბინაციები, ვარიაციები არის სწორედ მუხრანის ნიჭის გამოვლენა (მისივე თეორიის შესაბამისად)...

### **ნიჭის საზომი წერტილიაო...**

ვთქვით, წერტილი სიმბოლური ნიშანია... ამ მუხრანულმა შეგონებამ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ერთი ფრიად საინტერესო აზრი გამახსენა (წერტილთან დაკავშირებული): ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის გამოცემის საკითხი განიხილებოდა. (გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისია). გამოცემის რედაქტორმა მიხეილ ჭაბაშვილმა ბრძანა, ჯერ არ არის მზად ლექსიკონი გამოსაცემადო. ბატონმა არნოლდმა მკაცრად თქვა; ლექსიკონზე მუშაობა არ მთავრდება! უნდა შეძლოთ წერტილის დასმაო! – დიახ, წერტილის დასმა ნიჭია, სწორად გათვლილი და დაგეგმილი სამუშაოს ფინალი!..

\*\*

მუხრან მაჭავარიანი სასვენი ნიშნების ტოლფას მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის **გრაფიკულ სახეს**. როგორ „ამტვრევს“ **სტრიქონებს** და რატომ „ამტვრევს“ სტრიქონებს? მოვუსმინოთ:

„რატომ „ვამტვრევ“ მაგალითად მე ლექსის სტრიქონებს?! რატომ ვალაგებ სიტყვებს ხან „კიბურად“, ხან „სიმალღეზე“, ხან „ჯვარედინად“?!“

მე არ ვჯერდები მოქმედების სიტყვიერად ხატვას და ხშირად მივმართავ სიტყვების განლაგებით ხატვას მოქმედებისას.

ეს შეიძლება დიდი არაფერია, მაგრამ ეს კია, რომ ხატვის ეს მეთოდი ქართულ პოეზიაში (და არა მარტო ქართულში) ჩემამდე არავის გამოუყენებია.

სტრიქონებს ჩემამდეც ბევრი ანაწევრებდა (და არა ამტვრევდა) და დღესაც არაერთი ანაწევრებს, მაგრამ ეს დანაწევრება სტრიქონებისა, უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა და ხდება (რა თქმა უნდა, თუ ზოგი ავტორის ჰონორარისადმი მიდრეკილებას გამოვრიცხავთ) ამა თუ იმ სიტყვაზე აქცენტის გაკეთების მიზნით“...

(ჩვენ საამისო მაგალითებს ქვემოთ მოვიყვანთ...).

მუხრან მაჭავარიანისათვის სასვენი ნიშნები თუ „სტრიქონთა დამტვრევა“ – ყველაფერი ემსახურება სიტყვის ფასის გაგებას...

მუხრან მაჭავარიანისათვის **სიტყვის ფასი** სხვაა...

თითქოს ასეა: სიტყვა სიტყვაა ლექსშიც და ცხოვრებაშიც... მაგრამ არ ყოფილა ასე; პოეტის აზრით, „ლექსში მოქცეული სიტყვა უფრო მძაფრია, ვიდრე იგივე სიტყვა ცხოვრებაში!“

რა ანიჭებს ლექსში ამ სიმძაფრეს სიტყვას? – ხმა!.. ინტონაცია!.. ამას სასვენი ნიშნების დახმარებით გადმოსცემს პოეტი...

ის, რაც პოეტისეულ სიმძაფრეს სძენს სიტყვას, სასვენ ნიშანთა თავისებური კომბინაციითა თუ ვარიანტებით გადმოიცემა... და სტრიქონთა დამტვრევით...

სიტყვას „მოქნევა“ სჭირდება, მთავარია, როგორ მოიქნევს სიტყვას პოეტი – ამაშია მისი სიდიადე: „რუსთაველისა და აკაკის შემდეგ, გალაკტიონივით ქართული სიტყვა იშვიათად თუ მოუქნევია ვინმეს“...

მეტიც, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტყვა პოეტმა უნდა გახედნოს, თავისი დამლა დაასვას: „გალაკტიონმა არა მარტო არაერთი გაუხედნავი სიტყვა გახედნა, თითქმის ყველა ქართულ სიტყვას თავისი დამლა დაასვა:

*ფეხის ყოველ გადადგმაზე, ყოველ სიტყვაზე, –*

*მყისვე მისი სტრიქონი გამოხტება ხოლმე.*

*მერედა სად?!*

*იმ ქვეყანაში, სადაც რვაასი წელია ლექსი წვიმს, ლექსი ქუხს და ლექსი ელავს!..“*

ამგვარ ამონარიდებს კომენტარიც არ სჭირდება; განმარტებაც სჭირს; ეს ის შემთხვევაა, როგორც თავად პოეტი იტყოდა, როცა სათქმელს ყველაზე უკეთ თავად ამბობს ნათქვამი...

კი, ეს „სიტყვათა გახედნა“, „დამლის დასმა“ – ისაა, რაც თავისებურ სახეს აძლევს ლექსს... სასვენი ნიშნები თუ გრაფიკული სახე ლექსისა გვეხმარება ამის აღქმაში...

აი, ეს მსჯელობაც მოვისმინოთ; იქნებ ეს დაგვეხმაროს საკითხის გააზრებაში:

*„ორფაა გალაკტიონის სიტყვა;*



სიტყვა, როგორც სიტყვა და სიტყვა, როგორც ხმა, – ერთმანეთს ერწყმის, იმუხტება ზიარი აზრით, ქმნის რაღაც მესამეს და სწორედ ეს რაღაც მესამეა გალაკტიონი.

გალაკტიონის ლექსის პულსი,– ზედმიწევნით ქართული,– უშუალოდ ქართული ენის ქღერაზეა დამყარებული“.

„ორფა სიტყვა“... „სიტყვა, როგორც სიტყვა და სიტყვა, როგორც ხმა“... „ლექსის პულსი“... ეს ის ცნებებია, რომელთა განმარტება მხოლოდ მუხრან მაჭავარიანს შეეძლო... ჩვენ უნდა გავიმეოროთ, ვირწმუნოთ და ვიგრძნოთ...

პოეტი ენის სტიქიაში უნდა იჯდეს... ეს სხვა რამეა... ისევე მუხრან მაჭავარიანს მოვუსმინოთ:

„დიდი სიტყვიერი მარაგი სრულიად არ ნიშნავს „ენის სტიქიაში ჯდომას“...“

ენის სტიქიაში ჯდომა ნიშნავს: ფრაზის, სტროფის ქართული ენის ბუნებისამებრ აწყობას, ეროვნული რიტმის დაჭერას.

ვინ და როგორ განსჯის: ზის თუ არა ესა თუ ის პოეტი ენის სტიქიაში?

ამის პირუთვნელი მსაჯული მეხსიერებაა: რაც ადვილად გამახსოვრდება – ყველაფერი ენის სტიქიაში ზის.“

ესევე „მუხრანული“ გააზრებაა...

„ენის სტიქიაში ჯდომა“ ენაზე მუდმივი მუშაობის შედეგია, ჯოჯოხეთური შრომის შედეგი...“

„მწერალმა, პოეტმა თუ პროზაიკოსმა, სარგებლობს რა ხალხის ენით, იღებს რა მას, იგი (ეს ენა) უნდა დაამუშაოს ზედმიწევნით, დახვეწოს ყოველმხრივ, ნაწარმოებში არ უნდა იყოს არც აერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ცუდი ადგილი, არც ერთი იაფფასიანი შედარება, გაპიროვნება და ა. შ. ენა ნაწარმოებისა ისე უნდა გაამშვენიეროს მწერალმა, რომ ხალხს „გაუჭირდეს“ თავისი ენის ცნობა (კარგი გაგებით). მას მოჰყვება მკითხველთა გემოვნების გაზრდა, მათი ყოველდღიური სამეტყველო ენის დახვეწა და გამშვენიერება...“

„როდესაც ლექსში არაა ზედმეტი სიტყვა, და არც არის აზრობრივად აუცილებელი, რაც არ უნდა ბევრი სიტყვა იყოს შიგ, მკითხველს მაინც ცოტა სიტყვა ჰგონია ამ ლექსში“...“

იმ უზარმაზარ სამყაროში, რასაც ენის ლექსიკური ფონდი ჰქვია, „სიტყვა უნდა იპოვო“, სიტყვებს უნდა დაუბრუნო თავისი „პირველშობილი მნიშვნელობა“... ესაა პოეტის უცილობელი გამარჯვების წინაპირობა:

„მოვლენის, საგნის ანდა მოქმედების ზუსტად გამომხატველი სიტყვის პოვნა ჩემთვის დგას ყოველგვარ ბრწყინვალე შედარებაზე და სახეზე მაღლა.“

ეს მეთოდი სიტყვებს უბრუნებს თავის პირველშობილ მნიშვნელობას.

ეს მეთოდი უახლოვდება ენის წარმოშობის ხანას.

ამ მეთოდით შექმნილი ნაწარმოები მკითხველზე ტოვებს ძალზე უბრალო შთაბეჭდილებას. სამაგიეროდ, ამ მეთოდით შექმნილი ლექსი საოცრად გამოხატავს იმას, რისთვისაცაა იგი დაწერილი“...

ლექსში წინა პლანზე სწორედ სიტყვა უნდა იყოს წამოწეული, თუ გვინდა, რომ მძაფრად ვიგრძნოთ ქართული ენის სიუხვე და ფერხორცი, – ასე ფიქრობს მუხრან მაჭავარიანი:

„მურმან ლებანიძე ეკუთვნის პოეტთა იმ პლეადას, რომელთა პოეზიაში წინა პლანზე სიტყვაა წამოწეული.

სწორედ ამ თვისების გამოა, რომ მურმან ლებანიძის ლექსებში ესოდენ მძაფრად იგრძნობა ქართული ენის სიუხვე და ფერხორცი“...

და რომ, პოეტის შემოქმედების ღირსეული დაფასება ქართული სიტყვის დაფასებაა, ასე ფიქრობს პოეტი:

„ერთხელ კიდევ დაფასდა სიტყვა ქართული.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა საქართველოს სასიქადულო პოეტს, გიორგი ლეონიძეს“...

მუხრან მაჭავარიანი ასე ხედავს: ყოველ სიტყვას აქვს თავისი „**მძაფრი გემო, ფერი და სუნი**“...

მუხრან მაჭავარიანი როცა რუსთაველისა და გალაკტიონის გენიალურობაზე საუბრობს, მაშინ წერს: „გარდა რუსთაველის სიტყვისა, არც ერთი ქართველი პოეტის სიტყვას არა აქვს ისეთი მძაფრი **გემო, ფერი და სუნი**, როგორც გალაკტიონის სიტყვას“...

და კიდევ: ყოველ სიტყვას აქვს თავისი საკუთარი **რიტმი**; რიტმი – სინამდვილის ასხვის ყველაზე უტყუარი საშუალება. მოვუსმინოთ:

„ჩემთვის ქვეყანაზე არაფერი არ არსებობს **რიტმის** გარეშე. სინამდვილის ასახვის ყველაზე უტყუარ საშუალებად მე მიმაჩნია რიტმი. ჩემთვის ყოველ სიტყვას აქვს საკუთარი რიტმი. ჩემთვის სიტყვა არის შედარება და მხატვრული სახე“...

ასე რომ, სიტყვაა მთავარი... ესეც ვთქვათ: სულხან-საბას უმაღლის პოეტი ქართული სიტყვისადმი მისეულ დამოკიდებულებას:

„ბუკინისტების მღაზიაში ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ვიყიდე. წიგნმა, ენისადმი, სიტყვისადმი მწერლისეულმა ასე ფაქიზმა მოპყრობამ მთელი ჩემი არსება შეძრა. სწორედ საბას ვუმაღლი, რომ სიტყვისადმი საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება გამიჩნდა. შემდეგ „სიბრძნე სიცრუისა“ წავიკითხე და საბამ მთლიანად დამიპყრო. ალბათ ამ დიდმა სიყვარულმა დამაწერინა საბასადმი მიძღვნილი ლექსი“...

დიახ, სიტყვააო მთავარი...

და არა მხოლოდ სიტყვა...

\*\*

„**ხმა არის მთვარი!** – სათქმელის შესატყვისი ხმა!“ – წერს ერთგან მუხრან მაჭავარიანი...

რა არის ეს „**ხმა**“?.. პოეტი ასეთ განმარტებასაც იძლევა: „**ლექსი, რომელიც ძირითადად მხატვრულ ხმაში აზროვნებას წარმოადგენს**, – ყოვლად დაუშვებელია, განიხილო, – როგორც აზროვნება მხატვრულ

სახეებში... სწორედ და მხოლოდ **მხატვრულ ხმაში** აზროვნება გახლავთ შინაარსი ესოდენ გაცვეთილი სიტყვისა, – **ნიჭი**.“

თითქოს **ხმა** და **ინტონაცია** სინონიმებია მუხრან მაჭავარიანისათვის: „ხმას არავინ იღებს მწერლის ინტონაციის საჭიროებაზე... მწერალს თავისი ინტონაცია უნდა ჰქონდეს; ამიტომ ბრაზობს კიდევ ზოგჯერ – „ინტონაცია სხვისია“ (ამას რამდენიმეჯერ იმეორებს)... „სავსებით განსხვავებული ინტონაცია“... დიახ, „ხმაა მთავარი“... „ინტონაციაა მთავარი“... „უმაღლეს პოეტურ გამარჯვებად მიმაჩნია, აზრისა და ტონალობის შესაფერისობა, **აზრის გამამაფრებელი ხმის აღმოჩენა**“... ამიტომაც ყოველ აზრს თავისი ხმა უნდა შეურჩიოს პოეტმა საკუთარი „ხმის არსენალიდან“... ამ ხმით უნდა გაამაფროს აზრი...

თავად ასე ქმნის ლექსს: „*ლექსის შექმნისას სიტყვასა და სტრიქონს ხმამაღლა წარმოთქმით ისევე ვუსინჯავ უღერადობას, როგორც ბროლის ჭურჭელს ანდა მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას უსინჯავენ ხოლმე. ალბათ, ამის გამოა, რომ პირადად ჩემზე ჩემი ლექსების უმრავლესობა სწორედ ხმამაღლა კითხვისას ტოვებს სრულყოფილ მთაბეჭდილებას*“...

„*ხმას უსინჯავს სათქმელს*“... – ცნობილი ფაქტია: მუხრან მაჭავარიანი ლექსებს ზეპირად თხზავდა; ბოლთას სცემდა და ისე თხზავდა... „ხმას უსინჯავდა“ და როცა ჩათვლიდა ლექსს დასრულებულად, მერე გადაჰქონდა ქაღალდზე... ესეც ცნობილია: სწორედ ეს ფაქტი გაითვალისწინა ოჯახმა და, როცა ახალი ბინა მიიღეს მაჭავარიანებმა, ორი ოთახი გააერთიანეს, რომ მეტი სივრცე ჰქონოდა სასიარულოდ ლექსის თხზვისას პოეტს...

ერთგან წერს მუხრან მაჭავარიანი: „როგორც სამღერლად არის საჭირო ხმა და სმენა (უკეთუ კაცი ურცხვი არ არის), ასევე ლექსის წასაკითხად აუცილებელია ლექსის წაკითხვის ცოდნა. ლექსი ისე უნდა წაკითხოს, – როგორც იგია დაწერილი, და არა ისე, – როგორც შენ გასურს“...

ლექსის თემატიკას, შინაარსს (ანუ სათქმელს) უნდა შეესაბამებოდეს ხმაო, ინტონაცია... ლექსი უნდა „**მოერგოს**“ გარემოს, აუდიტორიას... წერს ერთგან პოეტი: კლდეკარს ვიყავითო, „*იქაურობას რუსთაველის სტრიქონი მოერგო მხოლოდ*...“

*რა გაეწყობა!*–

**ყოველი პოეტის ხმას თავისი ასპარეზი აქვს**“...

(გადახვევა: ჰყვებიან: 1964 წელს უნივერსიტეტში ოვაციები არ ცხრებოდა და ხელში აყვანილი გამოიყვანესო პოეტი დარბაზიდან!.. იმ დარბაზს მუხრანის ხმა მოერგო...).

„*მკითხველმა წაკითხოს ისე, როგორც ავტორს დაუწერია ისინი*“... ამ თვალსაზრისით გადავხედოთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიას; რაც არსებითია, მოვუსმინოთ, როგორ კითხულობს პოეტი საკუთარ ლექსებს და ვცადოთ, ისე წავიკითხოთ – არ დაფუარგოთ (არ შევუცვალოთ) ხმა... თუ შევძლებთ, შევუდაროთ მისი წაკითხული (ზეპირი ინტონაციები) დასტამბულ ლექსებს და ამოვხსნათ საიდუმლო „მისი სასვენი ნიშნების სისტემისა“, მისი „პოეტური ხმის თეორიისა“... ანდა

„დატეხილი სტრიქონებისა“, ანუ მისი ლექსების გრაფიკული თავისებურებისა...

დიახ, **მუხრან მაჭავარიანის „თეორია“ სიტყვაზე, ხმაზე, წერტილზე, სტრიქონთა დატეხაზე უშუალო კავშირშია იმასთან, რასაც სასვენ ნიშანთა სისტემას ვეძახით მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში... პოეტს არაფერი „ემსლება“** (თუ „გრამატიკულად განათლებულმა“ რედაქტორ-სტილისტებმა პოეტისადაა უნებურად არ ჩაასწორეს...)...

რა თქმა უნდა, ყველა თავისებურ შემთხვევას ვერ ავხსნით, უბრალოდ, ჩვენ ვცდით, ვაჩვენოთ ეს თავისებურებები (ცხადია, შეძლებისდაგვარად...)...

\*\*

კარგა ხნის წინათ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში (თბილისში) ხელნაწერი ვნახე ლექსისა „მე და დამე“. უცნაურმა პუნქტუაციამ მიიქცია ჩემი ყურადღება:

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის დნება,

**სიო, სარკმლით, მონაზერი, ველთა ზღაპრებს, მეუზნება,**

**მთვარით, ნაფენს, არემარე, ვერ, იცილებს, ვერცხლის საბანს,**

სიო აკრთობს და ატოკებს ჩემს სახლის წინ იასამანს“.

პირველ და მეოთხე სტრიქონებში პუნქტუაცია ჩვეულებრივია (ნორმატული), მეორე და მესამეში – არაჩვეულებრივი. ყოველი სიტყვა მძიმით გამოიყოფა, გარდა სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისა (ველთა ზღაპრებს და ვერცხლის საბანს – ერთ სინტაქსურ ერთეულადაა აღქმული)... ჩემთვის ხელმისაწვდომ არცერთ ბეჭდურ გამოცემაში პუნქტუაციის ხელნაწერისეული ვარიანტი არაა წარმოდგენილი... ცხადია, პოეტისათვის ეს არ ჩანს პუნქტუაციური ლაფსუსი...

არც ის მგონია შემთხვევითი გალაკტიონთან, როცა მხოლოდ სტროფის ბოლოსაა დასმული წერტილი, სტროფში სხვა სასვენი ნიშანი არაა:

„ასეთია ნაზი ბედი

ბედი რჩეულ ფერის

სიცოცხლეში თეთრი გედი

მხოლოდ ერთხელ მღერის.“

გალაკტიონის სულ რამდენიმე ხელნაწერი მაქვს ნანახი; მაგრამ ამ ორმა ფაქტმა დამაფიქრა: სასვენი ნიშნების საკითხი პოეტურ ტექსტში არ არის ისე მარტივად, როგორც ეს გრამატიკოსებსა და სტილისტ-რედაქტორებს გვგონია. ინტერესი ამ თემისადმი სწორედ გალაკტიონმა გამიჩინა და შემდეგ მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის პოეზიამ მიიქცია ყურადღება. ამთავითვე ვთქვათ: ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობას ძირითადად ხელნაწერები იძლევა, თუმცა ბეჭდური გამოცემებიც მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით მუხრან მაჭავარიანის შემთხვევაში). დიახ, რედაქტორ-გამომცემელთა გრამატიკული განსწავლულობა ხშირად არღვევს (ეწინააღმდეგება) ავტორის ნებას... და, როგორც ჩანს, ავტორიც „იძულებულია“ დაჰყვეს მათ ნებას; თუმცა არაა გამორიცხული ავტორისეული ვარიანტებიც...

ამ მხრივ საინტერესოა მუხრან მაჭავარიანის ლექსის „საბა“ ხელნაწერისა და ბეჭდური ვარიანტის შედარება.

„საბას“ ხელნაწერს თარიღი უზის: „1949 წ. 23/XII. საღამო“. ბეჭდურ ვარიანტთან 60-მდე სხვაობაა პუნქტუაციაში. ძირითადად ეს არის სამი წერტილი (...), მახილის ნიშანი, წერტილ-მძიმე, ტირე კომბინაციური ვარიანტებით (-/, -/!); ერთი სტრიქონი „გალაკტიონისებურადაა“ წარმოდგენილი – ყველა სიტყვასთან (გარდა მსაზღვრელ-საზღვრულისა) სასვენნი ნიშანი, ოღონდ მძიმის ნაცვლად სამი წერტილია გამოყენებული: „...მზე... ეთხოვება... ალბათ... ახლა... ტურფა ტანძის...“ კომბინაციები (-,/!) ხელნაწერში არაა; ეს ავტორის შემდეგდროინდელი შემოქმედებაა.

სრულად წარმოვადგენთ „საბას“ ხელნაწერ და ბეჭდურ ვარიანტთა შედარებას. დათქმული პირობითი ნიშნები:

- (.) - მხოლოდ ხელნაწერში
- [.] - მხოლოდ ნაბეჭდში
- , - ორივეგან (უფრჩხილებო)

### საბა

ორბელიანი(,) ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან(,) ალოდინეს და[...] მე[თ]ხუთმეტე კაცად შევიდა[.](!)

(...)ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება[.](,) ცივას ეფერება ლუი მეთოთხმეტე[.](,) ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, [-] მეფეს ხალხზე მეტად კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:[.](;) -ოჰ[...](!) ოჰ[...](!) ოჰ[...](!) ოჰო – თქვა და თითქოს კიდევ ინანა[.](,)

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა(,) [(|საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისასD)][:](!) რაც შეიტანა[, -] ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან(,) ელჩმან ქართლისამ.

- წვიმა არ არი! (–)
- საბას კაბა დაუსველა რამ?(!)
- თოვლი არ არი! (–)
- საბას თავი გაუთეთრა რამ?(!)
- ყინვა არ არი! (–)
- სულხან-საბას აკანკალებს რა?!
- რამ დაასველა?(!)
- რამ დათეთრა?(!)
- რა აკანკალებს?! (–)

საქართველოა  
მისთვის[:]

წვიმაც,  
თოვლიც და ყინვაც!..(.)

მზე(…) ეთხოვება(…) ალბათ(…) ახლა(…) ტურფა ტანძიას[...](.)  
ეს სიცხადეა[,] სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები  
ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, (-)  
ალვის ჩეროში  
ტირის დედა შვილს მოტაცებულს, (-)  
სტამბოლში შვილი დედას ტირის[,] – (ჰ)ყიდიან ყმაწვილს(.)  
(ჭვრეტენ ჯვარის წინ  
წმინდა ნინოს(.)  
მუხლზე დაცემულს).

–რამდენს აფასებ მაგ პატარას ? –ჰკითხა სპარსულად  
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.  
–უი[,](!) ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! (-)  
წარმოთქვა ბაღლმა, (-) ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.

–არა[,] პატარავ[,] ქართველი ვარ[,] ქართველი[,](!) გესმის[?]  
–უი[,](!) დედასთან წამიყვანე[,](!) წამიყვან[,] ძია ?(!)[..]  
საბას ცრემლები მოემალა[,] ატირდა კაცი, (-)  
თავის ბაღლობა გაახსენდა[,](-) თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი[,] –] საქართველოც[,] –] ასე მცირეა,  
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს[,] ასე (ჰ)ყიდიან...  
(–,)საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, (-) სასაცილოა! –][(.)  
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯობიანი.  
მხარდამხარ საბას  
ის პაწია ბიჭი მოსდევდა[...](.)  
–მოგწყინდა განა(?) უნაყოფოდ[,] ელჩო ყიალი?! [-]  
გულს ნუ გაიტეხ! [-] მუხა კვლავაც შეიმოსება[!](.)

ვფიქრობთ, შთამბეჭდავი სურათია... ასე მუშაობდა პოეტი პუნ-  
ქტუაციებაზე...

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი: ერთი ცნობილი ლექსის  
ერთ სტროფს მუხრან მაჭავარიანი რამდენჯერმე დაიმოწმებს – ორჯერ  
„ჩანაწერებში“, ერთხელ ოთხტომეულის წინასიტყვაში. ბეჭდავს ოთხ-  
ტომეულშიც და სხვაგანაც. სასვენო ნიშნები განსხვავებულია:

	1	2	3	4	5
ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა	,	;	,	!	!-
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლინად	,	:	:	!-	!-
მიწიანა, /კაციანა, /ციანა	,	,-	,-	!-	,-
საქართველოს მოთმინების ფიალას	!	.	!	!	!

- 1 – „ჩანაწერები“, გვ. 45;
- 2 – „ჩანაწერები“ გვ. 53;
- 3 – ოთხტომეულის წინასიტყვა;
- 4 – ასი ლექსი;
- 5 – ოთხტომეული, ტ. I.

სტანდარტული პუნქტუაციის წესებს I ვარიანტი ემთხვევა; II-III – ნაწილობრივ (განსხვავება არაა არსებითი); IV-V „მუხრანული“ ვარიანტი. რატომ არის ასეთი მრავალფეროვნება? როგორც ჩანს, ეს იმაზეა დამოკიდებული, რა განწყობაზეა პოეტი, როგორ კითხულობს ერთსა და იმავე სტროფს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში... როცა ამხად გვიყვება (ჩანაწერებსა თუ წინასიტყვაში), პუნქტუაცია თითქმის ჩვეულებრივია; როცა ლექსად გვაწვდის, მაშინ „ხმასაც“ გვიკარნახებს წასაკითხად; ამას ემსახურება „მუხრანული“ სასვენი ნიშნები... მე ასე ვფიქრობ... ასეა, ვითომ?..

\*\*

მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ კომბინაციები: მძიმე და ტირე (, -), ძახილის ნიშანი და ტირე (! -). ეს კომბინაციები ჩვეულებრივია ტრადიციულ სისტემაში: მძიმე თუ ძახილის ნიშანი ფრაზის შინაარსზე მიანიშნებს (თხრობითი, ძახილის, ბრძანებითი...), ტირე გამიჯნავს ავტორისეულ და პერსონაჟისეულ ტექსტს. მუხრან მაჭავარიანთან ამ ფუნქციითაც გამოიყენება ეს კომბინაციები:

„მე ვარ და ჩემი ცხენიო! – უხმოდ იმახდა მხედარი“.

„ჩამოართვეს ცხენი:

–აქეთ! – უთხრეს ხელით“.

„–რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?

„გმადლობთ, არ ვეწევი, მაგრამ თქვენი ხათრით, – ვიტყვი მე.“

პოეტთან ადრეულ ხელნაწერებში მხოლოდ ამ ფუნქციით გამოიყენება ეს კომბინაციები ( , - /!-). მოგვიანებით სხვა დანიშნულებას იძენს; მოგვიანებით იქცევა მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურებად.

მაგალითები:

„თუ ხარ კაცი, –

გმართვეს ცოდნა, –

თვალის ხუჭვა იცი მიტომ, –

თვალი შენი

ყელაფერზე, –

ყელაფერზე, –

რომ არ ჭყიტო.“

ამ ლექსში ხუთჯერაა გამოყენებული კომბინაცია (,-). ამათგან ოთხჯერ „წესებით“ მიმემა საჭირო, ერთხელ (ბოლო შემთხვევა) ორივე ზედმეტია...

სხვა მაგალითი:

„აღარც საბაა!  
 აღარც, – ბესიკი!  
 აღარც, – ვახტანგი!  
 აღარც, – არჩილი!“

აქ სამჯერაა ნახმარი მიმემა და ტირე; სამივე შემთხვევაში „წესებით“ მხოლოდ ტირეა საჭირო.

სხვა შემთხვევა:

„უმთავრესი,  
 ვატყობ,  
 ამჟამად, –  
 გამძლეობაა.“

ან: „გადასაჭრელი საკითხები, – გადაიჭრება“.

ამ შემთხვევებში (, -) ორივე ზედმეტია...

თუმცა მოდით, ასე ვთქვათ: „წესებით“ არის ზედმეტი... პოეტი-სათვის? – ცხადია, არა...

ასევე საინტერესოა კომბინაცია – **მახილის ნიშანი და ტირე (! -)**. არ ხდება მისი დანიშნულების გააზრება ტრადიციული წესებით... მაგალითები:

„...და დაგეწერა, –  
 ხარ ქართულად რისი დამწერიც! –  
 დანტე ვინ არი! –  
 ჰომეროსზე იქნები მეტი!“

ანდა:

„უსიტყვოდ! –  
 ფიქრით! –  
 მხოლოდ ფიქრით:  
 დარიბის ცოლმა გაინატრა ცოლობა მდიდრის“.

ერთ ლექსს მოვიყვან, რომელშიც მხოლოდ მახილის ნიშანი და ტირეა; ორგან კითხვის ნიშანი ემატება. გრაფიკული სახეც საინტერესოა (დამტვრეული სტრიქონები, „კიბურად“ აწყობილი):

„არა და არა! –  
 არ უნდა შედრკე! –  
 ეხეტე ხევ-ხევ! –  
 იხოხე ტყე-ტყე!  
 იხოხე ტყე-ტყე! –  
 ეხეტე ხევ-ხევ!  
 დაგცეს?! –  
 ხელახლა წამოხტი ფეხზე! –  
 კვლავ დაგცეს?! –  
 ისევ წამოხტი ფეხზე!“



და კიდევ ერთხელ! –  
 და არაერთხელ! –  
 და არაერთხელ! –  
 და კიდევ ერთხელ! –  
 და კიდევ ერთხელ! –  
 და კიდევ ერთხელ! –  
 სატანას  
 კვერთხი  
 სახეში  
 ხეთქე!  
 არა და არა!  
 არ უნდა შედრკე!“

ნუ შევეცდებით ტექსტის სინტაქსური ანალიზის საფუძველზე სასვენ ნიშნებს ფუნქციები მოვუნახოთ...არადა, რაღაც კანონზომიერება აშკარაა: ძახილის ნიშანი ყველგანაა (19), კითხვის ნიშანი ორგან; 13-ჯერ ძახილის ნიშანთან ტირეა... ლექსში სხვა სასვენი ნიშანი არაა...

და თითქოს მოულოდნელია: ისეთ ლექსში, როგორცაა „ანდუ-ყაფარო, ლიპარიტო, დარნო მთათანო“ – სადაც ოცზე მეტი მიმართვის ფორმაა და ისეთი ამალღებილი განწყობილება (ვერ დამადუმონ, ვერ დამძალონ, თუნდა ჩამქოლონ...“), არაა არ ერთი ძახილის ნიშანი...

არის ლექსები, სადაც მხოლოდ წერტილებია (ერთგან ორი):  
 „გიგონებ.  
 სიშორე გაწარსულებს.  
 ხეებს ვაკვირდები გამარცვლებს.  
 უფოთლოდ  
 ვიცანი  
 ჭადარი.  
 და აქ რა იციან:  
 ფოთლები ამისი მანდ არი.“

არის შემთხვევები, როცა ლექსში მხოლოდ მძიმეებია (ბოლოში წერტილი):

„გამისკდეს მიწა,  
 დამახრჩოს თოვლმა,  
 მივეცე შმაგი მდინარის ზვირთებს,  
 ღიმილის გარდა,  
 მე შენი მტრობა  
 თუ რამეს მგვრიდეს“.

სამი წერტილი:

„ცოტაც და...  
 ცოტაც და...  
 საცაა ვიკვილებ!..“

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა

ყოველდღე

ერთი და იგივე!“

ტრადიციული წესებით მიმართვის ფორმა წინადადების სხვა წევრებისგან მძიმით გამოიყოფა; მუხრან მაჭავარიანი მიმართვის ფორმას სისტემებზე წინა მხრიდად არ გამოყოფს მძიმით:

„ეს სიცხადეა სულხან საბავ, თუ ფანტაზია?!“

„გამარჯობა ნათელი მთვარე!“

„მუხრანი არ გახსოვს შე კაი ქალო?!“

„გელით გაზაფხულო, გელით!“

„გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო...“

ასეა ხელნაწერებშიც (რომლებიც მინახავს) და ნაბეჭდშიც. არის ლოგიკაც ამ „წესში“: რამდენადაც დავკვირვებივარ, ავტორისეული დეკლამაციის დროს მიმართვის ფორმა წინამავალ ფრაზასთან ერთად წარმოითქმის და პაუზა არ იგრძნობა... თუმცა გამოცემებში ზოგჯერ იგრძნობა რედაქტორ-სტილისტთა ჩარევა: „ენგურთან, ჩემო არაგვო, ხმა აღარ ამოგედება“... მაგალითად, ხელნაწერში მძიმე არ არის მიმართვის წინ შემდეგ შემთხვევებში:

„კარტოფილს არ მიირთმევთ ქალბატონო აგრაფინაწ“

„სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ კოწია!“

ნაბეჭდში ორივეგან მძიმეა... ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გამოცემის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ შეილახოს ავტორის ნება...

არის შემთხვევები, მიმართვის ფორმის ორივე მხრიდან ტირეებით გამოყოფისა: „შენ – სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო“... ვერ ვიტყვით, ეს მიმართვა სხვა მიმართვებისგან რით განსხვავდება“...

მოკლედ, გვახსოვდეს მუხრან მაჭავარიანის აზრი: „პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“...

და **სტრიქონების „დამტვრევა“**... გვახსოვს, ზემოთ ვსაუბრობდით: მუხრან მაჭავარიანი სასვენი ნიშნების ტოლფას მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის **გრაფიკულ სახეს**. როგორ „**ამტვრევს**“ **სტრიქონებს** და რატომ „ამტვრევს“ სტრიქონებს? მოვუსმინოთ:

„რატომ „**ვამტვრევ**“ მაგალითად მე ლექსის სტრიქონებს?! რატომ ვალაგებ სიტყვებს ხან „**კიბურად**“, ხან „**სიმადლეზე**“, ხან „**ჯვარედინად**“?!“

მე არ ვჯერდები მოქმედების სიტყვიერად ხატვას და ხშირად მივმართავ სიტყვების განლაგებით ხატვას მოქმედებისას“...

ახლა მაგალითები: რამდენიმე საინტერესო მაგალითი ზემოთაც მოვიყვანე: „არა და არა! –“; „გიგონებ.“; „გამისკდეს მიწა,“; „ცოტაც და...“

ორიიდე სხვა მაგალითიც:

„ნათლად განიხვნა ზეცის კარიბჭე:  
ხმელთით  
ავარდა  
ცად  
ევკალიპტი...  
ერთი  
კარგი  
დღე  
(ვით არაერთხელ),  
დღეს, ერთხელ კიდევ  
ჩა–  
მო–  
ყა–  
ლიბ–  
და!“

ანდა:

...„წუთით მოსვლის და სამუდამოდ წასვლის შუაში, –  
ვარ ახლა როგორც,–

ვიყო

უნდა,

ნუთუ,

სულ

ასე?!“

ანდა:

„მინდა და მინდა!–

მინდა და მინდა!–

მინდა და მინდა!–

ვადიდო მინდა

ღმერთი, რომელმაც მე ამომზიდა

უწყლო,

უმზეო,

უძირო

ჭიდან, –

სადაც ურიცხვი ბედკრული დარჩა“.

ანდა:

„ტა,

ტა,

ტა,

ტა!

რანაირად ბრდღვინავს არაგვი!

ხო,

ხო,  
ხო,  
ხო! –  
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!  
არა!  
სხვისი მისაბამი  
რა მჭირს, –  
თვარა, – კი!  
სხვა  
როცა მე შემომნატრის,  
მე  
მივბამო სხვას?!“

გრაფიკული ვარიაციები (ანუ „დატეხილი“ სტრიქონები – ხან „კიბურად“, ხან „სიმალღეზე“, ხან „ჯვარედინად“...) უთვალავია... მუხრან მაჭავარიანის ფანტაზია ამოუწურავია... ჩვენ ეს ვიკმართ...

რამდენი ვისაუბრეთ... შევძელით პოეტის რაიმე საიდუმლოს ამოხსნა? – რა მოგახსენოთ... თავისებურებებზე, ორიგინალურობაზე მინიშნებას კი შევეცადეთ... ზოგადად ასე დავასრულოთ:

**ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი... – ესაა მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საიდუმლო... დამხმარე საშუალება პოეტური სათქმელის მკითხველამდე ზედმიწევნით ზუსტად მისატანად...**

## Giorgi Gogolashvili

Voice, Words, Full stops, Verses Broken into Pieces  
 (Based on the Poetry by Mukhran Machavariani)

### Summary

Mukhran Machavariani said: “I personally give the utmost importance to the punctuation marks in a poem”... When the poet spoke about the punctuation marks he did not mean standard rules. He used traditional marks differently, created variations, gave them non-traditional functions, etc. Mukhran Machavariani thought that the importance of the punctuation marks is equal to the structural order of a poem. He originally “broke” verses and put the words stairwise, crosswise or at the height. He needed all the above-mentioned to take his poetic ideas to the reader accurately.

## ქეთევან დათუკიშვილი

### სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში

სახელის ფუძე ტრადიციულად განიმარტება, როგორც სიტყვის ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ლექსიკური მნიშვნელობა. აგებულების თვალსაზრისით კი ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის. შესაბამისად, ცნობილია ფუძის მონახვის წესი: სახელის ფუძე რომ მოვნახოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში (ზოგი მკვლევრის აზრით, უჯობესია მიცემითის გამოყენება), ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, ის ფუძეა.

ჩვენი აზრით, სახელის ფუძის სტრუქტურის საკითხი დასაზუსტებელია. გასარკვევია, რომელი ელემენტები უნდა მივიჩნიოთ ფუძის შემადგენელ ნაწილებად. „თეორიული ენათმეცნიერების კურსში“ ფუძე ამგვარად განიმარტება: „ფუძე არის ფლექსიური პარადიგმის ფორმათა ის საერთო ნაწილი, რომელიც რჩება ფლექსიურ აფიქსთა ჩამოცილების შედეგად“ (გვ. 182).

რომელი მორფემები ითვლება ფლექსიურად? როგორც ცნობილია, ქართულში სახელს ფორმაწარმოებისას ორი ნიშანი დაერთვის: ბრუნვის ნიშანი და რიცხვის ნიშანი (სავრცობს ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ). ბრუნვის ნიშანი რომ ფლექსიური მორფემაა და ფუძეში არ შედის, ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რაც შეეხება რიცხვის კატეგორიას და მის ნიშანს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები.

ა. შანიძე სახელის რიცხვს წარმოქმნის კატეგორიად მიიჩნევს (შანიძე, გვ. 47). ამიტომ მისი აზრით, მრავლობითი რიცხვის ნიშანი ფუძის შემადგენლობაში შედის. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეებს.

არნ. ჩიქობავა განიხილავს დამოკიდებულების აღმნიშვნელ და მნიშვნელობის მცვლელ, ანუ ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსებს, მაგრამ **ეზ** სუფიქსს არცერთ მათგან არ აკუთვნებს და ცალკე გამოყოფს გარდამავალი ტიპის აფიქსებს: „-**ეზ** სუფიქსი ფუძის საწარმოებელი ისეთი აფიქსია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის ყველა თვისება, მაგრამ მოეპოვება ზოგი რამ, რაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსის დამახასიათებელია...“

-**ეზ**- სუფიქსი სახელთა მრავლობითობას აღნიშნავს, -თ – ზმნისას (გარკვეულ პირობებში). **ორივე – გარდამავალი ტიპის აფიქსის ნიმუშს წარმოგვიდგენს**“ (ჩიქობავა, გვ. 236).

**-ებ** ნიშანს მრავლობითის ფუძის მაწარმოებლად განიხილავს ა. არაბული გ. გოგოლაშვილის რედაქციით გამოცემულ კრებულში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა)“. ნაშრომში აღნიშნულია: „-ებ ნიშნის გამოვლენა, როგორც ითქვა, წმინდად აგლუტინაციურია. ეს ნიშანი ადგილს იკავებს ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის. ანუ -ებ არსებითად მრავლობითის ფუძის მაწარმოებელი ხდება“ (გვ. 140).

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ „მხოლოდობითისა და მრავლობითის ბრუნვის პარადიგმა (ბრუნვის ნიშანთა სისტემა) ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და არსებითად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფუძე, **სახლ-** და **სახლებ-**“ (გოგოლაშვილი, გვ. 141).

განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული თ. უთურგაიძეს. მისი აზრით, მრავლობითი რიცხვის ნიშნები ფუძეში არ შედის. „სახელის ფორმათა ანალიზისას **-ებ** და **-ნ** ექცევა ფლექსიურ და არა დერივაციულ ელემენტთა რიგში. ამდენად, მსგავსად ბრუნვის ნიშნებისა, მათ სახელთა ფუძეში ვერ შევიტანთ“ (გვ. 132).

ჟ. ფეიქრიშვილს მართებულად მიაჩნია თ. უთურგაიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანი სახელის ფუძეში არ უნდა შევიდეს. მკვლევარი მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რაც რიცხვის ნიშნის ფუძეში შეტანას ახლავს: „თუ რიცხვის ნიშნებს ფუძეს მივაკუთვნებთ, თავს იჩენს ზოგიერთი საცილობელი მხარე. მაგალითად: 1) ერთსა და იმავე სახელს მხოლოდობითში სხვა ფუძე ექნება და მრავლობითში – სხვა (მიწა – მიწებ-ი). 2) **თანაანი** მრავლობითის მყარ გამოთქმებში ფუძეს თუ ჩამოვამორებთ თ-ს (როგორც ბრუნვის ნიშანს), მაშინ რიცხვის ნიშანიც ბუნებრივად ჩამოსცილდება, თუ არ ჩამოვამორებთ, მაშინ ბრუნვის ფორმა ფუძედ გამოვა (ბავშვ-თა ოთახი, შდრ. ბავშვთ-ა ოთახი). ფუძის მონახვის წესი ერთნაირი უნდა იყოს ორივე მრავლობითში“ (ჟ. ფეიქრიშვილი, გვ. 31).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები რიცხვის კატეგორიასა და მის ნიშანთან დაკავშირებით შეიძლება ორ განსხვავებულ პოზიციად ჩამოვაყალიბოთ:

➤ რიცხვის ნიშანი სახელში არის დერივაციული (ანდა გარდამავალი) აფიქსი. იგი შედის ფუძეში და ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები: კაც-ს – ფუძე – **კაც**; კაც-ებ-ს – ფუძე – **კაცებ** (ა.შანიძე, არნ.ჩიქოზავა, ა. არაბული...).

➤ რიცხვის ნიშანი სახელში არის ფლექსიური აფიქსი. იგი არ შედის ფუძეში; მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან: კაც-ს – ფუძე – **კაც**; კაც-ებ-ს – ფუძე – **კაც** (თ. უთურგაიძე).

ჩვენ ვიზიარებთ მეორე თვალსაზრისს. თუ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ფუძის მორფემად მივიჩნევთ, რამდენიმე წინააღმდეგობა იჩენს თავს:

1. მრავლობითი რიცხვის ნიშნის მიჩნევა დერივაციულ აფიქსად გაუმართლებელია შინაარსობრივი თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, დერივაციული მორფემები ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. მრავლობითი რიცხვის ფორმებში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა რომ

არ იცვლება, ამაზე ა. შანიძე და მისი თვალსაზრისის მომხრეებიც მიუთითებენ. ამიტომ გახდა საჭირო აფიქსების კლასიფიკაციისას ფორმათმარმობელი და სიტყვათმარმობელი აფიქსების გვერდით რიცხვის ნიშნისათვის დამატებითი ჯგუფის – გარდამავალი აფიქსების – შემოტანა, მაგრამ ჩვენი აზრით, გარდამავალი აფიქსის ცნების შექმნა წინააღმდეგობის დამლევს ცდა უფრო არის, ვიდრე რეალობის ასახვა. რიცხვის ნიშანი ფლექსიური ელემენტია: იგი არ ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას.

2. სახელისა და ზმნისთვის რიცხვი არის საზიარო კატეგორია. როგორც ცნობილია, ზმნის რიცხვს მიაკუთვნებენ უღლების (ანუ ფორმათმარმობის) და არა წარმოქმნის კატეგორიას. ეს სრულიად გასაგებია. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინებით სახელის რიცხვის განხილვა წარმოქმნის კატეგორიად ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის.

3. თუ ებიანი მრავლობითის ფუძეში **ებ** მორფემას შევიტანთ (**კაცებ**), მაშინ იმავე პრინციპით ნარიანი მრავლობითის ფუძეში **ნ** სუფიქსი უნდა შევიდეს (**კაცნ**). ასეთ შემთხვევაში ნართანიან მრავლობითში, ერთ პარადიგმაში, ორი ფუძე გვექნება (**კაცნ** და **კაცთ**), რაც დაუშვებელია.

4. თუ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ფუძის მორფემად მივიჩნევთ, მრავლობითი რიცხვის ფუძე განსხვავებული იქნება მხოლობითის ფუძისაგან, როგორც ეს ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ა. არაბულსა და სხვებს მიაჩნიათ. ასეთ შემთხვევაში ყველა ხმოვანფუძიანი სახელი მრავლობითში თანხმოვანფუძიანია და უკუმშველი: **დედებ-ი, სარკეებ-ი, წყაროებ-ი...** სიტყვათა ამგვარი ანალიზისას იკარგება ფუძეთა შორის სხვაობა: ამ სამი სახელის ფუძე განსხვავებულია: **დედა, სარკე** – ხმოვანფუძიანი კვეცადი ფუძეებია, **წყარო** – ხმოვანფუძიანი უკვეცელი. ამგვარი მიდგომა პრობლემებს ქმნის სწავლების პროცესშიც. ებიანი მრავლობითის ფორმების ანალიზისას ყველა სახელი გამოდის თანხმოვანფუძიანი და უკუმშველი, არადა **დედებ-ი, სარკეებ-ი, წყაროებ-ი** და მსგავს სიტყვათა ანალიზისას მნიშვნელოვანია დაფიქსირდეს, რომ ისინი ხმოვანფუძიანი სახელებია, ზოგი – კვეცადი, ზოგი – უკვეცელი.

5. ა. შანიძის თვალსაზრისით, ხმოვანფუძიანი სახელები მხოლობით რიცხვში ბრუნების II ან III ტიპს მიეკუთვნებიან, ებიან მრავლობით რიცხვში კი – I ტიპს: „მრავლობითი რიცხვის წარმოების დროს ეს სახელები (იგულისხმება ხმოვანფუძიანი სახელები – ქ. დ.) არაფრით არ განსხვავდებიან იმ სახელებისაგან, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი მოუდისთ. ეს იმით აიხსნება, რომ I მრავლობითის ფუძის მაწარმოებელია **ებ**, ე. ი. თანხმოვნით გათავებული აფიქსი. მაშასადამე, I მრავლობითში ბრუნვის ნიშნები საზოგადოდ და საყოველთაოდ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის და ამიტომ ყოველი სახელი აქ I ტიპს (თანხმოვანიანთა ჯგუფს) განეკუთვნება“ (ა. შანიძე, გვ. 60). როგორც ცნობილია, ა. შანიძე ბრუნების ტიპებს ბრუნვის ნიშნების მიხედვით გამოყოფს. აქვე ჩნდება კითხვა: თუ ებიან მრავლობითში დასმული სახელი ბრუნების I ტიპს განეკუთვნება, ბრუნების რომელი ტიპია ნართანიანი მრავლობითი? მაშინ ნართანიანი მრავლობითისთვის ბრუნების ცალკე ტიპი უნდა შემოვიღოთ, რადგან იგი არც ერთი ტიპის ბრუნებას არ მიჰყვება. ვფიქრობთ, ამგვარი

მიდგომა – მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის პარადიგმის ცალ-ცალკე განხილვა – გაუმართლებელია. სახელის ბრუნება ერთ მთლიან სისტემადად უნდა იყოს აღწერილი მხოლოებითსა და ორივე მრავლობითში.

6. თუ რიცხვის ნიშანს დერივაციულ მორფემად მივიჩნევთ, მისი განხილვა ფლექსიურ (ბრუნების) სისტემაში საერთოდ გაუმართლებელია. ამ უხერხულობის შესახებ შენიშვნის სახით მიუთითებს ა. შანიძე, მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების ერთ პარადიგმაში განხილვას კი იგი აუცილებლობით ხსნის: „შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის. მაგრამ სახელთა ბრუნებას ორსავე რიცხვში ერთად განვიხილავთ. ამიტომ ამისი აქ შემოტანა აუცილებელია“ (შანიძე, გვ. 47). აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ყველა მკვლევარი ბრუნების სისტემაში განიხილავს **ებ** სუფიქსის უნარს, შეკუმშოს ან შეკვეცოს შესაბამისი ფუძეები. თუ **ებ** დერივაციული (თუნდაც გარდამავალი) აფიქსია, მაშინ ბრუნების (ფლექსიურ) სისტემაში ამ პროცესების განხილვა პრინციპულად მიუღებელია.

ჩვენი აზრით, დასახელებული წინააღმდეგობები საერთოდ მოიხსნება, თუ სახელის რიცხვს ფლექსიურ კატეგორიად მივიჩნევთ, რიცხვის ნიშანს კი – ფორმათმაწარმოებელ ელემენტად.

ამგვარად, სახელში მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები არ უნდა გაიმიჯნოს. სახელს აქვს ერთი ფუძე, რომელიც საერთოა მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის. მრავლობით რიცხვში სახელს ბრუნვის ნიშნებთან ერთად რიცხვის ნიშანიც დაერთვის. სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა ანალიზისას უნდა გამოვყოთ სახელის ფუძე და არა მრავლობითი რიცხვის ფუძე. ამიტომ სახელის ფუძის მოძებნის წესში უნდა შევიტანოთ ცვლილება და ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ფუძის მოძებნისას უნდა ავიღოთ მხოლოებითი რიცხვის მიცემითი (ან მოთხრობითი) ბრუნვის ფორმა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესია სახელის ფუძის განსაზღვრისას მიცემით ბრუნვას მივანიჭოთ უპირატესობა, რადგან როგორც სხვა მკვლევრებიც აღნიშნავენ, მიცემით ბრუნვაში ყველა ტიპის ფუძეს ერთი მორფემა (**-ს**) დაერთვის, მოთხრობით ბრუნვაში კი სხვადასხვა მორფემები (**-მ** და **-მა**) გვაქვს.

წესი ამგვარ სახეს მიიღებს: სახელის ფუძე რომ ვიპოვოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მხოლოებითი რიცხვის მიცემით (ან მოთხრობით) ბრუნვაში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, ის ფუძეა.

**კაცებ-ი:** კაც-ს – ფუძე – **კაც**

**დედებ-ი:** დედა-ს – ფუძე – **დედა**

**წყაროებ-ი:** წყარო-ს – ფუძე – **წყარო**

ფუძის განმარტება კი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც დაერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები.



### ლიტერატურა

**გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.

**უთურგაძე 1986** – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფო-ნოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.

**ფეიქრიშვილი 2010** – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლო-გია, ქუთაისი, 2010.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზ., ტ. III, თბილისი, 1980.

**ჩიქობავა 1962** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილი-სი, 1962.

### Ketevan Datukishvili

#### On the Issue of the Nominal Base

##### Summary

A large part of scholars considers the number of nominals to be the category of formation. They distinguish the bases of the plural and the singular. In our opinion, number is a flexible category while its marker is a formative element. So, it should not be a part of a base. Singular and plural forms of a nominal have the same base.

The rule of distinguishing a base can be specified as follows: if we want to find a base of a nominal, it should be in the singular dative (or ergative) form, detached by a case marker. The definition will have such a formulation – A base is a part of a nominal that is added by plural and case markers.

## მაკა ლაბარტყავა

### თანდებულები გურულ დიალექტში

როგორც მოგეხსენებათ, გურული კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, ენობრივი თვალსაზრისით იგი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კონტაქტი სხვა კილოებთან (აღმოსავლეთით – ქვემოიმერულთან, დასავლეთით – აჭარულთან), მეორე მხრივ, თითქმის სრული იზოლაცია სხვა კილო-თქმათაგან.

გურული კილო ორ კილოკავად იყოფა: ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურულ თქმას და ოზურგეთულის ნაწილს, ქვემოგურული კილოკავი კი აერთიანებს ლანჩხუთურ და ოზურგეთულ თქმებს. იმავდროულად სხვაობაა თვით თქმებს შიგნით, მაგ., ჩოხატაურულ თქმაში სხვაობს ზემო სურების, შუა სურებისა და დიდვანის ქცევები.

მეტად საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს გურული კილო თანდებულების თვალსაზრისით. კვლევა დაეფუძნა ე. ნინოშვილისა და ნ. დუმბაძის ენას, კერძოდ, თანდებულებთან დაკავშირებულ თავისებურებებს გურულ დიალექტში, გათვალისწინებულია გრ. იმნაიშვილის მიერ გამოცემული გურული ტექსტები. წარმოდგენილია აგრეთვე ჩვენ მიერ ლანჩხუთის რაიონში მოპოვებული მასალა.

-**თან** და -**თანა** თანდებულის იკარგვის ბრუნვისნიშნისეულ -**ს** სპირანტთან შეხვედრისას: „**სალფილესან** გაჭრილია რგოლი“ (იმნაიშვილი 2006: 223); „**დათიკასან** მიიჩქაროდა გაბრაზებული“; „**გიორგისან** ეხოში ბევრი ხეჭექური დაგროვდა“; „**ნინო ხესან** იდგა და ცრემლები თქრიალით ჩამოსდიოდა“...

-**ზე** თანდებული წარმოდგენილია როგორც -**ზედა**//-**ზედ**, აგრეთვე -**ზენ** ფორმებით: „**სახურავზედ** შაშვი ჩამომჯდარიყო“; „**გზაზედ** კვდარივით ეგდო კაცი“; „**დაღლილი** ბიჭი **ქვაზედ** დაჯდა და დეისვენა“; „**მწვანე მოლზენ** ძალლი გორიალობდა“...

„ერთ-ერთ სპეციფიკურ მოვლენად გურულსათვის შეიძლება ჩაითვალოს სპირანტთა აფრიკატიზაციის ტენდენცია. აფრიკატიზაცია შედეგია ხშულისა და სპირანტის შერწყმისა, რასაც ზოგჯერ თან უძღვის რეგრესული ასიმილაციის პროცესი. ამ რიგის აფრიკატიზაციაც, ჩვეულებრივ, მორფმათა ზღვარზე ხდება ბოლოკიდურ პოზიციაში: **გვერდში** → **გვერთში** → **გვერჩი**“ (ბ. ჯორბენაძე). ეს მოვლენა შეინიშნება ორსავე კილოკავში (ქვემოგურულსა და ზემოგურულში). „**ზაფხულჩი** თუ გვალვე-

ბი იყო, გახმებოდა ტალახი და ვიარებოდით გამხმარ მიწაზე“ (იმნაიშვილი 2006: 154); „ხუთი ოდა იყო ამ **სოფელჩი**, მე რომ პატარა ვიყავი“ (იმნაიშვილი 2006: 213); „**ზამთარჩი** ბუხარში ცეცხლი რომ დეინთება შემოვუჯდებით ხოლმე ირგვლივ“; „სარეველა **ბალახებჩი** რთულია გამოარჩიო ჭინჭარი“; „სიმწიფეს რომ დეიწყებდა კანაფი, ევილებდით, ჩავდობდით **წყალჩი**“ [იმნაიშვილი 2006: 165]; „**სოფელჩი** დაგვიბარა მამასახლისმა ქალიანკაციანა“ (იმნაიშვილი 2006: 158).

დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, როცა **-ში** თანდებული (ორსავე დიალექტში) უცვლელად არის წარმოდგენილი: „ძველად იყო ამ **ადგილფში** ჩხავერი, ტევანდიდი, ჭუმუტაჲ, ტრედისფხა“ (იმნაიშვილი 2006: 287); „ბერს **ეკლესიაში** ქვაზე დუღუწერია: აი და აი საეკლესიო მიწა ეკუთვნის ამ ბაღნეფსო“ (იმნაიშვილი 2006: 248); „**ჩაში** წასვლა და მუშოობა ყველა დღე შეეძლო“; „- ქალი რომ გასუქდება, ძმავ, იი მერე ავი სამწყემსავია; **ქალაქში** წვეიდოდა“ (ნინოშვილი 1904: 55); „რა ვქნა, რა **მიწაში** ჩვეიდე! ამდონი ხანია შინ არის და ერთი საქმეზე ხელი არ მუყყვია“ (ნინოშვილი 1904: 57); „სულივე შეაშინებდა და ზეით **კარავში** მეიცთიდენ (ნინოშვილი 1904: 76)...

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მიცემით ბრუნვის ნიშნიანი ზმნისართის ნაცვლად **-ზე** და **-ში** თანდებულიანი მიცემითია წარმოდგენილი: „ჩამევიარდი ხეფეს, ბეტრი ვაზები თუ იყო ზეთ, ჩამოყერიდი **ძირში**“ (იმნაიშვილი 2006: 182); „ბაღანაი ჩვეიდა **ძირში** თუ?“; „შენ ამისთანა ბნელ **ღამეში** ვერ განდობ ამ მელაპავის პირს“ (ნინოშვილი 1904: 75); „ოცდაჩვიდმეტ **წელში**, აბა? – თქვა მან დუმლილის შემდეგ“ [დუმბაძე 1988: 350]; „კვტარის დამარხვის **დღეზე** იცოდენ ზარის თქმა“; „ქორწილის **ღამეზე** დიდი თოვლი მევიდა“; „ახალწლის **ღამეზე** მეიყვანა გოგამ ცოლი“; „ნათლობის **დღეზე** გააჩინა მარიამმა მესამე შვილი“...

გარკვეულ შემთხვევებში **-ში** თანდებულის ნაცვლად შეინიშნება **-ზე** თანდებულიანი ფორმები: „გიორგობა ერ დღეს იყო. ღამეს არ ათევდენ **ეკლესიაზე**, წვეიდოდენ სახლში“ (იმნაიშვილი 2006: 200); „გოგიაჲ, ძაღლათ ჩამაგდე თუ რა არის აგი; თუმანი ჩამეიტანე **კანცელარიაზე**და შეშისსაზიდავად ჩამოდი-მეთქი“ (ნინოშვილი 1904: 8); „დავითი ამ დილასვე **კანცელარიაზე** გეიქვა თურმე“ (ნინოშვილი 1904: 35); „ცოტა ხნის შემდეგ ფეფიკომაც გამოიარა და ერთად წავიდნენ **ეკლესიაზე**“ (ნინოშვილი 1904: 49); „რა ქნა ნეტაი, გადირია იი ქალი! ახლა რაღა უნდა **საყდარზე**“ (ნინოშვილი 1904: 51); „ამ ღამით მე და შენ ერთად წავიდეთ **წისქვილზე**, ერთ საათში გამოიარე, – მითხრა ილიკომ და წავიდა“ (დუმბაძე 1988: 97); „კვირას **ბაზარზე** ვიყავი... დაიწყო კატომ“ (დუმბაძე 1988: 236)...

ცნობილია, რომ ხშირად **-თვის** თანდებულს ცვლის **-და** თანდებულიანი ნანათესაობითარი ფორმა: **კაცისდა** → **კაცისზდა** → **კაციზა**: „საგებათ იყო ჩალა. პატისვაცემი **კაციზა** იყო ღომის ჩალა“ (იმნაიშვილი 2006: 212); მაი ყვავილი იმ **ქალიზა** მინდა“; „**მეზობლიზა** უყიდია დიდი ბაწარი ჭაში ჩასაშობად“; „**მარიამიზა** მინდა ცა და ქვეყანაო იძახდა გააბდლებული ნოდარა“; „კლასის კარები არ იყო ღია **გლეხიზა**“ (იმნაიშვილი 2006: 193)...

ბუნებრივია, ნაცვალსახელებთანაც ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა გვხვდება: **მიზდა** (← მისდა), **ამიზა** (← ამიზდა ← ამისდა), **იმიზა**

(← იმიზდა ← იმისდა), **იგინიზა** (← იგინიზდა ← იგინისდა) (გრ. იმნაიშვილი), მაგ.: „**ამიზა** გამასწორე და ჩამდე მიწაში“; „მერე ჩაგეყარა ურემში და მიგეტანა **მიზდა** სიმინდი“ (იმნაიშვილი 2006: 235); „**ჩვენდა** გვინდოდა იი კაცური კაცი“; „სასამართლოში ხომ ვერ გეიწევ **ამიზა**?“ (ნინოშვილი1904: 132); „– მართალი თუ ხარ, რაღა გიჭირს? სასამართლოები **იმიზაა**, რომ მართალი და მტყვანი გაარჩიონ – მწარე ღიმილით უპასუხა დავითმა“ (ნინოშვილი1904: 136); „– გლეხის ხომ არის და გოუნათლებელი, **ამიზა** იტყვის უარს“ (ნინოშვილი1904: 46); „– შვილო, **იმიზა** უნდა კიდეც ღმერთს ხატი და ხსენება, რომ შინ არ გყავს“ (ნინოშვილი1904: 47); „სამი მანეთი ეილო ჩემმა ქმარმაო და **ამიზა** ქოყანა შეაწუხეთო“ (იმნაიშვილი 2006: 239)...

არცთუ იშვიათად **-თვის** თანდებული წარმოდგენილია **-თვინ** ფორმით: „კარგად რომ შევისტავლე, მერე გევედი **ჩემთვინ** და მუშოობდი“ (იმნაიშვილი 2006: 163); „**შენთვინ** და **ჩემთვინ** სიხარული მინდა, სხვაი აფერი“; „**მეგობრისთვინ** ყველაფერი დათმო იმ უკეთილშობილესმა“; „გიორგი **შვილისთვინ** არაფერს თაკილობდა, მუშოობდა მშენებლობაზე“.

მოქმედებით ბრუნვაში ხშირად დაცულია **-იდ-გან** დაბოლოება: „მეორე **განყოფილებიდგან** დამითხუა სკოლას და დამაწყებია მასთან ყანაში მუშოობა“ (იმნაიშვილი 2006: 216); „ეს ქილა იყო გვალი, გაკეთებული **ფანერკიდგან**“ (იმნაიშვილი 2006: 217); „გააგდე ჭოლოკი **ხელიდგან**, დაჯე ტივზე და მოუჭირე ხელჩასაკრავს – შესძახა ივანეს ნიკომ“ (ნინოშვილი1904: 176); „ერთის შემის **ნახეთქიდგან** თითქო ბაწრად იგრხიებაო, ამოდგრა კომლი და დაუწყო პატარა ქალს, ქეთევანის ნათესავს, ცემა თვალებში“ (ნინოშვილი1904: 37).

**-დან** თანდებულიანი მოქმედებითი ხშირად გამოიყენება ამავე თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად: „წერილი მივიღე **ძმაიდან** და გამეხარდა“; „წაბლის **ხეიდან** მზადდება კარგი ავეჯი“; „...**იი** დაიდან მიღებულმა წერილმა სევდიანი გახადა“; „ტივი მამა-შვილმა ტირიფის **ხეიდან** შეკრეს“...

თუ **-დამ** თანდებულიან სიტყვას მიმართულების გამოხატვა ეკისრება გურულ დიალექტში, მაშინ მას უნდა დაერთოს **-იდან** (← **იდგან** ← **ითგან**) ფორმანტი: „უკანა კარები **გარედამიდან** იკეტებოდა“ (იმნაიშვილი 2006: 220); „**გარედამიდან** მწერები შემოფრინდნენ, ძლივს მევიგერიეთ“, თუმცა ლანჩხუთურ მეტყველებაში უმეტესწილად **-დან** თანდებულიანი ფორმა გვხვდება: „**გარედან** ფიჩხი შემეიტანა დათიკამ“; „კარი ღია დარჩა, **გარედან** ძაღლმა დააპირა შემოსვლა“; „ქურდებს დავითის მოჯამაგირისთვის **გარედან** კარები დეეჯორგათ“ (ნინოშვილი1904: 35).

გურულ დიალექტში **-მდე//მდი** თანდებულების ბოლოკიდური ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის და გვაქვს **-მდენ//მდინ** (ბ. ჯორბენაძე). აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთურ დიალექტში ძირითადია **-მდი//მდინ** თანდებულიანი ფორმები: „**სახლამდი** დიდი გზა დარჩენოდა“; „საცოდავმა **მდინარემდინ** ძლივს მიაღწია“; „ბიძიას **ღელემდი** მისდევდა გოგია“; „წისქვილი შორს მოჩანდა, **ჩანჩქერამდინ** უნდა გევლო“...

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ლანჩხუთურ მეტყველებაში ზემოთ აღნიშნულ თანდებულებთან დაკავშირებული თა-

ვისებურებანი შედარებით ნაკლებად დასტურდება და მეტ მსგავსებას გვიჩვენებს თანამედროვე სალიტერატურო ენასთან.

### ლიტერატურა

**დუმბაძე 1988** – ნ. დუმბაძე, წიგნი I, თბილისი, 1988.

**იმნაიშვილი 2006** – გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბილისი, 2006.

**ნინოშვილი 1904** – ე. ნინოშვილი, მოთხრობები, თბილისი, 1904.

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

### **Maka Labartkava**

#### Postpositions in Gurian Dialect

##### Summary

The paper deals with the peculiarities of postpositions in Gurian dialect. The research is based on the languages of E. Ninoshvili's and N. Dumbadze's works. The Gurian texts published by Gr. Imnaishvili have been taken into consideration. The paper also represents the material that we have collected in Lanchkhuti.

## ნანა ლოლაძე

### არსებობა-მყოფობის ზმნები ტიპოლოგიურ კონტექსტში

*არსებობის* ზმნების კვლევისას არაერთი პრობლემა დაისმის. ეს ზმნები ყველა ენაში ძალზე საგულისხმო თავისებურებებით გამოირჩევა როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ჯ. ლაიონზმა ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება *არსებობის* ზმნების შემცველი კონსტრუქციების ერთ თავისებურებაზე, კერძოდ, გარკვეულ პარალელიზმზე, რომელიც არსებობს ე. წ. ეგზისტენციალურ და ლოკატიურ (აგრეთვე, პოსესიურ) კონსტრუქციებს შორის (ლაიონზი, 1978). ლაიონზის ნაშრომმა სათავე დაუდო აღნიშნული პრობლემატიკის კვლევას და შემდგომში *მყოფობა-არსებობა-მქონებლობის* სემანტიკური ველი აქტიურად შეისწავლებოდა სხვადასხვა კუთხითა და მეთოდოლოგიით. უკანასკნელ ხანს კვლავ გააქტიურდა ამ საკითხებით დაინტერესება, მათ შორის, კოგნიტიური ლინგვისტიკისა და კონსტრუქციული გრამატიკის ფარგლებში (კლარკი, ფრეზე და სხვ.).

*არსებობის* სემანტიკურ სტრუქტურაში გამოყოფენ, ერთი მხრივ, საკუთრივ *არსებობისა* (ეგზისტენციალურ) და, მეორე მხრივ, *მყოფობა-მდებარეობის* (ლოკატიურ) მნიშვნელობას. ლოკატიურობა არ წარმოადგენს უნივერსალურ კონცეპტს, მაგრამ მისი შესწავლა ძალზე საყურადღებო სურათს იძლევა ტიპოლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, ისმის საკითხი, არის თუ არა ენებში ეს ორი მნიშვნელობა – *არსებობა* და *მყოფობა-მდებარეობა* (ეგზისტენციალურობა და ლოკატიურობა) – ერთმანეთისაგან გარჩეული, დიფერენცირებული, თუ ორივე მნიშვნელობისათვის მხოლოდ ერთი ლექსიკური ან გრამატიკული მოდელია გამოყენებული. ამ თვალსაზრისით არაერთი ენა იქნა შესწავლილი და მონაცემის შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ ენებში ეგზისტენციალურობა და ლოკატიურობა შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს რეალიზებული.

განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

(1) ეს არის წიგნი.

(2) წიგნი არის მაგიდაზე.

(1) ცნობილია როგორც ეგზისტენციალური, ხოლო (2) გადმოგვცემს საგნის მდებარეობას – ლოკატიურობას. შედარებითი კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ენათა ერთი ჯგუფი მათი რეალიზაციისათვის ერთსა და იმავე მოდელს იყენებს, ხოლო მეორე ჯგუფი – სხვადასხვა მოდელს. მაგალითად, (1) წინადადებაში ბრაზილიის პორტუგალიურში *არსებობის* ზმნის ნაცვლად გამოყენებულია *ქონა-ყოლის* ზმნა *ter*.

*tem um livr-o* – ეს არის წიგნი (აქვს ერთი/რაღაც წიგნი)<sup>1</sup>

ხოლო (2) წინადადებაში გამოყენებულია *არსებობის* ზმნა **estar**.

*o livr-o est-á sobre a mes-a* – წიგნი არის მაგიდაზე.

ფრანგული, პირიქით, (2) წინადადებაში *არსებობის* ზმნის ნაცვლად იყენებს *ქონა-ყოლის* ზმნას **avoir**.

*il y a un livre sur la table* – წიგნი არის მაგიდაზე (აქვს წიგნი მაგიდაზე).

ამდენად, ენათა ნაწილი *არსებობისა* და *მყოფობა-მდებარეობის* სემანტიკის გადმოსაცემად სხვადასხვა ლექსიკურ საშუალებას იყენებს.

ზოგ ენაში ეს დიფერენციაცია გრამატიკული სტრუქტურის მეშვეობით ხდება, მაგალითად, როგორც ინგლისურში:

this is a book – ეს არის წიგნი.

There is a book on the table. - წიგნი არის მაგიდაზე (იქ არის წიგნი მაგიდაზე).

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგიერთ ენაში ლოკატიურობის ფუნქციის მქონე ზმნა სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ზოგში კი დამხმარე ზმნაა. როგორც ესაა მაგ., ესტონურში:

*laual on raamat*. – მაგიდაზე არის წიგნი.

დამხმარე საშუალებად, კოპულად ზმნური ფორმების გამოყენება ერთადერთი საშუალება არაა. ზოგადად ზმნის და, სახელდობრ, *არსებობის* ზმნის გამოყენება აღნიშნული ფუნქციით არ წარმოადგენს გარდაუვალ ენობრივ აუცილებლობას და მრავალ ენაში სხვადასხვა ეპოქაში ამ ფუნქციით სხვადასხვა საშუალება იყო გამოყენებული (ლოლაძე, 2004), მათ შორის პაუზა, როგორც ეს თანამედროვე რუსულშია:

(5) это – книга (ეს წიგნი)

(6) книга на столе – (წიგნი მაგიდაზე).

ენებს, რომლებშიც ამ კონსტრუქციებისათვის ერთი და იგივე საშუალებაა გამოყენებული – სრულმნიშვნელოვანი ან დამხმარე ზმნა (მათ შორის პაუზა აწმყო დროში), ტიპოლოგიურად ზოგადი ლოკატიურობის (**generic-location**) ტიპს მიაკუთვნებენ (კოხი, 2012). ეს ენებია: გერმანული, ჰოლანდიური, ესტონური, ლათინური, რუსული და ზოგიერთი სხვა. ამ ენათა ჯგუფში უნდა განვიხილოთ ქართულიც. რადგან ქართულშიც ორივე კონსტრუქციაში გამოიყენება *არსებობის* ზმნა **არის**.

მკვლევართა ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ, კერძოდ, ამ ენათა უმეტესობა ლოკატიურ კონსტრუქციაში ხშირად იყენებს ზმნებს, რომლებიც აღნიშნავენ სივრცეში საგნის მდებარეობას – ვერტიკალურს, ჰორიზონტალურს თუ შუალედურს. ამ ზმნების მეშვეობით გარკვეულწილად ხდება საგნობრივი ლექსიკის კლასიფიცირება. ამ ტიპის ენებში ერთი და იგივე ლოკატიური მდგომარეობა შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა პრედიკატით, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ობიექტზე არის საუბარი. ეს პრობლემა საგანგებო შესწავლის საგანს წარმოადგენს (ლოლაძე, 2012b). ამჟამად განვიხილავთ ამ ზმნების ფუნქციას – გამოხატონ ლოკატიურობა. ამ

<sup>1</sup> ტიპოლოგიური მასალა მოხმობილია PETER KOCH, Location, existence, and possession: A constructional-typological exploration, 2012.

კონტექსტში აქტუალურია საკითხი, არის თუ არა მდებარეობის მიხედვით დიფერენციაცია იმ ენების თავისებურება, რომლებიც ზოგადი ლოკატიურობის ტიპს მიეკუთვნებიან (Koch, 2012: 597) და თუ არის, რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ თავისებურებას.

ქართველური ენები საინტერესო სურათს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ქართული, როგორც მრავალსაუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენა, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ენაში მომხდარ ცვლილებებს, რაც წერილობით ძეგლებში არის დადასტურებული.

თანამედროვე ქართულში როგორც ეგზისტენციალურ, ისე ლოკატიურ კონსტრუქციებში გამოიყენება არსებობის ზმნა **არის**. ამასთან, პირველ შემთხვევაში იგი დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებს, სინტაქსურად კოპულაა, ხოლო მეორე შემთხვევაში – სრულმნიშვნელოვანი ზმნაა, პრედიკატი. თუმცა ლოკატიურ კონსტრუქციებში ქართულისათვის ხშირად უფრო ბუნებრივია სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნების გამოყენება. ეს ზმნებია: **დგას** – აღნიშნავს ვერტიკალურ მდებარეობას, **წევს, ძევს/დევს** – ჰორიზონტალურს, **ზის** – შუალედურს. ამათგან, ზმნა **წევს** სულიერის მდებარეობას აღნიშნავს, ხოლო **ძევს/დევს** – უსულოსას. ეს განაწილება მეორეული ჩანს, რადგან ძველ ქართულში **ძეს** ზმნა გამოიყენება როგორც უსულო, ისე სულიერის მდებარეობის აღსანიშნავად (ლოლაძე, 2012ა). ლოკატიურ კონსტრუქციებში ძირითადად გამოიყენება **დგას** და **ძევს/დევს**, აგრეთვე **ზის**<sup>1</sup>.

ეს ზმნები გარკვეულწილად ახდენენ *არსებობისა* და *მყოფობა-მდებარეობის* დიფერენციაციას, ეგზისტენციალურ კონსტრუქციაში გამოიყენება ზმნა **არის**, ხოლო *ლოკატიურში* უპირატესად მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები. კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ეს ზმნები აღნიშნული ფუნქციით ქართული ენის დიალექტებში:

გაღმა სოფელია ჯურყვეთის, ამ ჯურყვეთის ასავალს **დგანა** აგი მეზობელი (გურული).<sup>2</sup>

აე ზენა **დგან**, ქვენ ხო იორდანენია (ფშაური).

დადემელი კაცი სად **დგას**? (სამცხე-ჯავახეთი)

მარტო თუშურაგებ არიან დამრჩლები'დ რაკი შიშიანობა<sup>ა</sup>, ის რაზმ **დგას** კოკლატას (თუშური)

ზემო აჭარაში ექსპედიციის დროს ერთ-ერთ სოფელში გვკითხეს: წუხელ ოლადაურზე **იდექით**?

რაც შეეხება ძველ ქართულს, როგორც ცნობილია, არსებობის გამოსახატავად ორი ზმნა გამოიყენებოდა: **არის** და **ჰგის**. მათი გამოყენების არეალი რამდენადმე გამიჯნულია – **ჰგის** მხოლოდ დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით გვხვდება, იგი ლოკატიური სემანტიკისაა<sup>3</sup>:

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სულიერის ჰორიზონტალური მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები არც სხვა ქართველურ ენებში გამოიყენება ლოკატიურ კონსტრუქციაში, საუბარია ზმნებზე – მეგრ. *ჯანუ(ნ)*, ლაზ. *ჯანს* და სვან. *აყურე*.

<sup>2</sup> მასალა გამოყენებულია ქართული დიალექტური კორპუსიდან <http://www.corpora.co>

<sup>3</sup> ჰგის ზმნის გ ძირს უკავშირებენ სვან. ლგ

გ („დგას“) ზმნის გ ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე, 1978: 129-130).



რომელი *ჰეიეს* ცხოვრებად საუკუნოდ. ი. 6,27.

მტკიცედ *ეგენით* სიყვარულსა მას ჩემსა ი. 15,9.

**არს** უპირატესად მეშველი ზმნის ფუნქციით გამოიყენება იგი ეგზისტენციალური სემანტიკისაა. ამ ზმნათა განსხვავებული ფუნქციები კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

არამედ *ჰეიან* და ღმერთებასათანა შეერთებულ *არიან*. სინ. მრ. 51, 20.

თუმცა საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ზმნა **არის** სივრცესა და დროში მყოფობის გამოსახატავად გამოიყენება და ამდენად, სრულმნიშვნელოვანი ზმნის ფუნქციას ასრულებს.

მცირედ ჟამს თქუენ თანა ვარ. ი. 7, 33

რომელი ხარ ცათა შინა. მ. 6,9.

და *არიან* რომელნიმე, არა ჭამედ ჭამადთა... სინ. მრ.113,28.

ამ მნიშვნელობით იგი ენაცვლება ზმნას **ჰეიეს**, რაც პარალელურ ტექსტებშიც არის ასახული:

შენ, უფალო, უკუნისამდე *ჰეიე* (ხარ). ფს. 101, 13

შენ, უფალო, უკუნისამდე *ხარ*.

მოგვიანებით, **არს/არის** ზმნიანმა კონსტრუქციებმა მთლიანად ჩაანაცვლა **ჰეიეს** ზმნიანი კონსტრუქციები.

რაც შეეხება მდებარეობის ზმნებს, ეს ზმნები მყოფობის სემანტიკით ძირითადად ადამიანთან მიმართებით გამოიყენება და ისიც საკმაოდ შეზღუდულად. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის მიხედვით მხოლოდ ორი შემთხვევა დასტურდება, როდესაც *დგას* ზმნა ადამიანს არ მიემართება:

ჭურჭელი *დგას* მუნ ძმრითა სავსეჲ ი. 19,29

მუნ *დგას* ტაკუკუნ მარმარილოსანი ი. 2.6 C

ეს უკანასკნელი ბოლო ორ რედაქციაში **იყოს** ზმნით არის ჩანაცვლებული:

*იყვნეს* მუნ საწყაულნი ქვისანი.

მველ ქართულში დაცული ვითარება არ გვაძლევს ამ ზმნათა განაწილების სრულ სურათს, რადგან იმ პერიოდისათვის, როდესაც წერილობითი წყაროები გვაქვს, განაწილების საფუძვლის რღვევა უკვე დაწყებულია და, ამდენად, ერთგვარი სიჭრელე შეინიშნება. დასტურდება შემთხვევები, როდესაც **დგას** და **ჰეიეს** ზმნები ენაცვლება ერთმანეთს:

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე *დგეს* ი. 12, 34 C

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე *ეგოს* ი. 12, 34 DE

რაც შეეხება ზმნას **მეს/იდო**, მას **არის/იყო** ენაცვლება:

ყრმაჲ ჩემი *ძეს* სახლსა შინა ჩემსა დაქსნილი მ. 8, 6 C

მონად ჩემი დაცემულ არსსახლსა შინა ჩემსა განრღუეული მ. 8, 6 DE რომლისა ძმ თვისი იდვა სნეული კაფერნაომს ი.4,46.

რომლისა ძმ სნეულ იყო კაფარნაუმს ი. 4,46.

**ძეს** ზმნა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამაზე მიუთითებდა ივ. იმნაიშვილი, რომელმაც სინური მრავალთავის კვლევისას განიხილა შემთხვევები, სადაც **ძეს** ზმნა აშკარად სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება.

რად *ძეს* ჩემი სახლსა მას აქაბისსა და ერისა ისრაელისა სინ. მრ. 129,36 – რა ხელი მაქვს, რა მინდა (მას თან), რა მესაქმება, რა ჩვენს შორის საერთო.

რად *ძეს* ჩემი და შენი სინ. მრ. 130,5 – რა გინდა, რაგინდათ ჩემგან, რა ჩვენს შორის საერთო.

ასეთივე მნიშვნელობისა ჩანს **ძეს** ზმნა შემდეგ მაგალითებში:

რად *ძეს* შენი და ჩემი, დედაკაცო, ი. 2,4 ჩ

რად *ძეს* შენი და მაგის კაცისა მართლისა მ. 27,19

რად *ძეს* ჩემი და შენი, იესუ, ძეო მაღლისაო მრ. 5,7

*არსებობის* ზმნა **არის/იყო** გვიანდელ ტექსტებში ენაცვლება მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს. ამდენად, ძველ ქართულში ლოკატიურობას ანუ არსებობას სივრცეში (დროში) ჯერ კიდევ **ჰგის** ზმნა გამოხატავს და მდებარეობის ზმნების გამოყენება ამ თვალსაზრისით შეზღუდული ჩანს.

მეგრულ-ლაზურში ეგზისტენციალური ზმნა **ორე(ნ)** გამოიყენება თანამედროვე ქართულის მსგავსად, როგორც დამოუკიდებელი, ისე მეშველი ზმნის ფუნქციით. ამ ენებშიც ლოკატიურ კონსტრუქციებში უფრო ხშირად გვხვდება *მდებარეობის* ზმნები. ეს ზმნებია: მეგრულში: **დგუ(ნ)** „დგას“, **ძუ(ნ)/-დგ-** „ძევს“, **ხე(ნ)** „ხის“; ლაზურში: **დგინ** „დგას“, **ძუნ/დვ-** „ძევს“, **ხენ** „ხის“.

მეგრ.: განებო ძუ თირინი – აგერ-ეგერ რომ ძევს თოვლი (ქაჯაია).

ლაზ.: დიშქა ექ ძინ (ასათ. სარფ. მას.) „შეშა იქ ძევს“ (ასათიანი).

სვანური დიალექტების მიხედვით განსხვავებული სურათს გვიჩვენებს. როგორც ცნობილია, სვანურში, ძველი ქართულის მსგავსად, არსებობის გამოსახატავად ორი ზმნა გამოიყენება – **არი** და **ლი(ზ)**. **არი** დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა, **ლი(ზ)** კი მეშველ ზმნაა. *მდებარეობის* ზმნებია – **ლგგ** „დგას“, **ზი/ზგ**, „ძევს“, **სგურ** „ხის“; აღნიშნული ზმნების სემანტიკური შესაძლებლობანი საგანგებოდ შეისწავლა მ. სალიანიძე, რომელმაც არაერთი საგულისხმო დაკვირვება შემოგვთავაზა და მდიდარი ფაქტობრივი მასალა წარმოადგინა. როგორც ავტორი დაასკვნის, ობიექტის (უსულო საგნების) სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით დიალექტები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ (სალიანი, 2016:523-529). კერძოდ, დიალექტების ნაწილი ლოკატიურ კონსტრუქციაში ქართულისა და

მეგრულ-ლაზურის მსგავსად *მდებარეობის* ზმნებს იყენებს. დიალექტების ნაწილში კი *მდებარეობის* ზმნების ნაცვლად უფრო ხშირია *მყოფობა-მქონებლობის* ზმნების გამოყენება, მაგ.,

ბალსქვემოური: ნიშგემმეც ხოჩა გიმჰრ ზგხ „ჩვენთან კარგი მიწები არის“ (მიწები ძევს).

ჩოლური: გიმარ არი „მიწები არის“.

ლენტეხური: გიმჰრ ჰრი „მიწები არის“.

როგორც ვხედავთ, ქართველური ენები ასეთ სურათს გვიჩვენებს. ძველ ქართულში იყო დიფერენცირებული არსებობის ზმნები და *მყოფობა-მდებარეობა* ძირითადად *არსებობის* ზმნით (**ჰგეის**) უნდა ყოფილიყო გამოხატული. დღეს მხოლოდ ერთი ზმნაა – (**არის**) ორივე ფუნქციით, ხოლო ლოკატიურობა გამოიხატება უპირატესად *მდებარეობის* ზმნებით. *არსებობის* ერთი ზმნაა მეგრულ-ლაზურში და ამ ფუნქციით ასევე ფართოდ გამოიყენება *მდებარეობის* ზმნები. რაც შეეხება სვანურს, სადაც დიფერენცირებულია *არსებობის* ზმნები, ლოკატიურ კონსტრუქციებში *მდებარეობის* ზმნების გამოყენება ზოგ დიალექტებში შეზღუდულია.

ამდენად, ზოგადი ლოკატიურობის ტიპოლოგიის მქონე ენათა ნაწილის მიერ ლოკატიურობის კონსტრუქციებში *მდებარეობის* ზმნების გამოყენება განპირობებულია *არსებობის* სემანტიკური სტრუქტურის სპეციფიკით, კერძოდ, ენებში არის მცდელობა *არსებობისა* (ეგზისტენციალური) და *მყოფობა-მდებარეობის* (ლოკატიური) მნიშვნელობები განსხვავებული ენობრივი საშუალებებით იქნეს რეალიზებული, მოხდეს მათი დიფერენციაცია.

## ლიტერატურა

**კლარკი 1978** – Clark, Eve V., Locational: existential, locative, and possession constructions. In Joseph H. Greenberg (ed.), *Universals of Human Language. Vol. IV: Syntax*, Stanford: Stanford University Press, 1978.

**კობი 2012** – Koch, Peter, Location, existence, and possession: A constructional-typological exploration. *Linguistics An Interdisciplinary Journal of the Language Sciences*, Volume 50, Issue 3, 2012

**ლაიონზი 1978** – Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М, 1978.

**ლოლაძე 2004** – ლოლაძე ნ., არის ზმნა ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი, 2004.

**ლოლაძე 2012ა** – ლოლაძე ნ., სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIV, თბილისი, 2012.

**ლოლაძე 2012ბ** – ლოლაძე ნ., მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები ქართულში (სემანტიკური ანალიზი), თსუ ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, III, თბილისი, 2012.

**საღლიანი 2016** – საღლიანი მ., სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, არტანუჯი 2016.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – Fähnrich, Hainz, Sarjveladze, Surab, 2000. Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Tbilisi Sul Khan-Saba Orbeliani Stase University Press.129-130

**ფრეზე, 1992** – Freeze, Ray, Existentials and other locative, Language 68, 1992.

## **Nana Loladze**

### Verbs Denoting Existence/Being in Typological Context

#### Summary

In the semantic structure of *existence* two meaning are distinguished, on the one hand, the existential and on the other hand, the locational meaning. Locationality is not a universal concept but studying it provides a very interesting picture in terms of typology. In particular, the question is whether these two meanings (existential and locational) are differentiated or only one lexical or grammatical model is used for both meanings.

Languages that use the same means, i.e. a notional or an auxiliary verb (including a pause in the present) for these constructions belong to the general locational type in terms of typology (Koch, 2012). The Georgian language should be considered to be in this group of languages as in modern Georgian in both constructions the verb *aris* “is” is used.

Georgian as a language with centuries-old literary traditions enables us to observe the changes in the language that are attested in the written monuments. In addition, the data of other Kartvelian languages is noteworthy as well.

In old Georgian the verbs denoting existence/being were differentiated and the verbs of location were expressed by the verb *hgics*. Today only one verb *aris* has those two functions and location is mainly expressed by the verbs of location. In Megrelian and Laz there is only one verb of existence and the verbs of location are widely used with this function as well. As for Svan, where the verbs denoting existence are differentiated, in the locational constructions the use of location verbs is limited in some dialects.

Using the verbs of location in locational constructions by a part of languages having general location typology may have been conditioned by the specifics of the semantic structure of existence, in particular, in the languages there is an attempt to realize the existential and locational meanings through different linguistic means, i.e. to differentiate them.

## თამარ მახარობლიძე

### მოდალობის ზოგი საკითხისათვის ქართულში\*

მოდალობა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური თემაა ენათა სწავლებაში. ტერმინი „მოდალობა“ ტრადიციულად სამი მნიშვნელობით გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რა მიმართულების კვლევაა წარმოდგენილი – ლოგიკური, დისკურსული თუ გრამატიკული. ბოლო პერიოდში ამ ტერმინმა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობაც შეიძინა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, იგი გამოხატავს შეტყობინების ან მინიშნების გადმოცემის არხს – განსაკუთრებით ხშირია ამ მნიშვნელობით მისი გამოყენება შესტური ენების მკვლევარებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ტერმინი „მოდალობა“ ოდენ გრამატიკული მნიშვნელობით რომ განვიხილოთ, იგი მაინც რჩება ურთულეს ენობრივ მოვლენად (Herrero-Blanco & Salazar-García. Acc. 2016 15.10.) ამ ეტაპზე მოდალობის საკითხი ქართულ ენაში ფაქტობრივად შეუსწავლელია. ამ თემაზე არის მხოლოდ ორიოდე სტატია ნ. შარაშენიძისა და ვ. ბოედერის.

მოდალობის კლასიფიცირება ხდება დეონტურ და ეპისტემურ მოდალობებად (Palmer 1979; Hoyer 1997). ეპისტემური მოდალობა გულისხმობს მოსაუბრის ცოდნას ან რწმენას, რის საფუძველზეც იგი აგებს თავის მსჯელობას საგნებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით (Hoyer 1997:42). დეონტური მოდალობა კი მოიცავს შესაძლებლობების ან საჭიროების თემას, რის მიხედვითაც მომავალში შესასრულებელი მოქმედებისთვის მოსაუბრე ან ნებართვას იძლევა ან რამე ტიპის ვალდებულებას აიღებს (Hoyer 1997:43). ამ ორ ძირითად მოდალობას თავისი ქვეჯგუფები გააჩნია. ჩვენ აქვე უნდა დავამატოთ, რომ არსებობს მესამე, შერეული ფორმაც (რაზეც ჩვენ ქვევით ვისაუბრებთ). აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ქართულში (და არა მხოლოდ ქართულში) ზოგჯერ რთულია ამ ორი ტიპის მოდალობის გამიჯვნა. საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ნაწილაკი უნდა გამოიყენება მოდალობის ორივე სემანტიკის გადმოსაცემად.

ნებისმიერი ტიპის მოდალობის გადმოცემა შეიძლება მოხდეს შემდეგი სამი ტიპის კონსტრუქციით:

- წმინდა ზმნური კონსტრუქციით – მოდალური ზმნა პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *მინდა წავიდე*)
- ნაწილაკიანი კონსტრუქციით – ნაწილაკი პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *უნდა წავიდე*)

---

\* კვლევა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო 216702 („ქართული შესტური ენის ზმნის მორფოლოგია“) და 218000 („მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“) გრანტების ფარგლებში.

- შერეული ტიპის კონსტრუქციით – მოდალური ზმნა, ნაწილაკი და ძირითადი ზმნა (მაგ., *ვიცი, ენდა წავიდე*)

ეს უკანასკნელი ფორმა სემანტიკური თავსაზრისითაც ხშირად შერეული ფორმაა – აქ გვაქვს როგორც ეპისტემური, ისე დეონტური კონტენტი.

თანამედროვე ქართულში მოდალობის კონსტრუქციებში შედარებით ხშირია შემდეგი ზმნური ფორმების გამოყენება: *მინდა, გინდა* (ეს ფორმა თავისუფალი არჩევანის კავშირადაც გამოიყენება), *უნდა* (ეს ფორმა ხშირად მოდალური ნაწილაკის ფუნქციით მუშაობს); *შეიძლება, შესაძლოა, ვფიქრობ, ვეჭვობ, ვვარაუდობ, ვგრძნობ, ცხადია, ნათელია, ვიცი, მიტხრეს* და სხვ.

მოდლობის მეორე ტიპის კონსტრუქციის გადმოსაცემად ხშირია შემდეგი ნაწილაკების გამოყენება: *უნდა, ნეტავ, ლამის, თითქმის, ალბათ, კინაღამ, იქნებ, ეგებ/ეგების* და სხვ. ამ ნაწილაკთა დიდი ნაწილი (*უნდა* და *ნეტავ* ფორმათა გარდა) მიახლოებითობის სემანტიკას გვიჩვენებს. ძირითადი კომბინაციები შემდეგნაირია:

- A. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს აორისტი იძლევა წარსული დროის განუხორციელებელი აქტის სემანტიკას უარყოფითი რეზულტატით (მაგ. *ლამის მოვიდა*),
- B. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს ოპტატივი იძლევა აწმყო დროის დაუსრულებელი აქტის სემანტიკას, სადაც რეზულტატი ჯერ არ გვაქვს სახეზე (მაგ. *ლამის მოვიდეს*).

ზემოთ აღნიშნული მიახლოებითი სემანტიკის ფორმები ტ. კუტევას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით არის ე.წ. ავერტივები, ეს ავერტივები თვლიან, რომ „ავერტივი არის ზმნის შეზღუდული სიტუაცია, რომელიც უნდა მომხდარიყო წარსულში, ძალიან ახლოს იყო განხორციელებასთან, მაგრამ ვერ შედგა ზმნის აქტი“ (კუტევა და სხვ. 2015). მათივე ანალიზით, ავერტივის მახასიათებლებია:

1. კონტრაფაქტუალობა,
2. სრული წინაპირობა ზმნური აქტის შესრულებისთვის,
3. ზმნური აქტის შერულების ნულოვანი რეზულტატი,
4. იმინენტობა,
5. წარსული დრო,
6. პერფექტულობა (კუტევა და სხვ. 2015).

ავერტივი საენათმეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც სემანტიკურად დამუშავებული გრამატიკული კატეგორია, რომელსაც მორფოსინტაქსურ დონეზე თავისი გარკვეული მარკირება გააჩნია. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითი (*ლამის მოვიდეს*) უჩვენებს, რომ არც წარსული დრო და არც პერფექტულობა აქ არ არის აუცილებელი. ასევე ექვსის ქვეშ დგება ავერტივის მესამე მახასიათებელიც – ზმნური აქტის შერულების ნულოვანი რეზულტატი. აქ, პრაქტიკულად, დასაშვებია ნებისმიერი რეზულტატი, რადგანაც ჯერ არაა მოქმედება დასრულებული. ამ ტიპის ფორმები უნდა განვიხილოთ როგორც ე.წ. აპროქსიმატივები. ტ. კუტევას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით, ავერტივების სემანტიკა მოიცავს პროქსიმატივებს. ჩვენი დასკვნით, ეს არის ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი კატეგორია, რომელთაც, შესაძლოა, საერთო მოდალუ-

რი დომეინი ჰქონდეთ, მაგრამ ამ ტიპის პროქსიმატივები ვერ განიხილება ავერტივებად და ვერც მის ქვეკატეგორიად. თუკი ავერტივის ძირითადი მახასიათებელია პერფექტულობა, წარსული დრო და ზმნური აქტის რეზულტატის ნულოვანი კატეგორია, ამ B ფორმებისთვის (*ლამის წავიდეს*) ვითარება რადიკალურად განსხვავებულია: აქ ჯერ არ დამდგარა რეზულტატი (და ეს შეიძლება იყოს არა უარყოფითი, არამედ დადებითი შედეგითაც), არც წარსული დრო და არც პერფექტულობა აქ არ მოიაზრება. ავერტივისა და ამ ტიპის პროქსიმატივებს საერთო აქვთ იმანენტობა. აქ შეიძლება იყოს ორი ტიპის მიდგომა: შეიძლება ავერტივების მახასიათებლების შეკვეცა და ამით მისი სემანტიკის გაფართოვება ან ასეთი ტიპის პროქსიმატივებს ჩვენ, შესაძლოა, ვუწოდოთ ოპატატივის პროქსიმატივები ან იმიენტური პროქსიმატივები. ასეთი სახელდებები შემდგომი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქართულში აორისტიანი მოდალობის აპროქსიმატული ფორმები მთლიანად ემთხვევა ავერტივის არსებულ სემანტიკას (თავისი მახასიათებლებით), ხოლო ოპატატივის კონსტრუქცია უფრო იმპერფექტულია (მიუხედავად სრული ასპექტისა) და დაუსრულებელი მოქმედების შინაარსს გადმოგვცემს. როგორც წესი, ამ ტიპის კონსტრუქცია გადმოგვცემს შემდეგ შინაარსს: ზმნური მოქმედება მოულოდნელია, ან არასასურველი, ან რაღაც თვალსაზრისით და (სავარაუდოდ) ამ აქტის შესრულება-შეუსრულებლობა მნიშვნელოვანია მოსაუბრისათვის.

რაც შეეხება პერფექტულობის საკითხს, მოდალობასთან მიმართებაში – აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით, იმპერფექტულობა ქართული მოდალობისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რამდენადაც ქართული ზმნის ფორმებს ასპექტის თვალსაზრისით პარალელური წარმოება აქვთ მწკრივებში (აორისტისა და პერფექტული მწკრივების ჩათვლით). ქართულ ენაში, ამ კუთხით, ყველაფერი ზმნისწინზეა დამოკიდებული. ზმნისწინის დროითი ფუნქცია ძალიან პროდუქტიულია თანამედროვე ქართულში. ზოგადად მოდალურ კონსტრუქციებში საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვაობა სრული და უსრული ასპექტის ფორმებს შორის. მაგალითად, *ნეტავ ხატავდეს* – მოიაზრებს სურვილს. რომ ის იყოს ხატვის პროცესში, ხოლო *ნეტავ დახატავდეს* გულისხმობს რეზულტატის სურვილს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ დადგეს შედეგი, უსრული ფორმა კი პროცესის სურვილია და არა შედეგის. დედუქციური მიდგომით, ეს დასკვნა სავარაუდოდ, ტიპოლოგიურად უნივერსალური უნდა იყოს.

იმპერფექტული მოდალობის ხვედრითი წონის განსაზღვრისათვის საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მოდალობის კონსტრუქციაში სტატისტიკით ყველაზე უფრო ხშირი ფორმები *მინდა/უნდა* და *ვიცი/იცის* უასპექტო ფორმებია და თავისი სიღრმისეული სემანტიკით ესენი სწორედაც იმპერფექტული ზმნებია.

აღსანიშნია, რომ ზოგ სამეტყველო ენაში კილო და მწკრივი (პირობითად) სხვაობს იმის მიხედვით, სათქმელი პოზიტიური კონტენტი, თუ ნეგატიური. ქართულ ენას ზმნურ ფორმათა შორის ამდაგვარი ოპოზიცია არ აქვს. საერთაშორისო ენათმეცნიერულ სივრცეში გაზიარებულია, ის მოსაზრება, რომ ბევრ ენაში მოდალობა ზმნური კატეგორიებით არის გამოხა-

ტული, კერძოდ, საუბარია კილოზე. თუკი მოდალობას განვიხილავთ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული სახის მარკირება. ამ მიდგომით, შესაძლოა, კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად იქნეს მიჩნეული ქართულში. ცნობილია, რომ მწკრივის მარკერები რეალურად დრო-კილოს მარკერებია და, ფაქტობრივად, დღემდე არ გვქვს ზუსტი ცალსახა მორფოლოგიური დეფინიცია – რა მარკერებია ესენი დროის, კილოსი თუ მწკრივის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს ეპისტემური და დეონტური მოდალობის კონსტრუქციებს სამეტყველო ქართულში.

პირველი ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	ზმნის ფორმა	სემანტიკა
ეპისტემური ვიცი აკეთებს/აკეთებდა	აწმყო	აწმყო იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ, მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცი გააკეთებდა	აწმყო	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
ეპისტემური ვიცოდი აკეთებდა	წარსული	იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცოდი გააკეთებდა	წარსული	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
დეონტური მიინდა (გა)ვაკეთო	აწმყო	ოპტატივი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატი-სა – პრევერბით)
დეონტური მიინდა ვაკეთებდე	აწმყო	აწმყოს კავშირებითი	სურვილი პროცესის ქონისა
დეონტური მინდოდა (გა)მეკეთებინა	წარსული	მეორე თურმეობითი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატი-სა – პრევერბით)

ცხრილი1.

მეორე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ნაწილაკი	ზმნის ფორმა	სემანტიკა
დეონტური უნდა (გა)ვაკეთო	უნდა	ოპტატივი	საჭიროება/ვალდებულება სამომავლო (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)
დეონტური უნდა ვაკეთებდე	უნდა	აწმყოს კავშირებითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესის ქონისა



დეონტური <i>უნდა (გა)მკვეთე- ბინა</i>	<i>უნდა</i>	მეორე თურმეო- ბითი	საჭიროება/ვალდე- ბულება პროცესისა (ზმნისწინიანი ფორ- მები რეზულტატს მოიაზრებენ)
--	-------------	-----------------------	---

ცხრილი 2.

მესამე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონ- სტრუქცია	მოდალური ზმნა პლუს ნაწილაკი	ზმნის ფორ- მა	სემანტიკა
ეპისტემურ-დე- ონტური ვიცი (რომ) უნდა (გა)ვაკეთო	<i>ვიცი (აწმყო) უნდა</i>	ოპტატივი	ცოდნა/დარწმუნე- ბულობა პროცესის საჭიროება-ვალდე- ბულებაში (ზმნის- წინიანი ფორმები რეზულტატის მოი- აზრებენ)
ეპისტემურ-დე- ონტური <i>ვიცი (რომ) უნდა ვაკეთებდე</i>	<i>ვიცი (აწმყო) უნდა</i>	აწმყოს კავ- შირებითი	ცოდნა/დარწმუნე- ბულობა პროცესის საჭიროება-ვალდე- ბულებაში
ეპისტემურ-დე- ონტური <i>ვიცი (რომ) უნდა (გა)მკვეთე- ბინა</i>	<i>ვიცი (წარსული) უნდა</i>	მეორე თურ- მეობითი	ცოდნა/დარწმუნე- ბულობა პროცესის საჭიროება-ვალდე- ბულებაში (ზმნის- წინიანი ფორმები რეზულტატის სა- ჭიროება-ვალდე- ბულებას მოიაზ- რებენ)

ცხრილი 3.

როგორც ვხედავთ, მესამე ცხრილში მოყვანილი ფორმები შერეული მოდალობის ფორმებია. აქ წარმოდგენილია როგორც ეპისტემური, ასევე დეონტური მოდალობა.

მოდლობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი ქართულ ენაში. დასამუშავებელია კავშირებითი კილოს შემდეგი სემანტიკური ველების მორფოსინტაქსი:

- პოტენციურობა,
- განუსაზღვრელობა,
- წინასწარმეტყველება,
- ვალდებულება,
- სურვილი / ნატვრა და ა.შ.

სტატისტიკური მონაცემები ქართული ეროვნული კორპუსის მიხედვით ასეთია: *მინდა* – 60469; *გინდა* – 17740; *უნდა* – 740258; *ვიცი* – 64437; *იცი* – 12089; *ივის* – 49007. (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

ჩვენ ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ მოდალობასთან დაკავშირებული სიტუაცია სამეტყველო ქართულში. ორიოდ სიტყვით შევხებით მოდალობას ქართულ ჟესტურ ენაშიც. აღვნიშნავთ, რომ ეს არის მოდალობის პირველი კვლევა ამ ენაში.


მოდალობის კვლევებს ჟესტურ ენებში არცთუ დიდი ისტორია აქვს, საკითხს სულ რამდენიმე მეცნიერი შეეხო (Brito, 1990; Wilcox & Wilcox, 1995; Shaffer, 2004). ძირითადი მიგნებები ამ სფეროში ასეთია:

- აშკარაა კროსლინგვისტური ტენდენციები,
- მოდალური ელემენტები შესაძლოა იყოს ადგილმონაცვლე წინადადებაში (ამერიკული ჟესტური ენა <http://seattlecentral.edu/faculty/bbernstein/ASL102/102Resources/102%20handouts/102%20Modals.htm> )
- მოდალურობის გაფორმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტაფორული აზროვნება,
- დეონტური მოდალობისას მოძრაობები შედარებით მარტივი და ენერგიულია, ხოლო ეპისტემური მოდალობის კინეტიკა განმეორებითი და ნაკლებ ენერგიულია ბრაზილიურ ჟესტურ ენაში (Brito 1990). ანალოგიური ვითარება იკვეთება ამერიკულ ჟესტურშიც (Wilcox & Wilcox 1995)
- ზოგ მკვლევარი თვლის, რომ დეონტური მოდალობა უფრო საბაზისოა ეპისტემურთან შედარებით (Shaffer 2004:177). მოდალობა ხშირად განისაზღვრება როგორც საჭიროებისა და შესაძლებლობების კონცეპტუალური დომეინი. ეს გამოიხატება გარკვეული ლექსემებითა და დამხმარე ზმნებით ან კილოს გრამატიკული კატეგორიით ზმნის ფორმაში (Shaffer (2004:177)
- გრამატიკალიზაციის პროცესი ჟესტურ ენებში ოპერირებს სამეტყველო ენების მსგავსად (Wilcox 2016)
- ამრიგად, იკონურობა და მეტაფორა მოდალობის კონფიგურაციებში განმსაზღვრელ როლს თამაშობს.
- ხაზგასასმელია არამანუალური ანუ მიმიკური ელემენტების მნიშვნელოვანი როლი მოდალობის კუთხით. ზოგადად, ჟესტურ ენებში იმპერფექტული მოდალობა გადმოცემულია განმეორებითი ჟესტებით (Wilcox 2004).
- დიდი მნიშვნელობა აქვს ჟესტის შესრულების მანერას, როგორც ინტონაციას სამეტყველო ენებში ((Pfau & Steinbach 2006:72). სწრაფი, ფართო და ინტენსიური ჟესტები უფრო ძლიერ ვალდებულებებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს გამოხატავს, ვიდრე ნელი და პატარა ჟესტები.


ქართულ ჟესტურ ენაში მოიპოვება ზემოთ აღნიშნული სამივე ტიპის მოდალური კონსტრუქცია.

პარიველი ტიპის კონსტრუქციები:

ეპისტემური ვიცი აკეთებს:



ეპისტემური ვიცი გააკეთებს:




აქ პირველი ფოტო ასახავს მოდალურ ფორმას ვიცი, მეორეზე წარმოდგენილია კეთება ზმნა, მესამე ფოტო უჩვენებს მომავალ დროს, ხოლო ბოლო, მეოთხე ფოტოზე გამოსახულია აუცილებლობის სემანტიკის შესტ-მორფემა.

უარყოფითი ეპისტემური ფორმა არ ვიცოდი (თუ) გააკეთებდა:



საგულისხმოა, რომ როგორც პირველ ორ ფოტოზე ჩანს, *არ ვიცოდი* არის ფაქტობრივი ჯამი ორი ფორმისა „არ ვიცოდი“ პლუს „არა“. ასეთი კომბინაცია მხოლოდ წარსული დროის უარყოფით ფორმებში გვხვდება. ეს არის ორმაგი ლექსიკური უარყოფა, რადგანაც პირველ ფოტოზე მოცემული პირველი ერთეული უკვე არის უარყოფითი ფორმა „არცოდნა“ და არა-ნაწილაკი მხოლოდ წარსულ დროში ემატება. მეოთხე ფოტო ასახავს *თუ კავშირს*, ხოლო ბოლო ფოტოზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნაცვალსახელო ფორმა.

დეონტური *მინდა* გავაკეთო:




უარყოფითი დეონტური ფორმა არ მინდა გავაკეთო:




აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ვიცი და არ ვიცი, მინდა და არ მინდა სხვადასხვა ლექსემებია, ანუ სხვადასხვა შესტებია. აქ უარყოფითი ნაწილაკი არა არ არის წარმოდგენილი.

მეორე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:  
დეონტური უნდა გავაკეთო:




აქ პირველ ფოტოზე ასახულია მოდალური ნაწილაკი უნდა.  
უარყოფითი დეონტური ფორმა არ უნდა გავაკეთო:



როგორც ვხედავთ, *უნდა* და *არ უნდა* ასევე განსხვავებული შესტე-  
ბია უარყოფითი ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი.

დეონტური *უნდა* გამეკეთებინა:




უარყოფითი დეონტური *არ უნდა* გამეკეთებინა:



ამ მოდალურ კონსტრუქციას (არ უნდა გამეკეთებინა) ბოლოში ერთვის ჟესტი *შემეშალა / შეცდომა დავუშვი*, რომელიც წარმოდგენილია ბოლო ორ ფოტოზე.

მესამე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:  
 ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა გავაკეთო:



უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური არ იცი (რომ/თუ) უნდა გავაკეთო:



უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური არ იცოდი (რომ/თუ) უნდა გამეკეთებინა:



ბოლო ორი ფოტო ასახავს კავშირებითი კილოს ნიშნებს, რაც, ფაქტობრივად, არის მოდალობის მარკერები ენაში.



დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჟესტურ ენას წარმატებით შეუძლია ყველა ტიპის მოდალური კონსტრუქციის გადმოცემა.

### ლიტერატურა

**ბოედერი 2017** – Boeder Winfried (access 2017) Mood in Modern Georgian. Oldenburg. p. 603-632

**ბრიტო 1990** – Brito, Lucinda Ferreira. 1990. Epistemic, alethic, and deontic modalities in a Brazilian Sign Language. In Susan D. Fisher & Patricia Siple (eds.), *Theoretical Issues in Sign Language Research*. Vol 1: Linguistics, 229-259. Chicago & London: The University of Chicago Press.

**ლინი & ჩანგი 2009** – Chien-hung Lin & Jung-shing Chang. Modality in Taiwan Sign Language. The 2009 International Conference on Role and Reference Grammar, University of California, Berkeley, California, August 7-9, 2009 <http://wings.buffalo.edu/linguistics/people/faculty/vanvalin/rrg/RRG09/Lin%20&%20Chang%20Modality%20in%20Taiwan%20Sign%20Language%20.pdf> Access 2016 15.10.

**მსოფლიო ენათა ეთნოლოგია 1996** – Ethnologue of the world's languages. The 13th edition of the Summer Institute of Linguistics. 1996. <http://www.ethnologue.com/13/special.html>

**ჰერერო-ბლანკო & სალასარ-გარსია 2016** – Herrero-Blanco, Ángel & Ventura Salazar-García The Expression of Modality in Spanish Sign Language. [http://home.hum.uva.nl/fdg/working\\_papers/WP-FDG-83\\_Herrero&Salazar.pdf](http://home.hum.uva.nl/fdg/working_papers/WP-FDG-83_Herrero&Salazar.pdf) Access 2016 15.10.

**ჰოიე 1997** – Hoye, Leo. 1997. *Adverbs and Modality in English*. New York: Longman

**კუტევა, აარსი, პოპოვა, აბი 2015** – Tania Kuteva, Bas Aarts, Gergana Popova and Anvit Abbi. The grammar of “counter-to-facts” [http://www.eva.mpg.de/fileadmin/content\\_files/linguistics/conferences/2015-diversity-linguistics/Kuteva\\_COUNTER-TO-FACT-FINAL\\_slides.pdf](http://www.eva.mpg.de/fileadmin/content_files/linguistics/conferences/2015-diversity-linguistics/Kuteva_COUNTER-TO-FACT-FINAL_slides.pdf) (presentation)

**მახარობლიძე 2016** – Makharoblidze T. (2016) *lingvist'uri c'erilebi -III. LINGUISTIC PAPERS - III*. TSU, A. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi. ISBN 978-9941-13-511-8 446 pp.

**მახარობლიძე 2015** – Makharoblidze T. (2015) *Georgian Sign Language Dictionary*. Iliia State University; Shota Rustaveli National Scientific Foundation. Tbilisi. ISBN 978-9941-16-225-5 1368 pp.

**მახარობლიძე 2012** – Makharoblidze T. (2012) *Georgian Sign Language*. Ministry of Education and Science, USIAD, Save Children International. Tbilisi. 2012 615pp.

**მახარობლიძე 2017** – Makharoblidze Tamar (2017) Concerning Some Issues of Imperfective Modality in Spoken and Signed Georgian. Conference on Historical Linguistics of the Caucasus. Paris, École Pratique des Hautes Études, April 12-14, 2017.

**მიერი 2002** – Meier, Richard P. (ed.) 2002. *Modality and Structure in Signed and Spoken Languages*. Cambridge: Cambridge University Press.

**პალმერი 1986** – Palmer, Frank. 1986. *Mood and Modality*. Cambridge: Cambridge University Press.

**ჰფაუ & სტეინბახი 2006** – Roland Pfau and Markus Steinbach (2006) Modality-Independent and Modality-Specific Aspects of Grammaticalization in Sign Languages. Linguistics in Potsdam 24. Series editors: Heiner Drenhaus, Ruben van de Vijver, Ralf Vogel. ISSN: 1616-7392; ISBN: 978-3-939469-53-7 pp. 98

**ამერიკული ფესტური ენა** – Seattle Central Community College. ASL 122 UNIT 6. Sentences Incorporated Modals <http://seattlecentral.edu/faculty/bbernstein/ASL102/102Resources/102%20handouts/102%20Modals.htm>

**შეფერი 2004** – Shaffer B. (2004) Information ordering and speaker subjectivity: Modality in ASL. Cognitive Linguistics 15 (2) pp.175-95

**სტიკლესი 2002** – Elise Stickles 2002. Metaphors in the Modals: ASL Modals and Mental Spaces. University of California, Berkeley (presentation) [https://web.stanford.edu/~stickles/slides/isgs\\_4.pdf](https://web.stanford.edu/~stickles/slides/isgs_4.pdf)

**შარაშენიძე 1999** – Sharashenidze N. 1999b. *unda* modaluri pormis istoriisa da morposint.aksuri analizisatvis. *Enatmecnierebis sak.itxebi* 4: 49–56.

**ქართული ეროვნული კორპუსი** – The Georgian national Corpus <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>

**ვილკოქსი 2004** - Wilcox, Sherman. 2004. Gesture and language. Cross-linguistic and historical data from signed languages. *Gesture* 4.43-73.

**ვილკოქსი შ. & ვილკოქსი ფ.1995** – Wilcox, Sherman & Phillis Wilcox. 1995. The gestural expression of modality in ASL. In Joan Bybee & Suzanne Fleischman (eds.), *Modality in Grammar and Discourse*, 135-162. Amsterdam: John Benjamins.

**ვილკოქსი 2016** – Wilcox, Sherman. 2016 Modality in American Sign Language. [https://www.academia.edu/1330118/Modality\\_in\\_American\\_Sign\\_Language](https://www.academia.edu/1330118/Modality_in_American_Sign_Language) Access 2016, 5.10.

## Makharoblidze Tamar

### Concerning Some Issues of Modality in Georgian

#### Summary

Modality is one of the most fascinating and most complex fields of the language studies. In linguistics the term “modality” has been used for different types of reality. In general, there are three traditionally accepted meanings for this term, depending on whether one is referring to logical, discursive or grammatical facts. Recently it has acquired a new meaning, related to the channel employed in forming messages. Even if we consider only grammatical content of this term, modality is an extremely complex category resisting a general common definition capturing all the factors involved. (Herrero-Blanco & Salazar-García. Acc. 2016 15.10.)

Modality can be classified into deontic and epistemic modality (Palmer 1979; Hoye 1997): (a) Epistemic modality is concerned with matters of knowledge or belief on which basis speakers express their judgments about states of affairs, events or actions (Hoye 1997:42). (b) Deontic modality is concerned with the possibility or

necessity of acts in terms of which the speaker gives permission or lays an obligation for the performance of actions at some point in the future (Hoye 1997:43). In Georgian (and not only) sometimes the difference between epistemic and deontic modality is not very clear and the same modal verb or particle (*unda* for example, which is the most frequent element for modality and now is becoming a particle) can display epistemic and deontic contents. Unfortunately, in Georgian linguistic literature there is a lack of researches concerning the modality.

In modern spoken Georgian modality content often occurs with the following verbal forms: *minda* 'I want' / *unda* 'should', *šeižleba* / *šesazloa* 'It is possible', *vpikrob* 'I think' / *sapikrelia* 'one could / may think', *ve č'vob* 'I doubt' / *sae č'voa* 'It is doubtful', *vvaraudoob* 'I suppose' / *savaraudoa* 'It could be' / 'supposed', *vgržnob* 'I feel' / *igržnoba* 'One can feel', *č'xadia* 'It is clear' *natelia* 'It is clear'. Besides the above-mentioned verbs spoken Georgian uses the particles: *lamis* 'almost', *titkmis* 'almost', *k'inayam* 'almost', *ikneb* 'maybe', *egeb* / *egebis* 'Let it be'/'if', *net'av* / *netavi* '(I) wish' – to display the approximation, willing or expectation. The combination of the modal (non-verbal) element with approximation semantics and the finite verb looks as follows: A. The particle of approximation + aorist = past tense with non-realized action (*lamis movida* – He almost came, but the fact is that he has not come and we have the negative result); B. The particle of approximation + optative = present tense with almost performed action (*lamis movides* – he is about to come and we are not sure how the process ends).

The difference between perfective and imperfective forms of the following modal constructions is principal, cf.: A. *net'avxat'avdes* 'I wish him/her painting' and B. *net'avdaxat'avdes* 'I wish him to paint'. The first modal construction (A) means the wish for him/her to be able to paint, or being in the process of painting; while the second one (B) means that the wish is to have a result – painted (something) by him/her. Imperfective modality is a process-oriented action different from result-oriented perfect forms. Deductively, this difference seems to be universal.

In spoken Georgian the preverbs have the crucial role for the category of aspect. Interestingly, Georgian verbs may have perfect or imperfect/durative forms almost for all thescreeves of conjugation – including even aorist, perfect and pluperfect (Compare the forms: *vc'ere* and *dav'cere*, *mi'ceria* and *damic'eria*, *mec'er aand damec'era*).

Modality can be displayed by the certain constructions – the combinations of the modal verbs and/or particles displaying epistemic and/or deontic content and the proper forms of finite verbs.

The Georgian Sign Language (GESL) can display the semantics of modality with the combination of manual and facial signs as well. Crucially, imperfective modal constructions are displayed by the repeated signs. Modals in GESL can occur in the pre-verbal, clause-final, or clause-initial positions like many other sign languages.

## ნანა სააკაძე

### ქვემოქართლური კილოს ენობრივი თავისებურებანი

ქართლური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუძემდებელი ქართული ენისა. იგი, სხვა დიალექტებთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი წყაროა. შეიძლება ითქვას, გავრცელების საზღვრების მიხედვით ქვემოქართლური ყველაზე ვრცელი ტერიტორიული დიალექტია და, ამდენად, ყველგან ერთგვაროვანი არ არის. ამასთანავე, აქტიურად განიცდის სხვა კილოთა გავლენას. მასში გამოიყოფა რეგიონული მეტყველებრივი ნაირსახეობანი კილოკავურ ერთეულთა სახით (ნ. სააკაძე 2004:5).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ქვემოქართლურში გავრცელებული მოვლენაა **ზგერათა დაკარგვა**, იკარგება თანხმოვანიცა და ხმოვანიც. მაგრამ ეს ფონეტიკური პროცესი ქვემო ქართლის ყველა რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში არაა ერთნაირად გავრცელებული. ამ მხრივ ბოლნისისა და დმანისის რაიონი (ს. ხატისოფელი, ბალიჭი, ქვეში, დიდი და პატარა დმანისი, განთიადი, ვარდისუბანი, ბოსლები, დიდი გომარეთი, მამულო, ახა) უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მარნეულის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის.

### ხმოვანთა დაკარგვა

ხმოვანთა დაკარგვა უმეტესად გვხვდება აფიქსებში, როცა ერთ აფიქსეულ ხმოვანს ერთვის მეორე აფიქსული ხმოვანი და შეიძლება პირველი დაიკარგოს; მაგ. : მეცხვარობა (←მე-ცხვარ-ე+ობ-ა), მესაქონლობა (←მე-საქონლ-ე+ობ-ა), მეფუტკრობა (←მე-მე-ფუტკრ-ე+ობ-ა), მეფრინველობა (←მე-ფრინველ-ე+ობ-ა) და ა.შ.

იკარგება პრევერბისეული ხმოვანიც მომდევნო ხმოვნის მიზეზით : გადუხტა (←გადა+უ-ხტ-ა), გადურბინა (←გადა+ურ-ბინ-ა), გადუსხა (←გადა+უ-სხ-ა) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ მაგალითებში ხმოვანი დაკარგულია რეგრესული ასიმილაციისა და შერწყმის შედეგად, როგორც ეს გამოიყენება ზოგიერთ კილოში (გადაუხტა → გადოუხტა → გადუუხტა → გადუხტა → გადუხტა), გადაურბინა → გადოურბინა → გადუურბინა → გადურბინა → გადურბინა). მართალია, სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ხმოვნის იდენტურ ზგერასთან შერწყმისა და დაკარგვის შემთხვევებს ქვემოქართლურშიც ვხვდებით, მაგრამ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელის ფუძის ბოლოკიდურ **ა** ხმოვანს ერთვის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი. ამ შემთხვევაში „ფუძისეული ბოლოკიდური **ა**

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსის გავლენით (ასიმილაციის გზით) **ე'**-დ იქცევა, მაგრამ მოსალოდნელი გრძელი **ე'**-ს ნაცვლად ჩვეულებრივი **ე** ისმის : პატარები, უკანები, მაგითანები და სხვ.“ (ვ.თოფურია 1924:135).

ქვემოქართველთა მეტყველებაში ვხვდებით **ა** ხმოვნის ჩავარდნას ისეთ ზედსართავებში, როგორცაა **პატარა**, მაგ.: ჩვენი **პატრა** მტირალაა., **პატრა** ეხო გვაქე. **პატრა** კიბე აქეთ მარუანთ სახლა (დიდი დმანისი).

ბოლნისისა და დმანისის ზოგიერთ სოფელში დასტურდება **ი** ხმოვნის ჩავარდნის შემთხვევებიც. მაგალითად, წელწად ისე გავიდა, ვერაფერი მოვასწარი (ს. ხატისოფელი, დიდი დმანისი, გომარეთი). სოფ. ხატისოფელში, დიდ დმანისში, ვარდისუბანსა და განთიადში იკარგება სიტყვის შიგნით მთელი მარცვალის. მაგ.: ძან (←ძალიან) „ძან ლამაზი ბავშვია; ძან მიყვარ დედაჲ და მამაჲ“

**ეუბნება** ზმნაში **უ** ხმოვანი მთელ ქვემოქართლურში იკარგვის არა ფონეტიკურ ნიადაგზე, არამედ **უ** გაგებულა ქცევის ნიშნად და აღკვეთილია; მაგ.: მებნებიან, გებნებიან, გებნეოდა, ებნევა, გეებნევა, მეებნევა ...

### თანხმოვანთა დაკარგვა

თანხმოვნებს შორის მოქცეული **ლ** და **რ** ბგერები იჩენს მერყეობას, რის გამოც ვხვდებით პარალელურ ფორმებს: **სახში** // **სახლში**, **შუფში** // **შუბლში**, **სისხში** // **სისხლში**, **ჩდილი** // **ჩრდილი**, **გძელი** // **გრძელი**, **დაფთხა** // **დაფრთხა**, **დაახჩო** // **დაახრჩო** და სხვ.

**ლ** ჩვეულებრივ იკარგება ზმნისართში „ძალიან“ მის გვერდში მყოფი ერთ-ერთი ხმოვნითურთ; მაგ.: ძან დეეწვა, ძან გეეხარდა, ძან მეეფერა, ძიან ცივა, ძიან მშიან . . .

სიტყვა **ხელმწიფე** აქაც ისევეა, როგორც სხვა რიგ კილოებში, თითქმის ყოველთვის **ლ**ასის გარეშე გვევლინება; მაგ.: **ხემწიფე** გემზადა; უბრძანა **ხემწიფემ**; სახემწიფო და სხვ. „**ლ** და **რ** ბგერათა დაკარგვას, როგორც ჩანს, ხელს უწყობს მათი სონორობა“ (გ. ახვლედიანი 1949: 212; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965: 73-144).

**დ** ჩვეულებრივ იკარგება **სადაც** და **ოღონდაც** ზმნისართებში; „**საცა** არ ჯობს, გაცლა ჯობსო; **საცა** წაველი, იქაც წავიქეცი; **ოღონც** // **ოღომც** // **ოღონდაც** ნუ იტირამ და **საცა** მეტყვი, წავიყვან“. **დ** - ს ჩავარდნა ხმოვნებს შორის გავრცელებული მოვლენაა: მოი (მოდი), წაი (წადი), გაი (გადი), შეი (შედი), მიი (მიდი), როისაც (როდესაც) . . .

აღსანიშნავია **უნდა** ზმნა, რომელიც **უნა-ს** სახით იხმარება. მაგრამ აქ **დ** დაკარგული კი არ არის, არამედ შემონახულია ძველი ქართულის აწმყოს ფორმა. იგი დასტურდება ქვემოქართლურში I და II პირის ფორმითაც **მინა** (**მინდა**), **გინა** (**გინდა**). დღევანდელ ქვემოქართლელთა მეტყველებაში მას ვხვდებით მხოლოდ III პირის ფორმით და იმასაც მაშინ, როცა ის ნაწილაკადაა გამოყენებული; მაგ.: **უნა** დეეცეს, **უნა** წეექცეს, **უნა** იტიროს, **უნა** ისწავლო, **უნა** გაჭრან და სხვ.

ქვემოქართლურში „**უნდა**“ ნაწილაკი გვევლინება **ნა-ს** სახით და წარმოთქმაში ეკვრის წინამავალ სიტყვას: ერთი **რამენა** მოგიყვე (ს. ხატი-

სოფელი), **რანა** წაუღოთ ხვალ ბავშვება (დიდი დმანისი, ვარდისუბანი, პატარა დმანისი, ს. ხატისოფელი), **მენა** მემეტანა (ს. ხატისოფელი); ამან **როგორნა** გამაცხოხოს პური (ს. ხატისოფელი, დიდი დმანისი, ჯავახი); **არნა** წავიდეთ?! **წყალინა** დალიოს (ს. ხატისოფელი, ჯავახი, დიდი და პატარა დმანისი), **ბავშვებინა** წაიყვანოს (დიდი დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, ხატისოფელი) და სხვ.

სანი ბევრ შემთხვევაში იკარგება, მაგრამ ყველგან ერთნაირი სიხშირით არ ხდება. იგი უფრო მყარია ბოლნისისა და დმანისის რაიონის ქართულ სოფლებში.

**ს**, როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ელემენტი, იკარგება **-თან** და **-თვის** თანდებულთან; მაგ.: **მმათან, დედათან, ბებიათან** და სხვ.

**არის** ზმნა ქვემოქართლურში წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის III პირის **-ს** სუფიქსის მოკვეციტ; მაგ.: დღეს კარგი დღე არი, ექიმი არი, ბავშვი არი, ცუდათ არი, პატრა არი, ძან არი...

აქვს, მოაქვს, მიაქვს ზმნებს **ვ**-სთან ერთად **ს**-ც ეკარგება. მაგ.: საქმე გაქ და მოდი, მე მაქ, შენ გაქ, მას აქ, ჩვენ გვაქ, თქვენ გაქთ, მათ აქთ; მიაქ, მიმაქ, მიგაქ, მიგვაქ, მიგაქთ, მიაქთ; მოაქ, მოაქთ...

### **ხმოვანთა რედუქცია**

ქვემოქართლურში რედუქცია იშვიათად გვხვდება. იკარგება სიტყვის ფუძისეული ხმოვანი მარედუცირებელი მაწარმოებლის დართვის გარეშე: პატრა (< პატარა), ჩუჩლა (< ჩუჩელა).

იკუმშება ცალკე მდგომი ერთმარცვლიანი სახელების ფუძე ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში და **-ებ**-იან მრავლობითში: **მსხალ** - : **მსხალ-ის**/ მსხლ-ის, მსხალ-ით / მსხლ-ით, მსხალ-ად / მსხლ-ად. მსხალ-ებ-ი / მსხლ-ებ-ი, **კვალ** - : კვალ-ის / კვლის, კვალ-ით / კვლ-ით, კვალ-ად / კვლ - ად, კვალ-ებ-ი / კვლ-ებ-ი.

იკუმშება **-იერ** დაბოლოების მქონე ფუძეები ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში და **-ებ**-იან მრავლობითში: **გონიერ**: გონიერის, გონიერით, გონიერად, განიერის, განიერით, განურად, მშვენიერი, მშვენიერის, მშვენიერით, მშვენიერად.

გვხვდება უკუმშველობის შემთხვევაც, რაც ქვემოქართლურში რედუქციის კანონის მოშლაზე მიუთითებს; მაგ.: **პამიდორის** სალათანა გავაკეთოთ (ს. ხატისოფელი), **ასტამით** უნა აიფხიკოს ვარცლიდან ცომი (დიდი დმანისი), ტომარით მუაქ დაფქული ხორბალი (ს. ხატისოფელი) და სხვ.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გაირკვა, რომ ფონეტიკური მოვლენების მიხედვით ქვემოქართლურში მეტყველება ნაირფეროვანია. ცალკეულ სოფელში დასტურდება თავისებური მოვლენები, რომლებიც საკმაოდ გამოკვეთილ სახეს ატარებს და უპირისპირდება ამა თუ იმ ფონეტიკური მოვლენის დამკვიდრებაში.

სპეციფიკური მოვლენები იხსნება ქვემო ქართლში დასახლებული პუნქტების ისტორიულ-ეთნიკური მონაცემების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1949** – ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965

**თოფურია 1924** – თოფურია ვ., ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, თბილისი, 1924, „ჩვენი მეცნიერება“; №2

**სააკაძე 2004** – სააკაძე ნ., სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქვემოქართლურში, ფ.მკ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2004.

### Nana Saakadze

#### Linguistic Peculiarities of Lower Kartlian Dialect

##### Summary

According to the phonetic facts Lower Kartlian speech is diverse. In some villages peculiar phenomena such as the loss of vowels and consonants, the vowel reduction are identified.

Taking the historical-ethnic data of Lower Kartli into consideration it is possible to explain the specific occurrences.

The paper represents such phonetic facts that are typical to the speech of the Lower Kartlian population, e.g. the loss of a vowel as a result of regressive assimilation and mergence *gadaušva* → *gadoušva* → *gaduušva* → *gadušva*; the loss of a syllable in the middle of a word *zaan* ← *zalian*; the reduction of stem vowels can be found *paṭra*, *paṭara*, etc.





ლოთ ისეთ ნაწილაკებზე, რომელთაც სუფიქსური ელემენტის სახე გააჩნიათ და დაერთვიან არსებით (საზოგადო და საკუთარ) სახელებს.

**საზოგადო სახელები**

-ი „ც“ ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები

მ ხ ო ლ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ამტყუანგ-რ   ანტყუანგ-რ „ვარსკვლა- ვიც“	ამტყუანგ-ი    ანტყუანგ-ი	ანტყუანგ-რ   ტყუანგ-რ „ნა- პერწკალი“	ანტყუანგ-ი   ამტყუანგ-ი	ანტყუანგ-რ „ნაპერწკალი“
მიც.	ამტყუანგ-ს-რ   ანტყუანგ-ს-რ „ვარ- სკვლავესაც“	ამტყუანგ-ს-ი    ანტყუანგ-ს-ი	ანტყუანგ-ს-რ   ტყუანგ-ს-რ	ანტყუანგ-ს-ი   ამტყუანგ-ს-ი	ანტყუანგ-ს-რ
მოთხ.	ამტყუანგ-დ-რ   ანტყუანგ-დ-რ „ვარ- სკვლავემაც“	ამტყუანგ-დ-ი    ანტყუანგ-დ-ი	ანტყუანგ-დ-რ   ტყუანგ-დ-რ	ანტყუანგ-დ-ი   ამტყუანგ-დ-ი	ანტყუანგ-დ-რ
ნათ.	ამტყუანგ-იშ-რ   ანტყუანგ- იშ-რ „ვარ- სკვლავეი- საც“	ამტყუანგ-იშ-ი    ანტყუანგ-იშ-ი	ანტყუანგ-იშ-რ   ტყუანგ-იშ-რ	ანტყუანგ-იშ-ი   ამტყუანგ-იშ-ი	ანტყუანგ-იშ-რ
მოქ.	ამტყუანგ-ტშ-რ   ანტყუანგ- ტშ-რ „ვარ- სკვლავეი- თაც“	ამტყუანგ-ტშ-ი    ანტყუანგ-ტშ-ი	ანტყუანგ-ტშ-რ   ტყუანგ-ტშ-რ	ანტყუანგ-ტშ-ი   ამტყუანგ-ტშ-ი	ანტყუანგ-ტშ-რ
ვით.	ამტყუანგ-დ-რ   ანტყუანგ-დ-რ „ვარ- სკვლავედაც“	ამტყუანგ-დ-ი    ანტყუანგ-დ-ი	ანტყუანგ-დ-რ   ტყუანგ-დ-რ	ანტყუანგ-დ-ი   ამტყუანგ-დ-ი	ანტყუანგ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ამტყუსგ-წრ-რ   ანტყუსგ-წრ- რ  ანტყუსგ- წრი  ანტყუსგ- წრი „ვარსკვ- ლავებიც“	ამტყუსგ-წრ-ი    ანტყუსგ-წრ- ი	ანტყუსგ-არ-რ   ტყუსგ-არ-რ	ანტყუსგ-წრი   ამტყუსგ-წრი	ანტყუსგ-წრ-რ
მიც.	ამტყუსგ-წრ-ს-რ   ანტყუსგ-წრ-ს-რ „ვარსკვლავებ- საც“	ამტყუსგ-წრ-ს-ი    ანტყუსგ-წრ- ს-ი	ანტყუსგ-არ-ს-რ   ტყუსგ-არ-ს-რ	ანტყუსგ-წრ-ს-ი   ამტყუსგ-წრ- ს-ი	ანტყუსგ-წრ-ს-რ
მოთხ.	ამტყუსგ-წრ-დ-რ   ანტყუსგ-წრ- დ-რ „ვარსკვ- ლავებმაც“	ამტყუსგ-წრ-დ-ი    ანტყუსგ-წრ- დ-ი	ანტყუსგ-არ-დ-რ   ტყუსგ-არ-დ-რ	ანტყუსგ-წრ-დ-ი   ამტყუსგ-წრ- დ-ი	ანტყუსგ-წრ-დ-რ

ნათ.	ამტყუსგ-პრ-იშ-რ   ანტყუსგ-პრ-იშ-რ „ვარსკვლავებისაგ“	ამტყუსგ-პრ-ეშ-ო    ანტყუსგ-პრ-ეშ-ო,	ანტყუსგ-არ-ეშ-რი   ტყუსგ-არ-ეშ-რი	ანტყუსგ-პრ-ეშ-ო   ამტყუსგ-პრ-ეშ-ო	ანტყუსგ-პრ-იშ-რ
მოქ.	ამტყუსგ-პრ-ტშ-რი   ანტყუსგ-პრ-ტშ-რი „ვარსკვლავებითაგ“	ამტყუსგ-პრ-ტშ-ო    ანტყუსგ-პრ-ტშ-ო	ანტყუსგ-არ-ტშ-რი   ტყუსგ-არ-ტშ-რი	ანტყუსგ-პრ-ტშ-ო   ამტყუსგ-პრ-ტშ-ო	ანტყუსგ-პრ-ტშ-რი
ვით.	ამტყუსგ-პრ-დ-რი   ანტყუსგ-პრ-დ-რი „ვარსკვლავებადაგ“	ამტყუსგ-პრ-დ-ო    ანტყუსგ-პრ-დ-ო	ანტყუსგ-არ-დ-რი   ტყუსგ-არ-დ-რი	ანტყუსგ-პრ-დ-ო   ამტყუსგ-პრ-დ-ო	ანტყუსგ-პრ-დ-რი

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ჟან-რ „ხარიც“	ჟან-ო	ჟან-რი	ჟან-ო	ჟან-რი
მიც.	ჟან-ს-რი „ხარსაგ“	ჟან-ს-ო	ჟან-ს-რი	ჟან-ს-ო	ჟან-ს-რი
მოთხ.	ჟან-დ-რი „ხარმაგ“	ჟან-დ-ო	ჟან-დ-რი  ჟან-ეშ-რი	ჟან-დ-ო	ჟან-დ-რი
ნათ.	ჟან-იშ-რი „ხარისაგ“	ჟან-ტ-ეშ-ო   ჟან-იშ-ო	ჟან-იშ-რი	ჟან-იშ-ო	ჟან-იშ-რი
მოქ.	ჟან-შტ-რი „ხარითაგ“	ჟან-შტ-ო	ჟან-ტშ-რი	ჟან/ან-ტშ-ო	ჟან-ტშ-რი
ვით.	ჟან-დ-რი „ხარადაგ“	ჟან-დ-ო	ჟან-დ-რი	ჟან-დ-ო	ჟან-დ-რი

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ჟან-პრ-რი „ხარეზიც“	ჟან-პრ-ო	ჟან-არ-რი	ჟან-პრ-ო	ჟან-არ-რი
მიც.	ჟან-პრ-ს-რი „ხარეზისაგ“	ჟან-პრ-ს-ო	ჟან-არ-ს-რი	ჟან-პრ-ს-ო	ჟან-არ-ს-რი
მოთხ.	ჟან-პრ-დ-რი „ხარეზიმაგ“	ჟან-პრ-დ-ო	ჟან-არ-დ-რი	ჟან-პრ-დ-ო	ჟან-არ-დ-რი
ნათ.	ჟან-რ-ეშ-რი „ხარეზისაგ“	ჟან-რ-ეშ-ო	ჟან-არ-ეშ-რი	ჟან-პრ-ეშ-ო	ჟან-არ-ეშ-რი
მოქ.	ჟან-პრ-შტ-რი „ხარეზითაგ“	ჟან-პრ-შტ-ო	ჟან-არ-ტშ-რი	ჟან-პრ-ტშ-ო	ჟან-არ-ტშ-რი
ვით.	ჟან-პრ-დ-რი „ხარეზებადაგ“	ჟან-პრ-დ-ო	ჟან-არ-დ-რი	ჟან-პრ-დ-ო	ჟან-არ-დ-რი

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ანგტლეზ-რი   ანგლოზ-რი „ანგელოზიც“	ანგ[ტ]ლეზ-ო	ანგლოზ-რი	ანგლოზ-ო	ანგლოზ-რი
მიც.	ანგტლეზ-ს-რი   ანგლოზ-ს-რი „ანგელოზისაგ“	ანგ[ტ]ლეზ-ს-ო	ანგლოზ-ს-რი	ანგლოზ-ს-ო	ანგლოზ-ს-რი
მოთხ.	ანგტლეზ-დ-რი   ანგლოზ-დ-რი „ანგელოზმაგ“	ანგ[ტ]ლეზ-დ-ო	ანგლოზ-დ-რი	ანგლოზ-დ-ო	ანგლოზ-დ-რი
ნათ.	ანგტლეზ-იშ-რი   ანგლოზ-იშ-რი „ანგელოზისაგ“	ანგ[ტ]ლეზ-იშ-ო	ანგლოზ-იშ-რი	ანგლოზ-იშ-ო	ანგლოზ-იშ-რი

მოქ.	წგტლეზ-შტ-რ   წგლოზ-შტ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-შტ-ი	ანგლოზ-ტშ-რ	წგლოზ-ტშ-ი	ანგლოზ-ტშ-რ
ვით.	წგტლეზ-დ-რ   წგლოზ-დ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-დ-ი	ანგლოზ-დ-რ	წგლოზ-დ-ი	ანგლოზ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	წგლოზ-პრ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-ი	ანგლოზ-არ-რ	წგლოზ-პრ-ი	ანგლოზ-არ-რ
მიც.	წგლოზ-პრ-ს-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-ს-ი	ანგლოზ-არ-ს-რ	წგლოზ-პრ-ს-ი	ანგლოზ-არ-ს-რ
მოთხ.	წგლოზ-პრ-დ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-დ-ი	ანგლოზ-არ-დ-რ	წგლოზ-პრ-დ-ი	ანგლოზ-არ-დ-რ
ნათ.	წგლოზ-პრ-ემ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-ემ-ი	ანგლოზ-არ-ემ-რ	წგლოზ-პრ-ემ-ი	ანგლოზ-არ-ემ-რ
მოქ.	წგლოზ-პრ-შტ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-შტ-ი	ანგლოზ-არ-ტშ-რ	წგლოზ-პრ-ტშ-ი	ანგლოზ-არ-ტშ-რ
ვით.	წგლოზ-პრ-დ-რ „ანგლოზობისაგ“	წგტლეზ-პრ-დ-ი	ანგლოზ-არ-დ-რ	წგლოზ-პრ-დ-ი	ანგლოზ-არ-დ-რ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	კტენ-რ „კვერნაგ“	კტენ-ი	კტენ-რ  რკტენ-რ	კტენ-ი	კტენ-რ
მიც.	კტენ-ს-რ „კვერნისაგ“	კტენ-ს-ი	კტენ-ს-რ  რკტენ-ს-რ	კტენ-ს-ი	კტენ-ს-რ
მოთხ.	კტენ-დ-რ „კვერნისაგ“	კტენ-დ-ი	კტენ-დ-რ  კტენ-ემ-რ   რკტენ-დ-რ   რკტენ-ემ-რ	კტენ-დ-ი	კტენ-დ-რ
ნათ.	კტენ-იშ-რ „კვერნისაგ“	კტენ-იშ-ი	კტენ-იშ-რ  რკტენ-იშ-რ	კტენ-იშ-ი	კტენ-იშ-რ
მოქ.	კტენ-შტ-რ „კვერნის-ობისაგ“	კტენ-შტ-ი	კტენ-ტშ-რ  რკტენ-ტშ-რ	კტენ-ტშ-ი	კტენ-შტ-რ
ვით.	კტენ-დ-რ „კვერნისაგ“	კტენ-დ-ი	კტენ-დ-რ  რკტენ-დ-რ	კტენ-დ-ი	კტენ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	კტენ-პრ-რ „კვერნისაგ“	კტენ-პრ-ი	კტენ-არ-რ  რკტენ-არ-რ	კტენ-პრ-ი	კტენ-ტ-არ-რ
მიც.	კტენ-პრ-ს-რ „კვერნისაგ“	კტენ-პრ-ს-ი	კტენ-არ-ს-რ  რკტენ-არ-ს-რ	კტენ-პრ-ს-ი	კტენ-ტ-არ-ს-რ
მოთხ.	კტენ-პრ-დ-რ „კვერნისაგ“	კტენ-პრ-დ-ი	კტენ-არ-დ-რ  რკტენ-არ-დ-რ	კტენ-პრ-დ-ი	კტენ-ტ-არ-დ-რ
ნათ.	კტენ-რ-ემ-რ „კვერნისაგ“	კტენ-პრ-ემ-ი  კტენ-რ-ემ-ი	კტენ-არ-ემ-რ  რკტენ-არ-ემ-რ	კტენ-პრ-ემ-ი	კტენ-ტ-არ-ემ-რ
მოქ.	კტენ-პრ-შტ-რ „კვერნისობისაგ“	კტენ-პრ-შტ-ი	კტენ-არ-ტშ-რ  რკტენ-არ-ტშ-რ	კტენ-პრ-ტშ-ი	კტენ-ტ-არ-ტშ-რ
ვით.	კტენ-პრ-დ-რ „კვერნისაგ“	კტენ-პრ-დ-ი	კტენ-არ-დ-რ  რკტენ-არ-დ-რ	კტენ-პრ-დ-ი	კტენ-ტ-არ-დ-რ

შდრ. ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. კენ-ო „კვერნაც“	კენ-პრ-ო „კვერნებიც“
მიც. კენ-ს-ო „კვერნასაც“	კენ-პრ-ს-ო „კვერნებსაც“
მოთხ. კენ-დ-ო „კვერნამაც“	კენ-პრ-დ-ო „კვერნებმაც“
ნათ. კენ-იშ-ო „კვერნისაც“	კენ-რ-ემ-ო „კვერნებისაც“
მოქმ. კენ-შტ-ო „კვერნითაც“	კენ-პრ-შტ-ო „კვერნებითაც“
ვით. კენ-დ-ო „კვერნადაც“	კენ-პრ-დ-ო „კვერნებადაც“

როგორც -ო „ც“ ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებს ბრუნებამ აჩვენა, ნაწილაკის დართვა არც მხოლოდით და არც მრავლობით რიცხვში არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ერთადერთი გამონაკლისია ლახამულური კილოკავი, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მრავლობითის ნიშნისეული ხმოვანი (წ) თითქმის ყველგან ეკვეცება: ამტყუასგ-რ-ემ-ო „ვარსკვლავებისაც“, კენ-რ-ემ-ო „კვერნებისაც“, პნგლეზ-რ-ემ-ო „ანგელოზებისაც“. რაც შეეხება სვანურის ტრადიციულად ცნობილ დიალექტებსა (ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლაშხურსა და ლენტეხურს) და ჩოლურულ მეტყველებას, იქ მრავლობითისეული (პრ) სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი ყველგან შენარჩუნებულია.

-ო „ც“ ნაწილაკიანი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები

-ა ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	დინა-რ „გოგონაც“	დინა-ო	დინა-რ	დენა-ო	დინა-მ
მიც.	დინა-ს-რ „გოგონასაც“	დინა-ს-ო	დინა-ს-რ	დენა-ს-ო	დინა-ს-რ
მოთხ.	დინა-დ-რ „გოგონამაც“	დინა-დ-ო	დინა-დ-რ	დენა-დ-ო	დინა-დ-რ
ნათ.	დინა-შ-რ (←დინა-შ) „გოგონასიც“	დინა-შ-ო	დინა-შ-რ	დენა-შ-ო	დინა-შ-რ
მოქ.	დინა-ტშ-რ    დინა-რ-შ-რ „გოგონათიც“	დინა-ტშ-ო    დინა-რ-შ-ო	დინა-ტშ-რ	დენა-ტშ-ო	დინა-ტშ-რ
ვით.	დინა-დ-რ „გოგონა-დაც“	დინა-დ-ო	დინა-დ-რ	დენა-დ-ო	დინა-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	დინ-პლ-რ „გოგონებიც“	დინ-ოლ-ო	დინ-პლ-რ	ნადენ-პრ-ო	დინ-პლ-რ
მიც.	დინ-პლ-ს-რ „გოგონებსაც“	დინ-ოლ-ს-ო	დინ-პლ-ს-რ	ნადენ-პრ-ს-ო	დინ-პლ-ს-რ
მოთხ.	დინ-პლ-დ-რ „გოგონებმაც“	დინ-ოლ-დ-ო	დინ-პლ-დ-რ	ნადენ-პრ-დ-ო	დინ-პლ-დ-რ
ნათ.	დინ-პლ-ემ-რ    დინ-პლ-რ-ემ-რ „გოგონებისაც“	დინ-ოლ-ემ-ო	დინ-პლ-ემ-რ	ნადენ-პრ-ემ-ო	დინ-პლ-ემ-რ
მოქ.	დინ-პლ-შტ-რ „გოგონებითაც“	დინ-ოლ-შტ-ო	დინ-პლ-შტ-რ	ნადენ-პრ-შტ-ო	დინ-პლ-შტ-რ

ვით.	დრ-ალ-დ-რ „გოგონებადაც“	დინ-ოლ-დ-ი	დრნ-ალ-დ-რ	ნადენ-არ-დ-ი	დრნ-ალ-დ-რ
------	----------------------------	------------	------------	--------------	------------

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ნექჷნ-მ „წარ- ბიც“	ნექჷა-ი	ნიქჷნ-მ	ნიქეჷა-მ	ნიქჷნ-მ ნი- ქეჷნ-მ
მიც.	ნექჷა-ს-რ „წარ- ბსაც“	ნექჷა-ს-ი	ნიქჷა-ს-რ	ნიქეჷა-ს-ი	ნიქჷა-ს-რ ნი- ქეჷა-ს-რ
მოთხ.	ნექჷა-დ-რ „წარ- ბმაც“	ნექჷა-დ-ი	ნიქჷა-დ-რ	ნიქეჷა-დ-ი	ნიქჷა-დ-რ ნი- ქეჷა-დ-რ
ნათ.	ნექჷჷ-შ-რ „წარ- ბისაც“	ნექჷა-შ-ი	ნიქჷა-შ-რ	ნიქეჷა-შ-ი	ნიქჷა-შ-რ ნი- ქეჷა-შ-რ
მოქ.	ნექჷა-შჷ-რ „წარბებითაც“	ნექჷა-შჷ-ი	ნიქჷა-ჷშ-რ	ნიქეჷა-ჷშ-ი	ნიქჷა-ჷშ- რ ნიქეჷა-ჷშ- რ
ვით.	ნექჷა-დ-რ „წარ- ბადაც“	ნექჷა-დ-ი	ნიქჷა-დ-რ	ნიქეჷა-დ-ი	ნიქჷა-დ-რ ნი- ქეჷა-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ნექჷ-არ-რ „წარბეზიც“	ნექჷ-არ-ი	ნიქჷ-არ-რ	ნიქეჷ-არ-ი	ნიქჷ-არ- რ ნიქეჷ-არ- რ
მიც.	ნექჷ-არ-ს-რ „წარბეზსაც“	ნექჷ-არ-ს-ი	ნიქჷ-არ-ს-რ	ნიქეჷ-არ-ს-ი	ნიქჷ-არ-ს- რ ნიქეჷ-არ- ს-რ
მოთხ.	ნექჷ-არ-დ-რ „წარბეზმაც“	ნექჷ-არ-დ-ი	ნიქჷ-არ-დ-რ	ნიქეჷ-არ-დ-ი	ნიქჷ-არ-დ- რ ნიქეჷ-არ- დ-რ
ნათ.	ნექჷ-არ-ეშ-რ „წარბეზისაც“	ნექჷ-არ-ეშ-ი	ნიქჷ-არ-ეშ-რ	ნიქეჷ-არ-ეშ-ი	ნიქჷ-არ-ეშ- რ ნიქეჷ-არ- ეშ-რ
მოქ.	ნექჷ-არ-შჷ-რ „წარბეზითაც“	ნექჷ-არ-შჷ-ი	ნიქჷ-არ-ჷშ-რ	ნიქეჷ-არ-ჷშ-ი	ნიქჷ-არ-ჷშ- რ ნიქეჷ-არ- ჷშ-რ
ვით.	ნექჷ-არ-დ-რ „წარბეზადაც“	ნექჷა-არ-დ-ი	ნიქჷა-არ-დ-რ	ნიქეჷ-არ-დ-ი	ნიქჷ-არ-დ- რ ნიქეჷ-არ- დ-რ

მსგავსი ბრუნებისაა, ასევე, -ა ხმოვანზე დაბოლოებული შემდეგი არსებითი სახელები: **ბუზა** „ბიძია“, **გოგა** „დეიდა, მამიდა, ბიცოლა, დედამთილი, სიდედრი“, **დადა** „ბებია“, **ბაბა** „ბაბუა“, **თელღერა/ თელღრა/ თერღლა/თელღრა** „რძალი“, **ნებგჷა/ნიგზა/ნიგოზა** „მუბლი“, **ჰწყზა/ჰაყჷზა/აზაყა** „ლოყა, ყბა“, **სისნა** „წიწვი“ და ა. შ.

-ა ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები -ი „ც“ ნაწილაკის დართვისას ერთადერთ თავისებურებას, მსგავსად თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებისა, ლახამულური კილოკავის მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ავლენენ (შდრ. **ნექჷ-რ-ეშ-ი** „წარბეზისაც“), ეკვეცებათ მრავლობითისეული ხმოვნითი ელემენტი, თუმცა ის ფორმები, რომელთაც მრავლობითში -ოლ სუფიქსი დაერთვით, მათ ხმოვნითი ელემენტი უნარჩუნდებათ.

-ე ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბჟ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	მწრე-მ „კაციც“	მარე-მ	მწრე-მ	მარე-მ	მწრე-მ
მიც.	მწრე-ს-რ „კაცსაც“	მარე-ს-ი  მარა-ს-ი	მწრე-ს-რ	მარე-ს-ი	მწრე-ს-რ
მოთხ.	მწრე-დ-რ  მწრა-დ-რ  მწრ-ემ-დ-რ „კაცმაც“	მარე-დ-ი  მარე-მ-ი	მწრე-დ-რ	მარე-დ-ი	მწრე-დ-რ
ნათ.	მწრემ-იშ-რ „კაცი-საც“	მარე-შ-ი  მარე-მ-იშ-ი	მწრემ-იშ-რ	მარე-მ-იშ-ი	მწრე-შ-რ
მოქ.	მწრე-შტ-რ  მწრა-შტ-რ  მწრ-ოშ-რ „კაციტაც“	მარე-შტ-ი  მარა-შტ-ი  მარ-ოშ-ი	მწრე-შტ-რ	მარ-ოშ-ი	მწრე-შტ-რ
ვით.	მწრა-დ-რ „კაცა-დაც“	მარე-დ-ი  მარა-დ-ი	მწრე-დ-ი	მარე-დ-ი	მწრე-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბჟ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	მწრ-წლ-რ „კაცი-ზიც“	მაროლ-ი	მწრ-წლ-რ	მარ-წლ-ი	მწრ-წლ-რ
მიც.	მწრ-წლ-ს-რ „კაცი-ცეზსაც“	მაროლ-ს-ი	მწრ-წლ-ს-რ	მარ-წლ-ს-ი	მწრ-წლ-ს-რ
მოთხ.	მწრ-წლ-დ-რ „კაცი-ცემაც“	მაროლ-დ-ი	მწრ-წლ-დ-რ	მარ-წლ-დ-ი	მწრ-წლ-დ-რ
ნათ.	მწრ-წლ-ემ-რ „კაცი-ცებისაც“	მაროლ-ემ-ი	მწრ-წლ-ემ-რ	მარ-წლ-ემ-ი	მწრ-წლ-ემ-რ
მოქ.	მწრ-წლ-ტშ-რ „კაცი-ცებიტაც“	მაროლ-შტ-ი	მწრ-წლ-ტშ-რ	მარ-წლ-ტშ-ი	მწრ-წლ-ტშ-რ
ვით.	მწრ-წლ-დ-რ „კაცი-ცებადაც“	მაროლ-დ-ი	მწრ-წლ-დ-რ	მარ-წლ-დ-ი	მწრ-წლ-დ-რ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზუ.	ბჟ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	თხერე-მ „მგელიც“	თხერე-მ	თხერე-მ	თხერე-მ	თხერე-მ
მიც.	თხერე-ს-რ „მგელსაც“	თხერე-ს-ი  თხერა-ს-ი	თხერე-ს-რ	თხერე-ს-ი	თხერე-ს-რ
მოთხ.	თხერე-დ-რ  თხერა-დ-რ  თხერ-ემ-დ-რ „მგელმაც“	თხერე-დ-ი  თხერე-მ-ი	თხერე-დ-რ	თხერე-დ-ი	თხერე-დ-რ
ნათ.	თხერ-ემ-იშ-რ „მგლისაც“	თხერე-შ-ი  თხერე-მ-იშ-ი	თხერ-ემ-იშ-რ	თხერე-მ-იშ-ი  თხერე-ამი	თხერ-ემ-იშ-რ
მოქ.	თხერე-შტ-რ  თხერა-შტ-რ  თხერ-ოშ-რ „მგლებიტაც“	თხერე-შტ-ი  თხერა-შტ-ი  თხერ-ოშ-ი	თხერე-შტ-რ	თხერ-ოშ-ი  თხერე-შტ-ი	თხერე-შტ-რ
ვით.	თხერა-დ-რ „მგლადაც“	თხერე-დ-ი  თხერა-დ-ი	თხერე-დ-რ	თხერე-დ-ი	თხერე-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	თხერ-წლ-რ „მგლებიც“	თხერ-ოლ-ი	თხერ-ელ-რ	თხერ-წლ-ი	თხერ-წლ-რ
მიც.	თხერ-წლ-ს-რ „მგლებსაც“	თხერ-ოლ-ს-ი	თხერ-ელ-ს-რ	თხერ-წლ-ს-ი	თხერ-წლ-ს-რ
მოთხ.	თხერ-წლ-დ-რ „მგლებმაც“	თხერ-ოლ-დ-ი	თხერ-ელ-დ-რ	თხერ-წლ-დ-ი	თხერ-წლ-დ-რ
ნათ.	თხერ-წლ-ეშ-რ „მგლებისაც“	თხერ-ოლ-ეშ-ი	თხერ-ელ-ეშ-რ	თხერ-წლ-ეშ-ი	თხერ-წლ-ეშ-რ
მოქ.	თხერ-წლ-ტშ-რ „მგლებითაც“	თხერ-ოლ-ტშ-ი	თხერ-ელ-ტშ-რ	თხერ-წლ-ტშ-ი	თხერ-წლ-ტშ-რ
ვით.	თხერ-წლ-დ-რ „მგლებადაც“	თხერ-ოლ-დ-ი	თხერ-ელ-დ-რ	თხერ-წლ-დ-ი	თხერ-წლ-დ-რ

ზემოთ წარმოდგენილ -ე ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო არსებით სახელთა მსგავსად იბრუნვის შემდეგი არსებითი სახელები: **დერე** „ხევში ჩაწოლილი გაყინული თოვლი“, **მეზგე** „მოსახლე, ოჯახი, მეკომური“, **მესგტრე** „მოსამსახურე“, **მერე/მერე** „ღრუბელი“, **მიმჯე** „მოკეთე, ნათესავი“, **ჟაბე/ჟახე** „სახელი“, **ფხულე/ფხოლე** „თითი“, **ღტესე/ღტასე/ღტასე/ღოსე** „ბადექონი და სხვ.

-ე ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთა ბრუნებისას გამოვლენილი ერთადერთი თავისებურება კვლავაც ლახამულურმა კილოკავმა აჩვენა, თუმცა ამჯერად მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში (მაგ. **თხერა-ი** „მგელსაც“...).

-ი ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	მელენ-რ „ლაშქარაც“	მელენი-ი	მელენ-რ	მელენი-ი	მელენ-რ
მიც.	მელენ-ს-რ „ლაშქარასაც“	მელენი-ს-ი	მელენ-ს-რ	მელენი-ს-ი	მელენ-ს-რ
მოთხ.	მელენ-დ-რ „ლაშქარამაც“	მელენი-დ-ი	მელენ-დ-რ	მელენი-დ-ი	მელენ-დ-რ
ნათ.	მელენ-იშ-რ „ლაშქარისაც“	მელენი-შ-ი	მელენ-იშ-რ	მელენი-შ-ი  -მელენი-იშ-ი	მელენ-იშ-რ
მოქ.	მელენ-ტშ-რ „ლაშქარითაც“	მელენი-ტშ-ი	მელენ-ტშ-რ	მელენი-ტშ-ი	მელენ-ტშ-რ
ვით.	მელენ-დ-რ „ლაშქარადაც“	მელენი-დ-ი	მელენ-დ-რ	მელენი-დ-ი	მელენ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	მელენ-აწრ-რ „ლაშქარებიც“	მელენი-აწრ-ი	მელენ-აწრ-რ	მელენი-აწრ-ი	მელენ-აწრ-რ
მიც.	მელენ-აწრ-ს-რ „ლაშქარებსაც“	მელენი-აწრ-ს-ი	მელენ-აწრ-ს-რ	მელენი-აწრ-ს-ი	მელენ-აწრ-ს-რ
მოთხ.	მელენ-აწრ-დ-რ „ლაშქარებმაც“	მელენი-აწრ-დ-ი	მელენ-აწრ-დ-რ	მელენი-აწრ-დ-ი	მელენ-აწრ-დ-რ
ნათ.	მელენ-აწრ-ეშ-რ „ლაშქარებისაც“	მელენი-აწრ-ეშ-ი	მელენ-აწრ-ეშ-რ	მელენი-აწრ-ეშ-ი	მელენ-აწრ-ეშ-რ

მოქ.	<b>მელენ-აწრ-შტ-რ</b> „ლაშქარებთაც“	<b>მელენი-წრ-შტ-ო</b>	<b>მელენ-არ-ტშ-რ</b>	<b>მელენი-წრ-ტშ-ო</b>	<b>მელენ-არ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>მელენ-აწრ-დ-რ</b> „ლაშქარებადაც“	<b>მელენი-წრ-დ-ო</b>	<b>მელენ-არ-დ-რ</b>	<b>მელენი-წრ-დ-ო</b>	<b>მელენ-არ-დ-რ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ცხტ-რ</b> „ისარიც, ტყვი- აც, ნესტარიც“	<b>ცხტი-ა</b>	<b>ცხუ-რ</b>	<b>ცხტი-ა</b>	<b>ცხტი-რ</b>
მიც.	<b>ცხტი-ს-რ</b> „ისარსაც, ტყვიასაც, ნესტარსაც“	<b>ცხტი-ს-ო</b>	<b>ცხუ-ს-რ</b>	<b>ცხტი-ს-ო</b>	<b>ცხტი-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ცხტი-დ-რ</b> „ისარმაც, ტყვიამაც, ნესტარმაც“	<b>ცხტი-დ-ო</b>	<b>ცხუ-დ-რ</b>	<b>ცხტი-დ-ო</b>	<b>ცხტი-დ-რ</b>
ნათ.	<b>ცხტი-მ-იშ-რ  ცხუ-მ- იშ-რ</b> „ისრისაც, ტყვი- ისაც, ნესტარისაც“	<b>ცხტი-მ-იშ-ო   ცხუ-ემ-იშ-ო   ცხტი-იშ-ო</b>	<b>ცხუ-ემ-რ</b>	<b>ცხტი-მ-იშ-ო   ცხუ-ემ-იშ-ო   ცხტი-ამ-ო</b>	<b>ცხტი-შ-რ</b>
მოქ.	<b>ცხტი-შტ-რ</b> „ისრიითაც, ტყვიითაც, ნესტარი- თაც“	<b>ცხტი-შტი-ო</b>	<b>ცხუ-ტშ-რ</b>	<b>ცხტი-ტშ-ო</b>	<b>ცხტი-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ცხტი-დ-რ</b> „ისრადაც, ტყვიადაც, ნესტრა- დაც“	<b>ცხტი-დ-ო</b>	<b>ცხუ-დ-რ</b>	<b>ცხტი-დ-ო</b>	<b>ცხტი-დ-რ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ცხტი-წრ-რ</b> „ისრე- ბიც, ტყვიებიც, ნესტრებიც“	<b>ცხტი-წრ-ო</b>	<b>ცხუ-არ-რ</b>	<b>ცხტი-წრ-ა</b>	<b>ცხუ-წრ-რ</b>
მიც.	<b>ცხტი-წრ-ს-რ</b> „ის- რებსაც, ტყვიებ- საც, ნესტრებსაც“	<b>ცხტი-წრ-ს-ო</b>	<b>ცხუ-არ-ს-რ</b>	<b>ცხტი-წრ-ს-ო</b>	<b>ცხუ-წრ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ცხტი-წრ-დ-რ</b> „ის- რებმაც, ტყვიებ- მაც, ნესტრებმაც“	<b>ცხტი-წრ-დ-ო</b>	<b>ცხუ-არ-დ-რ</b>	<b>ცხტი-წრ-დ-ო</b>	<b>ცხუ-წრ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ცხტი-წრ-ემ-რ</b> „ის- რებისაც, ტყვიები- საც, ნესტრებისაც“	<b>ცხტი-მ-აწრ-ემ- ო  ცხუ-მ-აწრ-ემ- ო  ცხტი-წრ-ემ-ო</b>	<b>ცხუ-მ-აწრ- ემ-რ  ცხუ-არ- ემ-რ</b>	<b>ცხტი-წრ-ემ-ო</b>	<b>ცხუ-მ-აწრ- ემ-რ   ცხუ-წრ-ემ-რ</b>
მოქ.	<b>ცხტი-წრ-შტი-რ</b> „ის- რებითაც, ტყვიებითაც, ნესტრებითაც“	<b>ცხტი-წრ-შტი-ო</b>	<b>ცხუ-არ-ტშ-რ</b>	<b>ცხტი-წრ-ტშ-ო</b>	<b>ცხუ-წრ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ცხტი-წრ-დ-რ</b> „ის- რებადაც, ტყვიება- დაც, ნესტრება- დაც“	<b>ცხტი-წრ-დ-ო</b>	<b>ცხუ-არ-დ-რ</b>	<b>ცხტი-წრ-დ-ო</b>	<b>ცხუ-წრ-დ-რ</b>

**შენიშვნა:** ლახამულური ბრუნება მხოლოდით რიცხვში ბალსქვემო-  
ურს მიჰყვება, მრავლობით რიცხვში კი ბალსქვემოურთან საერთო ფორმე-  
ბის გარდა პარალელური ფორმებიც მოეპოვება. მაგ.:

- სახ. **ცხტი-წრ-ო||ცხუ-წრ-ო**
- მიც. **ცხტი-წრ-ს-ო||ცხუ-წრ-ს-ო**
- მოთხრ. **ცხტი-წრ-დ-ო||ცხუ-წრ-დ-ო**



ნათ. ცხტი-მ-აზრ-ემ-ო||ცხუ-მ-აზრ-ემ-ო||ცხტი-ზრ-ემ-ო  
 მოქმ. ცხტი-ზრ-შტი-ო||ცხუ-ზრ-შტი-ო  
 ვით. ცხტი-ზრ-დ-ო||ცხუ-ზრ-დ-ო

აღნიშნულ სახელთა მსგავსად იბრუნვის, აგრეთვე, -ო ხმოვანზე დაბოლოებული შემდეგი საზოგადო არსებითი სახელები: გებენი „სარზე დადგმული თივის უზარმაზარი ზვინი“, ქეშენი/ქეშენი 1. „მიცვლებულის პატივსაცემად საფლავზე აღმართული პატარა შენობა“, 2. „ქვის კარავი მთაში თავშესაფარებლად“, მურგუტი/მურგუტი „თამელი“, ბაბანი/ბაბანი/ზებანი „მხლის საადრეო ჯიში“, კუჭში/კუჭში/კუჭში/კუჭში „მჭადი“, ნაგზი/ნაგზი „კვირა, მსგეფსი“ და მრავ. სხვ.

აღნიშნულ სახელებზე ნაწილაკის დართვა ბალსზემოურ დიალექტში იშვიათ შემთხვევაში ცვლის ნათესაობათ ბრუნვაში დასმულ სახელს (შდრ. ერთი მხრივ, უნაწილაკო ცხტირში „ისრის“ და, მეორე მხრივ, ნაწილაკიანი ცხტირში), თუმცა ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი არა აქვს.

-ო ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ყირ-მ „ყივა-ნახველაც“	შდრ. კორკოც	ყირ-მ	ყირ-მ	ყირ-მ
მიც.	ყირ-ს-რ „ყივა-ნახველასაც“		ყირ-ს-რ	ყირ-ს-ო	ყირ-ს-რ
მოთხ.	ყირ-[დ]-დ-რ „ყივანახველამაც“		ყირ-დ-რ	ყირ-დ-ო	ყირ-დ-რ
ნათ.	ყირ-შ-რ „ყივა-ნახველისაც“		ყირ-შ-რ	ყირ-მშ-ო	ყირ-შ-რ
მოქ.	ყირ-შტი-რ „ყივანახველითაც“		ყირ-შტი-რ	ყირ-შტი-ო	ყირ-შტი-რ
ვით.	ყირ-დ-რ „ყივანახველამაც“		ყირ-დ-რ	ყირ-დ-ო	ყირ-დ-რ

შენიშვნა: აღნიშნულ ლექსემას მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება.

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	გაგ-მ „გუგულიც“	გიგუ-მ	გეგ-მ	გეგ-მ	გეგ-მ
მიც.	გაგ-ს-რ „გუგულსაც“	გიგუ-ს-ო	გეგ-ს-რ	გეგ-ს-ო	გეგ-ს-რ
მოთხ.	გაგ-[დ]-დ-რ „გუგულმაც“	გიგუ-დ-ო	გეგ-დ-რ	გეგ-დ-ო	გეგ-დ-რ
ნათ.	გაგ-შ-რ/გაგტი-შ-რ „გუგულისაც“	გიგუ-შ-ო	გეგ-შ-რ	გეგ-მშ-ო	გეგ-შ-რ
მოქ.	გაგ-შტი-რ „გუგულითაც“	გიგუ-შტი-ო	გეგ-შტი-რ	გეგ-შტი-ო	გეგ-შტი-რ
ვით.	გაგ-დ-რ „გუგულამაც“	გიგუ-დ-ო	გეგ-დ-რ	გეგ-დ-ო	გეგ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>გაგტუ-წლ-რ</b> „გუგულები- ბიც“	<b>გიგუ-წრ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-რ</b>	<b>გეგო-წრ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-რ</b>
მიც.	<b>გაგტუ-წლ-ს-რ</b> „გუგუ- ლებსაც“	<b>გიგუ-წრ-ს-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ს-რ</b>	<b>გეგო-წრ-ს-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>გაგტუ-წლ-დ-რ</b> „გუგუ- ლებმაც“	<b>გიგუ-წრ-დ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-დ-რ</b>	<b>გეგო-წრ-დ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-დ-რ</b>
ნათ.	<b>გაგტუ-წლ-ეშ-რ</b> „გუგუ- ლებისაც“	<b>გიგუ-წრ-ეშ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ეშ-რ</b>	<b>გეგო-წრ-ეშ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ეშ-რ</b>
მოქ.	<b>გაგტუ-წლ-შტ-რ</b> „გუ- გულები- თაც“	<b>გიგუ-წრ-ტშ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ტშ-რ</b>	<b>გეგო-წრ-ტშ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>გაგტუ-წლ-დ-რ</b> „გუგუ- ლებადაც“	<b>გიგუ-წრ-დ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-დ-რ</b>	<b>გეგო-წრ-დ-ო</b>	<b>გეგრლ-არ-დ-რ</b>

**შენიშვნა:** ბალსქვემოურში აღნიშნული ლექსიკური ერთეული -უ ხმოვანზეა დაბოლოებული.

მსგავსი ბრუნებისაა შემდეგი საზოგადო არსებითი სახელები: **გურო** „ურქო თხა“, **საბჭო/საბჭო** „საბჭო“, **სტამფილო/სტამფილო** „სტამფილო“, **ტყაჩო** „ტყისმცველი“, **ტყუბულო** „ტყემლის ორი ნაყოფი, ერთად შეზრდილი“, **ფესო** „ფესვი, ძირი“, **საჭირო/საჭირო** „საჭირო“, **სამანტერესო/საინტერესო** „საინტერესო“, **გადო** „გადია, გამზრდელი“ და სხვ., თუმცა -ო ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები იშვიათობაა სვანურში.

-უ ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ტუნუ-ა</b> „ქოთანიც“	<b>ტუნუ-ა</b>	<b>ტუნუ-ა</b>	<b>ტუნუ-ა</b>	<b>ტუნუ-ა</b>
მიც.	<b>ტუნუ-ს-რ</b> „ქოთანსაც“	<b>ტუნუ-ს-ო</b>	<b>ტუნუ-ს-რ</b>	<b>ტუნუ-ს-ო</b>	<b>ტუნუ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ტუნუ-დ-რ</b> „ქოთან- მაც“	<b>ტუნუ-დ-ო</b>	<b>ტუნუ-დ-რ</b>	<b>ტუნუ-დ-ო</b>	<b>ტუნუ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ტუნ-იშ-რ ტუნტ-იშ-რ</b> „ქოთნისაც“	<b>ტუნუ-ჰშ-ო</b>	<b>ტუნუ-შ-რ</b>	<b>ტუნუ-აშ-ო</b>	<b>ტუნუ-შ-რ</b>
მოქ.	<b>ტუნუ-ტშ-რ ტუნუ-შტ-რ</b> „ქოთნითაც“	<b>ტუნუ-შტ-ო</b>	<b>ტუნუ-ტშ-რ</b>	<b>ტუნუ-ტშ-ო</b>	<b>ტუნუ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ტუნუ-დ-რ</b> „ქოთან- დაც“	<b>ტუნუ-დ-ო</b>	<b>ტუნუ-დ-რ</b>	<b>ტუნუ-დ-ო</b>	<b>ტუნუ-დ-რ</b>

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ტუნუ-წრ-რ</b> „ქოთნებიც“	<b>ტუნუ-წრ-ო</b>	<b>ტუნუ-არ-რ</b>	<b>ტუნუ-წრ-ო</b>	<b>ტუნუ-არ-რ</b>

მიც.	ტუნუ-არ-ს-რ „ქოთნებსაც“	ტუნუ-არ-ს-ი	ტუნუ-არ-ს-რ	ტუნუ-არ-ს-ი	ტუნუ-არ-ს-რ
მოთხ.	ტუნუ-არ-დ-რ „ქოთნებმაც“	ტუნუ-არ-დ-ი	ტუნუ-არ-დ-რ	ტუნუ-არ-დ-ი	ტუნუ-არ-დ-რ
ნათ.	ტუნუ-არ-ემ-რ „ქოთნებისაც“	ტუნუ-არ-ემ-ი	ტუნუ-არ-ემ-რ	ტუნუ-არ-ემ-ი	ტუნუ-არ-ემ-რ
მოქ.	ტუნუ-არ-ჟი-რ „ქოთნებითაც“	ტუნუ-არ-ჟი-ი	ტუნუ-არ-ჟი-რ	ტუნუ-არ-ჟი-ი	ტუნუ-არ-ჟი-რ
ვით.	ტუნუ-არ-დ-რ „ქოთნებადაც“	ტუნუ-არ-დ-ი	ტუნუ-არ-დ-რ	ტუნუ-არ-დ-ი	ტუნუ-არ-დ-რ

მ ხ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლმხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	მუ-მ „მამაც“	მუ-მ	მუ-მ	მუ-მ	მუ-მ
მიც.	მუ-ს-რ „მამსაც“	მუ-ს-ი	მუ-ს-რ	მუ-ს-ი	მუ-ს-რ
მოთხ.	მუ-დ-რ „მამამაც“	მუ-დ-ი	მუ-დ-რ	მუ-დ-ი	მუ-დ-რ
ნათ.	მუ-ემ-რ  მუ-ემ-რ „მა- მისაც“	მუ-ემ-ი  მუ-ემ-იშ-ი   მუ-ემ-ი	მუ-ემ-რ	მუ-ემ-ი	მუ-ემ-რ
მოქ.	მუ-ჟი-რ  მუ-ჟი-რ „მამითაც“	მუ-ჟი-რ-ი	მუ-ჟი-რ	მუ-ჟი-ი	მუ-ჟი-რ
ვით.	მუ-დ-რ „მამადაც“	მუ-დ-ი	მუ-დ-რ	მუ-დ-ი	მუ-დ-რ

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზხ.	ბქ.	ლმხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ლამუ-ა-მ  მუ-ლ-არ-უ- ა „მამებიც“	ლამუ-ა-მ	მუ-არ-რ	ლამუ-ა-მ	მუ-არ-რ
მიც.	ლამუ-ა-ს-რ  მუ-ლ-არ- უ-ს-რ „მამებსაც“	ლამუ-ა-ს-ი	მუ-არ-ს-რ	ლამუ-ა-ს-ი	მუ-არ-ს-რ
მოთხ.	ლამუ-ა-დ-რ  მუ-ლ-არ- უ-დ-რ „მამებმაც“	ლამუ-ა-დ-ი	მუ-არ-დ-რ	ლამუ-ა-დ-ი	მუ-არ-დ-რ
ნათ.	ლამუ-ემ-რ  მუ-ლ-არ- ჟი-ემ-რ „მამებისაც“	ლამუ-ა-შ-ი	მუ-არ-ემ-რ	ლამუ-ა-შ-ი   ლამუ-ა-შ-ი	მუ-არ-ემ-რ
მოქ.	ლამუ-ა-ჟი-რ  მუ-ლ- არ-ჟი-რ „მამები- თაც“	ლამუ-ა-შ-ი	მუ-არ-ჟი-რ	ლამუ-ა-ჟი-ი	მუ-არ-ჟი-რ
ვით.	ლამუ-ა-დ-რ  მუ-ლ-არ- დ-რ „მამებადაც“	ლამუ-ა-დ-ი	მუ-არ-დ-რ	ლამუ-ა-დ-ი	მუ-არ-დ-რ

-უ ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელებიც იშვიათად დასტურდება სვანურში (მაგ.:გადუ „გადია, გამზრდელი; ბებიაქალი“, გიგუ „გუგული“, გზუ „ურქო თხა, დოლა“, ზუნტუ/ზუნტუ „ზღმარტლი“, ნეფყუ „ურბი, თავსაბურავი“, შატლუ/შალუ „მამალი ფუტკარი“, წკურუ „ჭკურუტანა“, წინაკუ „ქვა“, ჰურუ/ჰურუ „აუფუბელი ცომის პური; ხმიადი“, ჯურუ „ხვრელი“...) და ისინი თითქმის ისევე იბრუნვიან -ი „ც“ ნაწილაკის დართვისას, როგორც ზემოთ წარმოდგენილი – ტუნუ და მუ ლექსიკური ერთეულები. სხვაობაა მრავლობით რიცხვში, რაზეც მოწმობს, ერთი მხრივ, ტუნუარ, ტუნუარს, ტუნუარდ... და, მეორე მხრივ, ლამუა, ლამუას, ლამუად..., მუალარ, მუალარს, მუალარდ... ფორმათა მრავლობითის წარმოება.

აქვე შევნიშნავთ, რომ ლახამულური კილოკავი -უ ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო არსებით სახელებზე -ი ნაწილაკის დართვისას როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ზო-

გიერთ სახელთან თავისებურებას ავლენს (მაგ., მხ. რ., ნათ. ბრ. **ტუნუ-იშ-ი**, მრ. რ. ნათ. ბრ. **ტუნუ-წრ-ე-ი**), რაც მას საგრძნობლად განასხვავებს ბალსკვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან (შდრ. ბქ. **ტუნუ-წშ-ი** და **ტუნუ-წრ-ეშ-ი**).

-ი „ც“ ნაწილაკიანი ტოპონიმები

თვალსაჩინოებისათვის ცალკე წარმოვადგენთ ნაწილაკიან ტოპონიმთა ბრუნების ნიმუშებს სვანურის ყველა დიალექტისა და მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მიხედვით.

-ი „ც“ ნაწილაკიან თანხმოვანფუძიან ტოპონიმთა ბრუნება

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	გზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>შტან-რ</b> „სვანეთიც“	<b>შტან-ი</b>	<b>შტან-რ</b>	<b>შტან-ი</b>	<b>შტან-რ</b>
მიც.	<b>შტან-ს-რ</b> „სვანეთსაც“	<b>შტან-ს-ი</b>	<b>შტან-ს-რ</b>	<b>შტან-ს-ი</b>	<b>შტან-ს-რ</b>
მოთხ.	<b>შტან-დ-რ</b> „სვანეთმაც“	<b>შტან-დ-ი</b>	<b>შტან-დ-რ</b>	<b>შტან-დ-ი</b>	<b>შტან-დ-რ</b>
ნათ.	<b>შტან-იშ-რი</b>    <b>შტან-აშ-რი</b>    <b>შტან-ეშ-რი</b> „სვანეთისაც“	<b>შტან-იშ-ი</b>    <b>შტან-ეშ-ი</b>	<b>შტან-იშ-რ</b>	<b>შტან-იშ-ი</b>	<b>შტან-იშ-რ</b>
მოქ.	<b>შტან-შტ-რ</b> „სვანეთითაც“	<b>შტან-შტ-ი</b>	<b>შტან-ტშ-რ</b>	<b>შტან-ტშ-ი</b>	<b>შტან-ტშ-რ</b>
ვით.	<b>შტან-დ-რ</b> „სვანეთადაც“	<b>შტან-დ-ი</b>	<b>შტან-დ-რ</b>	<b>შტან-დ-ი</b>	<b>შტან-დ-რ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	გზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ლაშხ-რ</b> „ლაშხეთიც“	<b>ლაშხ-ი</b>	<b>ლაშხ-რ</b>	<b>ლაშხ-ი</b>	<b>ლაშხ-რ</b>
მიც.	<b>ლაშხ-ს-რ</b> „ლაშხეთსაც“	<b>ლაშხ-ს-ი</b>	<b>ლაშხ-ს-რ</b>	<b>ლაშხ-ს-ი</b>	<b>ლაშხ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ლაშხ-დ-რ</b> „ლაშხეთმაც“	<b>ლაშხ-დ-ი</b>	<b>ლაშხ-დ-რ</b>	<b>ლაშხ-დ-ი</b>	<b>ლაშხ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ლაშხ-იშ-რი</b> „ლაშხეთისაც“	<b>ლაშხ-იშ-ი</b>	<b>ლაშხ-ეშ-რ</b>	<b>ლაშხ-იშ-ი</b>	<b>ლაშხ-იშ-რ</b>
მოქ.	<b>ლაშხ-შტ-რ</b> „ლაშხეთითაც“	<b>ლაშხ-შტ-ი</b>	<b>ლაშხ-ტშ-რ</b>	<b>ლაშხ-ტშ-ი</b>	<b>ლაშხ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ლაშხ-დ-რ</b> „ლაშხეთადაც“	<b>ლაშხ-დ-ი</b>	<b>ლაშხ-დ-რ</b>	<b>ლაშხ-დ-ი</b>	<b>ლაშხ-დ-რ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	გზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ცხემარ-რ</b> „ცხუმარიც“	<b>ცხემარ-ი</b>	<b>ცხუმარ-რ</b>	<b>ცხემარ-ი</b>	<b>ცხუმარ-რ</b>
მიც.	<b>ცხემარ-ს-რ</b> „ცხუმარსაც“	<b>ცხემარ-ს-ი</b>	<b>ცხუმარ-ს-რ</b>	<b>ცხემარ-ს-ი</b>	<b>ცხუმარ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ცხემარ-დ-რ</b> „ცხუმარმაც“	<b>ცხემარ-დ-ი</b>	<b>ცხუმარ-დ-რ</b>	<b>ცხემარ-დ-ი</b>	<b>ცხუმარ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ცხემარ-იშ-რი</b>    <b>ცხემარ-იშ-რი</b> „ცხუმარისაც“	<b>ცხემარ-იშ-ი</b> , შდრ. ლხმ. <b>ცხემარ-იშ-ი</b>	<b>ცხუმარ-იშ-რ</b>	<b>ცხემარ-იშ-ი</b>	<b>ცხუმარ-იშ-რ</b>
მოქ.	<b>ცხემარ-შტ-რ</b> „ცხუმართაც“	<b>ცხემარ-შტ-ი</b>	<b>ცხუმარ-ტშ-რ</b>	<b>ცხემარ-ტშ-ი</b>	<b>ცხუმარ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ცხემარ-დ-რ</b> „ცხუმარადაც“	<b>ცხემარ-დ-ი</b>	<b>ცხუმარ-დ-რ</b>	<b>ცხემარ-დ-ი</b>	<b>ცხუმარ-დ-რ</b>

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	გზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ზესხტ-რ</b> „ზესხოც“	<b>ზესხტ-ი</b>	<b>ზესხტ-რ</b>	<b>ზესხტ-ი</b>	<b>ზესხტ-რ</b>

მიც.	<b>ზანსტ-ს-რ</b> „ზესხოსაც“	<b>ზესხტ-ს-ი</b>	<b>ზესხტ-ს-რ</b>	<b>ზესხტ-ს-ი</b>	<b>ზესხტ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ზანსტ-დ-რ</b> „ზესხო- მაც“	<b>ზესხტ-დ-ი</b>	<b>ზესხტ-დ-რ</b>	<b>ზესხტ-დ-ი</b>	<b>ზესხტ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ზანსტ-იშ-რ</b> „ზესხო- სიც“	<b>ზესხტ-იშ-ი</b>	<b>ზესხტ-ეშ-რ</b>	<b>ზესხტ-იშ-ი</b>	<b>ზესხტ-იშ-რ</b>
მოქ.	<b>ზანსტ-შტ-რ</b> „ზესხო- თიც“	<b>ზესხტ-შ-ი</b>	<b>ზესხტ-შტ-რ</b>	<b>ზესხტ-შ-ი</b>	<b>ზესხტ-შტ-რ</b>
ვით.	<b>ზანსტ-დ-რ</b> „ზესხო- დაც“	<b>ზესხტ-დ-ი</b>	<b>ზესხტ-დ-რ</b>	<b>ზესხტ-დ-ი</b>	<b>ზესხტ-დ-რ</b>

**შენიშვნა:** ლახამულური კილოკავი ნათესაობით ბრუნვაში, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, **-ი** „ც“ ნაწილაკიან ხმოვანფუძიან ტოპონიმთა ბრუნების დროსაც თავისებურებას ავლენს (შდრ. ერთი მხრივ, ლხმ. მხ. რ. ნათ ბრ. **ლაშხ-ემ-იშ-ი** და ბქ. **ლაშხ-იშ-ი**). როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, ლახამულური ორფუძიან ბრუნებას ინარჩუნებს, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს.

**-ი** „ც“ ნაწილაკიან ხმოვანფუძიან ტოპონიმთა ბრუნება

მ ხო ლ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ყუან-ი</b> „ყვანაც“	<b>ყუან-ი</b>	<b>ყუან-ი</b>	<b>ყუან-ი</b>	<b>ყუან-ი</b>
მიც.	<b>ყუან-ს-რ</b> „ყვანასაც“	<b>ყუან-ს-ი</b>	<b>ყუან-ს-რ</b>	<b>ყუან-ს-ი</b>	<b>ყუან-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ყუან-დ-რ</b> „ყვანამაც“	<b>ყუან-დ-ი</b>	<b>ყუან-დ-რ</b>	<b>ყუან-დ-ი</b>	<b>ყუან-დ-რ</b>
ნათ.	<b>ყუან-შ-რ</b> „ყვანასიც“	<b>ყუან-შ-ი</b>	<b>ყუან-შ-რ</b>	<b>ყუან-იშ-ი</b>	<b>ყუან-შ-რ</b>
მოქ.	<b>ყუან-შტ-რ</b> „ყვან- თიც“	<b>ყუან-შტ-ი</b>	<b>ყუან-ტშ-რ</b>	<b>ყუან-ტშ-ი</b>	<b>ყუან-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ყუან-დ-რ</b> „ყვანადაც“	<b>ყუან-დ-ი</b>	<b>ყუან-დ-რ</b>	<b>ყუან-დ-ი</b>	<b>ყუან-დ-რ</b>

მ ხო ლ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>მელე-ი</b> „მელეიც“	<b>მელე-ი</b>	<b>მელე-ი</b>	<b>მელე-ი</b>	<b>მელე-ი</b>
მიც.	<b>მელე-ს-რ</b> „მელესაც“	<b>მელე-ს-ი</b>	<b>მელე-ს-რ</b>	<b>მელე-ს-ი</b>	<b>მელე-ს-რ</b>
მოთხ.	<b>მელე-დ-რ</b> „მელემაც“	<b>მელე-დ-ი</b>	<b>მელე-დ-რ</b>	<b>მელე-დ-ი</b>	<b>მელე-დ-რ</b>
ნათ.	<b>მელე-შ-რ</b> „მელესიც“	<b>მელე-შ-ი</b>	<b>მელე-შ-რ</b>	<b>მელე-იშ-ი</b>	<b>მელე-შ-რ</b>
მოქ.	<b>მელე-ტშ(ტ)-რ</b> „მელე- თიც“	<b>მელე-ტშ-ი</b>	<b>მელე-ტშ-რ</b>	<b>მელე-ტშ-ი</b>	<b>მელე-ტშ-რ</b>
ვით.	<b>მელე-დ-რ</b> „მელედაც“	<b>მელე-დ-ი</b>	<b>მელე-დ-რ</b>	<b>მელე-დ-ი</b>	<b>მელე-დ-რ</b>

მ ხო ლ ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ლატლი-ი</b> „ლატალიც“	<b>ლატლი-ი</b>	<b>ლატლრ-ი</b>	<b>ლატლი-ი</b>	<b>ლატალ-რ</b>
მიც.	<b>ლატლი-ს-რ</b> „ლატალსაც“	<b>ლატლი-ს-ი</b>	<b>ლატლი-ს-რ</b>	<b>ლატლი-ს-ი</b>	<b>ლატალ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ლატლი-დ-რ</b> „ლატალმაც“	<b>ლატლი-დ-ი</b>	<b>ლატლი-დ-რ</b>	<b>ლატლი-დ-ი</b>	<b>ლატალ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ლატლ-იშ-რ</b>   <b>ლატლრ-შ-რ</b> „ლატალისაც“	<b>ლატლი-შ-ი</b>	<b>ლატლრ-შ-რ</b>	<b>ლატლი-შ-ი</b>	<b>ლატალი-შ-რ</b>
მოქ.	<b>ლატლრ-შტ-რ</b> „ლატალითაც“	<b>ლატლი-შტ-ი</b>	<b>ლატლრ-ტშ-რ</b>	<b>ლატლი-ტშ-ი</b>	<b>ლატალ-ტშ-რ</b>

ვით.	ლატლი-დ-რ „ლატალადაც“	ლატლი-დ-ი	ლატლი-დ-რ	ლატლი-დ-ი	ლატალ-დ-რ
------	--------------------------	-----------	-----------	-----------	-----------

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი					
	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ჭიშერუ-ა „ჭიშერულც“	ჭიშერუ-ა	ჭიშერუ-ა	ჭიშერუ-ა	ჭიშერუ-ა
მიც.	ჭიშერუ-ს-რ „ჭიშერუსაც“	ჭიშერუ-ს-ი	ჭიშერუ-ს-რ	ჭიშერუ-ს-ი	ჭიშერუ-ს-რ
მოთხ.	ჭიშერუ-დ-რ „ჭიშერუმაც“	ჭიშერუ-დ-ი	ჭიშერუ-დ-რ	ჭიშერუ-დ-ი	ჭიშერუ-დ-რ
ნათ.	ჭიშერუ-იშ-რ  ჭიშერუ-ეშ-რ „ჭიშერუსიც“	ჭიშერუ-შ-ი	ჭიშერუ-შ-რ	ჭიშერუ-იშ-ი	ჭიშერუ-შ-რ
მოქ.	ჭიშერუ-შტ-რ  ჭიშერუ-შტ-რ „ჭიშერუსიც“	ჭიშერუ-შტ-ი	ჭიშერუ-ტშ-რ	ჭიშერუ-ტშ-ი	ჭიშერუ-ტშ-რ
ვით.	ჭიშერუ-დ-რ „ჭიშერულაც“	ჭიშერუ-დ-ი	ჭიშერუ-დ-რ	ჭიშერუ-დ-ი	ჭიშერუ-დ-რ

ნაწილაკიანი საკუთარი სახელების ბრუნება

-ი ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ჯალმეთხან-რ „ჯალმეთხანიც“	ჯალმეთხან-ი	ჯალმეთხან-რ	ჯალმეთხან-ი	ჯალმეთხან-რ
მიც.	ჯალმეთხან-ს-რ „ჯალმეთხანსაც“	ჯალმეთხან-ს-ი	ჯალმეთხან-ს-რ	ჯალმეთხან-ს-ი	ჯალმეთხან-ს-რ
მოთხ.	ჯალმეთხან-დ-რ „ჯალმეთხანმაც“	ჯალმეთხან-დ-ი	ჯალმეთხან-დ-რ	ჯალმეთხან-დ-ი	ჯალმეთხან-დ-რ
ნათ.	ჯალმეთხან-იშ-რ „ჯალმეთხანი-საც“	ჯალმეთხან-იშ-ი	ჯალმეთხან-იშ-რ	ჯალმეთხან-იშ-ი	ჯალმეთხან-იშ-რ
მოქ.	ჯალმეთხან-შტ-რ „ჯალმეთხანი-თაც“	ჯალმეთხან-შტ-ი	ჯალმეთხან-ტშ-რ	ჯალმეთხან-ტშ-ი	ჯალმეთხან-ტშ-რ
ვით.	ჯალმეთხან-დ-რ „ჯალმეთხანა-დაც“	ჯალმეთხან-დ-ი	ჯალმეთხან-დ-რ	ჯალმეთხან-დ-ი	ჯალმეთხან-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	მენოფ-რ მენტეფ-რ „მენოფიც“	მე/ინოფ-ი	მენოფ-რ	მენოფ-ი	მენოფ-რ
მიც.	მენოფ-ს-რ მენტეფ-ს-რ „მენოფსაც“	მე/ინოფ-ს-ი	მენოფ-ს-რ	მენოფ-ს-ი	მენოფ-ს-რ
მოთხ.	მენოფ-დ-რ მენტეფ-დ-რ „მენოფსაც“	მე/ინოფ-დ-ი	მენოფ-დ-რ	მენოფ-დ-ი	მენოფ-დ-რ
ნათ.	მენოფ-იშ-რ მენტეფ-იშ-რ „მენოფისაც“	მე/ინოფ-იშ-ი	მენოფ-იშ-რ	მენოფ-იშ-ი	მენოფ-იშ-რ
მოქ.	მენოფ-შტ-რ მენტეფ-შტ-რ „მენოფითაც“	მე/ინოფ-შტ-ი	მენოფ-ტშ-რ	მენოფ-ტშ-ი	მენოფ-ტშ-რ
ვით.	მენოფ-დ-რ მენტეფ-დ-რ „მენოფადაც“	მე/ინოფ-დ-ი	მენოფ-დ-რ	მენოფ-დ-ი	მენოფ-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საბ.	ჯანყუტ-რ „ჯანყვათიგ“	ჯანყუტ-ო	ჯანყუათ-რ	ჯანყუტ-ო	ჯანყუათ-რ
მიც.	ჯანყუტ-ს-რ „ჯანყვათსაგ“	ჯანყუტ-ს-ო	ჯანყუათ-ს-რ	ჯანყუტ-ს-ო	ჯანყუათ-ს-რ
მოთბ.	ჯანყუტ-დ-რ „ჯანყვათმაგ“	ჯანყუტ-დ-ო	ჯანყუათ-დ-რ	ჯანყუტ-დ-ო	ჯანყუათ-დ-რ
ნათ.	ჯანყუტ-ოშ-რ „ჯანყვათისაგ“	ჯანყუტ-ოშ-ო	ჯანყუათ-ოშ-რ	ჯანყუტ-ოშ-ო	ჯანყუათ-ოშ-რ
მოქ.	ჯანყუტ-შუ-რ   ჯანყუტუ-შუ-რ „ჯანყვათითაგ“	ჯანყუტ-უშ-ო   ჯანყუტ-შუ-ო	ჯანყუათ-უშ-რ	ჯანყუტ-უშ-ო	ჯანყუათ-უშ-რ
ვით.	ჯანყუტ-დ-რ   ჯანყუტუ-დ-რ „ჯანყვათადაგ“	ჯანყუტ-დ-ო	ჯანყუათ-დ-რ	ჯანყუტ-დ-ო	ჯანყუათ-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საბ.	გაბტონ-რ „გაბტონიგ“	გაბტონ-ო	გაბტონ-რ	გაბტონ-ო	გაბტონ-რ
მიც.	გაბტონ-ს-რ   გაბტუნ-ს-რ „გაბტონსაგ“	გაბტონ-ს-ო	გაბტონ-ს-რ	გაბტონ-ს-ო	გაბტონ-ს-რ
მოთბ.	გაბტონ-დ-რ   გაბტუნ-დ-რ „გაბტონმაგ“	გაბტონ-დ-ო	გაბტონ-დ-რ	გაბტონ-დ-ო	გაბტონ-დ-რ
ნათ.	გაბტონ-ოშ-რ   გაბტუნ-ოშ-რ „გაბტონისაგ“	გაბტონ-ოშ-ო	გაბტონ-ოშ-რ	გაბტონ-ოშ-ო	გაბტონ-ოშ-რ
მოქ.	გაბტონ-შუ-რ   გაბტუნ(უ)-შუ-რ „გაბტონითაგ“	გაბტონ-უშ-ო	გაბტონ-უშ-რ	გაბტონ-უშ-ო	გაბტონ-უშ-რ
ვით.	გაბტონ-დ-რ   გაბტუნ(უ)-დ-რ „გაბტონადაგ“	გაბტონ-დ-ო	გაბტონ-დ-რ	გაბტონ-დ-ო	გაბტონ-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საბ.	ჯალბათირ-რ „ჯალბათურიგ“	ჯალბათერ-ო	ჯალბათერ-რ	ჯალბათერ-ო	ჯალბათერ-რ
მიც.	ჯალბათირ-ს-რ „ჯალბათურსაგ“	ჯალბათერ-ს-ო	ჯალბათერ-ს-რ	ჯალბათერ-ს-ო	ჯალბათერ-ს-რ
მოთბ.	ჯალბათირ-დ-რ „ჯალბათურმაგ“	ჯალბათერ-დ-ო	ჯალბათერ-დ-რ	ჯალბათერ-დ-ო	ჯალბათერ-დ-რ
ნათ.	ჯალბათირ-ოშ-რ „ჯალბათურისაგ“	ჯალბათერ-ოშ-ო	ჯალბათერ-ეშ-რ	ჯალბათერ-ოშ-ო	ჯალბათერ-ოშ-რ
მოქ.	ჯალბათირ(უ)-შუ-რ „ჯალბათურითაგ“	ჯალბათერ-უშ-ო	ჯალბათერ-უშ-რ	ჯალბათერ-უშ-ო	ჯალბათერ-უშ-რ
ვით.	ჯალბათირ(უ)-დ-რ „ჯალბათურადაგ“	ჯალბათერ-დ-ო	ჯალბათერ-დ-რ	ჯალბათერ-დ-ო	ჯალბათერ-დ-რ

-ო ნაწილაკიანი თანხმომავანუმიანი საკუთარი სახელები ბრუნები-სა რაიმე თავისებურებას არ ავლენენ.

ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნება

-ა ბოლოხმოვნიანი საკუთარი სახელები

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	პაჭან-მ „პაჭან“	პაჭან-ო	პაჭან-მ	პაჭან-ო	პაჭან-მ
მიც.	პაჭან-ს-რ „პაჭანსაც“	პაჭან-ს-ო	პაჭან-ს-რ	პაჭან-ს-ო	პაჭან-ს-რ
მოთბ.	პაჭან-დ-რ „პაჭანმაც“	პაჭან-დ-ო	პაჭან-დ-რ	პაჭან-დ-ო	პაჭან-დ-რ
ნათ.	პაჭან-შ-რ „პაჭანსიც“	პაჭან-შ-ო პაჭან-შ-ო-მ	პაჭან-შ-რ	პაჭან-შ-ო	პაჭან-შ-რ
მოქ.	პაჭან-ტ-რ „პაჭანთიც“	პაჭან-ტ-ო	პაჭან-ტ-რ	პაჭან-ტ-ო	პაჭან-ტ-რ
ვით.	პაჭან-დ-რ „პაჭანდაც“	პაჭან-დ-ო	პაჭან-დ-რ	პაჭან-დ-ო	პაჭან-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	გუანა-მ „გვანანა“	გუანან-ო	გუანან-მ	გუანან-ო	გუანან-მ
მიც.	გუანან-ს-რ „გვანანსაც“	გუანან-ს-ო	გუანან-ს-რ	გუანან-ს-ო	გუანან-ს-რ
მოთბ.	გუანან-დ-რ „გვანანმაც“	გუანან-დ-ო	გუანან-დ-რ	გუანან-დ-ო	გუანან-დ-რ
ნათ.	გუანან-შ-რ „გვანანსიც“	გუანან-შ-ო გუანან-შ-ო-მ	გუანან-შ-რ	გუანან-შ-ო	გუანან-შ-რ
მოქ.	გუანან-ტ-რ „გვანანთიც“	გუანან-ტ-ო	გუანან-ტ-რ	გუანან-ტ-ო	გუანან-ტ-რ
ვით.	გუანან-დ-რ „გვანანდაც“	გუანან-დ-ო	გუანან-დ-რ	გუანან-დ-ო	გუანან-დ-რ

-ე ბოლოხმოვნიანი საკუთარი სახელები

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	ფეხტე-მ „ფეხტე“	ფეხტე-ო	ფეხტე-მ	ფეხტე-ო	ფეხტე-მ
მიც.	ფეხტე-ს-რ „ფეხტესაც“	ფეხტე-ს-ო	ფეხტე-ს-რ	ფეხტე-ს-ო	ფეხტე-ს-რ
მოთბ.	ფეხტე-დ-რ „ფეხტემაც“	ფეხტე-დ-ო	ფეხტე-დ-რ	ფეხტე-დ-ო	ფეხტე-დ-რ
ნათ.	ფეხტე-შ-რ „ფეხტესიც“	ფეხტე-შ-ო ფეხტე-შ-ო-მ	ფეხტე-შ-რ	ფეხტე-შ-ო	ფეხტე-შ-რ
მოქ.	ფეხტე-ტ-რ „ფეხტეთიც“	ფეხტე-ტ-ო	ფეხტე-ტ-რ	ფეხტე-ტ-ო	ფეხტე-ტ-რ
ვით.	ფეხტე-დ-რ „ფეხტედაც“	ფეხტე-დ-ო	ფეხტე-დ-რ	ფეხტე-დ-ო	ფეხტე-დ-რ

	ზზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
საზ.	ზანე-მ „ზანე“	ზანე-ო	ზანე-მ	ზანე-ო	ზანე-მ
მიც.	ზანე-ს-რ „ზანესაც“	ზანე-ს-ო	ზანე-ს-რ	ზანე-ს-ო	ზანე-ს-რ
მოთბ.	ზანე-დ-რ „ზანემაც“	ზანე-დ-ო	ზანე-დ-რ	ზანე-დ-ო	ზანე-დ-რ
ნათ.	ზანე-შ-რ „ზანესიც“	ზანე-შ-ო ზანე-შ-ო-მ	ზანე-შ-რ	ზანე-შ-ო	ზანე-შ-რ
მოქ.	ზანე-ტ-რ „ზანეთიც“	ზანე-ტ-ო	ზანე-ტ-რ	ზანე-ტ-ო	ზანე-ტ-რ
ვით.	ზანე-დ-რ „ზანედაც“	ზანე-დ-ო	ზანე-დ-რ	ზანე-დ-ო	ზანე-დ-რ



-ი ბოლოხმოვნიაანი საკუთარი სახელები

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	მეტი-მ „მეტიც“	მეტი-მ	მეტრ-მ	მეტი-მ	მეტრ-მ
მიც.	მეტი-ს-რ „მეტისაც“	მეტი-ს-ო	მეტი-ს-რ	მეტი-ს-ო	მეტი-ს-რ
მოთხ.	მეტი-დ-რ „მეტიმაც“	მეტი-დ-ო	მეტი-დ-რ	მეტი-დ-ო	მეტი-დ-რ
ნათ.	მეტრ-შ-რ „მეტისაც“	მეტი-შ-ო  მეტი-შ-ო-მ	მეტრ-შ-რ	მეტი-მშ-ო	მეტრ-შ-რ
მოქ.	მეტი-შტ-რ „მეტი-თაც“	მეტი-შტ-ო	მეტი-შტ-რ	მეტი-შტ-ო	მეტი-შტ-რ
ვით.	მეტი-დ-რ „მეტი-დაც“	მეტი-დ-ო	მეტი-დ-რ	მეტი-დ-ო	მეტი-დ-რ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	დოსი-მ „დოსიც“	დოსი-მ	დოსრ-მ	დოსი-მ	დოსრ-მ
მიც.	დოსი-ს-რ „დოსისაც“	დოსი-ს-ო	დოსი-ს-რ	დოსი-ს-ო	დოსი-ს-რ
მოთხ.	დოსი-დ-რ „დოსიმაც“	დოსი-დ-ო	დოსი-დ-რ	დოსი-დ-ო	დოსი-დ-რ
ნათ.	დოსრ-შ-რ „დოსისაც“	დოსი-შ-ო  დოსი-შ-ო-მ	დოსრ-შ-რ	დოსი-მშ-ო	დოსრ-შ-რ
მოქ.	დოსი-შტ-რ „დოსი-თაც“	დოსი-შტ-ო	დოსი-შტ-რ	დოსი-შტ-ო	დოსი-შტ-რ
ვით.	დოსი-დ-რ „დოსიდაც“	დოსი-დ-ო	დოსი-დ-რ	დოსი-დ-ო	დოსი-დ-რ

-ო ბოლოხმოვნიაანი საკუთარი სახელები

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ბოდლო-მ „ბოდლოც“	ბოდლო-ო	ბოდლრ-მ	ბოდლო-ო	ბოდლრ-მ
მიც.	ბოდლტე-ს-რ „ბოდლოსაც“	ბოდლო-ს-ო	ბოდლო-ს-რ	ბოდლო-ს-ო	ბოდლო-ს-რ
მოთხ.	ბოდლტე-დ-რ „ბოდლომაც“	ბოდლო-დ-ო	ბოდლო-დ-რ	ბოდლო-დ-ო	ბოდლო-დ-რ
ნათ.	ბოდლტე-შ-რ „ბოდლოსიც“	ბოდლო-შ-ო  ბოდლო-შ-ო-მ, შდრ. ლხმ. ბოდლო-შ-ო[შ]	ბოდლრ-შ-რ	ბოდლო-მშ-ო	ბოდლრ-შ-რ
მოქ.	ბოდლტე-შტ-რ „ბოდლოთიც“	ბოდლო-შტ-ო	ბოდლრ-შტ-რ	ბოდლო-შტ-ო	ბოდლრ-შტ-რ
ვით.	ბოდლტე-დ-რ „ბოდლოდაც“	ბოდლო-დ-ო	ბოდლო-დ-რ	ბოდლო-დ-ო	ბოდლო-დ-ო

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	რობრ-მ „რობოც“	რობო-ო	რობრ-მ	რობო-ო	რობრ-მ
მიც.	რობტე-ს-რ „რობოსაც“	რობო-ს-ო	რობო-ს-რ	რობო-ს-ო	რობო-ს-რ
მოთხ.	რობტე-დ-რ „რობომაც“	რობო-დ-ო	რობო-დ-რ	რობო-დ-ო	რობო-დ-რ
ნათ.	რობტე-შ-რ „რობოსიც“	რობო-შ-ო  რობო-შ-ო-მ, შდრ. ლხმ. რობო-შ-ო[შ]	რობრ-შ-რ	რობო-მშ-ო	რობრ-შ-რ
მოქ.	რობტე-შტ-რ „რობოთიც“	რობო-შტ-ო	რობრ-შტ-რ	რობო-შტ-ო	რობრ-შტ-რ
ვით.	რობტე-დ-რ „რობოდაც“	რობო-დ-ო	რობო-დ-რ	რობო-დ-ო	რობო-დ-რ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	გონჯრ-მ „გონჯოც“	გონჯო-ი	გონჯრ-მ	გონჯო-ი	გონჯრ-მ
მიც.	გონჯტე-ს-რ „გონჯოსაც“	გონჯო-ს-ი	გონჯო-ს-რ	გონჯო-ს-ი	გონჯო-ს-რ
მოთხ.	გონჯტე-დ-რ „გონჯომაც“	გონჯო-დ-ი	გონჯო-დ-რ	გონჯო-დ-ი	გონჯო-დ-რ
ნათ.	გონჯტე-შ-რ „გონჯოსიც“	გონჯო-შ-ი გონჯო-შ-ი-მ, შდრ. ლხმ. გონჯო-შ-ი-შ	გონჯრ-შ-რ	გონჯო-აშ-ი	გონჯრ-შ-რ
მოქ.	გონჯტე-შტ-რ „გონჯოთიც“	გონჯო-შტ-ი	გონჯრ-ტშ-რ	გონჯო-ტშ-ი	გონჯრ-ტშ-რ
ვით.	გონჯტე-დ-რ „გონჯოდაც“	გონჯო-დ-ი	გონჯო-დ-რ	გონჯო-დ-ი	გონჯო-დ-რ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	როდრ-მ „როდოც“	როდო-ი	როდრ-მ	როდო-ი	როდრ-მ
მიც.	როდტე-ს-რ „როდოსაც“	როდო-ს-ი	როდო-ს-რ	როდო-ს-ი	როდო-ს-რ
მოთხ.	როდტე-დ-რ „როდომაც“	როდო-დ-ი	როდო-დ-რ	როდო-დ-ი	როდო-დ-რ
ნათ.	როდტე-შ-რ „როდოსიც“	როდო-შ-ი როდო-შ-ი-მ, შდრ. ლხმ. როდო-შ-ი-შ	როდრ-შ-რ	როდო-აშ-ი	როდრ-შ-რ
მოქ.	როდტე-შტ-რ „როდოთიც“	როდო-შტ-ი	როდრ-ტშ-რ	როდო-ტშ-ი	როდრ-ტშ-რ
ვით.	როდტე-დ-რ „როდოდაც“	როდო-დ-ი	როდო-დ-რ	როდო-დ-ი	როდო-დ-რ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ფაგრ-მ „ფაგოც“	ფაგო-მ	ფაგრ-მ	ფაგო-მ	ფაგრ-მ
მიც.	ფაგო-ს-რ ფაგტე-ს-რ „ფაგოსაც“	ფაგო-ს-ი	ფაგო-ს-რ	ფაგო-ს-ი	ფაგო-ს-რ
მოთხ.	ფაგო-დ-რ ფაგტე-დ-რ „ფაგომაც“	ფაგო-დ-ი	ფაგო-დ-რ	ფაგო-დ-ი	ფაგო-დ-რ
ნათ.	ფაგტე-შ-რ „ფაგოსიც“	ფაგო-შ-ი ფაგო-შ-ი-მ, შდრ. ლხმ. ფაგო-შ-ი-შ	ფაგრ-შ-რ	ფაგო-აშ-ი	ფაგრ-შ-რ
მოქ.	ფაგტე-შტ-რ „ფაგოთიც“	ფაგო-შტ-ი	ფაგრ-ტშ-რ	ფაგო-ტშ-ი	ფაგრ-ტშ-რ
ვით.	ფაგტე-დ-რ „ფაგოდაც“	ფაგო-დ-ი	ფაგო-დ-რ	ფაგო-დ-ი	ფაგო-დ-რ

-უ ბოლოხმოვნისანი საკუთარი სახელები

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	ბაცრ-მ „ბაცოც“	ბაცო-ი	ბაცრ-მ	ბაცო-ი	ბაცრ-მ
მიც.	ბაცუ-ს-რ „ბაცუსაც“	ბაცუ-ს-ი	ბაცუ-ს-რ	ბაცუ-ს-ი	ბაცუ-ს-რ
მოთხ.	ბაცუ-დ-რ „ბაცუმაც“	ბაცუ-დ-ი	ბაცუ-დ-რ	ბაცუ-დ-ი	ბაცუ-დ-რ
ნათ.	ბაცტ-რშ-რ „ბაცუსიც“	ბაცუ-შ-ი ბაცუ-შ-ი-მ, შდრ. ლხმ. ბაცუ-შ-ი-შ	ბაცრ-შ-რ	ბაცუ-აშ-ი	ბაცრ-შ-რ

მოქ.	<b>ბაცუ(ტ)-შტ-რ</b> „ბაცუთიც“	<b>ბაცუ-ტშ/შტ-ო</b>	<b>ბაცუ-ტშ-რ</b>	<b>ბაცუ-ტშ-ო</b>	<b>ბაცუ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ბაცუ-დ-რ</b> „ბაცუ-დაც“	<b>ბაცუ-დ-ო</b>	<b>ბაცუ-დ-რ</b>	<b>ბაცუ-დ-ო</b>	<b>ბაცუ-დ-რ</b>

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ბაჯუ-მ</b> „ბაჯუც“	<b>ბაჯუ-ო</b>	<b>ბაჯუ-მ</b>	<b>ბაჯუ-ო</b>	<b>ბაჯუ-მ</b>
მიც.	<b>ბაჯუ-ს-რ</b> „ბაჯუსაც“	<b>ბაჯუ-ს-ო</b>	<b>ბაჯუ-ს-რ</b>	<b>ბაჯუ-ს-ო</b>	<b>ბაჯუ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ბაჯუ-დ-რ</b> „ბაჯუმაც“	<b>ბაჯუ-დ-ო</b>	<b>ბაჯუ-დ-რ</b>	<b>ბაჯუ-დ-ო</b>	<b>ბაჯუ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ბაჯუ-რშ(ტ)-რ</b> „ბაჯუსიც“	<b>ბაჯუ-შ-ო ბაჯუ-შ-ო-მ</b> , შდრ. ლხმ. <b>ბაჯუ-შ-ო-შ</b>	<b>ბაჯუ-შ-რ</b>	<b>ბაჯუ-მშ-ო</b>	<b>ბაჯუ-შ-რ</b>
მოქ.	<b>ბაჯუ(ტ)-შტ-რ</b> „ბაჯუთიც“	<b>ბაჯუ-შტ-ო</b>	<b>ბაჯუ-ტშ-რ</b>	<b>ბაჯუ-ტშ-ო</b>	<b>ბაჯუ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ბაჯუ-დ-რ</b> „ბაჯუ-დაც“	<b>ბაჯუ-დ-ო</b>	<b>ბაჯუ-დ-რ</b>	<b>ბაჯუ-დ-ო</b>	<b>ბაჯუ-დ-რ</b>

-გ ბოლოხმოვნიაანი საკუთარი სახელები

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>გიგსგ-მ</b> „გიგსუც“	<b>გიგსგ-მ</b>	<b>გიგსგ-მ</b>	<b>გიგსგ-მ</b>	<b>გიგსგ-მ</b>
მიც.	<b>გიგსგ-ს-რ</b> „გიგსუსაც“	<b>გიგსგ-ს-ო</b>	<b>გიგსგ-ს-რ</b>	<b>გიგსგ-ს-ო</b>	<b>გიგსგ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>გიგსგ-დ-რ</b> „გიგსუმაც“	<b>გიგსგ-დ-ო</b>	<b>გიგსგ-დ-რ</b>	<b>გიგსგ-დ-ო</b>	<b>გიგსგ-დ-რ</b>
ნათ.	<b>გიგსგ-შ-რი გიგსგ-რშ-რი გიგსგ-შშ-რი</b> „გიგსუსიც“	<b>გიგსგ-შ-ო გიგსგ-შ-ო-მ</b>	<b>გიგსგ-შ-რ</b>	<b>გიგსგ-მშ-ო</b>	<b>გიგსგ-შ-რ</b>
მოქ.	<b>გიგსგ-შტ-რ</b> „გიგსუთიც“	<b>გიგსგ-შტ-ო</b>	<b>გიგსგ-ტშ-რ</b>	<b>გიგსგ-ტშ-ო</b>	<b>გიგსგ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>გიგსგ-დ-რ</b> „გიგსუ-დაც“	<b>გიგსგ-დ-ო</b>	<b>გიგსგ-დ-რ</b>	<b>გიგსგ-დ-ო</b>	<b>გიგსგ-დ-რ</b>

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ბიმგ-მ</b> „ბიმუც“	<b>ბიმგ-მ</b>	<b>ბიმგ-მ</b>	<b>ბიმგ-მ</b>	<b>ბიმგ-მ</b>
მიც.	<b>ბიმგ-ს-რ</b> „ბიმუსაც“	<b>ბიმგ-ს-ო</b>	<b>ბიმგ-ს-რ</b>	<b>ბიმგ-ს-ო</b>	<b>ბიმგ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ბიმგ-დ-რ</b> „ბიმუმაც“	<b>ბიმგ-დ-ო</b>	<b>ბიმგ-დ-რ</b>	<b>ბიმგ-დ-ო</b>	<b>ბიმგ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ბიმგ-შ-რი ბიმგ-რშ-რი ბიმგ-შშ-რი</b> „ბიმუსიც“	<b>ბიმგ-შ-ო ბიმგ-შ-ო-მ</b>	<b>ბიმგ-შ-რ</b>	<b>ბიმგ-მშ-ო</b>	<b>ბიმგ-შ-რ</b>
მოქ.	<b>ბიმგ-შტ-რ</b> „ბიმუთიც“	<b>ბიმგ-შტ-ო</b>	<b>ბიმგ-ტშ-რ</b>	<b>ბიმგ-ტშ-ო</b>	<b>ბიმგ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ბიმგ-დ-რ</b> „ბიმუდაც“	<b>ბიმგ-დ-ო</b>	<b>ბიმგ-დ-რ</b>	<b>ბიმგ-დ-ო</b>	<b>ბიმგ-დ-რ</b>

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.	ჩოლ.
სახ.	<b>ადნგ-მ</b> „ადნუც“	<b>ადნგ-მ</b>	<b>ადნგ-მ</b>	<b>ადნგ-მ</b>	<b>ადნგ-მ</b>
მიც.	<b>ადნგ-ს-რ</b> „ადნუსაც“	<b>ადნგ-ს-ო</b>	<b>ადნგ-ს-რ</b>	<b>ადნგ-ს-ო</b>	<b>ადნგ-ს-რ</b>
მოთხ.	<b>ადნგ-დ-რ</b> „ადნუმაც“	<b>ადნგ-დ-ო</b>	<b>ადნგ-დ-რ</b>	<b>ადნგ-დ-ო</b>	<b>ადნგ-დ-რ</b>
ნათ.	<b>ადნგ-შ-რი ადნგ-რშ-რი ადნგ-შშ-რი</b> „ადნუსიც“	<b>ადნგ-შ-ო ადნგ-შ-ო-მ</b>	<b>ადნგ-შ-რ</b>	<b>ადნგ-მშ-ო</b>	<b>ადნგ-შ-რ</b>
მოქ.	<b>ადნგ-შტ-რ</b> „ადნუთიც“	<b>ადნგ-შტ-ო</b>	<b>ადნგ-ტშ-რ</b>	<b>ადნგ-ტშ-ო</b>	<b>ადნგ-ტშ-რ</b>
ვით.	<b>ადნგ-დ-რ</b> „ადნუდაც“	<b>ადნგ-დ-ო</b>	<b>ადნგ-დ-რ</b>	<b>ადნგ-დ-ო</b>	<b>ადნგ-დ-რ</b>

-ა, -ე ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელები -ო ნაწილაკის დართვისას თავისებურებას ავლენენ ბალსქვემოური დიალექტის (+ ლახამულურ კილოკავში) ნათესაობით ბრუნვაში, კერძოდ: **პაჭა-შ-ი** „პაჭასიც“, **გუაშა-შ-ი** „გვაშასიც“, **ფეხუე-შ-ი** „ფეხვესიც“, **ზანე-შ-ი** „ზანესიც“, **მეტი-შ-ი** „მეტისიც“, **დოსი-შ-ი** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი** „ბაჯუსიც“, **გიგსე-შ-ი** „გიგსუსიც“, **ბიმე-შ-ი** „ბიმესიც“, **ადნე-შ-ი** „ადნუსიც“... ფორმათა პარალელურად დადასტურდა **პაჭა-შ-ი-ი** „პაჭასიც“, **გუაშა-შ-ი-ი** „გვაშასიც“, **ფეხუე-შ-ი-ი** „ფეხვესიც“, **ზანე-შ-ი-ი** „ზანესიც“, **მეტი-შ-ი-ი** „მეტისიც“, **დოსი-შ-ი-ი** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი-ი** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი-ი** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი-ი** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი-ი** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი-ი** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი-ი** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი-ი** „ბაჯუსიც“, **გიგსე-შ-ი-ი** „გიგსუსიც“, **ბიმე-შ-ი-ი** „ბიმესიც“, **ადნე-შ-ი-ი** „ადნუსიც“ ფორმებიც. აუსლაუტში გამოვლენილი იოტი (ა) თითქოს უფრო მეტად აძლიერებს კუთვნილებას. არაა გამორიცხული, რომ ბალსზემოურის გავლენასთან გვეკონდეს საქმე, სადაც აუსლაუტში დართული -ო ნაწილაკი გრძელა. ბალსქვემოური, რომელსაც გრძელი ხმოვნები არ ახასიათებს, გრძელი -რს ნაცვლად -ო-მს იყენებს, თუმცა, ჩვენი აზრით, დამატებითი ნაწილაკის დართვის საჭიროება ნამდვილად არ იგრძნობა.

**პაჭა-შ-ი||პაჭა-შ-ი-ი, გონჯო-შ-ი||გონჯო-შ-ი-ი** და ა. შ. ფორმათა პარალელურად ლახამულურში დადასტურდა როგორც ბალსქვემოურისათვის, ასევე სვანურის სხვა დიალექტებისათვის უცხო ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ფორმები: **ბოდლო-შ-ი{შ}** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი-ი{შ}** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი-ი{შ}** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი-ი{შ}** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი-ი{შ}** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი-ი{შ}** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი-ი{შ}** „ბაჯუსიც“ და ა. შ. არნ. ჩიქობავ სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომლის რ. ჭკადუას თქმით, აუსლაუტში აშკარად ისმის **შ** თანხმოვანი, რაც თავად მასაც ეხამუშება, თუმცა არც მის არსებობას უარყოფს.

ჩვენი დაკვირვებით, ზოგიერთ თავისებურებას -ო ნაწილაკიან სახელთა ბრუნებისას (ვგულისხმობთ ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს) ბალსზემოური დიალექტიც ავლენს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. -გ ბოლოხმოვნიანი ნაწილაკდართული საკუთარი სახელები ბრუნებისას ნათესაობითში სამგვარი ფორმით წარმოგვიდგებიან. მაგ.: **გიგსე-შ-ი||გიგს-იშ-ი||გიგსე-შ-ი-ი** „გიგსუსიც“, **ბიმე-შ-ი||ბიმ-იშ-ი||ბიმე-შ-ი-ი** „ბიმესიც“, **ადნე-შ-ი||ადნ-იშ-ი||ადნე-შ-ი-ი** „ადნუსიც“, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, პარალელურ ფორმათა არსებობა ნაწილაკის დართვით არ უნდა იყოს გამოწვეული. რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, აქ კიდევ ერთი თავისებურება შევამჩნიეთ, რაც მას სხვა დიალექტებისაგან განასხვავებს. -უ ბოლოხმოვნიანი საკუთარი სახელები, რომელთაც -ო ნაწილაკი აქვთ დართული, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ფუძეზე ბრუნვის ნიშნის -შუ'ს წინ დამატებით დაირთავენ უ'ს, მაგ.: **ბაცუ(უ)-შუ-რ** „ბაცუსიც“, **ბაჯუ(უ)-შუ-რ** „ბაჯუსიც“ და ა. შ., თუმცა მის დართვას სისტემატური ხასიათი არა აქვს და თავად მოქმედებსაც ეხამუშებათ.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც, როგორც წესი, ბევრი თავისებურებით ხასიათდება, ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნებისას ძირითადად ლაშხურს მისდევს.

**დასკვნა:**

გამოკვლევამ ცხადყო, რომ სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ყველაზე უფრო პროდუქტიული -ო „ც“ ნაწილაკიანი არსებითი სახელებია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბრუნებაც სწორედ -ო ნაწილაკიანი არსებითი სახელებით დავიწყეთ და ცალ-ცალკე განვიხილეთ -ო ნაწილაკდართული როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი (**ა, ე, ი, ო, უ, გ**) საზოგადო სახელები.

როგორც -ო „ც“ ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნებამ აჩვენა, ნაწილაკის დართვა არც მხოლოდით და არც მრავლობით რიცხვში არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ერთადერთი გამონაკლისია ლახამულური კილოკავი, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მრავლობითის ნიშნისეული ხმოვანი (**წ**) თითქმის ყველგან ეკვეცება: **ამტყუასგ-რ-ემ-ი** „ვარსკვლავებისაც“, **კენ-რ-ემ-ი** „კვერნებისაც“, **წნგლეზ-რ-ემ-ი** „ანგელოზებისაც“. რაც შეეხება სვანურის ტრადიციულად ცნობილ დიალექტებსა (ბალსხემოურს, ბალსქვემოურს, ლაშხურსა და ლენტეხურს) და ჩოლურულ მეტყველებას, იქ მრავლობითისეული (**წრ**) სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი ყველგან შენარჩუნებულია.

-ა ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები -ო „ც“ ნაწილაკის დართვისას ერთადერთ თავისებურებას, მსგავსად თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებისა, ლახამულური კილოკავის მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ავლენენ (შდრ. **ნექ-რ-ემ-ი** „წარბებისაც“), ეკვეცებათ მრავლობითისეული ხმოვნითი ელემენტი, თუმცა ის ფორმები, რომელთაც მრავლობითში -ოლ სუფიქსი დაერთვით, მათ ხმოვნითი ელემენტი უნარჩუნდებათ.

-ე ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთა ბრუნებისას გამოვლენილი ერთადერთი თავისებურება კვლავაც ლახამულურმა კილოკავმა აჩვენა, თუმცა ამჯერად მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში (**მაგ. თხერა-ი** „მგელსაც“...).

-ო ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები იშვიათობაა სვანურში და ნაწილაკის დართვისას რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ შეგვიძინვია.

-უ ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელებიც იშვიათად დასტურდება სვანურში (მაგ.: **გადუ** „გადია, გამზრდელი; ბებიჩალი“, **გიგუ** „გუგული“, **გაზუ** „ურქო თხა, დოლა“, **ზუნტუ/ზუნტუ** „ზღმარტლი“, **ნეფყუ** „ურიბი, თავსაბურავი“, **შაჟლუ/შალუ** „მამალი ფუტკარი“, **წაურუ** „ჭუჭრუტანა“, **წინაკუ** „ქვა“, **ჭურუ/ჭურუ** „აუფუფებელი ცომის პური; ხმიადი“, **ჭურუ** „ხვრელი“...) და ისინი თითქმის ისევე იბრუნვიან -ო „ც“ ნაწილაკის დართვისას, როგორც ზემოთ წარმოდგენილი - **ტუნუ** და **მუ** ლექსიკური ერთეულები. სხვაობაა მრავლობით რიცხვში, რაზეც მოწმობს, ერთი მხრივ, **ტუნუარ, ტუნუარს, ტუნუარდ...** და, მეორე მხრივ, **ლა-მუა, ლამუას, ლამუად..., მუალარ, მუალარს, მუალარდ...** ფორმათა მრავ-

ლობითის წარმოება. რაც შეეხება ლახამულურ კილოკავს, იგი აქაც თავისებურებას ავლენს როგორც მხოლოდობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ზოგიერთ სახელთან (მაგ., მხ. რ., ნათ. ბრ. **ტუნუ-ი-ო**, მრ. რ. ნათ. ბრ. **ტუნუ-პრ-ე-ი**), რაც მას საგრძნობლად განასხვავებს ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან (შდრ. ბქ. **ტუნუ-პშ-ი** და **ტუნუ-პრ-ე-ი**).

-**ი** ნაწილაკიანი თანხმოდანფუძიანი საკუთარი სახელები ბრუნებისას რაიმე თავისებურებას არ ავლენენ, ხოლო **-ა, -ე, -ო, -ო-, -უ, -გ** ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელები აღნიშნული ნაწილაკის დართვისას თავისებურებას გვიჩვენებენ ბალსქვემოური დიალექტის (+ ლახამულურ კილოკავში) ნათესაობით ბრუნვაში, სადაც **პაჭა-შ-ი** „პაჭასიც“, **გუაშა-შ-ი** „გვაშასიც“, **ფეხტე-შ-ი** „ფეხვესიც“, **ზანე-შ-ი** „ზანესიც“, **მეტე-შ-ი** „მეტისიც“, **დოსი-შ-ი** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი** „ბაჯუსიც“, **გიგსგ-შ-ი** „გიგსუსიც“, **ბიმგ-შ-ი** „ბიმუსიც“, **ადნგ-შ-ი** „ადნუსიც“... ფორმათა პარალელურად **პაჭა-შ-ი-ი** „პაჭასიც“, **გუაშა-შ-ი-ი** „გვაშასიც“, **ფეხტე-შ-ი-ი** „ფეხვესიც“, **ზანე-შ-ი-ი** „ზანესიც“, **მეტე-შ-ი-ი** „მეტისიც“, **დოსი-შ-ი-ი** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი-ი** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი-ი** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი-ი** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი-ი** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი-ი** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი-ი** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი-ი** „ბაჯუსიც“, **გიგსგ-შ-ი-ი** „გიგსუსიც“, **ბიმგ-შ-ი-ი** „ბიმუსიც“, **ადნგ-შ-ი-ი** „ადნუსიც“ ფორმებიც დასტურდება. აუსლაუტში გამოვლენილი *იოტი* (**ი**) თითქოს უფრო მეტად აძლიერებს კუთვნილებას, თუმცა ბალსქვემოურისათვის, რომელსაც აუსლაუტში იოტიზაცია, როგორც წესი, არ ახასიათებს, მსგავსი ბრუნვის ფორმების არსებობა არქაიზმად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობთ, ამ ფორმათა არსებობას ბალსქვემოურის გავლენა უნდა განაპირობებდეს.

**პაჭა-შ-ი**||**პაჭა-შ-ი-ი**, **გონჯო-შ-ი**||**გონჯო-შ-ი-ი** და ა. შ. ფორმათა პარალელურად ლახამულურში დადასტურდა როგორც ბალსქვემოურისათვის, ასევე სვანურის სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ფორმები: **ბოდლო-შ-ი-შ** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი-შ** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი-შ** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი-შ** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი-შ** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი-შ** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი-შ** „ბაჯუსიც“ და ა. შ., რაც, ბუნებრივია, ლახამულურის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

-**ი** ნაწილაკიანი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნებისას ზოგიერთ თავისებურებას ბალსქვემოური დიალექტიც ავლენს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. -**გ** ბოლოხმოვნიანი ნაწილაკდართული საკუთარი სახელები ბრუნებისას ნათესაობითში სამგვარი ფორმით წარმოგვიდგებიან. მაგ.: **გიგსგ-შ-ი**||**გიგს-იშ-ი**||**გიგსგ-პშ-ი** „გიქსუსიც“, **ბიმგ-შ-ი**||**ბიმ-იშ-ი**||**ბიმგ-პშ-ი** „ბიმუსიც“, **ადნგ-შ-ი**||**ადნ-იშ-ი**||**ადნგ-პშ-ი** „ადნუსიც“, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, პარალელურ ფორმათა არსებობა ნაწილაკის დართვით არ უნდა იყოს გამოწვეული. რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, აქ კიდევ ერთი თავისებურება იჩენს თავს, რაც მას სხვა დიალექტებისაგან განასხვავებს. -**უ** ბოლოხმოვნიანი საკუთარი სახე-

ლები, რომელთაც -ი ნაწილაკი აქვთ დართული, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ფუძეზე ბრუნვის ნიშნის -შტ'ს წინ დამატებით დაირთავენ ტ'ს, მაგ.: **ბაცუ[ტ]-შტ-ი** „ბაცუთიც“, **ბაჯუ[ტ]-შტ-ი** „ბაჯუთიც“ და ა. შ., თუმცა მის დართვას სისტემატური ხასიათი არა აქვს.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც უამრავი თავისებურებით ხასიათდება, ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნებისას ძირითადად ლაშხურს მისდევს.

#### **ინფორმატორები:**

**ელიზავეტა გაზდელიანი** (ლენტეხური დიალექტის წარმომადგენელი)

**თათია ზედანი** (ბალსზემოური დიალექტის წარმომადგენელი)

**ნატო შავრეშიანი** (ჩოლურული მეტყველების წარმომადგენელი)

**ონისე ჯანხოთელი** (ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი)

**როენა ჭკადუა** (ბალსქვემოური დიალექტის – ლახამულური კილოკავის წარმომადგენელი).

### **Medea Saghliani**

#### **Declension of Nouns Having the Particle "i"c" in Svan Dialects and Subdialects**

##### **Summary**

The paper deals with the declension of common nouns with consonant and vowel bases having the particle *-i"c"* considering the traditionally known Svan dialects (Upper Balian, Lower Balian, Lashkh and Lentekhian) as well as Cholur speech and Lakhamul subdialect into consideration.

As it seems adding the said particle causes no changes in the singular and the plural. The only exception is Lakhamul subdialect that almost always undergoes the apocope of the vowel *ü* of the plural marker in the possessive case in the plural. As for the declension of common nouns with vowel bases having the particle *-i"c"*, a number of peculiarities are identified based on the dialects and the subdialects.

## მედია სალიანი, ნატო შაფრეშიანი

### „ეკონომიურობის პრინციპი“ და მისი გამომწვევი ფაქტორები ჩოლურულ მეტყველებაში

ჩოლურული, რომლის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აკად. ნ. მარი უჭერდა მხარს, მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, გარდამავალი დიალექტია (ქვემოსვანურ დიალექტთა შერწყმის შედეგად მიღებული) ქვემო სვანეთში, რომელიც მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს, თუმცა უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩოლურულიც ცალკე ერთეულად (და არა ლაშხურ-ლენტეხურ კილოთა გარდამავალ ზონად – ა. შანიძე; ვ. თოფურია; მ. ქალდანი) გამოყოფა (ალ. ონიანი). ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი – ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის ცალკე დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა“.

მიუხედავად ალ. ონიანის ამ მოსაზრებისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საცილობლადია ქვეული სვანური ენის დიალექტთა რაოდენობის საკითხი. სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის კი, როგორც არაერთგზის ითქვა, აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რისთვისაც, რასაკვირველია, ასევე, აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანია ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფელში (**ფანაგა, ლეუშერი, თეკალი, ჭველიერი, საყდარი, მამი, უკვლეში, ქუნიში, ლესიერი, ბულეში, დურაში, ჭველფი, ტვიბი**) სავსე პირობებში მოძიებულ-მოპოვებული მასალების ფონეტიკა-ფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით დამუშავება.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული ენათმეცნიერული მოვლენების ახსნისას გასათვალისწინებელია ექსტრალინგვისტური ასპექტებიც:

- დიალექტ-კილოკავთა ურთიერთკონტაქტები;
- ინდივიდთა მეტყველების ასაკობრივი თავისებურებანი;
- სოციალური ვითარება (გენდერული პრობლემები, მეტყველების ტემპი და ა. შ.).

ცხადია, ნებისმიერ ჩოლურულ საკითხზე მუშაობისას ყველა ეს ასპექტი გათვალისწინებულია, რაც აადვილებს დასკვნების გამოტანას.



ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია სიტყვათა ცვთვის (ანუ კუმშვა-კვეცის) საკითხი ჩოლურულ მეტყველებაში.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ჩოლურულ მეტყველებაში ხშირია სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ: *ანლაუტში*, *ინლაუტში* და *აუსლაუტში* როგორც ცალი თანხმოვნის ან ხმოვნის, ისე ერთი, ორი ან მეტი მარცვლის კუმშვისა თუ მოკვეცის შემთხვევები, რაც შესაძლოა ე. წ. „ეკონომიურობის პრინციპით“ აიხსნას.

რამდენადაც ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა დღემდე არ ყოფილა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩოლურული ტექსტების უქონლობის გამო.

მასალა, რომელიც ძირითადად ამოღებულია ჩვენ მიერ სავლეე პირობებში მოძიებული ტექსტებიდან, ბუნებრივია, შედარებული იქნა როგორც ლაშხურ-ლენტეხურ, ასევე ზემოსვანურ დიალექტოლოგიურ შესაბამის მასალასთან, რის საფუძველზეც ჩოლურულმა აღნიშნული დიალექტებისაგან საკმაოდ განსხვავებული და მეტად საინტერესო სურათი აჩვენა.

ნაშრომში ხმოვანთა და თანხმოვანთა დაკარგვის (ანუ კუმშვა-კვეცის) რამდენიმე შემთხვევა გამოვყავით:

### 1. ანლაუტში თანხმოვან ან ხმოვანდაკარგული ძირები

ა) სახელები, რომელთაც ანლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ დაკარგული. მაგ.: **იმწრე** ← **სიმწრე** (შდრ. ბზ., ლშხ. **სიმწრე**, ბქ., ლნტ. **სიმაწრე**) „შე კაცო“; **ეკუეს** ← **ხეკუეს** (შდრ. ბზ. **ხაკუეს**, ბქ. **ხეკუეს**, ლშხ. **ხაკუეს/ხეკუეს**, ლნტ. **ხეკუეს**) „უნდა“; **აკუერ** ← **ხაკუერ** (შდრ. ბზ. **ხაკუერ/ე**, ბქ. **ხეკუეს ერე**, ლშხ. **ხაკუერ/ხეკუერ**, ლნტ. **ხეკუეს**) „უნდა“; **ოქ** ← **ლოქ** (შდრ. ზს. **როქ[ტ]**, ქს. **ლოქ[ტ]**) „სხვათა სიტყვის ნაწილაკი -მეთქი, -თქო, -ო“; **იტლერ** ← ქართ. ჰიტლერ-ი და ა. შ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

იმშა დახმარება, **იმწრე**?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „რა დახმარება, შე კაცო?! (ზედმიწ. – რისი დახმარება, შე კაცო?!)?!

შდრ.: ლშხ., ჩოლ. **სიმწ** და ჩოლ. **სიმა** „შე კაცო“ ...

ეჯის მუჭულარ ხნდა ეჩხნუ-ამხნუ, ხოჩა ლგთაშ, სუფთა... ი ხოჩა **ეკუეს** ლგმწრლწს (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „იმას აქეთ-იქიდან პატარა ნაწიბურები ჰქონდა, კარგველიანი, სუფთა... და კარგი უნდა ყოფილიყო (ზედმიწ. – იმას რქებუნე-ბი ჰქონდა იქით-აქეთ, კარგი ყველიანი, **სუფთა**... და კარგი უნდა ყოფილიყო)“

აუტობუს **აკუერ** ემჩედღლას პირდაპირ ლეჟა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 62 წლისა) „ავტობუსი პირდაპირ ზემოთ უნდა ასულიყო (ზედმიწ. – ავტობუსი უნდა რომ წასულიყო პირდაპირ ზემოთ)“

„ჩუ ლოქ ლაწმ ეჯი მიჯმემდ ი თან ერ ლოქ ითრგდეს, ეჩქა ამჟი ლოქ ტუღდეს, ა, ალე მაგ საუჩიტს **ოქუ** ხარგიენა, ალე მაგ საუჩიტს **ოქუ** ხარგიენა“, – ჩაჟდ ხეჟუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი,

სოფ. საყდარი, 74 წლისა) „ის შენ დალიეო და თან სმის დროს ასე თქვიო, აი, ეს ყველაფერი საფიქტს შეერგოსო, ეს ყველაფერი საფიქტს შეერგოსო“, – ცხენმა უთხრა (ზედმიწ. – დალიაო ის თვითონ და თან რომ სვამდესო, მაშინ ასეო იმახდეს, აი, ეს ყველა **საფიქტ-ს-მცა-ო რგ-ებ-ია**, ეს ყველა **სა-ფიქტ-ს-მცა-ო რგ-ებ-ია**)“

ჩნე ლოქ ხოშრუქურახ გერმანელარემდ, შაუ ლემდე **იტლერიშდ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაენა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ცხენი უჩუქებიათ გერმანელებისთვის, მოსასპობი ჰიტლერისთვის (ზედმიწ. – ცხენიო უ-ჩუქ-ებ-ია-თ **გერმანელ-ებ-ის-თვის**, **შავ-საყრელ ჰიტლერ-ის-თვის**)“

**ბ) სახელები, რომელთაც ანლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვლი აქვთ დაკარგული.** მაგ.: **სახედ** ← ქართ. ელისაბედ-ი...

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ეჩეჩუ თინა დიმიტილ პოლი, ამეჩუ **სახედ**, მაგ ხოჩა მუგტუნე ლასხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 90 წლისა) „იქ თინას დედამთილი პოლი, აქ ელისაბედი, ყველანი კარგი დამპტირებლები იყვნენ (ზედმიწ. – იქ **თინა-{ს} დედამთილ-ი პოლ-ი**, აქ **ელისაბედ-ი**, ყველა კარგი დამპტირებელი იყვნენ)“...

## 2. ინლაუტში თანხმოვან ან ხმოვანდაკარგული ძირები

ა) სახელები, რომელთაც ინლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ დაკარგული. მაგ.: **თაუშსაფარ** ← ქართ. თავშესაფარ-ი; **ჯერან** ← ქართ. ჯერიან-ი; **ჯგრანგ** ← **ჯგერანგ/ჯგერანგ** (შდრ. ბზ. **ჯგერანგ/ჯგირანგ**, ბქ., ლნტ. **ჯგერანგ**, ლშხ. **ჯგერანგ**) „წმინდა გიორგი“; **ფაცაგ** ← **ფარცაგ** ← ქართ. ფარსაგ-ი; **ქა კენროლ** ← **ქა კედნროლ** (შდრ. ბზ. **ქა კედენ**, ბქ. **ქა კედნიუ**, ლშხ. **ქა კედნროლ**, ლნტ. **ქა კედენ** „გამოდიოდა“; **ლესხენ** ← **ლესგხენ** (შდრ. ბზ. **ლესგხან**, ბქ. **ლესგხენ**, ლნტ. **ლესგხენ**, ლშხ. **ლესგხენ**) „გვერდიდან“; **დანელ/დანილ** ← ქართ. დანიელ-ი; **მახელუაჟ** ← **მახელუაჟ/მწხელუაჟ** (შდრ. ბზ., ჩბხ. **მახელუაჟ**, ბქ., ლშხ. **მახელუაჟ**, ლნტ. **მწხელუაჟ**) „ვაჟკაცი“; **მაქანა** ← ქართ. მანქანა; **ჯადაბა** ← ქართ. ჯანდაბა; **მილციამ/მელციამ** ← ქართ. მილიცია; **კომნისტ** ← ქართ. კომუნისტ-ი; **ზურბიანაწლ** ← **ზურაბიანაწლ** (შდრ. ბზ. **ზურაბიანაწრ**, ბქ. **ზურაბიანაწრ**, ლშხ. **ზურაბიანაწლ**, ლნტ. **ზურაბიანაწლ** „ზურაბიანები“; **ენემ** ← **ეინემ** ← **ეჯნემ** „იმან“; **უიტოტუკა** ← ქართ. ვინტოტუკა, **უახტაგ** ← ქართ. ვახტანგ-ი და სხვ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ამნემდ, უარგ გარდაფხაძედ, ჟახმეკრანლნე გუბერნატორს ქუთაშიმ, ერე „ამკალი-ამკალი გუარი მარე ლოქ ემკედელი მიჩაშთე ი **თაუშსაფარს** ლოქ ხემგო ი ენხინას ლოქ ა ნომა?“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) – ამან, თავადმა გარდაფხაძემ, შეატყობინა ქუთაისის გუბერნატორს, რომ „ამა და ამ გვარის კაცი მოვიდაო ჩემთან და თავშესაფარს მთხოვსო და მივიღო თუ არაო (ზედმიწ. – ამან,

თავადმა **გარდაფხაძე**-მ, გააგებინა **გუბერნატორ**-ს **ქუთაის**-ის, რომ „**ამ-ყალიბ**-ი-**ამ-ყალიბ**-ი **გვარ**-ი[ს] კაციო მოსულა მასთან და **თავშესაფარ**-ს-ო სთხოვს და მოუშვასო თუ არა?“)

დაკარგულია ინლაუტისეული -**ე**- ხმოვანი (**თაუშსაფარს** ← **თაუშე-საფარს** ← ქართ. თავშესაფარ-ი).

ნაჲ ხუწრდად: აკაკი, უალოდ, ბეგლარ – ალ სემი მეზგე, ლეუშერს – ბესარიო, ალდარე მუ, ა, **ჯერანიშ** ი ალდარეშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „ჩვენ ვიყავით: აკაკი, ვალოდია, ბეგლარი – ეს სამი ოჯახი, ლეუშერში – ბესარიონი, ამათი მამა, აი, ჯერანის და ამათი (ზედმიწ. – ჩვენ ვიმყოფებოდით: აკაკი, ვალოდია, ბეგლარი – ეს **სამ**-ი მოსახლე, ლეუშერ-ს – ბესარიონ-ი, ამეების მამა, აი, ჯერანის და ამეების)“

**ჯერან** ლეთორ მწრე ლას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნატო შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 35 წლისა) „ჯეირანი ნასწავლი კაცი იყო“

**ჯერანს** ი რეზოს ხნდახ ლეგანთუე ეჩქა, სერ დნრს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „ჯეირანს და რეზოს ჰქონდათ მაშინ [უმადლესი] დამთავრებული, სხვა არავის (ზედმიწ. – **ჯეირან**-ს და **რეზო**-ს ჰქონდათ გა-**თავ**-ებ-ულ-ი მაშინ, მეტი არავის)“

**ჯერან** ლას ეჯი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველიერი, 58 წლისა) „ჯეირანი იყო ის“...

დაკარგულია ინლაუტისეული -**ი**- ხმოვანი (**ჯერანიშ** ← **ჯეირანიშ** ← ქართ. ჯეირან-ი).

საყდარი **ჯგრნჯი** ლოქ ამახუ გარ ლოქუ ალჭათუნელი, ექკა ძლიერ ლოქ ლი საყდრი **ჯგრნჯ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 74 წლისა) „საყდრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მხოლოდ მტერი დაიწყევლოსო, ისეთი ძლიერიაო საყდრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (ზედმიწ. – საყდრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაშიო მტერი მხოლოდმცაო დაწყევლილა, ის-**ყალიბ**-ი **ძლიერი**-ი-ო არის საყდრის წმინდა გიორგი)“

ჩრს, ჩრს ხემზერდახ, **ჯგრნჯ** საყდარიშ, თარძელ ჭუტელდერიშ, მაცხუწარ მამიშ ი მეწდინშ მაცხუწარ ლი (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 50 წლისა) „ყველას, ყველას ევედრებოდნენ, საყდრის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას, ჭველიერის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას, მამის მაცხოვრის სახელობის ეკლესიას და მუწდის ეკლესიაც მაცხოვრის სახელობისა (ზედმიწ. – ყველას, ყველას **ეზორ**-ებ-ოდ-ნენ, წმ. გიორგი **საყდრ**-ის, **მთავარანგელოზ**-ი ჭველიერის, **მაცხოვარ**-ი მამის და მუწდისიგ **მაცხოვარ**-ი არის)“...

მიშგუტი შტიმშუ **ფაცაგ** ამსემდა (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 75 წლისა) „ჩემი ყურით სასწაული გავიგონე (ზედმიწ. – ჩემი ყურით **ფარსაგ**-ი მო-მ-ე-**სმ**-ა)“

ლიცს ხოფმუტახ სგა ი ეჯი ჩუაქუშელა ი ეჩქა **ქა ჯეროლ** არაყ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „წყალს მიუშვებდნენ ხოლმე და ის აგრილებდა და იმაში გამოდიოდა არაყი (ზედმიწ. – წყალს შეუშვებდნენ და ის გააგრილებდა და იმაში გამოვიდოდა **არაყ**-ი)“

ეჯი ათხე **ლესხენ** დერ არი ი ამჩუ ეჯი ლი, ე, ლალცება (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „ის ახლა გვერდით ხომ დგას და აქ ის არის, ე, კერიის ქვასთან (ზედმიწ. – ის ახლა გვერდიდან ხომ არის და აქ ის არის, ე, კერიის ქვა)“

სემი ეჯდარ ლასხ, ე, ისგუტე ხალხ: ბუბა სამსონ ი **დანილ** ი ბესარიონ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „სამნი ისინი იყვენენ, ე, თქვენი ხალხი: ბიძია სამსონი და დანიელი და ბესარიონი“

ნაირა ლეჟან ჭუტელფთე გუტეყნდა ქა ლეჟანბნე, ბუბა **დანელიშთე** (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 58 წლისა) „ნაირა ზემო ჭველფში გვყავდა გახიზნული, ბიძია დანიელთან“...

ედდურ ხოჩა **მახღუაჟ** ლას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 56 წლისა) „ძალიან კარგი ვაჟკაცი იყო (ზედმიწ. – სრულად კარგი ახალ-ვაჟ-ი იყო)“

ხოჩა ტუფი ჩაფლარს სგა ლახდენსნახ **მახღუაჟს** ი ეჯი ექჟა წკუტიპარლ ქა თერინ, საბრა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 56 წლისა) „კარგ ტყავის ფეხსაცმელს რომ ჩააცმევდი ვაჟკაცს, ის იმისთანა კოხტა ჩანდა (ზედმიწ. – კარგ ტყავის) **ჩაფულ**-ებ-ს ჩააცმევდი ახალ-ვაჟ-ს და ის ის-ყალიბ-ი გამო-წეპილ-ი ჩანდა, **საბრალო**“...

ენბინე **მაქანად** ლისიოლწლ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 56 წლისა) „დაიწყო მანქანამ სრიალი“

... ეჯდარ ანერგაჟალდახ ხილარს ეჩეჟა ი: „მა **ჯადაბაიჯ** ორი ლიგერგი ლადედ, ალმარს დესმაიჯ ხარხ, ა, ამეურწლ“, – დეუტის მიშგუჟხენ (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკვლეში, 75 წლისა) „ისინი ხეხილს რგავდნენ იქ და: „ნეტა რა ჯანდაბაა-თქო ეს გიორგობა დდეს, ამათ არაფერი სწამთ-თქო, აი, აქაურებს“, – ვჩხუბობდი ჩემი აზრით (ზედმიწ. – ისინი **ნერგ**-ავ-დ-ნენ **ხილ**-ებ-ს იმაზე და: „რა **ჯანდაბა**-თქო იქნება **გიორგ**-ობ-ა **დდე**-[ს], ამეებს არაფერთქო აქვთ, აი, აქაურებს“, – ვ-დავ-ობ-დ-ი ჩემიდან)“

ჟი მოშ ოხტრყნხუტი ალე, ქ'რთუჟნნე ი **ჯადაბას**, ალე ჩტრდი, ხაფანდ, ამჩუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „რამენაირად თუ ამოვიყვანე ეს, გადავაგდებ და ჯანდაბას, ეს იქნება, ხაფანგი, აქ (ზედმიწ. – თუ ამოვიყვანე ეს, გადავაგდებ და **ჯანდაბა**-ს, ეს ქე იქნება, **ხაფანგ**-ი, აქ)“

სგა ხუაფხიჭ ალეს ყიაჟი, ხედრ სგა მინჯრი, **მილიცია** (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „ვწვდი ამას ყელში, რომელიც თან მახლავს, მილიციას (ზედმიწ. – ვსტაცე ხელი ამას **ყია**-ზე, რომელიც თან მახლავს, **მილიცია**)“

ანდრი **მელციან** უფროს (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „მოდის მილიციის უფროსი“

ბარჯჟი მაჯიდ ეჯნემ, **მელციან** ხოშად, ტოტ (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „მხარზე დამარტყა იმან, მილიციის უფროსმა („დიდმა“) ხელი“... შდრ., ასევე, ჩოლურულივე მელიცია (იქვე).

ხემდღანელ გირგოლ ლემარ, მა მაღ ჯარ?! ექლო მოხდა შიმტ ალე, ა, რეჟოლუცია, უცებ, ალე ანღრდა, **კომნისტ**, სგა (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „ხელმძღვანელი გირგოლი ყოფილა, მაგრამ რად გინდა?! მერე მოხდა ეს უცებ, აი, რეჟოლუცია, ეს შემოდიოდა, კომუნისტური წყობა („**კომუნისტ**-ი““

სტალინ ლას სგა მეჯდე ეჩქა, **კომნისტ** ანღრდა ეჩქა სგა (იქვე) „სტალინი იყო მაშინ სათავეში მოსული, კომუნისტური წყობა შემოდიოდა (ზედმიწ. – **სტალინ**-ი იყო შემოსული მაშინ, **კომუნისტ**-ი შემოდიოდა“

სუმინ ჩუმეხუმერელი, ოდო ოხნახახ **ზურბინაწლე** ბოფშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 90 წლისა) „სამჯერ დანგრეულა, სანამ ზურაბიანების ბავშვი არ ჩაუტნევიათ [ეკლესიის კედელში]“

**ენემ** დედეს მერეს ხეჭუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგანი, სოფ. უკლემი, 75 წლისა) „იმან ალბათ დედას უთხრა“

ხოყრა **ჟიტოტუკა** ი ჩ'ოთდაგრა ჯან ემჩუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიომა შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „უსვრია ვინტოვკა და ხარი მოუკლავს (ზედმიწ. – დაურტყამს **ვინტოვკა** და მოუკლავს **ხარ**-ი იქ)“

ხოჩა ლანხუბ მეყნდახ: ხოჩა დოდიკო, ხოჩა გრიშა, ხოჩა ანეტა ი ხოჩა **ჟახტაგ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: გულა ბაბლუანი, სოფ. ტვიბი, 70 წლისა) „კარგი ნათესავები მყავდა: კარგი დოდიკო, კარგი გრიშა, კარგი ანეტა და კარგი ვახტანგი (ზედმიწ. – კარგი სამმო მყვანდენ: კარგი **დოდიკო**, კარგი **გრიშა**, კარგი **ანეტა** და კარგი **ვახტანგ**-ი)“...

ბ) სახელები, რომელთაც ინლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ დაკარგული. მაგ.: **თაჟსფარ** ← ქართ. თავშესაფარ-ი; **შეზა/შეზა/შელებ** ← ქართ. შეიძლება; **პეტერგ** ← ქართ. პეტერ-ბურგ-ი; **მარგობ** ← ქართ. მორიგეობა; **სამარგობისა** ← ქართ. სამორიგეობი; **ერჟო/ერლო/-ერჟულო/ერჟუნჟო** ← **ერქქანლო** (შდრ. ზს. **ერქანლო/ერქანღუე**, ქს. **ერანლო/ერქანლო**) „მერე, მას შემდეგ“; **ადნე** ← **ადრენე** (შდრ. ბზ. **ადგრენე**, ბქ. **ადრენე**, ლშხ. **ადინე**, ლნტ. **ადინე**) „წავა“ და ა. შ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ჟ'ერ დესა ხატუსახი ი ჩრმეშდ **თაჟსფარ** ჯახგრბ, ეშა ტარ ჯარ?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „რომ ვერსად დამკვიდრდი და ყველასი გშურს თავშესაფარი, ვისი ბრალია (ზედმიწ. – რომ არ დამკვიდრებულხარ და ყველასთვის **თავშესაფარ**-ი გ-ე-**ხარბ**-ებ-ა, ვისი ბრალი გაქვს?!“)?“

დაკარგულია ინლაუტისეული მარცვალი -**შე**- და ინლაუტისეული-ვე-**ა**- ხმოვანი (**თაჟსფარს** ← **თაჟშესაფარს** ← ქართ. თავშესაფარს).

**შეზა** ჟალო ესა ჯათორნან, ხაბულიან ჟალო (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვაზო მუკბანიანი, სოფ. შტვილი, 80 წლისა) „შეიძლება იცნობდი ვალოს, ხაბულიან ვალოს (ზედმიწ. – შეიძლება ვალო თუ გცნობოდა, ხაბულიანი ვალო)“

**შეზა** ქ'ზრქუშ, ეჯრ მნმ ლი ლესკურელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „შეიძლება ეთქვა, ისიც არაა გასაკვირი (ზედმიწ. – **შეიძლება** უთქვამს, ისიც არ არის **საკვირველ**-ი)“

აჭკუარი ალე მწრე, სგ'წრეს ი ... **შება** ქა დომ ონტეხე ამხენქა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი ბაბლუანი, სოფ. უკვლეში, 70 წლისა) „ფიქრობს ეს კაცი, შევიდეს და შეიძლება ვერ გამოვიდეს იქიდან (ზედმიწ. – ფიქრობს ეს კაცი, შევიდეს და შეიძლება ვერ გამოვბრუნდე აქედან)“

ერხი კირუტენ **შება** ლემწრლან მწრემი ნანჯოდი (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 49 წლისა) „ზოგი სანთელი შეიძლება ადამიანის სიგრძე ყოფილიყო (ზედმიწ. – ზოგი **კერეონ**-ი შეიძლება ყოფილიყო კაცი[ს] სიგრძის)“...

**შელებ** ეჯისრ ხავგან ლიჯედ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) „შეიძლება მასაც უნდოდა წამოსვლა (ზედმიწ. – შეიძლება იმასაც სდომოდა მოსვლა)“...

ერთი და იგივე ლექსემის პარალელურ ფორმათა გამოყენების შემთხვევები ხშირია როგორც საკუთრივ ჩოლოურულ, ისე ნასესხებ მასალაშიც, სწორედ ამისი ნიმუშია ქართულიდან ნასესხები **შება/შება/შელებ** ფორმათა არსებობაც, სადაც სხვადასხვა სახის ფონეტიკური პროცესებია განხორციელებული, სიტყვათა ცვეტის ბოლო საფეხური კი, როგორც ჩანს, 68 წლის შტვილელი რესპონდენტის – ვაზო ხაბულიანის მეტყველებაში დადასტურებული **შება** უნდა იყოს (**შება**||**შება**||**შელებ** ← ქართ. შეიძლება).

პარალელურად ჩოლოურულ მეტყველებაში დასტურდება ცალთანხმოვან დაკარგული – **შეა[მ]ლება** და **შეა[მ]ლებ** ფორმებიც, რომლებიც საერთოა ლაშურთან და, ასევე **შელება** ფორმა, რომელიც ლეუშერელი ბუთული ხვისტანის საუბარში დადასტურდა.

**პეტერგს** ხუტუნ ლგანთუე იურიდიულ ი პროკურორდ ამშია მესტიას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბუთული ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 78 წლისა) „პეტერბურგში ჰქონდა დამთავრებული იურიდიული და პროკურორად მუშაობდა მესტიაში (ზედმიწ. – **პეტერბურგ**-ს ჰქონდა გა-თავ-ებულ-ი იურიდიულ-ი და პროკურორ-ად მუშა-ობ-და-ა მესტია-ში)“

ეჩა **მარგრბისა** სგა დემ მაგნა სერ კამერათე, მიჩაცახან ხუტყანდენ **სამარგრბისა**, ალ მწრეს (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „თავისი მორიგეობის დროს კამერაში არ მსვამდა, მასთან ერთად ვყავდი სამორიგეოში (ზედმიწ. – იმის **მორიგეობა**-ზე არ შემდგ-ამ-და-ა მოკლეთ **კამერ**-ი[ს]-კენ, მასთან ერთად ვ-ყ-ავ-დ-ი სა-მორიგ-ე-ომ-ი)“

**ერლო** ჩუ ღალ ადგან ეჯრმაგ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „მერე, საწყალი, ისიც გარდაიცვალა (ზედმიწ. – მაშინ[ს] მერე საწყალი ქე მოკვდა ისიც ყველა)“

ქა ხატულდახ ი **ერუტო** ქა რტუდახ ბოფშარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „დაუმახებდნენ ხოლმე და მერე გაიქცეოდნენ ბავშვები“

შტანს ოქტომბერი ბოლოს მრმ ჯელტენი ზექ ი ჭემ, **ერუტო** დემ ჯგდენი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „სვანეთში ოქტომბრის ბოლოს შეშა და თივა თუ არ გექნება მო-

მარაგებული, მერე ვედარ მოიტან (ზედმიწ. – სვან-ეთ-ს **ოქტომბრ-ი**[ს] ბოლოს არ გეენება შეშა და თივა, მაშინ[ს] მერე ვერ მოიტან)“

**ერწუთო** ემწუ ქორ ლგდა ი მურყუამ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 65 წლისა) „მერე იქ სახლი და კოშკი იდგა (ზედმიწ. – მაშინ[ს] მერე იქ სახლი ი-დგ-ა და კოშკი)“

ლიმზერს ხტიჩმგდად ი **ერწუთო** თელ ჩოლირს ხტიეცხპენრლდ ქა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 65 წლისა) „ლოცვას ადვავლენდით და მერე მთელ ჩოლურს შემოვივლიდით ხოლმე (ზედმიწ. – **ზორ-გ-ა-ს** ვიქმოდით და მაშინ[ს] მერე **მთელ** ჩოლურს შემოვივლიდით)“...

ექა ჩტალტიბელი ეჯ'რ ი **ერწუნუთო** სერ ჟი მგრეს ახსერე ხალხდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) „მაშინ დაბნეულა ის და მერე უკვე ეტყობა აჯობა ხალხმა“...

საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა პარალელურად ჩოლურულ მეტყველებაში გვხვდება ლაშხურთან საერთო შემდეგი ფორმები: **ერწუნდონენ||ერწნდო||ერწუნდო||ერწუდო||-ერწნდო||ერწნტონენ||-აწწნტო||ერწწტო||აწწანდონენ||ერწანდონენ||ერწუტო||ერწუდო...**

ექა ხოხტრა მუხტბას ხოქტა, ერე „ათხე ჯეე ლოქ **ადნე**, ალო“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 74 წლისა) „მაშინ უმცროს ძმას უთქვამს, რომ „ახლა მე წავალო, აბა (ზედმიწ. – ახლა თვითონო წავა, აბა)“...

### 3. აუსლაუტში თანხმოვან ან ხმოვანმოკვეცილი ძირები

ა) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ მოკვეცილი. მაგ.: **ადიალ** ← ქართ. ადიალა; **ლეკერთ** ← **ლეკერთე** (შდრ. ზს., ქს. **ლეკერთე**) „შემოღობილი“; **ისგტეცახა** ← **ისგტეცახან** (შდრ. ბზ. **ისგტეცახან**, ბქ. **ისგტეცახან**, ლშხ. **ისგტეცახან**, ლნტ. **ისგტეცახენ**) „თქვენთან ერთად“; **ლეგე** ← **ლეგედ** (შდრ. ზს., ლნტ. **ლეგად**, ლშხ. **ლეგად**) „ღვთის სახელზე შეწირული; აღთქმული“; **ცარაე** ← **ცარაელ** ← ქართ. ცარიელ-ი; **ჩუე** **ემიკუტ** ← **ემიკუტრ** (შდრ. ბზ. **ჩუემიკუტრ**, ბქ. **ჩუემიკუტრ**, ლშხ. **ჩუემიკუტ**, ლნტ. **ჩუამიკუტრ** „ჩამომიგდე“; **ირტი** ← **ირტინ** (შდრ. ბზ. **მარტინ**, ბქ. **მურტინ/მარუნ**, ლშხ. **მურტინ**, ლნტ. **გრტინ** (ხელედ.)||**მერტინ**) „ორჯერ“; **ტითო** ← ქართ. ვითომ; **უბრალ** ← ქართ. უბრალ-ლო; **კაპიტო** ← ქართ. კაპიტონ-ი; **ტალოდი** ← ქართ. ვალოდია; **ბესარიო** ← ქართ. ბესარიონ-ი; **ჩუტრო** ← **ჩუტროლ** (შდრ. ბზ. **ჩუტროლ**, ბქ. **ჩუტროლ**||**ჩუტროლ** „იქნებოდა“; **ლადიმე** ← **ლადიმერ** ← ქართ. ვლადიმერ-ი და მისთ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

**ადიალ** ჩტარი ეჩეჟი, ე, ჭანჭურჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგინი, სოფ. უკლემი, 75 წლისა) „ადიალა დევს იმაზე, ე, ჭანჭურის ხეზე (ზედმიწ. – **ადიალა** ქე არის იმაზე, ე, **ჭანჭურ-ზე**)“

გირკტან დაბზრ **ლეკერთ** ლას ჩინგ ი კუმამ ჯრდიათე ლედეს ი ხამარ ჯრდიათე ლედეს [ლასხ] (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „ირგვლივ ყანები ყველგან შემოღობილი

იყო და საქონელი შორს {იყო} წასაყვანი და ღორები შორს {იყო} წასაყვანი (ზედმიწ. – ირგვლივ ყანები იყო ყველგან შემოღობილი და საქონელი შორ[ის]კენ წასადები და ღორები შორ[ის]კენ წასადები)“

შუკუ ეჭკალი შუკუ ლას, ერე, ჩაჟ ერ ეხყენოლხ ჩუწნისა, ჩაჟ, ბოდიშ **ისგუეცაბა**, სგობინ ლათხუმარს ხოგდურდა ეშხუ მარე, მერზე აკუადს ხოგდურდა, ერე ქა მრდ ემშყედელს (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „გზა იმისთანა იყო, რომ ცხენი რომ მოჰყავდათ დასავლეთიდან, ცხენი, ბოდიში თქვენთან, წინიდან საბელს მოკიდებდა ხოლმე ხელს ერთი ადამიანი, მეორე კუდში კიდებდა ხელს, რომ არ გადავარდნილიყო (ზედმიწ. – **შუკა** ის-ყალიბ-ი **შუკა**-ა იყო, რომ, ცხენი რომ მოჰყავდეთ იქნება, ცხენი, **ბოდიშ**-ი თქვენთან ერთად, წინ სა-**თხემ**-ო-ს ეჭიდებოდა ერთი კაცი, მე-**ორ**-ე **კუდ**-ს ეჭიდებოდა, რომ არ გადავარდნილიყო)“

მრშ ლამზერ დესა გულუა ნად, **ლგე** დესა გულუა (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) „ცალკე სალოცავი არ გვაქვს ჩვენ, მიჩენილი არ გვაქვს (ზედმიწ. – ცალკე სა-**ზორ**-ავი არ გვაქვს ჩვენ, \*{შე}ვალეზული არ გვაქვს)“

ლახნადა ალე დორაჲს ი დეშ ენკიდ, თან **ცარიე**, ი ჩუედყალტუნ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბუთული ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 78 წლისა) „მიადგა ეს დოქს და ვერ აწია, თან ცარიელი, და შეშინდა (ზედმიწ. – შეუდგა ეს **დორა**-ს და ვერ აიღო, თან **ცარიელ**-ი, და დაშინდა)“

ჩუ ლოქ **ემიკუ** ეშხუ უისკულ, ალე ლოქ ნასნთე აშყად, ჩუ ლოქ **ემიკუ** მერმე უისკულ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბაჩანა რატიანი, სოფ. ლეუშერი, 5 წლისა) „ჩამომიგდეო ერთი ვაშლი, ეს შარდში ჩავარდაო, ჩამომიგდეო მეორე ვაშლი (ზედმიწ. – ჩამომიგდეო ერთი **ვაშლ**-ი, ესო **ფსელ**-ში ჩავარდა, ჩამომიგდეო მე-**ორ**-ე **ვაშლ**-ი)“

**ირუი** ჩუათაბერგნეხი, ჩიქე ეშხუდ ხაბერგეხი, ეჭუნღონენ მერზმდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 74 წლისა) „ორჯერ მოთოხნი, ჯერ ერთხელ თოხნი, მერე მეორედ (ზედმიწ. – **ორ**-ჯერ დათოხნი, ჯერ ერთად თოხნი, მაშინს მერე მე-**ორ**-ედ)“

ჯუმა ლადედს ჭაბკობს ხუაყლედ ნად, **უითო** ჭაბუგუტ ლოქ ჳედნი ი გიცარდ ლოქ ხეწუტნი ქა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 74 წლისა) „ოთხშაბათ დედს ჭაბუკობას ვეძახით ჩვენ, ვითომ ჭაბუკი მოდისო და ვერმად ეჩვენებაო (ზედმიწ. – ოთხშაბათ **დე**-ს **ჭაბუკობა**-ს ვეძახით ჩვენ, ვითომ **ჭაბუკ**-ი-ო მოვა და ვერმადო ეჩვენება)“

მეთხუიარ მარე ლოქ ლი, **უბრალ** მარე (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „მონადირე კაციაო, უბრალო კაცი“

ეჩენქნად ხუწად ადქარტეხ, **უბრალ** ხალხ, წერა-კითხუტ უცოდინარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 90 წლისა) „იმის გარდაც ბევრი გადაკარგეს, უბრალო ხალხი, წერა-კითხვის უცოდინარი (ზედმიწ. – იმის გარდაც ბევრი გა-**ა**-ქრ-ე-ს, უბრალო **ხალხ**-ი, წერა-კითხვის **უცოდინარ**-ი)“

ამეჩუ **კაპიტო** ლას აჯად გუმგუტე მეზუბელ, ათხე დესა არი, ლედგარ ლი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 90 წლისა) „აქ



კაპიტონი იყო კიდევ ჩვენი მეზობელი, ახლა არაა ცოცხალი, გარდაცვლილია (ზედმიწ. – აქ **კაპიტონ**-ი იყო კიდევ ჩვენი **მეზობელ**-ი, ახლა არ არის, მკვდარი არის)“

პეპი ხნდა **ჭალოდი** შაურეშიან მიხნარს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 90 წლისა) „ვალოდია შავრეშიანი მიხნარის ნათლია იყო (ზედმიწ. – ნათლია ჰქონდა **ვალოდია** შავრეშიანი მიხნარს)“

ნამ ხუნრდად: აკაკი, **ჭალოდი**, ბეგლარ, ალ სემი მეზგე, ლეუმერს **ბესარიო**, აღმარე მუ, ა, ჯერანიშ ი აღმარეშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუმერი, 76 წლისა) „ჩვენ ვცხოვრობდით: აკაკი, ვალოდია, ბეგლარი, ეს სამი ოჯახი, ლეუმერში ბესარიონი, ამათი მამა, აი, ჯეირანის და ამათი (ზედმიწ. – ჩვენ ვიმყოფებოდით: **აკაკი**-ი, **ვალოდია**, **ბეგლარ**-ი, ეს **სამ**-ი მოსახლე, ლეუმერში **ბესარიონ**-ი, ამათი **მამა**, აი, **ჯეირან**-ის და ამათი)“

ჯუმბერ მიშგუან ხოშა ლას, **ჩტრრ** ამჟი, ა, რშთხტ-ოხტიშტ ზადტშ {ხოშა} (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუმერი, 76 წლისა) „ჯუმბერი ჩემზე უფროსი იყო, იქნებოდა ასე, აი, ოთხი-ხუთი წლით {უფროსი} (ზედმიწ. – **ჯუმბერ**-ი ჩემად დიდი იყო, იქნებოდა ასე, აი, **ოთხ**-ი-**ხუთ**-ი წლით)“

ეჯდარ ზურაბიანალ ლასხ, ბაჭი ი **ლადიმე** (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 75 წლისა) „ისინი ზურაბიანები იყვნენ, ბავჩი და ლადიმერი“

ემრუ მეზგე გარ მნდ იზგედახ ეჩე: **ლადიმე**, ბაჭი ი ბონდო (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 75 წლისა) „მხოლოდ ორი ოჯახი არ ცხოვრობდა იქ: ლადიმერი, ბავჩი და ბონდო (ზედმიწ. – **ორ**-ი მოსახლე მხოლოდ არ სახლობდნენ იქ: **ლადიმერ**-ი, **ბავჩ**-ი და **ბონდო**)“

ბ) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკვეცილი. მაგ.: **მერმი** ← ქართ. ერმინე; **ჭოლდაცახ** ← **ჭოლდაცახან** „ოლღასთან ერთად“; **მგრტახ** ← **მგრტახირ** (შდრ. ზხ. **მურტახირ**, ბქ. **მურტახირ**, ლშხ. **მურტახ/მურტახურ**, ლნტ. **ლექტაურა** „[ბალს]ქვემოელი“; **იფროს** ← ქართ. ეფროსინე; **მაგრად** ← ქართ. მაგრაფინა; **მეწ** ← **მეწარ** ← ქართ. ზეწარ-ი; **ჯი** ← **ჯირა** (შდრ. ზხ. **ჯიპრა**, ლშხ. **ჯირა**, ლნტ. **ჯირა**) „მუხა“; **ირმიც** ← ქართ. აღმაცერ-ი; **მა** ← **მარე** (შდრ. ზხ. **მარე**, ლშხ. **მარა**||**მარე**, ლნტ. **მარე**) „მაგრამ“; **ბაწ** ← **ბაწარ** ← ქართ. ბაწარ-ი, **რაფამ/რაფი/რაფო** ← ქართ. რაფაელ-ი/რაფიელ-ი და ა. შ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

დედეს ხეყნდა ხოჩა ბიძა, **მერმი** ხედშხან, მუკტბანიან ლას (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 75 წლისა) „დედას ჰყავდა კარგი ბიძა, ერმინე ერქვა, მუკტბანიანი იყო“

**ჭოლდაცახ** იქიანქს გარ ზრდა, სერ ეჩაცახან ზრდა თელდ ეჩე (მივლინ. მასალ., მთქმელი: თინა ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 75 წლისა) „ოლღასთან იმვითად იყო, მოკლეთ სულ მასთან იყო იქ (ზედმიწ. – **ოლღა**-[ს]-თან ერ-

თად იქ და აქ მხოლოდ იმყოფებოდა, მეტი მასთან ერთად იმყოფებოდა **მთლ**-ად იქ“

დედე **მგრჭუზხ** ხეყნდ ეჯის, კტიცინან (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნათელა ქურდიანი, სოფ. ლეუშერი, 78 წლისა) „დედა ბალსქვემოელი ჰყავდა იმას, კვიციანი (ზედმიწ. – **დედა** ქვემოური ჰყავდა იმას, კვიციანი)“

მიჩა დი ლას დოდოშა ასტრშ, ონიან, **ფგროს** ხემშხან (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჰველფი, 58 წლისა) „დედამისი იყო დოდოსანთ ასული, ონიანი, ეფროსინე ერქვა (ზედმიწ. – მისი **დედა** იყო **დოდო**-ს-ებ-ის **ასულ**-ი, **ონიან**-ი, **ეფროსინე** ერქვა)“

აეხტ გტინანდ ოხჭინდა, ოშთხტემტ ლგზად ლგმარელი, ჩარკუტან **მაგრანგ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 50 წლისა) „ცოლი გვიან მოუყვანია, ორმოცი წლის ყოფილა, ჩარკვიანი მაგრანგინა“

ქა ლოქ იმჟი ხომგდა იშგნა ნაყტნალ **მეწი** ლირში?! (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „როგორ მაკადრეო სხვისი დანაწოლი ზეწრის დაგება (ზედმიწ. – როგორ უკადრებია სხვისი ნაწოლი **ზეწრ**-ის დაგება?)!“

ალეს} ... თტეფ ჩ'ოსყედნა ი ჟ'ემჩედ ჯითეჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 74 წლისა) „ამას თოფი დაუკავებია და მუხის ხეზე ასულა (ზედმიწ. – ამას **თოფ**-ი დაუკავებია და ასულა მუხაზე)“

ამშა **ირმიცდ** ლიდრითანალუ ემშტეხელი მეკუშმდად (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „მოისპოს ამისი დაბღვერილი ცქერა (ზედმიწ. – ამისი **ალმაცერ**-ად ყურებამცა გათავებულა მოკლედ)“

აერხი ეჯისნ ხეჩო, ე, ლორი ჯიჯტარს, **მა** მი მშმ მერ მალატ ეჯი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა გარდაფხაძე, სოფ. ლეუშერი, 65 წლისა) „ზოგი იმასაც უკეთებს, ე, ლორის ძვლებს, მაგრამ მე არ მიყვარს ის რაღაც (ზედმიწ. – ზოგი იმასაც უქმს, ე, **ლორ**-ის **ძვლ**-ებ-ს, მაგრამ მე არ რაღაც მიყვარს ის)“

ხოლიდ, ხოლიდ: ჟ'რჯ ენგენი, **მა** მშმ ანგან (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჰველფი, 76 წლისა) „ველოდებით, ველოდებით: ადგება-თქო, მაგრამ არ ადგა (ზედმიწ. – ველოდებით, ველოდებით: ად-გ-ებ-ა-მეთქი, მაგრამ არ ად-გ-ა)“...

ამასობაში ეჯი ეჩე ქუთან თურმე, **ბაწ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჰველფი, 76 წლისა) „ამასობაში ის იქ ინძრევა თურმე, ბაწარი“

ალე **რაფაი** ლას ლადრ გეზალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „ეს რაფაელი იყო ლადოს შვილი“

შაშის ი **რაფის** ხეყნდახ აეშტიერუ გეზალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჰველფი, 58 წლისა) „შაშის და რაფაელს ჰყავდათ თორმეტი შვილი“

**რაფო** ლას ჭუელდერხენ, ბითილზ ჭამ (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 28 წლისა) „რაფაელი იყო ჭველიერიდან, ბითილას ქმარი“...

ხმოვანთა და თანხმოვანთა (ანუ ფონემათა) დაკარგვის შემთხვევები მეტნაკლებად სვანურის ყველა დიალექტში დასტურდება, თუმცა არა იმ სიხშირით და არა იმ სახით, როგორც ჩოლურულ მეტყველებაში. სვანურში ბრუნვის ნიშანთა, კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტის მოკვეცის (ანუ -**იმ** მორფემის) თანდათანობითი ცვეთის პროცესი ცნობილი ფაქტია და ამ ფაქტის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი აზრია გამოთქმული (თ. შარაშენიძე, მ. ქალდანი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ალ. ონიანი, ი. ჩანტლაძე...); მეტნაკლებად შესწავლილია ხმოვანთა და თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევებიც ქართულიდან შემოსულ ლექსიკაში (მდრ. ლნტ. **დუერი** „მდორე“, ბზ. **ზარტილ**, ლშხ. **ზარულ**, ლნტ. **ზარეული** „მზარეული“, ლშხ. **ინდბანდ**, ლნტ. **ინდბანდ** „ბინდბუნდი; გარიჟრაჟი“, ზს., ქს. **ძიუ** „მძივი“, ზს., ლნტ. **წუად**, ლშხ. **წუად** „მწვადი“, ლშხ. **ტერ** „მტერი“, ლშხ. **ბოთ** „ბოთლი“, ბზ. **მოაზხ**, ბქ. **მოაზხ**, ლნტ. **მოაზ/მუაზ** „მოაზლე“, ბქ. **პატრაჯ** „ბადრიჯანი“, ზს., ლნტ. **გამარჯუ** „გამარჯვება“, ბზ., ლშხ. **ჩირგ** „ჩირგვი“, ზს., ქს. **წირ** „წირვა“, ლშხ. **კდე** „კლდე“, ბქ. **კანდა** „კალანდ“, ბზ. **დიხსან**, ბქ. **დიხსან** „დიასახლისი“, ბზ., ლნტ. **მისძელ**, ლშხ. **მისძელ** „მასპინძელი“, ზს. **ღადალ** „ბაღლინჯო“, ზს. **ჭაგუ** „ჭლაკვი“... – ჟღერტი 1949:185; საღლიანი 2005:42-46; 137:142), თუმცა სიტყვათა იმგვარი ცვეთა, რაც ჩოლურულში გამოვლინდა, სხვა დიალექტ-კილოკავებში არ შეგვიძინვია.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩოლურული მეტყველება აღნიშნული მოვლენის (ანუ *ბგერათცვალებადობის*) თვალსაზრისითაც ბევრ თავისებურებას ავლენს, რაც მას საგრძნობლად განასხვავებს სვანურის დანარჩენი (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) დიალექტებისაგან. ცხადია, ჩოლურულის შედარება უფრო უპრიანი იქნება ლაშხურ-ლენტეხურთან, როგორც მის მოსაზღვრე დიალექტებთან, თუმცა თვალსაჩინოებისათვის ზემოსვანურ, უმეტესად კი ბალსზემოურთან შედარება, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესო და აუცილებელი უნდა იყოს, ვინაიდან ჩოლურული მეტყველება, განსხვავებულთან ერთად, ბევრ საერთოს ავლენს არა მხოლოდ ლაშხურ-ლენტეხურთან, არამედ ბალსზემოურთანაც (მსჯელობა იხ. ქვემოთ!).

ჩოლურული მეტყველების ადგილი სვანურ დიალექტთა შორის, როგორც არაერთგზის ითქვა, დღემდე საცილობლადაა ქცეული. მიზეზიც ასე თუ ისე ცნობილია, ანუ სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მონოგრაფიულად შესწავლა კი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფლის მეტყველების შეძლებისდაგვარად სრულ აღწერას და შემდგომ ამ მასალის სვანურის სხვა დიალექტებთან შედარება-შეპირისპირებას, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ როგორც ამ დიალექტებთან საერთო, ისე საკუთრივ ჩოლურულისათვის დამახასიათებელი სხვაობანი.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი, როგორც უკვე ითქვა, გახლავთ ჩოლურულში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენის – *ბგერათცვალებადობის*, კერძოდ, *ბგერათდაკარგვის*<sup>1</sup> განხილვა.

რამდენადაც ჩვენ მიერ წარმოდგენილმა საკმაოდ ვრცელი მასალის ანალიზმა აჩვენა, ჩოლურულში *ბგერათდაკარგვა* (ანუ ე. წ. *სიტყვათა ცვეთა*) ხორციელდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტშიც სხვადასხვა სიხშირითა და სხვადასხვა სახით, ამასთანავე, ხშირად ერთდროულად მიმდინარეობს ბგერათა თუ მარცვალთა დაკარგვა სიტყვის ამა თუ იმ პოზიციაში (მაგ.: **თაჟსფარ** ← ქართ. თავშესაფარ-ი; **შეზა/შეზა/შელეზ** ← ქართ. შეიძლება; **პეტერგ** ← ქართ. პეტერბურგ-ი; **ერჟო/ერდო/ერჟუო/ერჟუნო** ← **ერქანდო** „მერე, მას შემდეგ“; **ჟოლდაცახ** ← **ჟოლდაცახან** „ოლდასთან ერთად“; **მგრჟაზ** ← **მგრჟაზირ** „[ზალს]ქვემოელი“; **იფროს** ← ქართ. ეფროსინე; **მაგრაფ** ← ქართ. მაგრაფინა; **მეწ** ← **მეწარ** ← ქართ. ზეწარ-ი; **ირმიც** ← ქართ. ალმაცერ-ი; **მა** ← **მარე** „მაგრამ“; **ზაწ** ← **ზაწარ** ← ქართ. ბაწარ-ი და ა. შ.). სიტყვათა ამგვარი ცვეთის მიზეზი, ერთი შეხედვით, გაუგებარია, თუმცა, შესაძლოა, ეს ცვეთა აიხსნას *დიალექტთა ურთიერთშერევის* (resp. *ინტერფერენციის*) ფაქტორით, რის შედეგადაც არტიკულაცია შეირყა და მეტყველების ტემპიც დაჩქარდა. ამ ყველაფერმა კი გავლენა მოახდინა ბგერით შედგენილობაზე, რამაც გამოიწვია ერთი მხრივ *ბგერათდასუსტება* და მეორე მხრივ კი *ბგერათდაკარგვა*. ის ცვლილებები კი, რაც ჩოლურულ მეტყველებაში ვლინდება, ძირითადად, როგორც ეს სავლელ პირობებში წლების მანძილზე ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფელში მოძიებული დიდძალი აუდიო და ვიდეომასალის ანალიზმა აჩვენა, ხანდაზმულთა მეტყველებაში იჩენს თავს. სწორედ ხანდაზმულთა მეტყველებაზე დაკვირვებამ გამოავლინა უამრავი *უშემასმენლო წინადადება* ჩოლურულ მეტყველებაში (იხ. ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი, „უსრული წინადადებისათვის სვანურში“, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2015, გვ.71-72), რაც, რასაკვირველია, ერთ-ერთ თავისებურებად და სხვა დიალექტებისაგან განსხვავებულ მოვლენად მივიჩნიეთ. ალბათ, უშემასმენლო წინადადებების არსებობაც „ეკონომიურობის პრინციპით“ უნდა აიხსნას, რასაც ვფიქრობთ, ასევე, მეტყველების სწრაფი ტემპი, მთქმელის შინაგანი დამოკიდებულება საკითხისადმი, ანუ ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა განაპირობებდეს: მის ცნობიერებაში დაკარგული *სიტყვა* (*ბგერა*, *მარცვალი*) არსებობს, თუმცა სწრაფი მეტყველების დროს იჩქმალება და ეს მისთვის სრულიად ბუნებრივია. დროთა განმავლობაში სიტყვები გაცვდა და თაობიდან თაობას უკვე გაცვეთილი სიტყვები გადაეცა, თუმცა ახალგაზრდების მეტყველებაში ეს *ბგერათცვალებადობა* უკვე ნაკლებად იგრძნობა. ერთი და იგივე მთქმელი, ძირითადად კი ახალგაზრდები, სისტემატურად ერთმანეთის პარალელურ (*სრულ* და *გაცვეთილ*) ფორმებსაც იყენებენ. ჩვენი აზრით, სიტყვათა ცვეთა დიალექტთა ურთიერთშერევის რაღაც ეტაპზე მოხდა, შემდეგ კი პროცესი შეჩერდა, აქედან გამომდინარე შესაძლოა ვიფიქროთ, რომ

<sup>1</sup> ბგერათდასუსტებაზე მსჯელობა წარმოდგენილი იქნება შემდგომ ნაშრომში.

ხანდაზმულთა მეტყველებაში დადასტურებული გაცვეთილი ფორმები არქაიზმებია და სხვა უამრავ არქაულ ფორმებთან ერთად სწორედ ეს განასხვავებს ჩოლურულს სვანურის სხვა დიალექტებისაგან.

ჩოლურულს, როგორც ცნობილია, მჭიდრო ურთიერთობა აქვს მის მოსაზღვრე დიალექტებთან – ლაშხურთან და ლენტეხურთან. გარდა ამისა, ჩოლურის ხეობის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (გვიდიანები, შავრეშიანები, ბაბლუანები, რატიანები, ქურდიანები, ხაჭვანები...) ზემო სვანეთიდან, კერძოდ, ბალსზემო სვანეთიდან არიან სხვადასხვა დროს მიგრირებული ჩოლურის ხეობაში. ამ ინტენსიურ შერევას, ერთი მხრივ, ლაშხურ-ლენტეხურთან და, მეორე მხრივ, ბალსზემოულის საარტიკულაციო ბაზისზე. დიალექტთა გავლენა სხვადასხვაგვარად აისახა ზემო და ქვემო ჩოლურულ მეტყველებაზე, განსხვავებულია როგორც ინტონურ დიალექტთან, უპირველეს ყოვლისა, გავლენა უნდა მოეხდინა ჩოლურაცია, ასევე ბგერითი შედგენილობაც (საყდრულში, ბულემურში, მუწდურში და ა. შ. ხშირად ვხვდებით -ჭ-ს, რომელიც საერთოა ბალსზემოურთან. უმლაუტიანი ფორმები კი უფრო მეტად ასაკოვან რესპონდენტთა მეტყველებაში დასტურდება). უმთავრესი, რა თქმა უნდა, ის ბგერათცვალებადობაა, რაზეც სწორედ ჩვენ ნაშრომშია საუბარი და რასაც „ეკონომიურობის პრინციპი“ განსაზღვრავს.

დიალექტთა გავლენა, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ჩოლურულის საარტიკულაციო ბაზისზე აისახა, დაჩქარდა მეტყველების ტემპი, მოხდა ყველა ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ერთმანეთში აღრევა. ჩოლურული გაბმული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ბგერებისა და მთელი მარცვლების დაკარგვის მთავარი მიზეზიც, ალბათ, ეს ფაქტორებია – *არტიკულაციის შერყევა, მეტყველების ტემპი, ინტონაცია, დიალექტ-კილოკავთა ურთიერთკონტაქტები, ინდივიდუალური მეტყველების ასაკობრივი თავისებურებანი* და ა. შ., რასაც გავლენა არ მოუხდენია ენის გამომხატველობითი უნარის თუნდაც უმნიშვნელო შეზღუდვაზე, ვინაიდან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „ენა (უფრო ზუსტად, ენის ესა თუ ის სფერო) მდიდრდება ან მარტივდება იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს კომუნიკაციის (ფართო მნიშვნელობით) საჭიროებაც და რამდენადაც ეს დასაშვებია კომუნიკაციის თვალსაზრისით“ (ქობალავა 1988:48-49).

## ლიტერატურა

**ქლენტი 1949** – ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949

**საღლიანი 2005** – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 2005

**ქობალავა 1988** – ი. ქობალავა, ეკონომიის როლისათვის ენის სისტემასა და განვითარებაში, იკე, XXVII, თბილისი, 1988.

**Medea Saghiani, Nato Shavreshiani**

“The Principle of Economy” and Its Causative Factors  
in Cholur Speech

Summary

The analysis of quite extensive material presented by us has shown that in Cholur the loss of a sound occurs in Anlaut, Inlaut and Auslaut in different forms and frequency. In addition, the loss of sounds and syllables may often occur in different positions at the same time. At first glance the reason is not clear but it can be explained by the dialect intermixture (resp. interference) resulting in the shaken articulation and the brisk pace of the speech. All these impacted on the sound composition that caused the weakening of sounds and the loss of them that can be explained by the so-called “principle of economy”.

## ნარგიზა სურმავა

### თავიეთ-ი და თავიანთ-ი რეფლექსივების ურთიერთმიმართებისათვის (სამწერლობო ძეგლთა მონაცემების მიხედვით)

ძველი და საშუალო ქართულის ძეგლთა ენაში იშვიათად ჩნდება უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავიეთ/თავეთ**. აღნიშნული ნაცვალსახელი სხვადასხვა ვარიაციების სახით დღესაც ფუნქციონირებს ცალკეულ დიალექტურ ქვესისტემაში.

**თავიეთ-ი/თავეთ-ი** მნიშვნელობით იგივეა, რაც თანამედროვე სალიტერატურო ენაში გავრცელებული ლექსემა **თავიანთ-ი**. ეს სიტყვები ერთმანეთის სრულ ფუნქციურ-სემანტიკურ სინონიმებს წარმოადგენენ. ერთიც და მეორეც ფუნქციით სიმრავლის გამოხატველი ადიექტივია. ორივე მათგანი, როგორც რეფლექსური კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მიემართება მრავლობითი მდგარ სუბიექტს (სახელით ან III პ. ნაცვალსახელით გამოხატულს) და ობიექტს განსაზღვრავს, როგორც ამ სუბიექტის კუთვნილს, მის მფლობელობაში მყოფს, არასხვისს. ა. შანიძის ლაკონიური განმარტებით: კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის (შანიძე 1973:43), საკუთრივ **თავიეთ**-ის შესახებ ნათქვამია, რომ იგი იხმარება უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით და მიემართება მრავლობითი დასმულს (ან ნაგულისხმევ) სახელს (შანიძე 1971:138).

ორივე რეფლექსური ნაცვალსახელისათვის მხოლობითის (მხოლობითში მდგარ სუბიექტთან მიმართების შესაბამისად) საოპოზიციო ცალია უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავის-ი**, ხოლო **მრავლობითის** არარეფლექსური საპირისპირო მეწყვილეა კუთვნილებითი ნაცვალსახელი **მათ-ი**. ორივე ლექსემა **თავიეთ** და **თავიანთ** ნაწარმოებია **თავი** ნაცვალსახელისაგან, განსხვავებას მათ შორის ქმნის საწარმოებელი სუფიქსები: ერთ შემთხვევაში გვაქვს **-ეთ**, ხოლო მეორე შემთხვევაში – **-იან-თ** დაბოლოება.

ერთი ფუძისაგან (ჩვენს შემთხვევაში ნაცვალსახელი **თავი**) ორი ეკვივალენტი ლექსემის წარმოქმნა მიმანიშნებელია მათ შორის დროითი ან სივრცითი განსხვავებისა: მოსალოდნელია, ისინი სხვადასხვა ენობრივი ქვესისტემის კუთვნილება ან ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდის წარმონაქმნი იყვნენ. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ერთი მათგანი მეორისაგან ფონეტიკური სახეცვლის შედეგად იყოს მიღებული. თეორიულად გამოსარიცხი არც ეს უკანასკნელი (ფონეტიკური) გზაა. თუ ამ გზას მივყვებით, ასეთ შემთხვევაში **თავიეთ** უნდა მივიჩნიოთ ამოსავალ, ძირი-

თად სახედ (როგორც უფრო ძველი, ადრე დადასტურებული), ხოლო **თავიანთ** – მის ფონეტიკურ ვარიანტად. გამოდის, რომ: **თავიეთ**→**თავიანთ**. დიალექტურ ქვესისტემებში (კერძოდ, ქართლურსა და კახურში) ცნობილია დისიმილაციის საფუძველზე **იე** და **ია** ხმოვანკომპლექსთა მონაცვლეობის ფაქტები **-იერ** სუფიქსის მაგალითზე: ღონიერი//ღონიარი, მშიერი//მშიარი, გემრიელი//გემრიალი (იმნაიშვილი 1974:52). **-იარ<-იერ** მონაცვლეობას სისტემური სახე აქვს მოხეურში (ქავთარაძე 1985:699). შეუძლებელი არ იქნება შუალედური, გარდამავალი რგოლების დამებნა **თავიეთ**→**თავიანთ** პროცესისთვისაც, ასე მაგალითად, სამცხურ-ჯავახურში დასტურდება ვარიაციები: **თავიეთ, თავიათ, თავეთ, თავიენტ, თავენტ, თავენ, თავანთ** (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე, მ. ბერიძე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. შანიძეს გამოთქმული აქვს აზრი, რომ „ამ **თავიეთ**-ისაგან მოდის დღევანდელი **თავიანთ**-ი“, – თუ რა გზით, არ არის ახსნილი (შანიძე 1971:138).

წინამდებარე ნაშრომში ამოვდივართ იმ პოზიციიდან, რომ სალიტერატურო ენაში ისტორიულად დადასტურებული **თავიეთ** და **თავიანთ** ლექსემები წარმოადგენს უკუქცევითი ნაცვალსახელის ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოჩენილ ფორმას, მოღწეულს თავიანთი პირველსახით. ამდენად, ფონეტიკურ ვარიანტებად მათი გააზრება არა გვგონია, რომ მართებული იყოს.

სპეციალურ ლიტერატურაში **-ეთ** სუფიქსის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია კრებითობის და მრავლობის (ნ.მარი, ს.ჯანაშია), „კრებითი მრავლობითის“ (ბ.ჯორბენაძე) გამოხატვა. იგი მეტად პროდუქტიულია, როგორც გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი: ეთნიკური სახელებისგან აწარმოებს ქვეყნის სახელებს, ანთროპონიმებისგან ლოკალურ ტოპონიმებს – ოიკონიმებს, (როგორც ტოპომაწარმოებელი განზოგადოებულია და იხმარება სხვა ტიპის სახელებთანაც). მაგრამ რამდენადაც გავრცელებულია **-ეთ** როგორც ტოპომაწარმოებელი, იმდენად იშვიათია მისი, როგორც მრავლობითის მაწარმოებლის, გამოყენება. ამ სუფიქსით ძვ. ქართულში ერთადერთი საზოგადო სახელი იწარმოებს მრავლობითს – **ვინ** (მოთხ., მიც., ნათ. ბრ.: **ვიეთ**) კითხვითი ნაცვალსახელი. გამოყენების სხვა შემთხვევები ადამიანის საკუთარ სახელებზე მოდის: ესაა ე.წ. „კოლექტიური სახელები“ (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი), იგივე „კრებითი მრავლობითი“ (ბ. ჯორბენაძე): დანიელეთ, მისაელეთ, ნონოსეთ... და მემკვიდრეობითი გვაროვნული სახელები: გიორგიეთ, თევთიეთ, დავითეთ...(ამის შესახებ იხ.: იმნაიშვილი 1957:388-390; შანიძე 1976:40, დონდუა 1948:134-166, თოფურია 1956, ჯანაშია 1959, ენუქიძე 1977 და სხვ.). (თვით **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელიც ხომ მხოლოდ პიროვნების მიმართ იხმარება!)

რაც შეეხება, **თავ-იან-თ** სიტყვის **-იან-თ** დაბოლოებას, ბოლოკიდური **-თ**, ცხადია, სახელთა მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია; ხოლო **-იან** სუფიქსის ძირითად ფუნქციად თანამედროვე ქართულში მიჩნეულია კუთვნილების, ყოლა-ქონების სახელთა წარმოქმნა. ძვ. ქართულში **-იან** გვხვდება **-იან**-ის სახით, იგი ახალ ქართულთან შედარებით უფრო იშვიათად გამოიყენებოდა (ამ ნაკლს ავსებდნენ **-იერ, -ოვან, -ოსან** მაწარმოებლები). **-იან** სუფიქსი საზოგადო სახელთაგან წარმოქმნის ყოლა-ქონის სე-



მანტიკის ზედსართავ სახელებს: წამლენი, ოქრენი, მარლენი, მარილენი... (იმნაიშვილი 1957:435; შანიძე 1976:52). საკუთარ სახელთაგან სიტყვათწარმოებისას **-ენ** სუფიქსი აღნიშნავს კუთვნილებას, ჩამომავლობას, (განსხვავებით **-ეთ** სუფიქსისაგან, რომელიც წინ წამოსწევს სიმრავლე-კრებიტობის მომენტს). მაგ.: ძვ. საბანენი (/საბანისძე), მიქელენი, ბარაქენი, აგარენი, აბრამენი (იმნაიშვილი 1957:391). ახალ ქართულში **-იან** სუფიქსმა საწარმოო არეალი ძლიერ გაიფართოვა. იგი დაერთვის ნაცვალსახელს, რიცხვით სახელს, ზმნისართს, საწყისს. საგულისხმოა, რომ ახალ ქართულში **-იან** სუფიქსი დაერთვის კუთვნილებით და უკუქცევით-კუთვნილებით ნაცვალსახელებს **ჩემ-იან-ი, შენ-იან-ი, ჩვენ-იან-ი, თავის-იან-ი...** და გამოხატავს კუთვნილებით დამოკიდებულებას (ნათესაობას, ახლობლობას, თანამოაზრობას...) სუბიექტისა ნაცვალსახელით გამოხატული პირის მიმართ (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988: 214-216; ჭუმბურიძე 1990 :60).

**-ეთ** და **-იან-თ** სუფიქსთა ფუნქციური გადაკვეთა ხდება ადამიანის საკუთარ სახელთაგან (ან მეტსახელთაგან) ნაწარმოებ მემკვიდრეობით, გვარის განაყოფთა სახელებში: ეს თანხვედრა გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **-ეთ** სუფიქსიანი გვაროვნული სახელი წარმოგვიდგება გენტიური მსაზღვრელის ფუნქციით, რაც თავისთავად გულისხმობს კუთვნილების გამოხატვას, (სიმრავლე-კრებიტობასთან ერთად), ისევე როგორც **-იან-თ** დაბოლოება ერთდროულად მიუთითებს კუთვნილებასა და სიმრავლეზე. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ენ>იან** მიჩნეულია რთულ სუფიქსად. ივარაუდება: **-ევ-ან > -ენ > -იან**. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მისი შემადგენელი **-ან** სუფიქსის პირველადი მნიშვნელობა კრებიტობა-სიმრავლის გამოხატვაა. ეს მოსაზრება პრობლემურად არის მიჩნეული – ჯანაშია: 1959:35-47; ჩიქობავა: 2013:117).

ამავე ტიპის წარმოებას მიჰყვება მრავლობითის გამომხატველი უკუქცევით-კუთვნილებითი **თავიეთ** და **თავიანთ** ფორმები. თავისთავად საყურადღებო ენობრივი ფაქტია კუთვნილებითი ნაცვალსახელისა და გვარის სახელისათვის საერთო საწარმოო მოდელის გამოყენება. რაც, საფიქრებელია, გამომდინარეობს ნაცვალსახელთა ანაფორიული ფუნქციიდან. დიალექტურ ქვესისტემებში შენიშნულია კუთვნილებით ნაცვალსახელთა მრავლობითის მსგავსი წარმოების მაგალითები: **იმაან-თ** „იმათ“, **იმაან-თ-ი** „იმათი“ („ხენწიფეს გაეხარდა **იმაანთი** მისვლა“ ქდკ – ქართლური, ო. კახაძე), **ჩვენებთანთ** („დაუძახე **ჩვენებთანთ** ალექსანდრესაო“ ქდკ – ქართლური).

**ძველი ქართულის მონაცემები.** ორი სინონიმი ნაცვალსახელიდან მხოლოდ **თავიეთ-ი** დასტურდება ძველ ქართულში, ისიც სპორადულად, ხოლო **თავიანთ-ი** საშუალ ქართულში ჩნდება. **თავიეთ-ი** შეტანილია ი.აბულაძის ლექსიკონში: საილუსტრაციო მაგალითი – „არა ჩემთვის მოსრულ არიან, არამედ **თავიეთ** საქმისათვის“ – დამოწმებულია „მამათა ცხოვრებიდან“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის A-11105 ხელნაწერი) (აბულაძე 1873). **თავიეთ** ლექსემა დაფიქსირებულია ზ. სარჯველაძესთანაც, ოღონდ წყაროს მითითების გარეშე (სარჯველაძე 1995).

რამდენიმე ფორმა გვხვდება „გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში“ (შანიძე 1971). ეს ნიმუშები აღნიშნულ ნაცვალსახელზე დაკვირვების საშუალებას იძლევა, ამიტომაც მათზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით. „ტიპიკონი“ ანუ წესდება თარიღდება 1083 წლით, ხოლო მოღწეულია მე-13 საუკუნის ხელნაწერის სახით. როგორც ტექსტის გამოცემის ავტორი აკად. ა.შანიძე მიუთითებს: „ძნელია იმის თქმა, რა შესძინა გადამწერმა XIII საუკუნეში ძველ ტექსტს, ... მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს, რომ ძეგლის ენა XI საუკუნისად მივიჩნიოთ“ (შანიძე 1971:133). ცნობილია, რომ დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე წარმომავლობით ტაო-კლარჯეთიდან იყო. ძეგლი, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, დაწერილია სამართლის დოკუმენტებისთვის დამახასიათებელი სტილით და სასაუბრო ენასთან მიახლოებულია.

ძეგლში ვხვდებით **თავიეთ და თავეთ** ფორმებს. **თავეთ** გვევლინება **თავიეთ**-ის ფონეტიკურ ვარიანტად. ძეგლის მიხედვით **თავიეთ/თავეთ** წარმოდგება სიმრავლე-კრებითობის სემანტიკის რეფლექსურ კუთვნილებით ნაცვალსახელად.

მაგალითები:

„რომელნი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა რომელ არიან ესე ქორაკანდელნი ვეცხლისანი ორნი **თავ[ი]ეთ** ჯაჭუებითა, ერთი მათგანი ოქროთა ცურვებულ არს.

მივეც უკუწ და დაუმტკიცე წმიდასა ეკლესიას ჩემსა: მე, გრიგოლ, ნებითა ღმრთისათა ... ესე ყოველნი **თავეთ** ზღვრითა; და სინორითა და ყოვლითა სამართალითა“ (გვ.64)

„ესე უკუწ ყოველნი ... მიმიცემიან ზემო ჳსენებულისა მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთის-მშობელისა პეტრიწონისა და, ვითა ზემო ვთქუ, **თავიეთ** ყოვლითა-ვე ზღვრითა და პირველითგანვე ქონებულთა ჳამებულებითა და სამართალითა და **თავიეთ** უღლებითა ყოვლითა და თესულებითა და ყოვლითა ალაგებითა და შემოსავ[ა]ლითა“ (გვ.65).

„... მაშინ ჳმდა რაათა-მცა აიღეს ძმათა **თავიეთ** შესამოსლისა ფასი“ (გვ. 81).

აღსანიშნავია, რომ ზოგან ძეგლის ტექსტში, მსგავს კონტექსტებში, **თავიეთ/თავეთ**-ი ჩანაცვლებულია **თავისა** ფორმით. ერთსა და იმავე პოზიციამი რეფლექსურ-კუთვნილებითი ნაცვალსახელის რიცხვის მიხედვით დაპირისპირებული ცალკების თავისუფალი მონაცვლეობა იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ რეფლექსური კუთვნილებითი ნაცვალსახელისათვის მრავლობითის ფორმით ფუნქციონირება ენობრივი ნორმით (ძველი ქართულისათვის) „სავალდებულო“ არ იყო, და შესაძლოა, **თავიეთ/თავეთ** ფორმებს საუბრული ან კუთხურ-დიალექტური ელფერიც დაჰკრავდეს.

შდრ. **თავისა**-ს მაგალითები იმავე კონტექსტში:

„ეგრეთ-ვე მივეც თოფოლიწონთა პრეტორად სახელ-დებული სოფელი, რომელსა ჟლოვა ეწოდების **თავისა** ყოვლითა შემოწერილებითა და ზღვრითა“ (გვ.64)

„მივეც მაგას-ვე ზემო ჳსენებულსა ეკლესიას ჩემსა ... პრასტინი ჩემი ზაუწი **თავისა** ყოვლითა ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა სრულებით“ (გვ.64).

„მიგვცემიეს უკუწ სოფელი ესე პრილონგი მონასტრისა ჩუენისა და **თავისა** ძუელითა ციხებითა და აგარაებითა, ქსენადოშებითა და ყოვლითა ზღვრითა მისითა“ (გვ. 66).

ამრიგად, ძველი ქართულის მიხედვით, **თავიეთ/თავეთ** წარმოგვიდგება გენიტიური განსაზღვრების სინტაქსური ფუნქციით, ფუნქციურად იგი **თ-**იან მრავლობითში მდგარი პრეპოზიციული გენიტიური მსაზღვრელის ფარდია. **თავისა** და **თავიეთ** ერთმანეთს უპირისპირდება როგორც რეფლექსური კუთვნილების გამომხატველი მხოლობითის და მრავლობითის ფორმები (შდრ. კაცის(ა) და კაცთა). სავარაუდოდ, **თავიეთ** ფორმა წარმოიქმნა როგორც მრავლობითის სემანტიკის გამომხატველი საოპოზიციო მეწყვილე ენაში უკვე არსებული მხოლობითი შინაარსის მქონე **თავისა/თავისი** უკუქცევითი ნაცვალსახელისათვის.

ძველ ქართულში **თავიეთ/თავეთ** უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი იშვიათად გვხვდება. ისმის კითხვა, სხვა რა ალტერნატიული საშუალება გამოიყენებოდა ამ ფუნქციით? როგორც ჩანს, **თავისი/თავისა** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმა ან არ გამოიყენებოდა, (მის ადგილას ისევ მხოლობითის ფორმას ხმარობდნენ), როგორც ეს „ტიპიკონის“ მაგალითზე დავინახეთ, ან კიდევ ამ მიზნით ძველი ქართული უმეტეს წილად მიმართავდა აღწერით გზას – შესიტყვებას, **თავისა/თავისი** ნაცვალსახელისა და მრავლობითის ფუძის კუთვნილებითი ნაცვალსახელის წყვილულის სახით. ასე მაგალითად, ძველქართულ ტექსტებში საკმაოდ ხშირად დასტურდება შესიტყვება **თავისა მათისა**, რომელიც, შეიძლება ჩაითვალოს **თავიეთ** ნაცვალსახელის ფუნქციურ მონაცვლედ, აღწერითად იმასვე აღნიშნავს, რასაც **თავიეთ** ნაცვალსახელი.

მაგალითები:

ვეცხლი და ოქროდ მათი იქმნეს **თავისა მათისა** კერპად, რადთა მოისრნენ (ოშკის ბიბლია–ქექ-2018.04).

კარვები მათი და საცხოვარი მათი წარიღონ, სამოსელი მათი და აქლემები მათი და ყოველი ჭურჭერი წარიღონ **თავისა მათისად** (ოშკის ბიბლია.იერემია – ქექ-2018.04).

მე დამიტევს და მეუფედ **თავისა მათისა** ირჩიეს კეისარი (უდაბნოს მრავალთავი–ქექ-2018.04).

და ვიდოდეს თითოეულად ნათესავნი იგი ნებასა **თავისა მათისა-სა**, და უღმრთოებდეს წინა-შე შენსა და უვარ-გყვეს შენ (ოშკის ბიბლია: ეზრა სუთიელი–ქექ-2018.04).

ყოველმან სამთავრომან მისმან, გინა თუ საერისთავომან, გამოირჩიონ **თავისა მათისათვს** კაცი ჭემმარტი და ღირსი (ბალავარიანი–ქექ-2018. 04).

როგორც ვხედავთ, **თავისა მათისა** წარმოგვიდგება **თავი მათი**-ს პარადიგმის წევრად ნათ. ბრუნვაში. საკუთრივ **თავი მათი** მსაზღვრელ-საზღვრულია, სადაც **თავი** ნაცვალსახელი გამოდის საზღვრულის, ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელი **მათი** პოსტპოზიციური შეთანხმებული მსაზღვრელის როლში. რაც შეეხება წყვილუულს **თავისა მათისა**, წინადადებაში გამოიყენება გენიტიური განსაზღვრების (**თავისა მათისა** კერპად), ან დამოუკიდებელი წევრის, უბრალო დამატების (გამოირჩიონ **თავისა მა-**

**თისათვის**), ფუნქციით; მნიშვნელობით უდრის „თავიანთ“-ს, „თავიანთ-თვის“.

*შენიშვნა.* არ არის გამორიცხული, რომ **თავის-ა** ნაცვალსახელიც მსგავსი შესიტყვების შეკვეცის შედეგად იყოს მიღებული. შდრ: ძვ. **თავით** „თავითონ“, რომელიც, ივარაუდება, რომ შესიტყვების **თავით თვისით** (ჩემით, მათით...) ელიფსის გზით არის მიღებული (შალვაშვილი 1982:300). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ძველსა და საშუალო ქართულში **თავისა** ფორმის სიხშირე, სტატისტიკურად იგი ბევრად სჭარბობს **თავისი** ფორმას (იხ. ქეევ-2018.04).

თუ შევადარებთ **თავიეთ** ფორმას „ვინ“ ნაცვალსახელის **ვიეთ** მრავლობითის ფორმასთან, მათ შორის საერთოს აღმოვაჩენთ არა მხოლოდ მაწარმოებელი სუფიქსის **-ეთ/ მიხედვით**, არამედ სხვა მხრივაც: ორივე მათგანი ძველ ქართულში რეალიზდებოდა მხოლოდ აღნიშნული ფორმით, სახელობითში შესაბამისი **ნ**-იანი მრავლობითი არცერთ მათგანს არ უდასტურდება. ძველი ქართულის ფორმები **ვიეთნი** (სახელობითისა) და **ვიეთთა** (სხვა ბრუნვებისა) მიჩნეულია მოგვიანებით წარმოშობილად მას შემდეგ, რაც დაიხრდილა **-ეთ**-ის, როგორც მრავლობითობის მაწარმოებლის, ფუნქცია და იგი გაგებულ იქნა ფუძისეულ მასალად. ამგვარად შესაძლებელი გახდა წარმოქმნილიყო მრავლობითის ფორმა სახელობითისათვის და შევსებულიყო **ვინ** ნაცვალსახელის ბრუნვების პარადიგმა (მარტიროსოვი 1964:335; მარი 1925:102). ძველი ქართული ენის ცნობილი მკვლევარი ივ.იმნაიშვილი წერს: „**ვინ** ნაცვალსახელს მოეპოვება მრავლობითი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს მრავლობითი შეუძლია აღნიშნოს მოთხრობითსა და სხვა ირიბ ბრუნვებში და არა სახელობითში ... მაგრამ აქ უფრო საინტერესოა მეორე გარემოება: მრავლობითის ნიშნად გვაქვს სუფიქსი **ეთ: ვი-ეთ**. რომლის თანხმონიტი ნაწილი კარგად ცნობილი მრავლობითობის ნიშანია (კაც-თ-ა, ხე-თ-ა). ჩვენი სახელი შეიცავს ხმოვან **ე**-ს და ამით ეხმაურება მრავლობითობის სხვა ქართულ სუფიქსებს: **ენ, ეს, ებ, ედ. ეთ** მრავლობითობის ნიშანი მარტო არ დგას, მას გვერდში უდგება ასეთივე შინაარსის მქონე **ეთ** საკუთარ (პირთა) სახელებში: პავლე-ეთ-ი, აზარია-ეთ-ი, დანიელ-ეთ-ი და სხვ. მეორე მხრით ამასთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს აგრეთვე გეოგრაფიული სახელების **ეთ** სუფიქსსაც: კახეთი, იმერეთ-ი, სვან-ეთ-ი და სხვ.“ (იმნაიშვილი 1957:506-507). ასე რომ, **-ეთ**-სუფიქსიან სახელთა რიგს ძვ. ქართულში შეიძლება თამამად მიუერთდეს **თავიეთ** ფორმაც.

**საშუალო ქართულის მონაცემები.** **თავიეთ** ნაცვალსახელი დასტურდება საშუალო ქართულშიც რედუცირებული **თავეთ-ი** ვარიანტის სახით, ასე მაგალითად, იგი გვხვდება „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ პროზაულ ვერსიაში, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „უთრუთიან-საამიანის“ სახელით არის ცნობილი (კობიძე 1974:49). „უთრუთიან-საამიანის“ ტექსტი ჩვენამდე მოღწეული ორი ხელნაწერის მიხედვით არის შევსებულ-გამთლიანებული (კობიძე 1974). გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ **თავეთ**-ისა და მისი მჟღერი ვარიანტის **თავედ**-ის გამოყენების ყველა შემთხვევა

(სულ 12-ჯერ არის ნახმარი) თავს იყრის ერთ ხელნაწერში (H-921), რაც ეჭვს იწვევს, რომ ეს ფორმები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კონკრეტულად ამ ხელნაწერის მთარგმნელის (ან გადამწერის) ენისათვის, იმ ქვესისტემისათვის, რომლის მატარებელიც ის იყო. მკვლევართა აზრით, „უთრუთიან-საამიანის“ პროზაული და ლექსითი ვერსია („როსტომიანი“) ერთდროულად იქმნებოდა (გალექსვამდე პროზაული თარგმანი შეიქმნა) და ისინი დათარიღებულია მე-16 საუკუნით. მთარგმნელ-გამლექსავებად სერაპიონ საბაშვილი და ხოსრო თურმანიძე სახელდებიან.

**თავით** ნაცვალსახელი „უთრუთიან-საამიანშიც“ იმავე უკუქცევით-კუთვნილებითი დანიშნულებით არის ნახმარი, როგორც ძვ. ქართულის ტექსტებში. ოღონდ ამ ძეგლში ძვ. ქართულისაგან განსხვავებით, **თავით**-ზე დართულია ბრუნვის ნიშნები, **თავით** ფუძედ არის გაგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ **თავით** უბრუნველი ფორმიდან ჩამოყალიბდა ნაგენიტივარ ფორმაცვალეზად ნაცვალსახელად საკუთარი პარადიგმით (სავარაუდოდ, მისი საპირისპირო ცალის **თავის**-ის ანალოგიით).

„შაკ-ნამეს“ მიხედვით, **თავით-ი** ნაცვალსახელის ვარიანტად გვევლინება **თავედ-ი**. საფიქრებელია, აქ უფრო **-ეთ** და **-ედ** სუფიქსიან ლექსემათა აღრევასთან გვექონდეს საქმე, ვიდრე ფონეტიკურ სახეცვალეზასთან (ამაზე ცოტა ქვემოთ).

მაგალითები:

შევიდეს ბაღშიგან, მძიმისა სამკაულითა დაკაზმულნი და **თავეთ-სა** ტახტსა ზედა დასხდეს (გვ.248).

რა კვებ[ნ]ით გაძღა, კიდეცა დაღამდა და **თავეთს** სადგომსა წავიდნენ (გვ.177).

...წავიდეს **თავედსა** სადგომისაკენ (გვ. 277).

ერანელნი დაშავებულნი და იმედგარდაწყვეტილნი **თავეთს-თავს** ტიროდეს (გვ.285).

დალოცეს და მაღლი გარდიჯადეს, აგრე დაეთხოვნეს და **თავეთ-სა** მამულშიგან წავიდეს (გვ. 190).

ძეგლში **თავედ** გვხვდება ფუძეგაორკეცებული კომპოზიციის სახით: **თავედ-თავედ**; ზმნასთან მისი გამოყენება მიუთითებს, რომ იგი ზმნისართის ფუნქციის მატარებელია და მნიშვნელობაც განსხვავებული აქვს, სავარაუდოდ, აღნიშნავს „სათითოდ, თითოეულად, ცალ-ცალკე“. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, **თავედ-თავედ** უბრუნველია. ერთ კონტექსტში გვერდიგვერდ არის ნახმარი **თავით**- და **თავედ-თავედ** ფორმები, როგორც ჩანს, პირველი უკუქცევითი ნაცვალსახელის, ხოლო მეორე ზმნიზედის ფუნქციით: „შეხედნეს: ყარან მოვიდოდა ორმოცდაათი ათასითა როგორაცა თურანელთა დაინახეს, აგრე უკუმოეყარნეს და კიდეცა დაღალულნი იყუენეს და **თავეთსა** ბარგზედა უკუდგეს.

მერმე ყარან მოვიდა და ყუელასა **თავედ-თავედ** მიულოცა შვილობით მორჩომა“ (გვ.269).

თუმცა დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა ფუძეგაორკეცებული **თავედ**-ი უეჭველად კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს და, სავარაუდოდ, არასწორად არის გამოყენებული მოსალოდნელი იყო **-ეთ** სუფიქსიანი ფორმა.

„აგრე ყულაი **თავედ-თავედსა** სადგომსა წავიდეს (გვ.253). შდრ. იქვე: ...და იმა ღამესა **თავის-თავის** ოთალშიგან დადგეს“ (გვ.247). **თავედ-თავედსა** ნიშნავს „თავ-თავიანთ“.

**თავეთ-ი** უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვხვდება სულხან-საბას ენაშიც, კერძოდ კი, მისსავე მოგზაურობის დღიურებში – „მოგზაურობა ევროპაში“. აქ აღნიშნული ნაცვალსახელი დასტურდება სახელობითისა და ნათესაობითის ბრუნვათა, **-თვის**-თანდებულდართული (ზმნისართული ფუნქციით), და რედუქლიცირებული კომპოზიტის სახით.

მაგალითები:

**თავეთავეთი** სატანჯველი ხელთ ეჭირათ (სულხან-საბა 1987:256)

სამოცდათექვსმეტი ვეცხლის წმინდანი იყო შექმნილი, **თავეთთავეთი** ნაწილი ეჭირათ (სულხან-საბა 1987:256)

რაც საფრანგეთში მხატვარი, კაცი თუ ქალი გამოსულიყო **თავეთის** ხელით **თავეთის** სახე დახატული იყო (სულხან-საბა 1987:254)

ორი **თავეთის** რიგისა წმიდისა სხვა თავი, მრავალი სხვა ნაწილი გვიჩვენეს (სულხან-საბა 1987:265).

ამ თათრებს ხომალდიდამ ამოუშვებ, **თავეთავეთის** წავლენო (სულხან-საბა 1987:286). (ეგევე მაგალითები მოყვანილია კრებულში „შავშეთი“ – ცინცაძე, ფაღავა, 2011:251).

„შაჰ-ნამეს“ მსგავსად, აქაც **თავეთ-ი** ნაგენეტივარი რეფლექსური ნაცვალსახელია, **თავეთ-** გამოდის ფუძის როლში.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას მხატვრულ ნაწარმოებებში **თავეთ-ი** ფორმა არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს **თავიანთ-ი**, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის (მე-17-მე-18 სს.) **თავიანთ-ი** სალიტ. ენისთვის „მისაღებ“ სიტყვად ითვლებოდა, **თავეთ-ი** კი უფრო საუბრული (და, შესაძლოა, კუთხურიც) იყო. „თავიანთ“-ის მაგალითები „სიბრძნე სიცრუისა“-დან: **„თავიანთ** ნაქმარი მათვე გადახდა“, „ერთმანერთს **თავიანთი** თემი უქეს“, „ორთავ **თავიანთი** შარდი აურის“.

საინტერესოა, რომ „შაჰ-ნამეს“ სხვა ქართულ ვერსიაში – „წიგნი საამ ფალავნისა“ (საამიანი) დასტურდება **-იანთ** დაბოლოებანი უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი: **თავიანთ-ი**. ქეევ-ის მიხედვით (2018 წლის აპრილის მონაცემებით), ეს ქართულ მწერლობაში ასახული პირველი ნიმუშებია; ერთი მაგალითი გვაქვს თეიმურაზ მეორის „თიმსარიანში“. სულ გამოყენების 18 შემთხვევა ფიქსირდება. **თავიანთ** ნაცვალსახელი რეალიზებულია შემდეგი სიტყვაფორმების სახით: **თავიანთ**, **თავიანთი** (სახ. ბრ.), **თავიანთს**, **თავიანთკენ**. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

მოახსენეს **თავიანთ** გარდასავალი (გვ.304).

**თავიანთ** კერპი შეურაცხყვეს (გვ.375).

ფალავანი რომ გამომგზავრდა, ფრანგ დივზადამ **თავიანთი** ურდო მოამზადეს (გვ.382).

მივიდნენ და **თავიანთს** ჯემწიფეს აცნობეს (გვ.419).

**თავიანთ** მამას ხაყან ჩინს იგლოვდნენ (გვ.394).

ესრეთ გამხიარულდნენ ეს ლაშქარნი, რომ **თავიანთ თავს** საამფალავნისათვის სასიკვდილოდ ადვილად გამოიმეტებდნენ (გვ.369).

და **თავიანთი** ნება სრულ ყვეს (თიმსარიანი, კარი მე-10).

**თავიეთ/თავეთ** და **თავიანთ** ფორმები სულხან-საბას ლექსიკონში შეტანილი არ არის. არ გვხვდება არც ნ. ჩუბინაშვილთან. მაგრამ შეუტანია დ. ჩუბინაშვილს: „**თავიანთი** – ზედ. მდაბ. თავეთი, თავენთი...“ (ჩუბინაშვილი 1984:539). განმარტებიდან ჩანს, რომ ავტორის შეფასებით, **თავიანთი** მდაბიური სიტყვაა, (იმ პერიოდის გრამატიკოსების ტერმინოლოგიით „მდაბიური“ გულისხმობს საუბრულსაც და კუთხურსაც), ხოლო **თავეთი/თავენთი** სალიტერატურო ფორმებია (შესაძლოა, მოძველებული?!).

ამრიგად, საშუალო ქართულის ძეგლთა მონაცემებით ვრწმუნდებით, რომ **თავიეთ/თავეთ** და **თავიანთ** ერთმანეთის ეკვივალენტი ფორმებია, ერთმანეთისგან განსხვავებული მხოლოდ მაწარმოებელი სუფიქსებით. მათ შორის ფორმოზრივი განსხვავება უნდა განვიხილოთ, როგორც სალიტერატურო-სასაუბრო (შესაძლოა, სალიტერატურო-დიალექტური) დონის სხვაობის გამოხატულება. **თავიეთ/თავეთ** ფორმა უკვე ძველ ქართულშივე ფიქსირდება, მაგრამ სპორადულად; **თავიანთ** ფორმა საშუალო ქართულის აღორძინების ხანის ლიტერატურაში ჩნდება (დიალექტებსა და სასაუბრო ენაში, სავარაუდოდ, უფრო ადრე არსებობდა) და აქედან მოყოლებული სალიტერატურო ენის ნორმატიულ ფორმად იქცევა, რასაც ხელი შეუწყო კახეთიდან გამოსულ სამეფო გვარის შემოქმედთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ. როგორც აღნიშნავენ: „**არჩილს, თეიმურაზ პირველსა და თეიმურაზ მეორეს** პოეტური შემოქმედების მეოხებით გაბედულად შემოჰქონდათ და სალიტერატურო ენაში ამკვიდრებდნენ ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს. მათ თხზულებათა ენაში ფართო გასაქანი პოვა ისეთმა დიალექტურმა მოვლენებმა, რომლებიც ამჟამადაც დასტურდება კახურ დიალექტში“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956:21).

ამრიგად, სამწერლობო ძეგლთა მონაცემებით, შეიძლება დავასკვნათ:

ა) **თავიეთ** ფორმა დასტურდება ძველ ქართულში და, ამდენად, იგი უფრო ძველია, ვიდრე **თავიანთ**-ი. მისი სიძველის ხაზგასმაა **-ეთ** მრავლობითის მაწარმოებელი. **თავიეთ** ფორმა იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ იგი, **-ეთ** სუფიქსიანი წარმოების ტიპით, გვერდით უდგას **ვიეთ** მრავლობითის ფორმას, ე.წ. „კოლექტიურ სახელებსა“ და გვარის სახელებს.

ბ) ძველ ქართულში **თავიეთ** იშვიათად გამოიყენება: ხშირად მის ადგილას ისევ მხოლოდობითის ფორმაა (**თავისა**) გვხვდება, ან კიდევ, მრავლობითობა გამოხატულია აღწერთად – შესიტყვების მეშვეობით (მაგ., **თავისა მათისა**).

გ) ძველ ქართულში **თავიეთ** იხმარება მხოლოდ გენიტიური განსაზღვრების ფუნქციით და ფორმაუცვლელია. ამით ის ანალოგიას პოვებს „ვინ“ ნაცვალსახელის მრავლობითის **ვიეთ** ფორმასთან.

დ) საშუალო ქართულში **თავიეთ/თავეთ** იძენს ნანათესაობითარი რეფლექსური კუთვნილებითი ნაცვალსახელის სტატუსს და ქმნის პარადიგმას.

ე) სავარაუდოდ, **თავიანთ** ფორმას სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებლად გზა გაუკვალა კახეთიდან გამოსულ სამეფო გვარის შემოქმედთა (არჩილი, თეიმურაზ I, თეიმურაზ II) მოღვაწეობამ.

### ლიტერატურა

**დონდუა 1948** – ვ.დონდუა, „ლიპარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, თბილისი, 1948.

**ენუქიძე 1977** – ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი, 1977.

**თოფურია 1956** – ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა **თა** სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956

**იმნაიშვილი 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, 1974, თბილისი, 1974.

**იმნაიშვილი 1957** – ივ.იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.

**კობიძე 1974** – დ.კობიძე, შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, III, თბილისი, 1974.

**მარი 1925** – Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград, 1925.

**მარტიროსოვი 1964** – ა.მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, 1964.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956** – არ.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

**სარჯველაძე 1995** – ზ.სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

**სულხან-საბა 1987** – სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში: ქართული მწერლობა, ტ.7, თბილისი, 1987.

**ქავთარაძე 1985** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

**ქდკ** – ქართული დიალექტური კორპუსი, <http://www.corpora.co/#/>

**ქეეკ** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი, <http://gnc.gov.ge/gnc/>

**ცინცაძე, ფაღავა, 2011** – მ.ცინცაძე, მ.ფაღავა, შავშური კილო: კრებ. შავშეთი, 2011, გამომც. „ჰოროსი XXI“, თბილისი, 2011.

**შანიძე 1973** – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

**შანიძე 1971** – ა.შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბილისი

**შანიძე 1976** – ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

**შალვაშვილი 1988** – ლ.შალვაშვილი, **თვით, თვითონ, თავად** ნაცვალსახელთა განაწილება თანამედროვე სალიტ. ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბილისი, 1988.



**ჩიქობავა 2013** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, შრომები VII, თბილისი, 2013.

**ჩუბინაშვილი 1984** – დ.ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

**ჭუმბურიძე 1990** – ნ.ჭუმბურიძე, ყოლა-ქონების აღმნიშვნელი რთული სუფიქსები ქართულში, იკე, ტ.XXIX, თბილისი, 1990.

**ჯანაშია 1959** – ს.ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, მისივე შრომები, ტ.III, თბილისი, 1959.

**ჯანაშია 1959** – ს.ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, მისივე შრომები, ტ.III, თბილისი, 1959.

### **Nargiza Surmava**

#### On Interrelation of the Pronouns *taviet-i* and *taviant-i* (Based on the Data of Literary Monuments)

##### Summary

The lexemes *taviet-i/tavct-i* and *taviant-i* “their” are functional-semantic synonyms for each other. Both of them were derived from the pronoun *tavi* and the difference between them is formatives *-ct* and *-ian-t* indicating that they have been formed in different linguistic subsystems or at different levels of the language development.

The form *taviet* is attested in old Georgian and thus it can be considered that it is older than the form *taviant-i*. In old Georgian it was used sporadically: in most cases the singular form *tavisa* is used instead of it or the plurality is expressed descriptively – by means of a syntagm, e.g. *tavisa matisa*.

In old Georgian *taviet* is used only as a modifier and is unchangeable. By being so, it is analogical to the pronoun *vin* “who” in the plural *vite*.

In middle Georgian *taviet/tavct* acquired the status of a reflexive possessive pronoun derived from the genitive form and created a paradigm.

The form *taviet* is important because with its suffix *-ct* derivation type it stands next to the plural form of *vict*, the so-called collective names and surnames.

The activities of the Kakhetian royal people like Archil, Teimuraz I and Teimuraz II paved the way for the form *taviant* to establish in the new literary language.

## ჭაბუკა ქირია

### პროსოდიული ხმოვნები ზანურში

ქართულში სახელთა ბრუნვის ფორმას, ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას (იშვიათად ზმნებს) შეიძლება დაერთოს **-ა** ხმოვანი, რომელსაც **მაგრებ** ხმოვანს (**საგრებ**ს), **პროსოდიულ** ხმოვანს, **ნართალ** **ა**-ს ან **მარცვალთლიაობის -ა**-საც უწოდებენ. ასეთ ელემენტად მიიჩნევენ ასევე **-ო**-ს, რომელიც დაერთვის ფუძეუკვეცილი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის (წყარო-ს-**ო**, წყარო-თ-**ო**) ფორმებს.

ლაზურში პროსოდიული **ო, უ, გ** ხმოვნები მეტად შეზღუდულად იხმარება. დღესდღეობით ისინი მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოშია დადასტურებული, ნათესაობითში კი **-ო** ჩვეულებრივია ყველა კილოსთვის. ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, **-თი** „ცა“ ნაწილაკის წინ, სხვა ირიბ ბრუნვებში **ო, ო, უ, გ** არ ჩანს, ნათესაობითში კი **-ო** აუცილებლად გვაქვს: კოჩიქ-თი „კაცმაც“, კოჩის-თი „კაცსაც“, მაგრამ – კოჩიშ-**ო**-თი „კაცისაც“.

ლაზურში ემფატიკური **-ო** სპორადულად თუ ამოტივტივდება მიცემითში. ამის მაგალითია ათინურში დადასტურებული **ხექჩ-ის-ო** „გამზრდელს“.

ასე რომ, პროსოდიულ ხმოვნად ლაზურ-მეგრულში **ო, უ, გ** და **ი** გვხვდება. ამათგან **ო** მეგრულში არ იცის, **გ** და **ი** კი მეტად შეზღუდულად იხმარება ლაზურში (კარტოზია, 2004, 62).

მეგრულის ემფატიკური **უ, გ** და **ი** ხმოვნებიდან **გ** ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანოულში გვხვდება, **ი** – სენაკურ-მარტვილურში. **უ** ორივე კილოში დასტურდება – უმთავრესად მაშინ, როცა ფუძე **უ** ან **ო** ხმოვანს შეიცავს (დუსუ „თავს“, კოსუ „კაცს“) (კარტოზია, 2004, 63).

გ. კლიმოვის აზრით, ემფატიკური **უ** მიღებულია **გ** და **ი** ხმოვნებისგან ფუძისეულ **უ** და **ო** ხმოვნებთან ასიმილაციით [კლიმოვი, 1962, 25].

გ. კარტოზია მიიჩნევს, რომ საქმის ვითარება სხვაგვარად უნდა იყოს: **უ, გ** და **ი** ხმოვანთაგან ამოსავალი **უ** უნდა იყოს, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში (ფუძეში **უ** ან **ო** ხმოვნის არსებობისა) შენარჩუნებულ იქნა, უცვლელად იქნა დაცული, სხვა შემთხვევებში კი **გ** და **ი**-დ იცვალა [კარტოზია, 2004, 63].

ასევე **უ** ითვლება ამოსავლად ემფატიკური **გ** და **ი** ხმოვნებისათვის ლაზურში. ლაზურისა და მეგრულის **უ**, რომელიც, თავის მხრივ **ო**-სგან მომდინარეობს, ქართული **ა** ხმოვნის შესატყვისი ჩანს (კლიმოვი, 1962, 25).

გამოდის, რომ ქართულის **ა** ხმოვანს ლაზურსა და მეგრულში **ო, უ, გ** და **ი** ხმოვნები შეესატყვისება. ეს **ო** გარკვეულ პოზიციებში ვიწროვდება და გადადის **უ, ი, გ**-ში [გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 158].

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პოზიციამია პროსოდიული **ო** ხმოვანი, სახელდობრ, სიტყვის ბოლოში (პაუზის წინ) არის მოქცეული. ლაზური, როგორც ჩანს, ამოსავალ **ო**-ს უცვლელად იცავს. შდრ. მესამე სუბ. პირის ნიშნის ანალოგიური სახეცვლილებანი ლაზურსა და მეგრულში: ქართ. -**ა** სუფიქსის შესატყვისად ლაზურში -**უ** გვაქვს, მეგრულში - **-უ** და **გ**. ამასთან, ლაზურში (ათინურში) დასტურდება ამოსავალი -**ო** ხმოვანიც: **კრიო** (ჩიქ., II, 121) „იკივლა“, **დუხენო** (ჩიქ., II, 121) „გაუკეთა“, **იგზალო** (ჩიქ., II, 121) „წავიდა“ (**კრიუ**, **დუხენუ**, **იგზალუ** ფორმების ნაცვლად) [კარტოზია, 2004, 63].

მორფოლოგიურად უფუნქციო **ო**-ს ხმარების შემთხვევები ი. ყიფშიძისა და ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში საგანგებოდ აქვს აღნიშნული და წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას. მაგ.:

**ო:**

**სერის(ო) დიდაქ(ო)** თხვერი შუმტუ (ყიფშ., 78) „დამე დედაბერი ნართით („ნართს“) ქსოვდა; ჰიმდოს ჰიმ **დიდაქო** ჰამუს უკიდიუ (ყიფშ., 83) „მამინ იმ დედაბერმა ამას უკივლა“; უკაჩხე ჭუმანი დიდიუ. **მოსიელესო**, – „ჩოის ჩქიმიშა ვიდარე“, – თქუუ დილენჩიქ (ყიფშ., 76) „მერე გათენდა. ადგენენ. „ჩემს სოფელში წავალ“, – თქვა მათხოვარმა“; ოფშა ნეძი **უღუნო**, მევიხირათერე! (ყიფშ., 77) „ბევრი ნიგოზი აქვს, მოვიპაროთ“...

**უ:**

„ბოზუმოთა მი **მეზუშქვათუ**“, **თქვეს(უ)**, „ჩოური იმამი **მეზუშქვათუ**“ (ჩიქ., II, 118) „გოგო ვის დავუტოვოთ? - თქვეს. სოფლის იმამს დავუტოვოთ; ხაჯილუდიშა **მენდაბთესუ** (ჩიქ., II, 118) „ჰაჯობაზე წავიდნენ“; ბოზომოთა სქანი ოროსპილული **იქუმსუ** (ჩიქ., II, 118) „შენი ქალიშვილი უსაქციელობს („ბოზობას იქმს“; Fგ, და შქიმი, ბაბა შქიმი **გიოსამსუ**, ჭუმანი **ბიდათენუ**“ (ჩიქ., II, 118) „ჰე, ჩემო დაო, მამაჩემი გეძახის, ხვალ წავიდეთ“; დადი Fა დაჩხური **ოგზენუ** (ჩიქ., II, 118) „ტყეში ცეცხლი ანთია“; Fირი იგზალესუ (ჩიქ., II, 119) „ყველა წავიდა“; ოშქური ქომეჩესუ (ჩიქ., II, 118) „ვაშლი მისცეს“...

**ო:**

ჰიმ **ბექჩისი** სარ ბოზუმოთა-თი ქუფონუ (ჩიქ., II, 124) „იმ გამზრდელს ერთი ქალიშვილიც ჰყავს“; ცამანი ვროსი **სორდითი!** (ჩიქ., II, 125) „იცოდეთ, კარგად გაზარდეთ!“; არ გდარი **ოფშკომათი** (ჩიქ., II, 127) „ერთი საჭმელი შევჭამოთ“...

**გ:**

ჰუს **დელიქგ** მორდერი კუკმათე წარი ქონობუ (ყიფშ., 79) „ახლა გიქმა დიდი თუნგით წყალი ჩამოვიდა“; ჰინდოს ა გამატახერი კალათი **დელიქგ** ქეჭოფუ (ყიფშ., 79) „მამინ ერთი გამოტეხილი კალათი აიღო გიქმა“...

მეგრულში ირიბ ბრუნვებს (ნათესაობითის გამოკლებით) რომ **ო**-ს პარალელურად **გ** და **უ** დაერთვის, ეს შენიშნული აქვს ი. ყიფშიძესაც. იგი მიუთითებს, რომ **ო**, **გ**, **უ** ხმოვნები თანხმოვნით დამთავრებულ ზმნურ ფუძეებსაც დაერთვის. მაგ.: ჭარუნს-**ო** || ჭარუნს-**გ** || ჭარუნსუ „წერს“. ეს ხმოვნები როგორც სახელებში, ისე ზმნებში მას **უფუნქციო ელემენტებად**

მიაჩნია და მიიჩნევს, რომ ისინი **გამოთქმის გასაადვილებლად** ჩნდება სახელისა და ზმნის თანხმომავურ დაბოლოებებში.

მეგრულში პროსოდიული ხმოვნის ფუნქციით გხვდება **ო, უ, გ მოთხრობითთან, მიცემითთან, მოქმედებითთან, ვითარებითა და დანიშნულებითთან.**

ამდენად, ძირითად ფორმებთან ერთად ფაკულტატიურად შეიძლება გვქონდეს პარალელური ფორმები: კოჩქო || კოჩქგ || კოჩქუ „კაცმა“, კოსო || კოსგ || კოსუ „კაცს“...

სახელთა ყველა ირიბ ბრუნვას არ ერთვის **გ** და **უ**. ნათესაობითის -შ ელემენტს მხოლოდ **ო** ხმოვანი ერთვის და მას არ შეიძლება შეენაცვლოს **გ** ან **უ**. შეუძლებელი ფორმებია: **კოჩიშგ, კოჩიშუ.**

გ. კარტოზიას აზრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული **ო** ხმოვანი არ შეიძლება გავუტოლოთ სხვა ირიბ ბრუნვებში მოცემულ **ო**-ს, რადგან მას ამ პოზიციაში არასოდეს არ ცვლის **უ** და **გ**... **ო** არ უნდა იყოს ემფატიკური დაბოლოება. საქმე ის არის, რომ ჯერ ერთი, ნათესაობითში წარმოჩენილი **ო** სულ სხვა ოდენობაა, ვიდრე დანარჩენ ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი **ო** (კოჩ-**ო**-თი, კოს-**ო**-თი); მერეა და, თვით ქართულში ფუძე-უკვეცელ სახელთა ნათესაობითის (წყაროს-ი) -**ო** არ უნდა წარმოადგენდეს ემფატიკურ ხმოვანს (კარტოზია, 2004, 63).

მაგრამ რამდენად შეიძლება იყოს ხმოვნის სტატუსის (პროსოდიულობის) განმსაზღვრელი ის ფაქტორი, თუ რამდენად იცვლის იგი ფონეტიკურ იერს?

მეორეც: რა უნდა იყოს ეს **ო**, თუ არა **პროსოდიული** (ემფატიკური, ნართაული) ხმოვანი?

ქართულ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობით ბრუნვაზე დართულ -**ო**-ს (წყარო-ს-**ო**) ა. შანიძე სახელობითის ბრუნვად მიიჩნევს (შანიძე, 1953, 68).

ასევე სახელობითის ნიშნად მიიჩნევს გ. კარტოზია ნათესაობითი ნიშნის შემდეგ წარმოდგენილ **ო**-ს მეგრულსა და ლაზურში (ჯა-შ-**ო**).

ქართულისთვისაც და ლაზურ-მეგრულისთვისაც ამგვარ დაკავშირებას წინააღმდეგობამდე მივყავართ: მორფოლოგიური სისტემისთვის დაუშვებელია ორი იდენტური ფორმამაწარმოებელი ფუნქციის მორფმატა გვერდიგვერდ არსებობა, ფუნქციური დუბლირება: ამ შემთხვევაში წინა მორფმა სიტყვამაწარმოებელ მორფმად რეინტერპრეტირდება („ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა, ეს უკანასკნელი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას კარგავს და მაშინვე რეინტერპრეტირდება წარმოქმნის ელემენტად“ [უთურგაძე, 1983, 6]. ამის ნათელი მაგალითია წარმოქმნილ სახელთა ის ჯგუფი, რომელთაც **ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილ სახელებს** უწოდებენ: პურ-ი – პურ-ად / პურად-ი, გულ-ი – გულ-ად / გულად-ი... **პურ-ი – პურ-ად, გულ-ი – გულ-ად**... ფლექსიური სისტემის წევრებია, ხოლო **პურადი** და **გულადი** დერივაციული სისტემისა.

ამ პრინციპს თუ ბოლომდე მივყვებით, ძალიან გართულდება, ვთქვათ, სუბსტანტიური შებრუნებული რიგის მსაზღვრელის მორფოლოგიური სტატუსის დადგენა კიზიქ **ჯაშიქ** „კოვზმა ხისამ“, ბეჭედიქ **ორქო-**

**შიქ** „ბეჭედმა ოქროსამ“ ... ტიპის ფორმებში. აქ **ჯა-შ-ო-ქ, ორქო-შ-ო-ქ...** უნდა განვიხილოთ, როგორც **ნათესაობით-სახელობით-მოთხრობითი** ბრუნვა, რაც ნამდვილად არ იქნება რაციონალური გადაწყვეტა საკითხისა.

ნათესაობითის ფორმებში დადასტურებული ბოლოკიდური **-ო**, არნ. ჩიქობავას შეფასებით, ემფატიკური ხმოვანია, იგივე ოდენობა, რაც არის **-ო** ქართულის ფუძეუკვეცელი სახელების ნათესაობითში (წყაროს-**ო**, ყრუს-**ო**, პეტრეს-**ო**, შოთას-**ო**) და ფუნქციურად ემფატიკური **ა**-ს (მდინარის-**ა**) ტოლფასია. მკვლევრის აზრით, ემფატიკური **-ო** მეგრულ-ლაზურში ნათესაობითის მსგავსად დაერთვის სხვა, ირიბ ბრუნვებსაც: „მეგრულში ასევე ხშირია ის მოქმედებითში, არ არის უცხო მიცემითისა და მოთხრობითისათვის: კოჩი(ო), კოს(ო), კოჩქ(ო). დამოუკიდებელივ ადებულ ბრუნვებში ეს **-ო** უფრო მკვიდრია, სხვა სიტყვასთან ხმარებისას კი იჩრდილება; მეტადრე ეს ითქმის ნათესაობითი ბრუნვის შესახებ; მაგრამ საკმარისია **-ცა** ნაწილაკი დავუმატოთ და **-ო** ყველა ხსენებულ ბრუნვაში ნათლად იგრძნობა: კოჩ**ო**-თი (კაციც), კოჩი**შო**-თი (კაცისაც), კოს**ო**-თი (კაცსაც), კოჩქ**ო**-თი (კაცმაც)... ეს **-ო** მეგრულისა (და ჭანურის) ემფატიკური დაბოლოებაა, ე. ი. იმავე ღირებულების მქონეა, როგორც ქართული **-ა**: კაც-ისა, კაც-ითა, კაც-სა“ (ჩიქობავა, 1936, 54).

ფუნქციის თვალსაზრისით თუ შევადარებთ ერთმანეთს ქართულ ემფატიკურ **-ა**-სა და ფუძეუკვეცელთა ნათესაობითის ფორმაზე დართულ **-ო**-ს, მსგავსებას ნამდვილად დავინახავთ. ასეთივე მსგავსებაა ლაზურ-მეგრულში ნათესაობითის ფორმაზე დართულ **-ო**-სა და სხვა, ერთსულოვნად ემფატიკურად ჩათვლილ **-ო**-ს შორის ფუნქციის თვალსაზრისით.

ლაზურ-მეგრული **ო/უ > /გ/ი** იგივე მონაცემი ჩანს, რაც ქართულში არის ემფატიკური **ა** ბრუნვის ნიშნის შემდგომ და შესატყვისობაც დაცულია: ქართ. **კაცის(ა)** : ზან. **კოჩიშ(გ)/ი...**

ალბათ არ იქნება ალოგიკური, თუ ქართული ნათესაობითის პროსოდიულ **-ო**-ს ლაზურ-მეგრულ **-ო**-სთან დავაკავშირებთ და ჩავთვლით, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ქართული **ყალიბის სესხებასთან** გვეკონდეს საქმე, ყალიბისა, რომელსაც ასეთი სახე აქვს: **უკვეცილი ფუძე +ნათ. ბრ. ნიშ. + ო**.

შეიძლება სწორედ ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ ლაზურში **ო, უ, გ** ხმოვნები შეზღუდულად გამოიყენება, მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოში გვაქვს, – ეს იმ დროს, როცა ნათესაობითში **-ო** ჩვეულებრივია ყველა კილოსთვის. ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, **-თი** „-ცა“ ნაწილაკის წინ, სხვა ირიბ ბრუნვებში **ო, ო, უ, ი, გ** არ ჩანს, ნათესაობითში კი **-ო** აუცილებლად გვაქვს: კოჩიქთი „კაცმაც“, კოჩის-თი „კაცსაც“, მაგრამ კოჩიში „კაცისაც“ (კარტოზია, 2004, 61).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითში **-ო** აუცილებელი დაბოლოებაა, ხოლო ლაზურსა და მეგრულში იგი ფაკულტატიურად გვხვდება: **ჯაში/ჯაშ**. ამას ალბათ ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ქართულისგან განსხვავებით აქ არ დგას მიცემითისა და ნათესაობითის ფორმოზრვი დამთხვევის საშიშროება; შდრ.: მიც. **ჯას**, ნათ.: **ჯა-ში/ჯაშ**.

ქართულში ემფატიკური ხმოვნის გამოვლინება გარკვეული ფაკულტატიურობით ხასიათდება: ამას არა აქვს სისტემური და რეგულარული ხასიათი, გამოკვეთილი ფუნქციური დატვირთვა. მაგრამ ეს არის შემთხვევათა მხოლოდ ერთი წყებაში.

შეიძლება მსჯელობა მის ფუნქციაზეც მაშინ, როდესაც ამ ელემენტის გამოყენება აუცილებლობით არის ნაკარნახევი: თანხმობა ფუძიან სიტყვებში **-ც** ნაწილაკის წინ (კაცმაც), **-ვით** თანდებულიან მიცემითის ფორმებთან – ხმოვანფუძიანებთან (მმასავით); ნათ. ბრუნვაში დასმულ სახელთან, თუ ის საზღვრულს მოსდევს (ძალა სიყვარულისა); შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან (კარგადაა) და სხვ.

ასევე იკვეთება პროსოდიული ხმოვნების ფუნქცია ზანურშიც.

ი. ყიფშიძე **ო, გ, უ** ხმოვნებს როგორც სახელებში, ასევე ზმნებში მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტებს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ისინი გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება სახელისა და ზმნის თანხმოვნურ დაბოლოებებში (ყიფშიძე, 1914, 012).

ს. ჟღენტი ეთანხმება ი. ყიფშიძეს იმასთან დაკავშირებით, რომ **ო, გ, ი||უ** ხმოვნები მორფოლოგიურად უფუნქციოა, მისთვის ეს არის „პარაზიტული“ ხმოვნები (ჟღენტი, 1953, 177).

პროსოდიული ხმოვნების მეშვეობით ლექსებში მარცვლის რაოდენობა იზრდება (იხ. მარი, 1910), ანუ მარცვალთრაოდენობა რეგულირდება საჭიროების მიხედვით;

მაგ:

ვალურედათ იში მეტი, ჩქიმდე სახელქ **ვაგადასი** (სამუშ., 1, 264) „არ მომიკვდეთ (იმის მეტი), ჩემგან სახელი ვერ წაიღო“; უბედურ დო ბედნიერც ართო **ნოდვედესგ** შარა (სამუშ., 1, 116) „უბედურსა და ბედნიერს ერთად ჰქონიათ გზა“...

ამავე მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს, ვთქვათ, ზმნის პირის ნიშნის – **უ**-ს მოკვეცვა.

სხვა უფრო ხელშესახები და არსებითი (არამორფოლოგიური) ფუნქციაც ეძებნება პროსოდიულ ელემენტებს, რის გამოც (ისევე როგორც ქართულში) ისინი აუცილებლად დასტურდება სათანადო ფორმაში; ასეთია, ვთქვათ, **ნაწილაკების** დართვის შემთხვევა: კოჩქია „კაცმაო“, ოსურცია „ქალსაო“... კოჩქიო/კოჩქო „კაცმაც“, ოსურსიო/ოსურსგო „ქალსაც“... მეურსია „მიდისო“, ჭარუნსია „წერსო“...

## ლიტერატურა

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში /საერთო-ქართველურ სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965.

**დანელია 2006** – დანელია კ., კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006.

**დანელა 1986** – დანელა კ., სახელობითი ბრუნვის *o*- ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, თსუ შრ., ტ. 267 (ენათმეცნიერება), თბ., 1986.

**კარტოზია 2004** – კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2004.

**კლიმოვი 1962** – Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962;

**ლომთაძე 1987** – ლომთაძე ა., ბრუნვის თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.

**მარი 1910** – Марр Н. Я., Хрестоматия чанского языка. См. Н. Я. Марр, Грамм. чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем; С.-Пб.; 1910;

**ონიანი 1989** – ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989;

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბ., 2000.

**ქალდანი 1974** – ქალდანი მ., სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში; ქესს, IV; თბ., 1974;

**ქაჯაია 2002** – ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

**შანიძე 1980** – შანიძე, თხზულებანი, ტ.3, თბ., 1980.

**ჩიქობავა 1936** – ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

## Chabuki Kiria

### Prosodic Vowels in Zan

#### Summary

In Georgian declension word forms and some unchangeable words (rarely verbs) may be added by the vowel *-a* that is called an emphatic or prosodic vowel, the equivocatory or open-syllable *-a*. The vowel *-i* is considered to be the similar element that is added to the forms of unscopated nominals in the possessive or instrumental cases, e. g. *çqaro-s-i* “of a spring”, *çqaro-t-i* “by a spring”.

In Megrelian and Laz prosodic vowels are *o*, *u*, *ə* and *i*. Among them *o* is unfamiliar to Megrelian while *ə* and *i* are rarely used in Laz.

It is possible to discuss the function of the prosodic vowels both in Georgian and Zan.

## ხათუნა ყანდაშვილი

### ფრაზეოლოგიზმები, როგორც სიტყვის განმარტება სულხან-საბას „სიტყვის კონაში“

ფრაზეოლოგიური გამოთქმა ენაში მყარი სემანტიკური მთლიანობით ხასიათდება. ენაში მათი არსებობა ენის სიმდიდრის, დაუნჯებული კულტურის, განვითარების დონის, აზროვნებისა და მსოფლხედვის მაჩვენებელია. ყოველი ასეთი გამოთქმა კონკრეტულ დატვირთვას მეტყველებაში იძენს. ერთი ენის ფარგლებში შესაძლოა შეიცვლოს ფრაზეოლოგიური გამოთქმა ან სრულიად გაქრეს გარკვეული დროის განმავლობაში. ფრაზეოლოგიური გამოთქმები საინტერესოა ცალკეული დიალექტის დონეზე, თუმცა გამოთქმამ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს ინდივიდის მეტყველებაშიც. ამის გათვალისწინებით საინტერესოა ამა თუ იმ მწერლის მიერ გამოყენებული ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, როგორც ინდივიდუალური სტილის მახასიათებელი. ვფიქრობთ, ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს სულხან-საბას „სიტყვის კონაზე“ დაკვირვება.

სულხან-საბა „სიტყვის კონის“ შედგენისას ხელმძღვანელობდა იმ დროისთვის მის ხელთ არსებული ყველა ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლით. მას დიდი სიფრთხილით შუუჯერებია ისინი.

რა თქმა უნდა, თავად ლექსიკონის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია ფრაზეოლოგიზმებზე (როგორც იდიომებზე, ისე ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებზე) გამოკვეთილად საუბარი, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი გამოთქმები კონკრეტულ დატვირთვას სწორედ კონტექსტში იძენს. ისინი მეტყველების ინდივიდუალური გამოვლინებაა. ამიტომ ამ თვალსაზრისით ლექსიკონზე მუშაობა საკმაოდ რთულდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, როგორც წესი, საბა სალექსიკონო ერთეულების განმარტებისთვის აღწერით წარმოებს მიმართავს, მით უფრო რთულია მოცემულ შემთხვევაში გამოიკვეთოს, რასთან გვაქვს საქმე – ჩვეულებრივ აღწერით წარმოებასთან, თავისუფალ თუ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან.

მასალა, რომელიც **მიცემა / დაცემა** და **დადება** ზმნებთან დაკავშირებულ შესიტყვებებს ეხება, არ არის ვრცელი, თუმცა საინტერესოა საბას ენობრივი მსოფლხედვის გამო.

როგორც ცნობილია, **მიცემა / დაცემა** ზმნებს მყარი სემანტიკური ბირთვი არ გააჩნიათ. ისინი ე.წ. „ფართო სემანტიკის ზმნებია“ და ამდენად, შედარებით თავისუფლად უკავშირდებიან არსებით სახელთა ფართო წრეს.



ფრაზეოლოგიური შესიტყვების ბუნების გარკვევისთვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კომპონენტების სემანტიკის სახის ჩვენებას.

**„მიცემა“** ზმნასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში სახელად ნაწილად ძირითადად აბსტრაქტული სახელები გამოდიან. ესენია გრძობის, ემოციის, სულიერი განწყობილების გამომხატველი სიტყვები, როგორცაა შიში, ოცნება, შური, იმედი, ვნება და სხვა. **„ეოცას“** საბა განმარტავს როგორც **„ოცნებას მიეცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 238); **„შეშინება“**-ს როგორც **„შიშის მიცემა“** (სულხან-საბა, II, 1993: 297), **„შურის გება“** – **„შურის მიცემა“** (სულხან-საბა, II, 1993: 310).

ვხვდებით ისეთ სახელებსაც, რომელთაც საერთო არ უნდა ჰქონდეს გრძობა-აღქმასთან, მაგალითად: ფიცი: **„ეფიცა“** განმარტებულია, როგორც **„ფიცის მიცემა“** (სულხან-საბა, I, 1991: 245).

აქ მართლაც შეიძლება დადგეს საკითხი, არის თუ არა ეს მართლაც ფრაზეოლოგიური შესიტყვება თუ აღწერით წარმოებასთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა მაინც გადაწეულია (იგი ერთგულების დამტკიცებას გულისხმობს) და ასეთ შესიტყვებას ვხმარობთ კიდეც: ფიცი მივეცი, მაშინ ეს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად უნდა ჩაითვალოს, რასაც ვერ ვიტყვით **„უბორჯლას“** განმარტების შემთხვევაში: **„უბორჯლა“**, ანუ **„პაემანი მისცა“** (სულხან-საბა, II, 1993: 153). აქ აშკარად აღწერით წარმოებასთან გვაქვს საქმე.

**„მიცემა“** ზმნასთან დაკავშირებულ შესიტყვებაში აბსტრაქტული სახელის გვერდით გვხვდება კონკრეტული სახელიც: **„ფერი“**. **„ფერის მიცემა“** – **„შეფერვა“** (სულხან-საბა, II, 1993: 188). ამ მნიშვნელობით ეს უფრო თავისუფალი შესიტყვებაა, მაგრამ „ფერის მიცემა“ სულიერ განწყობილებას გულისხმობს (**ფერი მიეცა**, ანუ **მოსულიერდა**, შეიძლება გამოჯანმრთელებასაც ნიშნავდეს), მაშინ ის ფრაზეოლოგიური შესიტყვებაა.

საინტერესოა სულხან-საბას ენობრივი მსოფლხედვა. იგი სიტყვებს გარკვეული ნიშნის მიხედვით აერთიანებს. ხშირ შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულებს სწორედ იმგვარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებებით ხსნის, რაც მის ენობრივ ინდივიდუალიზმზე მეტყველებს, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება არც იყოს ეს მოცემულ შემთხვევაში ფრაზეოლოგიური შესიტყვება. ეჭვის საფუძღველს, რა თქმა უნდა, იძლევა სწრედ საკვლევი მასალა. ეს არის არა ტექსტი, არამედ ლექსიკონი. როცა საქმე ომონიმია-პოლისემიასთან გვაქვს, ბუნდოვანია სალექსიკონო ერთეულის სწორედ კონკრეტული მნიშვნელობა, მით უფრო, რომ საბა არ აკონკრეტებს, კერძოდ, რა აქვს მხედველობაში. ამის შესახებ ვთქვით კიდეც, როცა შეფერვის განმარტებაზე ვსაუბრობდით.

ერთი შეხედვით, საკამათო უნდა იყოს ამ თვალსაზრისით **„ეზლო“** ზმნის საბასეული განმარტებაც. **„ეზლოს“** საბა განმარტავს, როგორც **„საზღაური მიეცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 232). ერთ შემთხვევაში ეს ნიშნავს სამაგიერი **მიუზლო**, **სამაგიერო გადაუხადა** და მეორე შემთხვევაში კი შეიძლება გავიგოთ, როგორც **ანაზღაურების მიცემა**, **შესაბამისი ფასის გადახდა**. ამ მნიშვნელობით, **„საზღაური მიეცა“** მართლაც თავისუფალი შესიტყვებაა, ხოლო სამაგიეროს გადახდის შემთხვევაში კი მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან გვაქვს საქმე.

საინტერესო მაგალითია ასევე „ზარ – ჰჷდა“ (სულხან-საბა, I, 1991: 277). საბას განმარტებით, იგი ნიშნავს ზარის დაცემას. **„ზარ ჰჷდა“**, ანუ **„ზარი დაეცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 277). პირდაპირი მნიშვნელობის გარდა იგი **დიდი უბედურების დატყდომას, შეძრწუნებას** გულისხმობს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ომონიმიასთან. უბედურების დატყდომის, შეძრწუნების მნიშვნელობით იგი აშკარა ფრაზეოლოგიური შესიტყვებაა. საინტერესოა **„ელირსა“**, ანუ **„ღირსი მიეცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 247). ძველ ქართულში გვაქვს **„ღირს-ყოფა“** ღირსად გახდომის მნიშვნელობით (აბულაძე, 1973: 462), ასევე თანამედროვე ქართულშიც: **„ელირსა“ – ღირსი იქმნა, ღირსი გახდა“** (ქეგელი: 1986: 223)

მოსალოდნელი იყო, რომ საბასაც ეს ზმნები გამოეყენებინა მისი განმარტებისთვის და ეს ბუნებრივად იქნებოდა, მაგრამ იგი **„მიცემა“** ზმნას იყენებს, რაც განსაკუთრებით თვალში საცემს ხდის წარმოების ხელოვნურობასაც:

**„ელირსა“ – „ღირსი მიეცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 247)

ამ მნიშვნელობით, ცხადია, მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ აქვე საგულისხმოა ერთიც: **„ღირსების მიცემა“** შესაძლოა გულისხმობდეს რადაცის მიღწევას: **ელირსა, რადაცას მიაღწია**. ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან გვაქვს საქმე.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ საინტერესოა გარკვეული ცნების ენაში გადმოტანის, ანუ მათი ენობრივი მოაზრების საბასული ხერხი. ეს ხერხი ხშირად ფრაზეოლოგიურ შესიტყვებადქმნადობაშიც ვლინდება. ასეთი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი სწორედ მნიშვნელობათა სემანტიკური ერთობის საფუძვლზე შეიძლება დაუკავშირდეს მოცემულ სალექსიკონო ერთეულებს, მაგალითად: **„ერთპირობით“** საბა განმარტავს, როგორც **„ერთი პირის მიცემას“** (სულხან-საბა, I, 1991: 240), რაც, თავის მხრივ, **შეკავშირებას, შეთანხმებას** გულისხმობს. ამ ფრაზეოლოგიზმს ვხვდებით ალექსანდრე ონიანის ქართულ ლექსიკონშიც: „ერთ პირზე დგომა“ – „შეთანხმებულად მოქმედება“ (ონიანი, 1966: 66).

ასევე სხვადასხვა ძირებია **კურნება – ეკურნა** (სულხან-საბა, I, 1991: 398), **„ეკურნა“**-ს საბა განმარტავს, როგორც „სიმრთელის მიცემას“ (სულხან-საბა, I, 1991: 234), **„ეკურნა“ – სიმრთელე მიეცა**, ანუ **გამოჯანმრთელდა**.

როგორც წესი, **მიცემა / დაცემა** ზმნასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა უმრავლესობის სალექსიკონო ერთეული ძირითადად სწორედ შესატყვისი ნასახელარი მარტივი ზმნაა:

**„ფიცი მისცა“ – „ეფიცა“** (სულხან-საბა, I, 1991: 245)

**„საზღაური მისცა“ – „ეზღო“** (სულხან-საბა, I, 1991: 232)

**„შიში დაეცა“ – „შეეშინა“** (სულხან-საბა, II, 1993: 281)

ცხადია, საინტერესოა ის, თუ რაში გამოიხატება საბასეული ანალიზური ფორმის უპირატესობა. არ არის გამორიცხული, ეს უფრო ექსპრესიულია, ვიდრე მარტივი ზმნა. მაგალითად: **„ეფიცა“** წარმოადგენს ფაქტის კონსტატაციას, ხოლო ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას – **„ფიცი მისცა“** – აქვს ექსპრესიული ელფერი. განსხვავება დასტურდება სტილისტიკურ ასპექტშიც. ზმნურ შესიტყვებას აქვს შედარებით ოფიციალური ხასიათი. როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს, „იგი უფრო „წიგნური“ ენისთვისაა ნიშან-

დობლივი, ხოლო შესატყვისი მარტივი ზმნა კი ძირითადად სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამხასიათებელი“ (თაყაიშვილი, 1961: 79).

საბასეული ანალიზური ფორმების უპირატესობა აშკარად გამოკვეთილია. იგი თითქოს სპეციალურადაც გაურბის ფრაზეოლოგიური შესიტყვებების ხმარებას და მას აღწერითი ფორმებით ცვლის. ამით ის თითქოს ხაზსაც უსვამს სწორედ სალექსიკონო ერთეულის ძირეულ და არა მეორეულ, გადატანით მნიშვნელობას, რაც საფუძველია სწორედ ფრაზეოლოგიური შესიტყვებებისა. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ **„შურის-გება“** საბასთან განმარტებულია არა **„შურის ძიებით“**, არამედ **„შურის მიცემით“** (სულხან-საბა, II, 1993: 310). არადა, სწორედ **„შურის ძიება“** გვაქვს ძველსა და თანამედროვე ქართულში: **„შურის ძიება“ – „შურის გება“** (აბულაძე, 1973: 409); **„შურისძიება“ – „სამაგიეროს გადახდა მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირების, ჩადენილი დანაშაულისთვის“** (ქეგელი, 1986: 507). ეს იდიომატური გამოთქმა – შური იძია – გვხვდება ალექსანდრე ონიანის დასახელებულ ლექსიკონშიც: **„შური იძია“ – „სამაგიერო გადაუხადა, ჯავრი ამოიყარა“** (ონიანი, 1966: 169)

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ საბასთან **„შიშის დაცემის“** გვერდით **„შიშის მიცემასაც“** ვხვდებით. ერთ შემთხვევაში გვაქვს **„შეშინა“ – შიში დაეცა** (სულხან-საბა, II, 1993: 281) და მეორე შემთხვევაში **„შეშინება – შიშის მიცემა“** (სულხან-საბა, II, 1993: 297) და არა **შიშის დაცემა**, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ძნელია აიხსნას ამ განსხვავების საფუძველი. თუმცა ვაქტია, რომ ერთი და იგივე სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას საბა მიმართავს როგორც აღწერით წარმოებას, ისე ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას, რასაც სწორედ **დაცემა** ზმნა აპირობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, სულხან-საბა, როგორც წესი, სალექსიკონო ერთეულების განმარტებისას უპირატესობას ანიჭებს ანალიზურ წარმოებას. იქ, სადაც მოსალოდნელი იყო მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვება, საბა მას აღწერითი წარმოებით ცვლის. როცა საქმე გვაქვს პოლისემია-ომონიმიათა, სულხან-საბა სალექსიკონო ერთეულის სწორედ ძირეულ მნიშვნელობას ანიჭებს უპირატესობას და, შესაბამისად, მას ანალიზური ფორმით განმარტავს. ანალიზურ ფორმათა უპირატესობა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ამგვარი წარმოების ხელოვნურობასაც, რაც აშკარად თვალში საცემია.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**თაყაიშვილი 1961** – არ. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.

**ონიანი 1966** – ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი, 1966.

**ორბელიანი 1991** – ს.ს. ორბელიანი, I, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991.

**ორბელიანი 1993** – ს.ს. ორბელიანი, II, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1993.

**ქეგლი 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986.

### **Khatuna Kandashvili**

## Phraseological Units as Definitions in Sulkhan-Saba's “The Bundle of Words”

### Summary

In Sukhan-Saba Orbeliani's “The Bundle of Words” the issue of studying phraseological expressions is very interesting. Of course, due to the specifics of the dictionary it is difficult to speak decidedly about the phraseological units as such expressions acquire meanings in certain contexts. Considering the fact that, as a rule, Saba uses a descriptive style when it comes to the definitions of dictionary entries, it is more difficult to find out what we are dealing with – an ordinary descriptive form, a free or a phraseological syntagm.

Sulkhan-Saba prefers an analytic form than the definition of a dictionary entry, e.g. *“uboržla – paemani misca”*, *“eyirsa – yirsi micca”*. As for polysemy and homonymy, Sulkhan-Saba prefers the basic meaning and, accordingly, defines the dictionary entry by an analytic form, e.g. *“šuris geba”* means *“šuris micema”* and not *“šuris žtba”*.

In the dictionary we can find such phraseological expressions related to the verb *micema//daccma* “to give/to fall” the dictionary entries of which are only simple denominative verbs, e.g. *“epica”*, i.e. *“pici misca”*, *“šecšina”*, i.e. *“šiši dacca”*.

## ნატო შავრეშიანი, ლელა გიგლემიანი

შერეული, ნარევი სახის რთული წინადადებისათვის  
ჩოლურ მეტყველებაში  
(სვანურის დიალექტებთან მიმართებაში)

სვანურში, განსაკუთრებით გაბმულ მეტყველებაში, ამათუიმ ამბის თხრობისას, ხშირად დასტურდება ისეთი სახის რთული წინადადებები, სადაც ერთდროულად მონაწილეობს თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც ზერთული, შერეული, ნარევი სახის რთული წინადადებები:

**ხედუბა ხუნკუი სკ'ადასკინი, ეჯის ხეკუეს ლაკვდედ ეიქანჩუ ბჩ ი ეჩანლო სკ'ალალონახიდ ჭუბდს** (ლნტ., სვან. ქრესტ., 305, 28) „რომელიც პირველი შეხტება, იმას უნდა ჩავარტყათ ზემოდან ქვა და მერე ჩავუტნიოთ კედელს“

წარმოდგენილ ილუსტრაციაში ქვეწყობა გვხვდება ზერთულის პირველ ნაწილში და ირიბ დამატებით დამოკიდებულ წინადადებას (**ხედუბა ხუნკუი სკ'ადასკინი**) მოსდევს კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებები (**ეჯის ხეკუეს ლაკვდედ ეიქანჩუ ბჩ ი ეჩანლო სკ'ალალონახიდ ჭუბდს**).

**მაშუნე ფგედა ხალხს, ისგუი დიეშ ი მუე გეზორის ჩის ეჯმეზრინუტი, ლამბაშლრლარს, ჩი ხოხრლს, ერუბას ლადრლადედეი ჩ'ოთმეზრანხანს, მაგუ აჯმეზრენა ი მაგ ხოჩმდუ ჯაყა** (ჩოლ.) „ყველაზე ახლობელ ხალხს, შენს („შენი“) დედ-მამისშვილებს („დედის და მამის შვილებს“), ყველას დაგილოცავ, ძმისშვილებსა და დისშვილებს („**ბადიშ-ებ-ს**“), ყველას პატარებს, ვინც („ვისაც“) დღესდღეობით დაგლოცა („დაელოცე“), ყველა („ყველამცა“) დაგელოცოს („დაგლოცია“) და ყველა კარგად („კარგადმცა“) გიმყოფოს ღმერთმა („გყავს“)“.

ეს არის შერეული სახის რთული წინადადება, რომელშიც თანწყობის გზით გაერთიანებული რამდენიმე წინადადებასთან ერთად ქვეწყობილი წინადადებაც გვხვდება - რომელთაგან პირველი შერწყმულია პირდაპირი დამატებების მიხედვით და მას მოსდევს ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, რომლის მთავარი წინადადებაც თანწყობის გზით **ი** „და“ კავშირის მეშვეობით უერთდება ბოლო პოზიციაში მდგომ მარტივ, გავრცობილ წინადადებას.

**ეჯი განქა ასკნე, ხედრ ხოშა ფხოტელ ზეფშ ლი ი იშგენ ზოფშარს ხედლულენი სგა** (ჩოლ.) „ის გვერდზე ხტება, რომელიც უფრო მოხერხებული ბავშვია და სხვა ბავშვებს ეჯარება („აჯარებს თავს“)“

ამ ზერთულ წინადადებაში თანწყობის გზით ორი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული (**ეჯი განქა ასკნე; იზგენ ზოფშარს ხედლტლენი**) და თანწყობილის პირველ წინადადებას მოსდევს დამოკიდებული წინადადება (**ხედი ხოშა ფხოჟელ ზეფშ ლი**).

აღნიშნული საკითხი სვანურში დღემდე არ ყოფილა კვლევის ობიექტი, შესაბამისად საინტერესოა თუ რა ვითარებას გვიჩვენებს სვანური. აქედან გამომდინარე ჩვენ განვიხილავთ ნარევი სახის რთული წინადადებების მონაცემებს ჩოლურული მეტყველების მიხედვით და ამასთანავე წარმოვადგენთ ტრადიციული ოთხი დიალექტის (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) მასალის შედარება-შეპირისპირებით ანალიზს.

ნარევი სახის წინადადებაში პარატაქსული და ჰიპოტაქსური წინადადებების ადგილი მკაცრად არ არის განსაზღვრული, თუმცა უმეტესწილად საწყის პოზიციაზე დამოკიდებული წინადადებები გვხვდება:

**ერჷან ლეყერ ხარხ**, ეჯას სგა ხეკტუსგენიხ, ჟი ხატყციხ ლტემგიმხან დედ ფაუს, დედ მიჯტრას ი დედ ხანჯარს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46) „ვინც საცემი ჰყავთ, იმას მიეპარებიან, ჩაარტყამენ უკნიდან ან ჯოხს, ან რკინის წვერიან ჯოხს და ან ხანჯალს“.

**წულს [ლახე] ჩაჷჷ ჟი ხასგტრეხ**, ეჩქას მახელტაჷჷრ თოფარს აკუანეხ ი ლაღრალშტესყახ ლამთილამ ქორთე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 178) „პატარძალს [რომ] ცხენზე შესვამენ, მაშინ ახალგაზრდები თოფებს ისვრიან („აგდებენ“) და სიმღერით მიჰყავთ ქმრის სახლში“

**ერ შბიენიხ, ეჩქა ზისხ ერ ხოჩედენი**, ეჯის ჟი ინაზორეხ ი ზისხორად სსყეიხ (ლნტ., სვან. ქრეს., 1978, 292) „რომ კლავენ, მაშინ სისხლი რომ წამოუვა, იმას ააგროვებენ და სისხლიან ძეხვად/კუპატებად აკეთებენ“.

**ხალხ ჟერ ენმეკრი მარემი დაგრას**, ასაზიადვედნი ი ჭირისუფალს მანგტამს ხაყლებ (ლშხ., სვან. ქრეს., 1978, 241) „ხალხი რომ გაიგებს ადამიანის სიკვდილს, სანათესაო მოდის და ჭირისუფალს სამძიმარს ეუბნებიან“

**ჩტერ ალზიგელის**, ქორ ჩ'ოთგახ ი ქა ლალშკიჷრინენ უკტე თტეფ ხაკტერ ოთცგრდელან ხოხრა მუხტბას, ამჟი გამოუტლია ერას ი უწმაწურ სიტყუნალ ხრქუა (ჩოლ.) „რომ დასახლებულან, სახლი აუშენებიათ („ქორა|ქორ-ედ-ი ა-უ-გ-ია-თ“) და გადახურვის დროს უკვე თოფი რომ უნდა ესროლა უმცროს ძმას („და გადახურვაზე უკვე თოფ-ი უნდა და-ე-ცარ-იელ-ებ-ინ-ა პატარა ძმას“), ასე გამოუვლია ვიდაცას და უწმაწური სიტყვები უთქვამს“...

ზეერთულის ანლაუტში თანწობილი წინადადება წარმოდგენილი:

**ანკანდ მიჩა ლახტბა ზგითე ი ლახტედდა აღ'ახოხტრა მუხტბე**, ხედუნა ტეტს ხასგურდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 171) „მოვიდნენ თავისი ძმები სახლში და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარს ეჯდა“.

**ალარდ ჰედურდ კალ სოფელს ი ლაგურკაშ ლატუმის ლახმღუნხ ი ალი ესსგტეჯენხ ხოშა კიხდონისგა**, ხედუნა ლგ ტრაპეზისგა, ერე ეჩა ლიწედ ოდო ჶეტ ოდო ინბანალუნნი, ეჯურ ქა დას ხანწენეხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1987, 191) „ამათმა სულ სოფელ კალას და კვირიკეს ტამარს უძღვნეს და ეს დაასვენეს დიდ კიდობანში, რომელიც დგას სატრაპეზოში, რომ იმისი ნახვა, სანამ ხევი დაიფიცება, იმის გარეშე არავის ანახებენ“.

**ათასწორ ნებრალ ჯრის ალ ცხეკარისა ი თაჭისუფაღდ ი უშომად იპერიელხ**, ეჩალა ერ დროებით გარ ჯრის მინე სამშობლოდსა ი ეჩანლო ლელუნთუად ხეკუტეს ათოგენხ შუკუტეს ეჩოხ, იმანხო ასხრის იშკენ მინეშკალიარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 291) „ათასწორი ჩიტები არიან ამ ტყეებში და თავისუფლად და მოუსვენებლად დაფრინავენ, იმიტომ რომ მხოლოდ დროებით არიან თავიანთ სამშობლოში და მერე საზამთროდ უნდა გაუდგნენ გზას იქით, საითაც მიდიან დანარჩენი მათნაირები“

**ღედგარა ქუნარეშდნ ხამკახხ ხოჩა ლეზუბორა**, ერ'ესა ხუღუახ ი უფანაღ დემ იზობიხ (ლოზ., სვან. ქრეს., 1978, 242) „გარდაცვლილის სულეზისთვისაც სურთ კარგი საქმელები, როცა აქვთ ხოლმე და წაუდგმელად არ ჭამენ“

**მერზე მუხუბე მიშგუტი მუეშ, აქი, ჩუ ჭკუტიერ მარე ლემარ, მარე ზარმაგლა**, ლიშშიე მამშალ ხასამენა (ჩოლ.) „მეორე ძმა მამაჩემის („მე-ორ-ე ძმა ჩემი მა-მის“), აქი, ისე („ქე“) ჭკვიანი კაცი ყოფილა, მაგრამ ზარმაცი („მო-ზარმაც-ო“), მუშაობა არ უყვარდა თურმე („მუშა-ობ-ა არასავით ნასიამოვნ-ებ-ა“)

**ალე ტაბლარს ი ჩრს ჟი ხუიკედდ ტუტეტემსა ი ხუტეკრანღდ სერღერბეთს** ი დანარჩენ ერუად არი ეშჩუნენ, ეჯდარ ამენს გუატხეხ (ჩოლ.) „ამ სალოცავ პურებს და ყველაფერს („ყველას“) ავიღებთ ხოლმე ხელში და ვევედრებით მოკლეთ ღმერთს და დანარჩენი ვინც იქ არის, ისინი ამინს გვიბრუნებენ“...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, არის შემთხვევები როცა ზერთულ წინადადებაში შემავალი თანწყობილი ან ქვეწყობილი (ან ორივე ერთად) წინადადებები აგებულების მიხედვით შერწყმულია და შეიძლება ერთოს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (გეგუჩაძე, 2009, 70), გამონაკლისი არც სვანური აღმოჩნდა და ჩვენ მიერ მოძიებულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანურში ასეთი ნარევი სახის წინადადებები ძალზე ხშირია:

ლუზორისგა ლახე ირდროლ ლედრანღ მარე ი თხუმთე თე მამ ხეღუნანღ, ეჩქას მედრანღ მარე სგა ხექალროლდა ლუემგიმხან ი უფგოტუმ ხატყანცდა ხანჯარირროლ, მიჯტრადა ფაუ ი ეჩქას შიშტ ლანტუთე ღღრდა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 45) „ხალხმრავლობაში თუ იქნებოდა მოსახელთებელი („დასაჭერი“, რომელსაც დარაჯობდნენ რომ დაესაჯათ) კაცი და თუ ფრთხილად არ იქნებოდა („თავისკენ თვალი არ ექნებოდა“), მაშინ მტერი („მოდარაჯე კაცი“) მიეპარებოდა უკნიდან და ჩუმაღ დაარტყამდა ხანჯალი იქნებოდა, რკინის წვეტიანი ჯოხი, თუ ჯოხი და მაშინ უცებ გაიქცეოდა („გასაქცევად მიდიოდა“)

ყორთეჟი ჟი ინზორის, ეჩქას ლამთილანჟ ყორჟი წულს ხანუთისგხ კარტა ფეჟს, ლეტურა მუტურს ი ამეჩუ სგა აანეხ წულს ი აშხუ შუტუმ კარტა ჟი ხონჭებთხა ი ლეტურ, მერმა შუტუმ ბეფშ ნაღუჭურ ხაყა, ეჯჟი ყუტერბ-კვრკანღ ლერსგუანთე ქა ხეჭმენი (ბქ., სვან. ქრეს., 1978, 178) „კართან რომ მოგროვდებიან, მაშინ ქმრის სახლის კარზე პატარმალს ახვედრებენ {ერთ} ჩანახფვილის, ანთებულ სანთელს და აქ შეიყვანენ პატარმალს და ერთი ხელით ჩანახი უჭირავს და სანთელი, მეორე ხელით ზავში ბიჭი

ჰყავს, ისე კერიას („სოხანის ირგვლივ“) მარჯვნივ შემოუვლის („გამოუყვება“)

ჟი ღერი მწგ ნწითი მარე, ხეკუტეს ადაახ თუთი **ჟინალ**, **დიარწლ** ი **ღუწინალ**, ჟი ხეკუტეს ხასკურდეს მწგ ჩაჟწარს, ერუწამს ჩაჟ მწდ ხაყა, ეჯემ ხეკუტეს ჟწწდიანას (ლნტ., სვან. ქრეს., 1978, 293) „გამორჩეული კაცები ადიან („ზე ავა ყველა ნარჩევი კაცი“), უნდა წაიყვანონ („წაიღონ“) თითო ბატკანი, პურები და ღვინო, ყველანი ცხენებზე უნდა ისხდნენ („ზე უნდა ესხდნენ ყველა ცხენებს“), ვისაც ცხენი არ ჰყავს, იმან უნდა ითხოვოს“

**დეც** ი **გიმ**დერხი აგის ათხეშუთად ლიხ ჩუ მესდე ი დესიდეს ლანუბწლუმ ამშადეხ ამკალიბ შუთა **გიმარს** ი **ლეკმელს**, სერთხი შომწა ლემყალ ხერი ეშხუ მეხუბს ამახუთიშ, ეჩქა ლგნგბად ამშადეხ ლანხუბუტირალ ი ამახუ ლგფშირ ლანხუბუტარს დემ ხობდატი ხოლემი ლიჩომს (ლშხ., სვან. ქრეს., 1978, 234) „მიწები ზოგან დღესაც გაუნაწილებელია („ცა და მიწა ზოგ ადგილას ახლაც გაუნაწილებლად არიან დარჩენილი“) და ზოგჯერ საზიაროდ ამუშავებენ ასეთ გაუნაწილებელ მიწებს და სათიბებს, მითუმეტეს, როცა საშიშროება ელოდება ერთ-ერთ მოძმეს („ვაითუ, როდესაც საშიში ექნება ერთ მოძმეს მტრის“), მაშინ საზიაროდ ამუშავებენ სამძოს წევრები და მტერი მრავალწევრიან სამძოებს ვერ უბედავს მტრობას („ცუდის ქმნას“)

ეჩქად კირს ლგმკუტიშინხ ქა ი ეკწ ძლიერ ლგმარხ, ერე ჩხარა ლახუბას, დერა, ეშხუ ლადედ ბაჩ ქა**ოხკუტიშახ**, **ჟოხგახ** ი ნებოზს ლაკირთესა სგწოთოშახ, ეკწ ძლიერ ლგმწრელიხ, მოქეიფე ი ხოჩა პურ-მარილ ჟწემე იმწროლწა, ზაგალორლს ლგმწრ სერ (ჩოლ.) „მანამდე კირს გამოამტვრევდნენ თურმე და ისეთი ძლიერები ყოფილან, რომ ცხრა მძას, ხომ, ერთ დღეს ქვაც მოუტეხიათ, დაუდგამთ და საღამოს საკირეში შეუწთიათ, ისეთი ძლიერი ხალხი ყოფილან, მოქეიფე და კარგი პურ-მარილი თუ სადმე გამზადდებოდა, ზაგალოდში ყოფილა მოკლეთ“

ეჯი ლიც ხეკუტერ ჩწოთქუთელა, ჟწერ **ოხფრწწეხუტი** ჩუტერ ეთქუთელი, **დერა**, ეჩქა სგწოთგოშწეხუტი ბანკათე ი სგა ხუტერო **ხალას** ი **მმარს**, **ჯიმს** ი **ლიცს** ჟი ხუტაგუტე ი მესმა ლადედ ჩუ ხაყა სერ, ლგსყე ლი სერ მესმა ლადედ (ჩოლ.) „ის წყალი უნდა გავაცივო, რომ ავადუღებ და რომ გაცივდება, ხომ, მაშინ ჩავასხამ ხოლმე ქილაში და გავუკეთებ ხოლმე ღორის კუჭს და მმარს, მარილს და წყალს დავასხამ ხოლმე და მესამე დღეს უკვე ვარგა, გაკეთებულია უკვე მესამე დღეს“...

არცთუ იშვიათად დადასტურდა ისეთი შემთხვევები, როდესაც შერწყმულია ზერთულში შემავალი როგორც თანწობილის, ისე ქვეწყობილის შემადგენელი წინადადებები:

ალდარს ქწმენწწუნ ხაკუჩ, ერე **მულგჰწწრას**, **მგლდღას** ი **გზწტრთე მეჩდა მწრწა** ნომწათთუტეფწწს მიჩა ნწთი, ადო ეჯა ხოლწმდ ხებუწწხ სოფელისგა, ლახე ნწთი მწმ ხოჯდენდახ დერხის ქორთე, ეჩქას დერხი **ხოლა** ი **მეკუტმდე მწრე** ი **დედ ზურწლ** ლგდგწრი ფუსდს ჩუტაქუთუნა... (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 43) „გარდა ამისა („ამეებს გარეთ უნდა, რომ), მეწისქვილეებს, მწყემსებს და საშოვარზე წასულ კაცსაც არ უნდა დაკარგოდა თავისი წილი, თორემ ის ცუდად მიაჩნდათ სოფელში, თუ წილი არ მიუვიდოდა ზოგს ოჯახში, მაშინ ზოგიერთი ცუდი და სულმოკლე კაცი აწ ქალი მიცვა-



ლებულის პატრონს დაწყევლიდა ხოლმე („მაშინ ზოგიერთი ცუდი და მოკლე კაცი და ან ქალი მკვდრის პატრონს დაწყევლიდა“)

ბუაილინ, შომას **ეჩენი შუანს** ი **ამეხნი შუანს** უმხუარისაამახობ ხარახ, ლემაჯედენხ უქობოშუ ქა ამეხენჩუ ი **კუმაშიროლ ა მარე იროლ** დემგუაშ ლემაზარხ ი ქა ლემაელის (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 308) „ბევრჯერ, როცა იქითა სვანეთს და აქეთა სვანეთს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ, {მაშინ} ჩუმად გადმოდიოდნენ თურმე აქეთ მხარეს და საქონელი იქნებოდა თუ ადამიანი იქნებოდა არაფერს ზოგავდნენ თურმე და მიჰყავდათ („მიჰქონდათ“)

ლარგაუ ხახლენახ, ამჟი ერე თელდ სოფლი მეზგელისა უომუშა ქუნ **მარე, ზურალ** ი ედ **ზობშ** ორდროლ, ეჩშელდ **აერუ სეფსკუერ** ი აერუ ქუნჟი ეშხუ ბოთლ **არაყ** ხეკუტეს აღრიგტელას ლაშთხუნალ ლადედ ი აგითე ოთდენხ მესტფელას, ალე მაგ ლაგუან ლადლი ხარჯგენქა ი ლაგუან ლადედ ცხად თელდ სოფლიშდ ლას ლემნე-ლეთუნე ლედგარა პატრონხენქა (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 234) „დასარიგებელი სცოდნიათ, ისე რომ მთელი სოფლის ოჯახებში რამდენი სული კაცი, ქალი და ან ბავშვი იქნებოდა, იმდენი ორი სეფისკვერი და ორ სულზე ერთი ბოთლი არაყი უნდა დარიგებულიყო დაკრძალვის დღეს და სახლში უნდა წაედოთ სოფლელებს, ეს ყველაფერი გასვენების დღის ხარჯის გარდა და გასვენების დღეს, რა თაქმა უნდა, მთელი სოფლისთვის იყო საჭმელი-სასმელი გარდაცვლილის პატრონისგან“

ჟი ხუატყბი დუხოუკადასა ი თუის **ხუეროხუი** ტაფადთე, **ჟი ხუაფინე**, ეჩანუო სგა შედე ეჯის ი ეჭკაგამაშ ხეფსი, ერე ხოჩილ **მწ ჯემიხ** ი **მწ ჯეტრილიხ** (ჩოლ.) „შევწავ ხოლმე ღუმელში და თაფლს ვუკეთებ ტაფაში, ავადულებ, შემდეგ ჩავყრი ხოლმე იმას და იმისთანა გემრიელი („გემო-სი“) გამოდის, რომ უკეთესს რას შეჭამთ და რას გასინჯავთ („რომ უკეთესი რა გეჭამოთ იქნება და რა გაგესინჯოთ იქნება“)“...

სვანურის ოთხსავე დიალექტში და ასევე ჩოლურულ მეტყველებაშიც, გვხვდება ისეთი ნარევი სახის რთული წინადადებები, სადაც თანწყობილი, ან ქვეწყობილი წინადადებების შემადგენელ ნაწილებს ახლავს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

ლედეგარს ჩუამდლუიხ, ეჩქას ლედგარი მაშენე **ძირიშ, გეზალ** ი ედ **მუხტუბე**, საფლანტუნ ლაწურნი თუეფს აკუნანე, ეჩქანლო ლაშდლუალს იჩომ ი სოფელს ეჩყინ ფიშუდე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46) „გარდაცვლილს {რომ} დაკრძალავენ, მაშინ გარდაცვლილის ყველაზე ახლობელი, შვილი და ან ძმა, საფლავზე შურისძიებისათვის განკუთვნილ თოფს ისვრის („საფლავ-ზე სისხლის ასაღებ თოფ-ს აგდებს“), მერე დაკრძალვას გამართავს და სოფელს ისე ისტუმრებს („უშვებს“)

ამკლიბდ დაგრა, **მწა საკურელ**, შუანარს ხოშა ხაუშგედენახ ი მინრ ეჩყინ ლემშდბუინხ ქაშგარს, შომტუა ჩუ ლემდაგურინხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 65) „ამგვარად სიკვდილი, რასაკვირველია, სვანებს უფრო ესირცხვილებოდათ და თვითონაც ისე ექცეოდნენ ჩერქეზებს, როცა კლავდნენ“

ლახა ხალხ მახემ ლიგემს დემ იჩმედ, პაპს ნალწმამჟი ხოხტრა ლაჭტმინშ ლიხტრე ლოხბინა, ნაგეფხენჩუ ბაჩარს ლემშიდუნელი, ჩუბიბ-შხენჟი ანაფორაშ კალთად ხოფხქა **ბათერ კკადუას, მეჩი მარა**, ი ჩ'ოხჩხეპა

(ბქ., სვან. ქრეს., 1978, 185-186) „რაკი ხალხი ახლის აგებას არ თანხმდებოდა („შვრებოდა“), მღვდელს ძალით პატარა ეკლესიის დანგრევა დაუწყია, ქონგურებიდან ქვეს ყრიდა თურმე, ქვემოდან ანაფორის კალთისთვის ხელი უტაცია ბათირ ჭკადლას, მოხუც კაცს, და ჩამოუქარია“

ათხელდ გუწლიობჟი ლახ გაჭირუება ხოჯდენიუ სოფელს, მეზუგახენქა თუთი ჟი ინზერიუ, ქა კიდახ ჯგვრანგ ბოგეშ, **დიდაბოტ ათკედა**, ი ჩუწდასგუ, ქანშხენ ხანდახ, ხუწან ხეხელიუ, ერე ედ ლეთ ხანლხს უჩხოტუშ ჩუბზა (ბქ., სვან. ქრეს., 1978, 178) „აქამდე გვალვის დროს რომ სოფელს გაუჭირდებოდა („მველად/ადრე **გვალვა**-ზე თუ გაჭირვება მოუვიდოდა **სოფელ**-ს“), ოჯახიდან თითო [ადამიანი]შეგროვდებოდა ხოლმე, გამოიტანდნენ ბოგრემის წმინდა გიორგის ხატს, დიდება მის სახელს, და ჩააბრძანებდნენ („ჩაიტანდა“), გარედან ასხამდნენ [წყალს], ბევრჯერ ისე ხდებოდა, რომ იმ საღამოს ჩამოწვიმდა („იმ საღამოს **ხალხ**-ს წვიმით გააძღობდა“)

ერეხ-ამეხენჟი ჭუწადუწრშალ მექემ **ლახტურ მირს**, **ლაშხური პილეი**, სოფელალ იბნის, ეჩანლო ლეჯარ, ღტე ლენეზურა, ლენეზურაენჟი ლახტუ მეგამარ ი ღოშკინპილოს ტუტიტელა ლახტუ, ხედუბა ზატლადედ წვრანი ხატერდუშ ლგლავარეს ხანჯემ ი ლუნთისა - თუეთენე მიტკალშუ (ლნტ., სვან. ქრეს., 1978, 290) „აქეთ-იქიდან კედლებივით გამყოლი მთების ძირას, ცხენისწყლის პირას („ლაშხურის **პირ**-ზე“), სოფლები იწყება, მერე ლეჯარი, მერე ლენეზურა, ლენეზურას ზევით მთის ხეები და ბოლოს ტიტველი მთა, რომელიც ზაფხულში წითელი ხავერდით დაფარულს გავს და ზამთარში - თეთრი მიტკლით“

გულდარს ერ ათოყიდახ ეჯმინეშუშ ლაჭემალ, ერქა გოლდამი ლაჭემალ დემდ ხაჯონახ, **მაგალითად**, სემი-ოშთხუ ქცეუა მერბი-სემი მანათლ ხოტოდახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 302) „გულიდელებს რომ მიუყიდათ მათთვის სათიბები, მაშინ გოლდამის სათიბები არად ღირდა, მაგალითად, სამი-ოთხი ქცევა ორ-სამ მანეთად გაუყიდათ“

**ქან აგის**, **სგატი ქტყანანასა**, ლახ იდგარი მერუწლე, ერქა ქორა მწრწნლ ხაწახ უშხურ ლანხუბურალ ლეგმერდემი აგითე ლაჯდას, ედ ლდგარა ლაჯდას ი ქან აგის მეხუბი ჯიჯურე ლიცურე წეს მწ ლი (ლშხ., სვან. ქრეს., 1978, 234) „გარეთ, ქვეყნის გარეთ („შიგნითა **ქვეყანა**-ში“), როცა კვდება ვინმე, მაშინ ოჯახის წევრით („სახლის კაცივით“) ეხმარებიან სამმოს წევრები ავადმყოფის სახლში მოყვანაში („მოტანას“), ან გარდაცვლილის გადმოსვენებას („მოტანას“) და გარეთ სამმოს წევრის ძვლების დატოვება წესი არ არის“

ფაკნიარ ი იშგენ ლათრალარ ლანხუბურას ოხლუახ, ტაბგარ, **მადაკურელ ლი**, ერე ლანხუბი გტემ ლი ჩრმი ლეგემდ, ჩუ ერ ედშდულტი ლდგარ, შგურმაშგურს ერ ქა ლედორნეხ, მინ ერწანლო ისგურის ლახტუსანლდ ნამჯედურჟ გარ (ლშხ., სვან. ქრეს., 1978, 235) „თასები („ჯამები“) და სხვა სასმისებიც სამმოს წევრებს მოაქვთ, მაგიდები, რასაკვირველია, რომ სამმოს წევრების საქმეა ყველას დასადგმელად, რომ დაიკრძალება მიცვალებული, სირცხვილ-ნამუსს რომ მოიშორებენ, თვითონ მხოლოდ მერე სხდებიან წასახემსებლად ნარჩენებზე“

ქაშდახ ეჩის, ზაჩარს, ეჩნაჭთეფი, ზეჭთეფი, შედდახ ი ჩჭერ ედხუ-რატრლ ეჯი, ხორგალთესა ხეკჭერ სგ'რგმრდნ, ლადრაცია ზეჭი ხორგალ-თე (ჩოლ.) „აყრიდნენ ხოლმე იმას, ქეებს, იმაზე, შეშაზე, ყრიდნენ და რომ გახურდებოდა ის, კასრებში უნდა ჩაგვეყარა, საარაყე ხის კასრებში“

ზაგალრდხენ ერ ონჭუადდ ნამ, დერა, ჩუ მაშყიდ ეჯი ეჩნლო ხჭნრდად ეჩ, ჩჭნბ, ლეჭჭ ქორისა ი ეჩქამ მაყტლრნდა, ერე ალე ქრჯ გუესგჭრი ნამ, მეწყერ, ეჯი ქორს (ჩოლ.) „ზაგალოდიდან რომ გადმოვე-დით („მოვედით“) ჩვენ, ხომ, ის მახსოვს, შემდეგ ვიყავით („ვიმყოფებო-დით“) იქ, ქვემოთ, ქვემოთა სახლში და მაშინაც მეშინოდა, რომ ეს დაგვემ-ხოზა-თქო თავზე („დაგვაჯდება-მეთქი“) ჩვენ, მეწყერი, იმ სახლს“...

ნარევი სახის რთულ წინადადებაში შემავალი პარატაქსული წინა-დადებების შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებიან კავში-რით ან უკავშიროდ, ხოლო ჰიპოტაქსის შემთხვევაში, მთავარი და დამო-კიდებული წინადადებები ხან სრულად შეიცავენ მისათითებელ და საკავ-შირებელ საშუალებებს, ხან კი რომელიმე აკლია, თუმცა მათი აღდგენა ად-ვილად შეიძლება:

თანწყობის გზით გაერთიანებულ წინადადებებს შორის შეერთება კავშირიანია:

**ალა ჟი ლგიორ გჭნრ, ა, ნაპრლრე ნალხუი, მარე ლიხ აჯად ეკალიბ ნაპრლრ, ერე ეჯდარე ჰერს ი ლიყლეს მრმ-მრმ ლნშანრ ი იშგენ ხულტეხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 58)** „ეს დაწერილი გვაქვს, აი, ჩიტების შეხვედრა, მაგრამ არიან კიდევ ისეთი ჩიტები, რომელთა ხმას და ძახილს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს („რომ იმათ ხმას და ყივილ-ს სხვადასხვა სა-ნიშნ-ე-ებ-ი და სხვა აქვთ“)

**ამხაუ ხოთური მეზგე ეშდ დეთ მარა ი აღრე სამხუბხენქა ლი წეს ლითური, მარე მეხუბარარ ლახ ფიშირ მეზგე ლიხ, დერხის გარ ხოთურის ი მერხალდ ლახ ლიხ, ერქას თუითს მეზგემ ქუნჯი მეხუბარარხენქა ხოთურის ი ერქა-იშგენ ნატიარს(ბქ., სვან. ქრესტ., 1978,175)** „აქ აგზავნის ოჯახი ათიოდე კაცს და ამათი სამმოდან არის გაგზავნის წესი, მაგრამ თუ სამმოში ზერი ოჯახია („მაგრამ სამმოები თუ მრავალი მოსახლე არიან“), მხოლოდ ზოგს აგზავნიან და თუ ცოტაოდენი არიან, მაშინ ოჯახის სულ-ზე სამმოდან თითოს აგზავნიან და გარდა ამისა – სხვა ნათესავებს“

**ტისხუბრ ასაგენახ ლოქ სუიკუს ი ისკალდა ლახხო ჰმეჩედხ ი ერეჩუ ლოქ აღჩერაჭელის ჩუ ი ერეჩუ ახოსყახ ლაჭუბმ, ხედუბა ათხეი ჩუ ლგ (ლნტ., სვან. ქრეს., 1978, 295)** „უსხები დაადგენო გორას და სკალდის მთა-ზე ასულან და იქ გაჩერებულან და იქ აუშენებიათ („გაუკეთებიათ“) ტაძა-რი, რომელიც ახლაც დგას“

**საქრისდიან უქმი ლიკტუშე ხოზა ადუილ ლეხტაშუნე ხეჭანხ ი ამლა ლას, ერე მეწეხუი საქრისდიან უქმს ხოზა ადუილდ კუშახ ი მინე სამწეხ გუეშარს ქა ილიესდახ(ლმხ., სვან. ქრეს., 1978, 243)** „ქრისტიანული უქმეე-ბის გატეხვა უფრო ადვილად მოსანანიებელი ეგონათ და ამიტომ იყო, რომ საქიროებისას ქრისტიანულ უქმეებს უფრო ადვილად არღვევდნენ („ტე-ხავდნენ“) და მათთვის საჭირო საქმეებს მოიმთავრებდნენ ხოლმე“

**ეშრმაგ მერზა ლადედ სპეციალურდ ემჩედ ბორის ი ალე ჰიშკარმოყ ლგმარდ, აქი, ქერ ხაწდა ბორისს, ხოზა ლეშენის ერ ათდენა, ქალკაგელი ი**

**ლაგურანუშ ემჩედელი, ჩუასპეჟუა** (ჩოლ.) „მეორე დღეს მაინც სპეციალურად მისულა ბორისი და ეს ჭიშკართან ყოფილა, აქი („მაინც მე-ორე დღე-ს სპეცილურ-ად წასულა ბორის-ი და ეს ჭიშკარ-თან ნამყოფა, აქ-ი“), რომ დაუნახავს ბორისი („რომ შეუხედავს ბორის-ის-თვის“), დიდ ღორღს რომ მოედო თურმე, წაქცეულა და კოტრიალით („გორ-ვ-ით“) წასულა, დამალულა“

**ღემარდელი კომბლე ი ღოღაძე ქოთრეკლა ცხეკთე** ი ერ ანტახხ ალე ღოღაძე, **ემზუ ქა ხეკლონ ი აჩად კომბლე ლათხელთე** (ჩოლ.) „ყოფილა („\*ნამყოფა“) კომბლე და ცხვრები გარეკა თურმე („გა-უ-რეკ-ავ-ს“) ტყეში და რომ დაბრუნდნენ ეს ცხვრები, ერთი აკლდა და წავიდა კომბლე სამეხნელად“...

ხერთულში შემავალ რთულ თანწყობილ წინადადებაში, რომელიც ორზე მეტ მარტივ წინადადებას შეიცავს კავშირი ზოგთან დასტურდება, ზოგთან არა:

**სგა ლემმახალტინხ შუანარს ი კუტერლ ფასტა ჩუ ხწყდინახ, ერქან-ღო ქაშგარს ხაყლონახ**, ერე ალ ჯოგარ ესერ შუანარს ოთქითახ ი ჰანდურდ ხოშამგდ ხაშუმინახ ლემასგულუმბურ ნესგა შუანარს ი ქაშგარს (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 71) „მოატყუებდნენ ხოლმე სვანებს და პატარა ფასად მიჰყიდდნენ, მერე ჩერქეხებს ეუბნებოდნენ, რომ ეს ჯოგები სვანებმა მოიპარესო და კიდევ უფრო ადვილებდნენ შულს სვანებსა და ჩერქეხებს შორის („მთლად დიდად უნთებდნენ ცეცხლს ერთმანეთისვანებს და ქაშაგ-ებ-ს“)

მეკდაისგა მაშენე იერჟა ხეგდის, **ეჯი, მანკუშ ჭიქ ქა ხოკდენ ეჯის ჟი იგნალ, ქა ღერი ლეჰრი დინაშ დი სგუბინთექა ი ხომზერი ბედნიარდ ლიმარჯუს ი კალთათეისგა ხოდისგ მურგულ მანათს**, ხედჟაჟს ხაჟხა ცხტიმიშ მექავ **ი ქა ხაჰტი ჭიქ გუეში არაყს** (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 174) „მოსულეებში უფროსი ვინც იქნება („მოსულეებში უხუცესი ვინც ერეოდეთ იქნება“), ის, პირველი ჭიქა მიუვა მას, ადგება, გავა გასათხოვარი („სათხოვი“) გოგოს დედა წინ და ლოცავს, რომ ბედნიერები იყონ („ბედნიერ-ად გამართლებას“) და კალთაში უდებს მრგვალ მანეთს, რომელსაც ჰქვია ისრის სანაცვლო და აძლევს ჭიქა სავსე არაყს“

**სოფელს ლოქ ათოულუნა უნჰყა კურტულ ჩატიისა, სგა ლოქ ასოდახ სკალდი ხატი ი ღერთაშტლოქ პირობ ლახოტოდახ**, ერე იმამჟუ ლოქ ალ კურუტულ ჰდყუინიხ ჩუ, **ერეჟუ ლოქ ალ ხატი ლარდად ლაჰუმს ადგემხ**(ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 293) „სოფელს უღელში შეუბია გაუხედნავი კუროები ჩეოში, ჩაუდიათო სკალდის ხატი და ღმერთისთვის პირობა მიუციათო, რომ სადაც ეს კუროები დაწვებიანო, იქ ამ ხატის სამყოფად ეკლესიას დავდგამთო („და-დგ-ამ-ენ“)

**ლინგზლ ეჯღა ხარახ**, ერე ღომმახტულ ხახლენა **ი მაშდშუა მეზგას ხოჩილდ ხეწრლდახ ამბურ, ჩის ლგჰოჰდ ადმესნახ**, ლახ ხენდროლხ **ი ფიშირ მარას ემზუდ ლენზორას, ჩუ ლენენახ, დემ ხობდატდახ ლამმახტედ ლიკედს** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 245) „იმიტომ ერთიანდებოდნენ („გაერთიანება იმიტომაც ჰქონიათ“), რომ მტრობა სცოდნია და მარტოხელა ოჯახს უკეთასად ერეოდნენ მტრები, ყველას დიდიან-პატარაინად

წაიყვანდნენ, თუ ენდომებოდათ და ბევრ ადამიანს ერთად მოგროვებულს, გაერთიანებულს, ვერ უბედავდნენ სამტროდ მოსვლას“

ამეჩუ ჟი მეჩდე ხუასდ დემტუსგუათეჟინენ ეჩქა, **ოდ სტიქიურ უბედურობა ირრლ ი ეჩანტონენ აჯახუდ ლეხქამ, ჩუ ხტირად ათხე სემემტთეჟინენ, ამეჩინენ** (ჩოლ.) „აქ ასული ვიყავით მაშინ თექვსმეტამდე, სანამ სტიქიური უბედურება მოხდებოდა და ამის შემდეგ ისევ დაემატა („აქ ასული ვიყავით ათ-ექვს-ის-კენ-ზე მაშინ, სანამ სტიქიური-უბედურება იქნებოდა და მას მერე კიდევ დაემატა“), ქე ვართ ახლა ოცდაათამდე, ასე“

**ათხე ქ ოხნეცნანდ სერ, მნ ხტარიდ ეჯჟი ძლიერ ხალხ, მარე გტი ეჯჟი გულუა აჯახუდ ი გვაკუ, ერე ეჯჟი ოხსყად მაგ, მა ხტანდ გუმეურჯი, ხტანდ - დემა, მა ღერბეთ იჩო აჯახუდ ეკპ ღუაჟარს ენგრდნე გუმგუე გუარისა ი გაგრძელდება ლირდე ეჯჟი** (ჩოლ.) „ახლა დავატარავდით („დავწვილდით“) მოკლედ, არ ვართ („ვიმყოფებით“) ისეთი ძლიერი ხალხი, მაგრამ გული ისევ ისეთი გვაქვს და გვინდა, [რომ] ისე გავაკეთოთ ყველაფერი („ყველა“), მაგრამ ბევრჯერ გამოგვდის („გვ-ე-მარჯვ-ებ-ა“), ბევრჯერ – არა, მაგრამ ღმერთმა („ღმერთ-ი“) ქნას („იხამს“) ისევ ისეთი მამაკაცები („ვაჟ-ებ-ს“) გაიზარდონ („გაზრდის“) ჩვენ გვარში და გაგრძელდება ცხოვრება („ყოფა“) ისე“...

შედარებით ნაკლებად გვხვდება რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილების უკავშირო შეერთება:

**ალაძრ სგან ჟერი სტურან ლიხ, ქანენქა ჩუ ლეგირწყლატე, ეჩქანლო უმხტარ ხრგხ ეჩინ, ერე კუკუმ ლიც დემის ხოჯდენიხ, ეჩქინ შეკემბტირდ ლემსყაჟინხ ჯტინალდ ხოშალ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978,60)** „ამათ შიგნით მიწის მილებია („სტვირ-ებ-ი არიან“), გარედან გალესილი (შდრ. „კირწყალ-ი“), მერე ერთმანეთში ისეა ჩასმული („მერე ერთმანეთს უ-დგ-ან-ან ისე“), რომ წვეთი წყალი არ გაუვათ, ისე მჭიდროდ აკეთებდნენ თურმე ძველად წინაპრები („დიდები“)

**ლედგარი ლიმდღუნლალ ლამდღუნლალ დიძარს თტით ოშთხტდ ჩტაკტშურახ, აშხტ მნრა ქა ითიშდახ, წერნი ბაშლყეს ხაგმდახ ეჯკალიხდ,** ერე თხუმჟი ი ბარჯჯრჟინდ ჟი ხელფარან ბაშლყე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 43) „გარდაცვლილის დაკრძალვამდე გასვენების პურს ოთხად ტეხავდნენ, ერთ კაცს გამოარჩევდნენ, წითელ ყაბალახს დაადგამდნენ ისე, რომ თავზე და მხრებზე ეფარა ყაბალახი“

დროტ ომჩედ, **ეჩქას ადაიდ ხოშა კამშა ოხვიდახ, ჩიმი ტეთხმალს ქორთე ხსპუნახ, დას იმგუაშ ხაჟუდალახ** (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 178) „დრო [რომ] გასულა, მაშინ კიდევ უფრო გაძლიერებულან („დიდი ძალა აუღიათ“), ყველას საქონელს („ოთხფეხს“) სახლში ერეკვებოდნენ („აბრუნებდნენ“), არავის არაფერს ეკითხებოდნენ თურმე“

**ეესო ქრისტე ლექტაშხენ აღმზლი, ჯორჟი ხასკურენა, ქტეყანას ლემშენაჟლი, ემშმ ლეჟაშხენ აღმზლი ქტეყანა ლშენაჟიხენ,** ხედუაძ კერეტანჟი ხსკურენა (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 295) „ესო ქრისტე ქვემოდან მოდიოდა, ჯორზე მჯდარა, ქვეყანას აშენებდა თურმე, ზემოდან ეშმაკი მოდიოდა თურმე ქვეყნის მშენებლობიდან, რომელიც ტახზე მჯდარა“

**ქრჩადდ ლეჯიხენ, ჩონჩადდ მეზგათე, იმჟ ნათხტიარე გტიცტარ, ქ ოხცტედ ნათხტიარე, ოჩჩადდ აგიოთე** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 252) „გავე-

დით ლუჯიდან, ჩამოვედით ოჯახში, სადაც ნანადირევი გვეკონდა დატოვებული, მოვიკიდეთ ნანადირევი, წამოვედით სახლში“

**ათგენახ შუკუს, ეშუ აგის ათხანენახ ნეჰტლაცხნირ ლოქ ლოხრდა, ეჩს, ე,** ზურნლოლდ ლოქ ერე ათხანენახ (ჩოლ.) „გაუდგენ თურმე („\*გა-დგ-ომ-ი-ან“) გზას, ერთ ადგილას გადაეყარათ თურმე („გადაყრიან“) დედა ღორი, სავარცხელი მისცაო („მიუცია“) იმან („იმას“), ე, ქალმა, რომ გადაეყარათ („გადაყრიათ“)“...

ზერთულის შემადგენელ ქვეწიქობილ წინადადებაში მთავარს ხშირად აკლია საკორელაციო სიტყვა, თუმცა ივარაუდება და მისი აღდგენა არ წარმოადგენს სირთულეს:

ლახე უფგოტუმ იმე ლემლაკტინხ ქამგარ შტანარს, [ერქა] შიმდ ჩუ ლემდაგურინხ, ქა ლუმშეჟურტინხ ლდგარს ი ერჟინ ლეგურეტიხსა ჩუ ლემგორტინხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978,65) „როცა ჩუმად სადმე გადააწყდებოდნენ ჩერქეხები სვანებს, [მაშინ] ხელად კლავდნენ, ტანსაცმელს გახდიდნენ მიცვალებულს და ისე ქვების გროვაში დააგორებდნენ ხოლმე“

ლეყერს მუზუტი ჩ'უაზუენი ი მყერ ხოშა ლაღალ ჰადტირდ ღერი ქორთე, მარე ერჟუნ ლუზრობ ლახე ლი, [ერქა] ნატიარ ხეტხენიხ უშტარ მყერიშ ი ლეყერიშ ი ძღვდ ქაჩრობ ხეფსი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46) „გასალახს გამშველებელი გაშველებს ხოლმე („და-მ-ზავ-ებ-ელ-ი ა-ზავ-ებ-ს“) და გამლახავი („მრტყმელი“) უმეტესად ჯანმრთელი („მრთელად“) მიდის სახლში, მაგრამ იქ თუ ხალხმრავლობაა, [მაშინ] ნათესავები დაერევიან ერთმანეთს დამრტყმელის და საცემის და დიდი სისხლისღვრა იმართება („დიდი დაჭრილობა ხდება“)“

დინას ლახე ჩუ ხოცხა ი ქორშარსი, [ერქას] ეზარ ხანს ეჯღაი იწირქი-ელხ დინა ი მიჩა ჭირისუფლარ ი შომად აშხუნდო თანახმას ჳედნიხ, ერქას ლეთს ხონშანხი ი ეჯ ლეთ ლეჭმერი ხოთური სამ ი ტომთხუ მარა დინაშ ქორთე, აღარ ანეხ ეშუ ზექანარწყს ი სგა ღგრიხ მეზგათე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978,174) „გოგო თუ თანახმაა („გოგოს თუ ურჩევია“) და შინაურეზიც („სახლისანსაც“), [მაშინ] კარგა ხანს მაინც უარობენ გოგო და მისი ჭირისუფალი და როცა რაღაც ხნის შემდეგ („ერთის მერე“) თანხმდებიან, მაშინ ღამეს უნიშნავენ და იმ ღამეს საქმრო აგზავნის სამ-ოთხ კაცს გოგოს სახლში, ამათ მიაქვთ ერთი ჩარექა არაყი („ესენი წაიღებენ ერთ ჩარექა არაყს“) და შედიან ოჯახში“

ამჟი ერე ეშუ თუედა განმატლობდასა, მუჟოდრ გტემ ერ გუხხალ, [ერქა] ხგნსკამინ ატდარალ ლიხ ი მა ლესაკურელ ირა [ეჯი], ერე ხედგაროლდებ ლამშაუს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 303) „ასე რომ ერთი თვის განმავლობაში, შემოდგომის საქმიანობა („საქმე“) რომ ვიცით, [მაშინ] ნახევრად ცუდი ამინდებია („ავდრ-ებ-ი არიან“) და რა გასაკვირია [ის], რომ აკვდებიან („აკვდებოდნენ“) სამუშაოს“

ერ ლახთხანენახ ეშუარ, [ერქა] დადიანა ლგზგ ჯარს დემმა ოთთორახ გიგო გელუნ ი ემტეხელის ღომტ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 248) „რომ შეხვედრიან ერთმანეთს, [მაშინ] დადიანის გაგზავნილ ჯარს ვერ უცვნიათ გიგო გელოვანი და დაბრუნებულან უკან“

ეჩნდო ბოფშარ ლათურიალთე ერ აჩადხ თბილისთე, [ერქა] გოჩა თელაუს ითურუდა, მაია - თბილისს მარიეტა ჩიქდ, მარიეტა გუინდ მოე-

წყო (ჩოლ.) „მერე ბავშვები სასწავლებლად რომ წავიდნენ თბილისში, [მაშინ] გოჩა თელავში სწავლობდა, მაია - თბილისში მარიეტამდე, მარიეტა გვიან მოეწყო“...

სვანურში არცთუ იშვიათობას წარმოადგენს ისეთი ნარევი სახის რთული წინადადებები, რომელიც რამდენიმე დამოკიდებულწინადადებას შეიცავს:

მი ამჟი მასმა, **ერე მერბა ლადელ ყი ლოქ ოშთხარახ**, მარე მემიხა სწორ ლინ მრდე **ქ'ერ ოხშთხარახ**, ლესკ ლესიპ ხნრა (ჩოლ.) „მე ასე მსმენია, რომ მეორე დღეს ამოუთხრიათ, მაგრამ რა ვიცი სწორია თუ არა, რომ ამოუთხრიათ, გვერდზე ყოფილა გადაბრუნებული („გვერდი მოტრიალებული ჰქონია“)“

აღნიშნულ შემთხვევაში რთული თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილს ახლავს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**ერე მერბა ლადელ ყ ლოქ ოშთხარახ**), ხოლო ბოლო პოზიციასზე მყოფს წინ უსწრებს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (**ქ'ერ ოხშთხარახ**)

**სინათლე, ალე ნარი ერ დოსა პრდა**, ერქა ხაშყიდხ ხომალს, **ერე ლემყალტინ ლოქ ლეთაშუ**, შუკუტარი მამ ლასხ ხოჩა ერქა, აშ მანქანა შუკუმამ ლას (ჩოლ.) „როდესაც სინათლე არ იყო, მაშინ ახსოვთ უფროსებს („დიდება“), რომ რაღაც აშინებდათ თურმე („ნაშინება“) ღამით, გზებიც არ იყო კარგი მაშინ, ისე („ასე“) მანქანის გზა არ იყო“

ყუნზელს, ხამარს, დანარს, ქათლარს ი ამკალიბს, **იმტაბ ხეთხნრლდახ**, ჩრ ამაშგდახ ი **იჯ ლეთ იმტაბ ისდგომრლდა**, ერეჩუნ ჩ'უმაყენდახ, ჟი იმარახ ი ჩუ იზობდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 71) „ყურძენს, ღორებს, თხებს, ქათმებს და ასეთებს, რასაც შეხვდებოდნენ, ყველაფერს წაიღებდნენ („მიჰქონდათ“)და იმ ღამეს სადაც დაბინავდებოდნენ („და-ი-სა-დგ-ომ-ებ-დ-ა“), იქ დაკლავდნენ, მოიშხადებდნენ და ჭამდნენ“

ერქანლო ძესტალა ჩუაშგურანე, **ერე დინამ ქორშარს ქა ხექეხ ალი**, **იმაჟი ჯინემ ნიშან ოსდე** ი იმგუაშოსდე, ეჯი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 175) „მერე ვინმეს დაარიგებს, რომ გოგოს ოჯახის წევრებს („სახლისებს“) უთხრან ეს, რაზეც თვითონ ნიშანი დაუდო და სადაც დაუდო, ის“

**იერტაბლათტერისო ადაიეს გეზალს**, ერეჟი ყვლებ, **ერ ლილზიგალ ლოქ ახაყარა** ი გეზალს ლოქ ლინაყაჟალს ხათტერი (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 304) „ვინც სასწავლებლად წაიყვანს შვილს, იმაზე ამბობენ, რომ ცხოვრება მობეზრებია და შვილს გართობას ასწავლისო“

**ერხენქა ერ ლიც ანბდნი**, ეჯნრტშ ლოქ ხოხნლდეხ, **ერე ერქა ლოქ მურყუტამ იკაფრლნი** ი ერქა ლოქ შიშდ აშგდახ მურყუტამხენქა, **ოდო სგა ლოქ ეხნახიხ ნამხტირს** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 248) „იქიდან რომ წყალი გადმოისხმება, იმით იცოდეთო, რომ მაშინ კოშკი წაიქცევაო („იქცეოდეს იქნება“) და მაშინ უცებ გაიქცეითო („გადაიყრეთო“) კოშკიდან, თორემ ნანგრევებში მოყვებითო („თორემ მოეტნევიანო ნანგრევს“)“...

ნარევი სახის რთულ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას უმეტესწილად ახლავს კავშირი ან საკავშირებელი საშუალებები, თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე აკლია, მაგრამ კონტექსტით ივარაუდება და ადვილად აღდება. მაგ.:

ქორ **ლახე** მრმ ხნდ ფედიას, ეჩქას ნწითეთესგა ღვრდა, ყორწრს ქა ხოდწლდახ ი ეჩეჩწნ არდა, **ოდე** ჩუ დო იმწრდრღლხ ლეყერ ი მიჩა მეწე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 45) „სახლი თუ არ ჰქონდა ახლოს, მაშინ ნათესავთან მიდიოდა, კარებს დაკეტავდნენ და იქ იყო, სანამ არ დაწყნარდებოდნენ დაზარალებული („საცემი“) და მისი მომხრები („მომხრე“)“

ლედგწრს [ერ] ქა ისგტჯღრნახ ქორხწნქა, ეჩქას ლედღწრნ მგდესგი სგტებინ ესღერდა მეზგე (||მეზგა), **ესტწა** ჟელ ხორდა, მწგ ქა იქმინა ლაშდღწლთე ი ალ ჟედწრ ლედღწრნ მგდესგის ხაჭიმდახ ტეშგიმხწნ, ლედღწრნ დრრი ნწკტშუტწრს ხომდა ჟედწრს ეჩხწტ-ამხწტ, ამის ჟედღარ ლიდღწგწლს ხაფსახ ი ჩუ ხოგწწნ ყალა-ჩხუბა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 43) „მიცვალეზულს [რომ] გამოასვენებდნენ სახლიდან, მაშინ შესაწირი პურების (მიცვალეზულის სახელზე ცხვება პური, რომელსაც არიგებენ) წამღების წინ მიდიოდა ოჯახი, ვისაც ძალლი ჰყავდა, ყველა გაიყოლებდა გასვენებაში და ეს ძაღლები პურების წამღებს მიჰყვებოდნენ უკან, შესაწირი პურის ნატეხებს უყრიდა ძაღლებს აქეთ-იქით, ამას ძაღლები ცილაობდნენ და ჰქონდათ ერთი ამბავი („ხმაური“)“

ხწტ-ნახწნთე **ლახე** ხეგნი გტეშ, ეჩქას მეგწა მაროლს ხონწწწნი დინაშ მგჰრი ი ალ მეგწე მაროლ ი დინაშ ჰირისუფღწრ ხენწრენის ქა ლაწტმითე ი ამეჩუ დინაშწწწთიწრ იკედხ ამჟი ხწტუ, **ერე** ამჟი სწხდ ი კწფდ მინს ოსდერტასგტხ ი ამჟი ხწტს ქა ხეჩმუდახ, ეჩქას მინ დემის იგხოლიდახ ჟი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 175) „როდესაც საქმე დაფიცებაზე მიდგება („ხატ-ნაფიცარისკენ თუ ა-დგ-ებ-ა საქმე“), მაშინ ეკლესიაში მათთან ერთად დამფიცებელ კაცებს უნიშნავს გოგოს ხელის მთხოვნელი და ეს მათ გვერდით მდგომი/დამფიცებელი კაცები და გოგოს ნათესავები („**ჰირისუფღ-ებ-ი**“) მიჰყვებიან ეკლესიაში და აქ გოგოს ნათესავები ასე დაიფიცებენ („იღებენ ასე **ხატ-ს**“), რომ ამგვარად და ამ სახით თუ მათ ეტყოდნენ უარს და ასე თუ დაიფიცებდნენ („ასე **ხატ-ს** ქე იმას უქმნიდნენ“), მაშინ თვითონაც არ ეწყინებოდათ („მაშინ თვითონ არ გაიბუტებოდნენ“)“

ხოჩა მგჰქემალა ეჩაღა ხეთმიხ ქა, **ერ** ჩუ ხოხალხ, **ერ** გოლდწშ ლიმქარწლ ხწწწახ მეტწარ ი **ედტე** დამარცხდებოდნენ, ეჩქა ჩიქე ლასტ ი შკტირს ხეწედენხ ი ღტე ლასტ ი მგჰქემად დწრ ჰდესხ (ლწტ., სვან. ქრესტ., 1978, 303) „კარგი მთიბავები იმიტომ გამოირჩევიან, რომ იციან, რომ გოლდაშში შეჯიბრი იციან ძალიან და თუ დამარცხდებოდნენ, მაშინ ჯერ იყო და სირცხვილს ნახავდნენ და მერე იყო და მთიბავად არავინ წაიყვანს“

ეჩქა ჟწწწასკინე ალ ჰყინტდ ი ისკა ხაფხეჰ თხერეს ი ჩწწანდე ჩუქან, შტგქწრ ჟწახომიდ ი კაწწრწ ლაკტშას [ერ] ლახადა, ეჩქა თხერე წთეგწრან: „კაწწრს ნომა ლოქ ხწკტშე ი ჯტეგი ხგწსკას ლოქ ლახიდნე“ (ლწტ., სვან. ქრესტ., 1978, 339) „მაშინ ისკუჰა („ამოხტა“) ამ ბიჰმადა სტაცა მხელი მგელს და წააქცია („ჩა-მო-ი-დ-ო ქვეშ“), კბილები ამოუყარა და წვივის მოტეხას [რომ] შეუდგა, მაშინ მგელი შეეხვეწა: „წვივს ნუ მომტეხავო და ჯოგის ნახევარს მოგცემო“

მუს **ერ** აწწად, ეჩქას მეთხტწარა ნებოზს ეხჰამხ სოფელს ი ხალხს ხეტქხ, **ერე** ნათხტწარღლ ლოქ ხოცგხხ მინს (ლწშ., სვან. ქრესტ., 1978, 251) „თოვლი რომ მოვიდა, მაშინ მონადირეებმა სადამოს ჩამოუარეს („გამოჰყვინ“) სოფელს და ხალხს უთხერეს, რომ ნანადირევი გვეგულეზაო ჩვენ“



ჩუბ ნათხუარე [ერ] ქ'რხვაშურედ, ჟ'ენცტე მიშგუა აფხნიკდ ი ჟ'ანკიდ დემდტე ტუფ, **იმნა** გტიშხტნან (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 255) „ქვევით ნანადირევი რომ გამოვშიგნეთ, წამოიკიდა ჩემმა ამხანაგმა და ამოიტანა დათვის ტყავი, სადაც გვექონდა დამალული“

მერმა ლადედ ანკუიჭდა, **ერე**, ზურნლ ლოქ აღდაგრელი ლაყურნასა ბაბილს, ზურნლ ლოქ აღდაგრელი ლაყურნასა“ ი ალე თხუმ **იმეიტნა** ოთლგტნახ ამჩუ, დერა, ეჯჟ ლელტენე ხნრა თხუმ (ჩოლ.) „მეორე დღეს ამბავი მოვიდა („გავრცელდა“) რომ „ქალი გარდაიცვალაო ლოგინში ბაბილში, ქალი გარდაიცვალაო ლოგინში“ – და თურმე ეს თავი (შდრ. ძვ. ქართ. „თხემ-ი“) როგორც გაუჩქეკვიათ აქ, ხომ, ისე გაჩქეკვილი ჰქონია თავი“

ჭიმკვალ ალესი ჩუ ხოწუა მიშგუა ჯგმლა გეზალს, გოგის, მიჩა მანქანაშ მანქანაშ ანდგრდა მგდახენ ლწმხხენ, ლწმხხენ [ერ] ანდგრდა მიჩა მანქანაშ მ, [ერქა] ლეთდ ქნთქეხა ი **ერ** აღმზინ, ერქა ერე ლეგურალ ლიხ ი ჭტელფი დელა პილჟინენ, ლეგურ ლგან ერქუნენ ი **ერ** აღმზინ, ერქა ლოხსონჯტაღალმარ ლემტყულბუჩალინხ ლოქ მგდნასა ლიცისა ჭიმკვალ, ლემტყულბუჩალინხ (ჩოლ.) „ჭინკები ამასაც უნახავს, ჩემს ძმისშვილს, გოგის, თავისი („მისი“) მანქანით მოდიოდა იქიდან, ლაშხეთიდან, ლაშხეთიდან [რომ] მოდიოდა თავისი („მისი“) მანქანით, საღამომდე დაავგიანდა და რომ მოდიოდა თურმე („მონავალა“), მაშინ იქ წისქვილებია, ე, ჭველფის დელეს ნაპირას, წისქვილი იდგა იქ და რომ მოდიოდა თურმე, მაშინ გაიხედა თურმე და ესენი, იმაში, წყალში, ჭინკები, გუბეში ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდნენ თურმე“...

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ზერთულის რომელიმე მთავარ წინადადებას ახლავს რამდენიმე ერთგვარი ან არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება და მთავარში სრულადაა წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვები, თუმცა შეიძლება აკლდეს ერთი ან რამდენიმე მისათითებელი სიტყვა (თუკი რამდენიმე მთავარი წინადადებისაგან შედგება):

ლახე ლებრალი ქა იმწოდალ, **ერქას**, ლახე ჭუით მერმწავის ქა ითნოლდა, მებრალის ეჯარე მწლტრა ხნდ ლეყრინე ლებრალიდ ე, **აერტნა** ლუფხტილდ იგნა ი ალ მწლტრანაქუითს ხეკუნდ ლექუთერ მეზგათე (ზხ., სვან. ქრესტ., 1978, 52) „თუ დასაბრალებელი თავს გაიმართლებს, მაშინ, თუ ქურდი სხვა ადგილას გამოჩნდებოდა, დამბრალებელს მათი ფიცი უნდა მიესაჯა („ჰქონდა დასამართი“) დასაბრალებელისთვის, ე, ვინც ნაფიც მსაჯულად ირჩევდა („ი-დგ-ამ-დ-ა“) და ეს დაფიცებაც ქურდს უნდა ეკისრა („ფიციც **ქურდ**-ს უნდოდა მოსაპარ ოჯახისკენ“)

საფურ გუნ ჟი ტეხნი, **ერქას** ალ საფურს ნელართე'სგ' აპრეხ, ერხაუფექს შიდეს [ერზუმს], მწუმტწმხელტუნის ლეურწში, ეჯას ტებდი ლიცს ხაბდეს ი ჟრშხოუმ ჟწნჩგდრნეს მასარდ, ჩუ ცუთრეხ **ერზუმ** დგთხალდ, მწუმტწმხაკაგ მგჰრწყის (ზხ., სვან. ქრესტ., 1978, 134) „საფუარი ძალიან[რომ] ამოვა, მაშინ ამ საფუარს კასრში ასხამენ („ყრიან“), იმაში ფქვილს ყრიან [იმდენს], რამდენიც ექნებათ საბუზხალაყე, იმას თბილ წყალს ასხამენ და ლაფერთხით მაგრა მოურევენ, დატოვებენ იმდენად თხლად, რამდენიც უნდა არყის გამოხდელს“

ალწრმწე ჟი იმწრის, **ერქას** ლაშდხტალ ლადელი ჩუ ლენშან ლი ი ლაშდლტალ სგტებნე ნებოზს ჯოდიამ ნწთი მერტწმხორი ლედგარს, **ეჯი**

ეჯ ლეთ ჳედნი მწგ ი სოფელისგა წწმ დერტაბხარ ი სამხუბ, თუთთ აშირ დიწრს ტისჰასწანე [ეჯი] (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 182) „ესენი ყველანი [რომ] გაემზადებინან, მაშინ დაკრძალვის დღეც დანიშნულია და გასვენების წინა საღამოს შორეული ნათესავი ვინც ჰყავს გარდაცვლილს, ის იმ დამეს მოვა ყველა და სოფელში ძაან ახლობელი ვინცაა და სამძო, თითო გადაუბრუნებელ ას ჰურს მიიტანს („წაიდებს“) [ის]“

შომწა ზურალ ჩუ ილტყალ, ნალტყურს ლახ ათუენი, [ეჩქას] დერტალე ეჯ მეზგემიშ თრფს აკუანე ი ამნოშ მეზტებლარ გუდ ჳედნიხ ნალტყურიშ ლითუენის ი მწხიად ლწქტისგთე დგრიხ ეჯ მეზგათე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 178) „როცა ქალი იმშობიარებს, თუ ბიჰს გააჩენს, [მაშინ] ვინმე იმ ოჯახისა თოფს ისვრის („აგდებს“) და ამით მეზობლები ხვდებიან ბიჰის დაბადებას და მისალოცად („სიხარულის სათქმელად“) მიდიან იმ ოჯახში“

წსკიდდა სწრკისა ალ ზურალ ი დემამა ჩუ ხწყერა მიჩა ლიბოფშინდრინ, ეჯი მწგ ქწწამბწუტე, ალ ბოფშწრემდ იმჰინ ხოყერახ მიჩა ლაწდილას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 317) „ჩაიხედა სარკეში ამ ქალმა („ეს ქალი“) და რაც რამ დამართნია თავისი ბავშვობიდან, ის ყველაფერი მოყვა, ამ ბავშვებისთვის როგორც უქნიათ თავის დებს“

წგხო ერ ანდრიხ, [ეჩქა] ჩხარა ლახტბად ლწდრაგწდნეხ სკუტებინ უქობოშ [ეჯი], ერე წგხო ერ ალინეღ, ალ ჰყინტ ლიმედეს ლაგტბინი, იმაღე ალოკერწად შუკუტს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 317) „სახლში რომ მოდიან, [მაშინ] ცხრა ძმამ მოილაპარაკეს წინ ჩუმაღ [ის], რომ სახლში რომ მივალთ, ეს ბიჰი დამადლებას დაგვიწყებსო, რამე მოუხერხოთო გზაზე“

ლანხუბისა ლახწერ იდგარი, ეჩქა ლანხუბტარალ მაგ მუნწტარი ლიხ ი ლაგტნობჰი სოფლი მომსახურდ ლანხუბტარალ არიხ ქორა მწრამწლ ი ხოცხახ [ეჯი], ერე ჰახბრწან ლაგტან ხეყერეს მინე მეხუბს [ეჯღა], ერე საყდურდ მრ ლწესეს ლემყალ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 234) „სამძოში როცა ვინმე გარდაიცვლება, მაშინ სამძოს წევრებმაშესაწევარი უნდა ჩაწერონ და გასვენებებზე სოფლის მსახურად სამძოს წევრები არიან როგორც ოჯახის წევრები („სახლიკაცივით“) და ურჩევნიათ, რომ სანაქებო („სახელიანი“) გასვენება გაუკეთდეს თავიანთ მოძმეს, რომ სირცხვილი არ ჰქამონ („რომ საყვედურად არ იყოს საშიში“)“

ჰწერ ემვედღელიხ, დერა, [ეჩქა] ექკწალი ბური ხოჩმინწა, ერე ჰწომჰონწა ღწრბათს ეჯდარდ ი ჩუ ლახტეხახ ეჩე კწლთე (ჩოლ.) „რომ ამოსულან, ხომ, ისე („ის ყალიბი“) ჩამობწელებულა („სიბწეღე უქნია“), რომ უკან დაუბრუნებია თურმე („შემოუბრუნებია“)ღმერთს ისინი („იმეებისთვის“) და ჩაბრუნებულან იქ, კალაში“

ეჯი ჩუ ცურე ალეს, ა, ლიფწწწლს ი აღე ჰწერ იმწრი, ა, სუფრა ლეფწწწად, [ეჩქა] ეჯი ქა იქწბი ქწმთე, დერტაღ ლეღტს ჩტრბი (ჩოლ.) „ის დატოვებს ხოღმე ამას აი, „ლიფწწწლის“ და ეს რომ მომზადდება, აი, სუფრა, საკურთხებლად, ის გარეთ გავა ხოღმე („გაეცლება“), ვინც ხორცს შეჰამს“...

ზოგჯერ ნარევი სახის რთული წინადადება მიღებულია ქვეწყობილ წინადადებათა თანწყობით და შესაბამისად ზერთული წინადადების ორივე ნაწილი ქვეწყობილია:

ლახე სამხუბისგა, აედ ნაწონსგა ლიმზერი, ხოჩა ღენ ხანდხ, ერქას ლუღფურე ლტაქარ წერნი ფაყტარს შგილოთესგა დასგდახ ი მინ იბნახ ლიღრწლს, ერე მეზგა ლიხბრუთილ ოხბინენს (ზზ., სვან. ქრესტ., 1978, 44) „თუ სამძოში, ან სანათესაოში ლოცვა, კარგი დღესასწაული ჰქონდათ, მაშინ მგლოვიარე („მეღებლი“) კაცები წითელ ქუდებს სხვენზე დებდენ და თვითონ იწყებდნენ სიმღერას, რომ ოჯახს მხიარულება დაეწყო“

ანენხ მამულს, ჩანგს ი ქუნთეისგა სგა ხეცდენიხ, ერქას მამილ ლიყ-ლეს როქ იბნე ი ანლომ გუდ როქ კედენიხ, ერე ქუთინ ამეჩუ პრი (ბქ., სვან. ქრეს., 1978, 180) „წაიყვანენ ხოლმე მამალს, ჩანგს და სულამდე რომ მიაღწევენ, მაშინ მამალი ყვილს იწყებსო და ამით ხვდებიანო, რომ სული აქ არისო“

გულდარ ლეხრინად ყვლეს, ერ მინე ნაჭოდ ლოქ ხარხ ლაჭემალ ი ნომ ლოქუ ახრინენ ჟი, ედო ქა ლოქ ხატხუნენხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 302) „გულიდლები გაბრაზებულად ამბობენ, რომ ჩვენი მიოცემულიაო სათიბები („რომ მათი მიცემულიო აქვთ სათიბები“) და ნუ გაგვგაბრაზებენო („ნუო აბრაზებენ“), თორემ უკან წავართმევთო („გამოაბრუნებენო““

აერტამს ხოსდენი იშგნაგ, ეჯ სამხუბ ლემჯანდ ი ლესყუედურდ სედნი იტალადლიმდ ი ამა ხოკუთიხ ქამ აგის ლიციტრეს ლედგარა ჯიჯტარემს მიჩა მეხუბიშ, ერე თელდ სამხუბს ლოქ მოდ ოსსეხ საყედურდ (ლშხ., სვან. ქრეს., 1978, 234) „ვისაც რჩება სხვაგან, ის სამძო საძრახად და სასაყვედუროდ რჩება სამუდამოდ და ამიტომ უფროთხილდებიან გარეთ სამძოს წევრის ძვლების დატოვებას, რომ მთელ სამძოს არ დარჩეს სირცხვილად („სა-საყვედურ-ო-დ-ო““

ერ ემჩედლიხ, ეკლესიაჲსა აერ ახსემენახ ი ქემკედლიხ ქამენთე ი დარ ერ ლემარდ, ერქა სგემტეხნლიხ (ჩოლ.) „რომ წასულან, ეკლესიაში ხმა შემოესმათ თურმე და გამოსულან გარეთ და რომ არავინ ყოფილა („ნამყოფა“), მაშინ შემოსულან („შემობრუნებულან““...

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურში უზვად გვხვდება ზერთული წინადადეგები, მათ შორის ხშირია ისეთი შეთხვევები, როდესაც ერთდროულად დასტურდება რამდენიმე მარტივი თუ შერწყმული წინადადეგების მეშვეობით შედგენილი თანწყობილი წინადადეგები, რომელთაც ერთი ან რამდენიმე ქვეწყობილი წინადადება ახლავს.

ჰიპოტაკსურ წინადადეგებში ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია მისათითებელი და საკავშირებელი საშუალებები, თუმცა გვხვდება შემთხვევები როცა რომელიმე აკლია, ან ორივე ერთად იგულისხმება და მათი აღდგენა ადვილად შეიძლება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სხვა დიალექტებისაგან ისეთი დამოკიდებული წინადადეგები, რომელსაც აკლია დაქვემდებარების გარეგანი ნიშნები (მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები) იშვიათობას წარმოადგენს ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო მეტად ხშირია ჩოლურულ და ბალსზემოურ მეტყველებაში. ნარევი სახის რთულ წინადადებაში გამოვლენილი ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც საპირისპირო ვითარებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ქვეწყობილი წინადადეგების შეთხვევაში გვაქვს (იხ. ნ. შავრემიანი, მ.საღლიანი „ასინდეტური ქვეწყობილი წინადადებისათვის სვანურში“ იკვ, XLI, გვ. 209-220, 2013), ვინაიდან კვლევებმა აჩვენა, რომ

„... გავრცელების თვალსაზრისით, უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი იშვიათად დასტურდება. ... ქვემოსვანურ დიალექტებში, კავშირიანი დამოკიდებული იმდენად ჭარბობს უკავშიროს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთდროულად გვხვდება ორი კავშირი, ან წევრ-კავშირი და კავშირი“ (შავრეშიანი, საღლიანი 2013:216-220).

სვანურის ოთხსავე დიალექტში და მათ შორის ჩოლურულ მეტყველებებშიც, საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი წინადადებები, როცა ზერთულში შემავალი თანწყობილი ან ქვეწყობილი წინადადებები აგებულია მის მიხედვით შერწყმულია და ახლავს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, ხოლო განკერძოებული სიტყვები უმეტესწილად გარემოებებია.

### ლიტერატურა

**გეგუჩაძე 2009** – ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეშვიდე, თბილისი, 2009

**შავრეშიანი, საღლიანი 2013** – ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი „ასინდეტური ქვეწყობილი წინადადებისათვის სვანურში“ იკვ, XLI, გვ. 209-220, თბილისი, 2013

**სვან. ენ. ქრესტ. 1978** – სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი, 1978.

**Nato Shavreshiani, Lela Giglemiani**

### On the Mixed Complex Sentence in Cholur Speech (Compared to Other Svan Dialects)

#### Summary

The diverse illustrative material has shown that in all the four Svan dialects and even in Cholur speech the mixed complex sentences consisting of compound sentences formed by several simple and combined ones that are accompanied by one or more complex sentences can be found in abundance. There are quite many cases when compound and complex sentences included in the very complex sentence are combined sentences in terms of the structure and are accompanied by adjuncts (words or expressions) that are (in case of words) mainly adverbial modifiers.

## ნინო შარაშენიძე

### მოდლობა და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ქართულში<sup>1</sup>

ქართულში კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მწყობრ სისტემას ქმნიან – თითოეულ კითხვით ნაცვალსახელს დაერთვის როგორც **-მე**, ისე **-ღაც** ნაწილაკი. ორივე ნაწილაკის დართვისას მიიღება ერთი ტიპის, დაახლოებით ერთი მნიშვნელობის მქონე ფორმები, რომლებშიც განუსაზღვრელობის სემანტიკაა მთავარი.

კითხვითი ნაცვალსახელები	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები	
	-მე	-ღაც
ვინ	ვინმე	ვიღაც
რა	რამე	რაღაც
სად	სადმე	სადღაც
რომელი	რომელიმე	რომელიღაც
როგორი	როგორმე	როგორღაც
რამდენი	რამდენიმე	რამდენიღაც

ქართული ენის ლექსიკონები ამ ფორმებს განმარტებისას არ განასხვავებენ.

	ქეგლი	ქართული ლექსიკონი
<b>ვინმე</b>	განუსაზღვრელობის -მე ნაწილაკდართული ვინ, – რომელიმე, რომელიღაც (ადამიანი), ვინ ვინდა ადამიანი (საპირისპ. რამე)	ნაცვ. რომელიღაც ადამიანი, განუსაზღვრელი პირი.
<b>ვიღაც[ა]</b>	განუსაზღვ. ნაცვალსახ. -ც[ა] ნაწილაკდართული ვიღაც, - რომელიღაც ადამიანი, უცნობი პიროვნება, ვინმე (საპირისპ. რაღაც[ა]).	ნაცვ. რომელიღაც ადამიანი, განუსაზღვრელი ვინმე.
<b>რამე</b>	ნაცვალსახ. განუსაზღვრელობის -მე -ნაწილაკდართული რა, - რაღაც ნივთი, მოვლენა, ცხოველი ან სხვა რამ (არაადამიანი). საპირისპ. ვინმე.	ნაცვ. რაღაც საგანი, მოვლენა და მისთ. (ყველაფერი გარდა ადამიანისა).

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“

<b>რადაც[ა]</b>	განუსაზღვ. ნაცვალსახ. -ც[ა] ნაწილაკდართული რადა, - რომელიდაც საგანი ან ცოცხალი არსება (გარდა ადამიანისა), უცნობი რამ, - რამე.	1.ნაცვ. რადაცა. რადაც უნდა. 2.ნაწილაკ. თითქოს, რატომდაც, რადაც ვერ მუშაობს, რადაც გული სწყდება.
<b>სადმე</b>	ზმნს. განუსაზღვრელობის -მე - ნაწილაკდართული სად. 1. რომელსამე ადგილას. 2. იგივეა, რაც სადღაც.	ზმნიზ. რომელიმე ადგილას.
<b>სადღაც[ა]</b>	განუსაზღვ. ზმნის. -ც[ა] ნაწილაკდართული სადღა, რომელიდაც ადგილას. რომელიდაც მიმართულებით.	ზმნიზ. რომელიდაც ადგილას.
<b>რომელიმე</b>	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახ. -მე-ნაწილაკდართულირომელი, - ერთ-ერთი მრავალთაგანი.	ნაცვ. განუსაზღვრელი, მრავლიდან ერთი.
<b>რომელიდაც</b>	----- -----	ნაცვ. გაურკვეველი, განუსაზღვრელი, რომელიმე.
<b>როგორმე</b>	ზმნს. განუსაზღვრელობის -მე-ნაწილაკდართული როგორ, - რაიმე გზით, რაიმე საშუალებით, რამენაირად.	ზმნიზ. რაიმე საშუალებით, რამენაირად.
<b>როგორღაც</b>	ზმნს. -ც[ა]-ნაწილაკდართული-როგორღა, რაღაცნაირად.	ზმნიზ. რაღაც გზით, რამენაირად, რაღაცნაირად.
<b>რამდენიმე</b>	ნაცვალსახ. განუსაზღვრელობის -მე-ნაწილაკდართული რამდენი, - მცირე რაოდენობისა, არაბევრი.	ერთზე მეტი, მცირე რაოდენობისა.
<b>რამდენიდაც</b>	----- -----	----- -----

განსხვავება არც თარგმნით ლექსიკონებში ჩანს. ზოგჯერ ორივე ფორმა მოყვანილია სინონიმურ განმარტებებად, ზოგჯერ კი ისინი ერთმანეთს განმარტავენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ სურათს არც ორენოვანი ლექსიკონები იძლევიან. (<https://translate.google.com/>; <http://dictionary.ge/>)

**-მე** და **-ღაც** ნაწილაკებიანი ფორმების სემანტიკა არაა გამიჯნული არც სამეცნიერო ლიტერატურაში. ა. შანიძე მას განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში და ნაწილაკების გაანალიზებისას განიხილავს, მაგრამ არცერთგან მისი სემანტიკის შესახებ არაა მსჯელობა (შანიძე, 1980). მხოლოდ ბრუნების საკითხს ეხება სტატია კრებულში „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (ნორმები, 1986).

ხსენებული მაწარმოებლები, რა თქმა უნდა, შესულია „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“, მაგრამ ამ ფორმების სემანტიკა არც აქაა გამოყოფილი ცალ-ცალკე. ამ ნაწილაკების შესახებ აღნიშნულია: „**-მე** „ნაწილაკ-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის კითხვით ნაცვალსახელს ან კითხვით ზმნისართს და აქცევს მას განუსაზღვრელ ნაცვალსახელად ან ზმნისართად. ვინ-მე, რა-მე, როგორი-მე, რომელი-მე... სად-მე, საიდან-მე, როგორ-მე... (ძველი ქართული: ითხოვდა რას-მე მისგან“); (მორფ. ლექს., 290); **-ღაცა** – რთული ნაწილაკ-მორფემო-

დი, რომელიც დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნისართებს და აწარმოებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს: ვი(ნ)-ლა-ც(ა), რა-ლა-ც(ა), რომელი-ლა-ც(ა), სად-ლა-ც(ა)... დიალექტებში (უპირატესად, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: გურულში, აჭარულში, ქვემოიმერულში) ხსენებულ ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს ჯერ ერთვის -ც(ა), შემდეგ -ლა: \*ვინ-ც-ლა, \*რა-ც-ლა, \*სა-ც-ლა, რაც ფონეტიკური ცვლილებით იძლევა ფორმებს: ვინცხა, რაცხა, საცხა... **შენიშვნა:** ხშირად გამოიყენება ბოლოკიდური -ა-ს მოკვეცი: ვი-ლა-ცა>ვიდაც, სად-ლა-ცა>სადღაც... (მორფ. ლექს., 417).

**-მე** და **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმები გარკვეულ სისტემას ქმნის. ამდენად, მათ შორის აბსოლუტური სინონიმია ვერ იქნება, რადგან ერთი და იმავე სემანტიკისათვის ენა ორგვარ წარმოებას არ დაამკვიდრებდა. მოსალოდნელია, რომ ამ ფორმებს შორის თუნდაც ნიუანსობრივი სემანტიკური სხვაობა იყოს.

ის სემანტიკური ნიუანსი, რომელიც სისტემურად განასხვავებს ამ ფორმებს, უნდა იყოს **ნაცნობი და უცნობი სიმრავლის** გამოკვეთა. განმსაზღვრელია **მთქმელი** და მისი ხედვა: **-მე** ნაწილაკიანი ფორმები **ნაცნობ სიმრავლეს** გამოკვეთს, ხოლო **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმებით აღინიშნება მთქმელისთვის **უცნობი სიმრავლე**.

განვიხილოთ რამდენიმე კონტექსტი:

(1) **სადმე წავიდეთ** – ეს ფრაზა ნიშნავს, რომ ადგილი განუსაზღვრელია, დაუკონკრეტებელია, მაგრამ მთქმელისთვის ის მაინც წარმოადგენს ნაცნობ სიმრავლეს: ანუ გულისხმობს კონტროლს მთქმელის პოზიციიდან. შეიძლება ეს იყოს შემოსაზღვრული სიმრავლე (მაგალითად, გასართობი ადგილები, კვებისა თუ თავშეყრის ადგილები და ასე შემდეგ), ან სხვა მისთვის ნაცნობი ადგილი. ამ განუსაზღვრელი ადგილებიდან მთქმელი ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს. ესაა **განუსაზღვრელობა ნაცნობი სიმრავლის გამოკვეთით**.

(2) **ნიკა სადღაც წავიდა**. - ეს ფრაზა კი გულისხმობს, რომ ადგილი, სადაც წავიდა ობიექტი, მთქმელისთვის განუსაზღვრელია და ამასთანავე უცნობია, ანუ ის არის უცნობი სიმრავლის ნაწილი. ესაა **განუსაზღვრელობა უცნობი სიმრავლის გამოკვეთით**.

ამ დაპირისპირებას კარგად გამოავლენს წინადადება, რომელშიც ორივე ფორმა იქნება გამოყენებული. მაგალითისათვის განვიხილოთ ამგვარი კონტექსტი:

(3) **გასაღები სადღაც დავკარგე, ნახე, იქნებ სადმე მანდ იყოს, მოძებნე**.

ამ წინადადებაში პირველი ფორმა **სადღაც** მიუთითებს, რომ დაკარგვის ადგილი განუსაზღვრელია, მაგრამ ამავე დროს ის უცნობი სიმრავლის ნაწილია. წინადადების პირველი ნაწილის პერიფრაზი ამგვარად შეიძლება გადმოიციეს: არ ვიცი, არ მახსოვს, ჩემი ცნობიერებისათვის სრულიად უცნობია ის ადგილი, სადაც გასაღები დავკარგე. ხოლო წინადადების მეორე ნაწილი კი **სადმე** ფორმის გამოყენებით ხაზს უსვამს იმას, რომ შესაძლებელია ეს ადგილი ჩემთვის ნაცნობი სიმრავლის არეალში იყოს (მაგალითად, სახლში, აივანზე, რომელიმე ოთახში და ასე შემდეგ...). ამ სე-

მანტიკის ინდიკატორად წინადადებაში ასევე გამოყენებულია „მანდ“ ზმნიზება, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ნაცნობ არეალს. მოცემულ კონტექსტში **ნაცნობი** და **უცნობი** სიმრავლის დაპირისპირება გამოიკვეთება სწორედ **-მე** და **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმების გამოყენებით.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

1.სემანტიკური პერიფრაზი, ანუ წინადადების გაშლა:

ნიმუში	პერიფრაზი
<i>როგორ მინდა, ვინმე მოვიდეს ახლა ჩემთან.</i>	სურვილი გულისხმობს <b>ნაცნობი ადამიანების სიმრავლიდან</b> ერთ-ერთს.
<i>გულში ჩემთან ვიღაც მოსულა, ხომ არ იცი, ვინ იყო?</i>	ჩემთან მოსული ადამიანი ამ ეტაპზე წარმოადგენს პიროვნებას ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან. მომდევნო შეკითხვა სწორედ იმის დაკონკრეტებას ემსახურება, იყო ეს ადამიანი ნაცნობი თუ უცნობი სიმრავლიდან.
<i>ეს ქოლგა ვიღაცას დარჩა აჟ.</i>	ის, ვისაც ქოლგა დარჩა, არა მარტო განუსაზღვრელია, არამედ უცნობია, არის უცნობი სიმრავლიდან, ანუ არ ვიცი, ვის დარჩა.
<i>ეს ყაკეტი რომელიღაც მაღაზიაში ვიყიდე, არ მახსოვს რომელში.</i>	მაღაზია ჩემთვის უცნობი სიმრავლიდანაა ამ ეტაპზე, რადგან არ მახსოვს.

ჩვენი მოსაზრების შესამოწმებლად შესაძლებელია **ჩანაცვლების მეტოდის** გამოყენება. შესაძლებელია თუ არა **-მე** და **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმები თავისუფლად ჩაენაცვლოს ერთმანეთს? თუ ჩანაცვლება არ მოგვცემს ბუნებრივ კონტექსტს, მაშინ რა არის ამის ხელის შემშლელი?

2. **ჩანაცვლება** – შესაძლებელია თუ არა ამ ფორმების თავისუფალი ჩანაცვლება?

დასაშვები კონტექსტი	დაუშვებელი კონტექსტი
<i>ვიღაც არის სახლში.</i>	#ვინმე არის სახლში.#
<i>სახლში მგონი ვიღაც არის.</i>	#სახლში მგონი ვინმე არის.#
<i>სადღაც წავიდნენ.</i>	#სადმე წავიდნენ.#
<i>ქუჩაში ვიღაც მღერის.</i>	# ქუჩაში ვინმე მღერის. #
<i>ეზოში ვიღაც დადის.</i>	#ეზოში ვინმე დადის.#
<i>კაცი ვიღაცას მიესალმა.</i>	#კაცი ვინმეს მიესალმა.#
<i>გასაღები სადღაც დაგვარგე.</i>	#ქოლგა სადმე დაგვარგე.#
<i>სახეზე რაღაც გაქვს.</i>	#სახეზე რამე გაქვს.#
<i>ბიჭი უცებ სადღაც გაქრა.</i>	#ბიჭი უცებ სადმე გაქრა. #
<i>გოგოს რაღაც დაუწერია.</i>	#გოგოს რამე დაუწერია. #
<i>რომელიღაც სტუდენტი გამოვიდეს დაფასთან. [ნაცნობი სიმრავლე].</i>	#რომელიღაც სტუდენტი გამოვიდეს დაფასთან.#
<i>„ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება.“ (ილია „გლახის ნაამბობი“)</i>	#ამის შემდეგ რამე ფიქრმა წაიღო მისი გონება.#



<b>„ერთი რაღაც ქალაქი მოჰხვდა ხელში.“</b> (ილია „კაცია-ადამიანი?!“)	#ერთი რამე ქალაქი მოჰხვდა ხელში.#
<b>„ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ხაჭაპური მოიტანა კლასში.“</b> (აკაკი „ჩემი თავგადასავალი“)	#ერთხელ რომელიმე მოსწავლემ ხაჭაპური მოიტანა კლასში.#
<b>„ეს ბალის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდან გადმოიღო კესოს.“</b> (ილია „ოთარაანთ ქვრივი“)	#ეს ბალის მოხაზულობა იყო და რომელიმე წიგნიდან გადმოიღო კესოს.#
<b>„არჩილს ამ სიტყვებისთვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა...“</b> (ილია „ოთარაანთ ქვრივი“)	#არჩილს ამ სიტყვებისთვის სადმე და როგორმე ყური მოეკრა... #

მოცემული კონტექსტებიდან აშკარაა, რომ **-მე/-ღაც** ნაწილაკიანი ფორმების თავისუფალი ჩანაცვლება შეუძლებელია. **-ღაც** ნაწილაკიანი ფორმებში აშკარად ჩანს **განუსაზღვრელობა უცნობი სიმრავლიდან**, რაც, ვფიქრობთ, არის ის სემანტიკა, რომლის შენარჩუნება ვერ ხერხდება **-მე** ნაწილაკიანი ფორმების ჩანაცვლებით.

ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად კიდევ ერთი ტექსტის ჩატარება შეიძლება. ესაა განსახილველ ფორმათა დაპირისპირება და განმასხვავებელი სემანტიკის ამგვარად გამოკვეთა.

**3. დაპირისპირება – მკვეთრი სემანტიკური სხვაობა:**

<b>ნაცნობი სიმრავლე</b>	<b>უცნობი სიმრავლე</b>
<b>რომელიმე მწერალი</b> [ნაცნობი სიმრავლე, ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი]	<b>რომელიღაც მწერალი</b> [უცნობ სიმრავლე]
<b>რომელიმე ქალაქში</b> [ნაცნობი სიმრავლე, ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი]	<b>რომელიღაც ქალაქში</b> [უცნობი სიმრავლე]
<b>როგორმე უნდა გავაკეთოთ.</b> [ნაცნობი სიმრავლე, ჩვეთვის ნაცნობი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენებით უნდა გავაკეთოთ]	<b>როგორღაც უნდა გავაკეთოთ.</b> [უცნობი სიმრავლე, უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ჯერ ჩემთვის უცნობია, როგორ გავაკეთოთ]
<b>როგორმე უნდა გადავწყვიტო.</b> [ნაცნობი სიმრავლე, ჩემთვის ნაცნობი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენებით უნდა გადავწყვიტო].	<b>როგორღაც უნდა გადავწყვიტო.</b> [უცნობი სიმრავლე, აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ, მაგრამ ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია, რა საშუალებებით]
<b>დაწერე რამე!</b> [ნაცნობი სიმრავლე. რამდენიმე საკითხის დაწერა გევალებს, მათგან დაწერე რომელიმე.]	<b>დაწერე რაღაც!</b> [უცნობი სიმრავლე. სულერთია, რას დაწერ.]

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია დაიძებნოს იმგვარი კონტექსტები, რომლებშიც მოხდება **-მე/-ღაც** ნაწილაკიანი ფორმების ჩანაცვლება. ჩვენი მოსაზრებით, ეს ჩანაცვლება შესაძლებელი ხდება წინადადებაში გამომხატული მკვეთრი **მოდალური სემანტიკის** გამო, რაც თავისთავად უშვებს ორივე სიმრავლის (ნაცნობი და უცნობი სიმრავლისადმი) მთქმელის განურჩეველ დამოკიდებულებას. მაგალითად, **ვარაუდის სემანტიკა**

თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე შეიძლება მიემართოს როგორც ნაცნობ, ისე უცნობ სიმრავლეს, რაც რეალურად განაპირობებს ამ ფორმათა ჩანაცვლებას: სწორედ ამის გამოა შესაძლებელი ფორმათა ჩანაცვლება. ვარაუდის მოდალობას კონტექსტში გამოვკეთს **ალბათ, იქნებ, უნდა** (ვარაუდის სემანტიკით) და ვარაუდის გამომხატველი სხვა ენობრივი საშუალებები. ჩანაცვლება ასევე დასაშვებია **სურვილის, თხოვნის, აუცილებლობის მოდალობის** გადმოცემის დროსაც. ამ შემთხვევებშიც დასაშვებია კონკრეტულ მოდალობასთან ორივე სიმრავლის (ნაცნობი და უცნობი) განუსაზღვრელობის სემანტიკის შეთავსება.

4. მოდალობა და ნაცნობი, ან უცნობი სიმრავლე.

<b>-ღაც</b>	<b>-მე</b>
ვარაუდი – <b>მაგიდა არეულია, ალბათ ჩემს მაგიდასთან ვიღაც იჯდა.</b> [შესაძლებელია აქ იჯდა ადამიანი, რომელსაც არ ვიცნობ, ის ჩემთვის უცნობი სიმრავლიდანაა.]	<b>მაგიდა არეულია, ალბათ ჩემს მაგიდასთან ვინმე იჯდა.</b> [შესაძლოა აქ იჯდა განუსაზღვრელი პიროვნება ჩემთვის ნაცნობი სიმრავლიდან.]
ვარაუდი – <b>ორივე მომეწონა, ალბათ რომელიღაცას ვიყიდი.</b> [ჯერ არ ვიცი, არ გამიცნობიერებია, რომელს ვიყიდი]	<b>ორივე მომეწონა, ალბათ რომელიმეს ვიყიდი.</b> [ორივე ნაცნობია ჩემთვის, ჯერ განუსაზღვრელია, რომელს ვიყიდი, მაგრამ ვიყიდი ნაცნობი სიმრავლიდან.]
ვარაუდი – <b>ბავშვი სადაც აქ უნდა იყოს.</b> [არ ვიცი სადაა, განმსაზღვრელია და უცნობია ეს სიმრავლე.]	<b>ბავშვი სადმე აქ უნდა იყოს.</b> [განუსაზღვრელია ის ადგილი, სადაც შეიძლება ბავშვი იყოს, მაგრამ ის ნაცნობი სიმრავლიდანაა.]
თხოვნა – <b>მალთან გთხოვ, როგორღაც მალე უნდა დაამთავრო ჩემი კაბა.</b> [თხოვნის მოდალობა გულისხმობს, რომ განუსაზღვრელია როგორ, შესაძლებელია, რომ ჩემთვის უცნობი ხერხებით მოხდეს სამუშაოს დასრულება.]	<b>მალთან გთხოვ, როგორმე მალე უნდა დაამთავრო ჩემი კაბა.</b> [ჩემთვის ნაცნობი რომელიმე შესაძლებლობის გამოყენებით უნდა შეძლო სამუშაოს დასრულება.]
თხოვნა – <b>იქნებ როგორღაც შეძლოთ ხვალ ჩემთან შეხვედრა.</b> [მე არ ვიცი, როგორ, მაგრამ სასურველია შეძლო.]	<b>იქნებ როგორმე შეძლოთ ხვალ ჩემთან შეხვედრა.</b> [რომელიმე შენი შესაძლებლობების გამოყენებით სასურველია შეძლო.]
სურვილი – <b>ვიდავამ ხომ მაინც უნდა თქვას სიმართლე!</b> [სულერთია ვინ იტყვის ამას, თუნდაც ის იყოს ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან] .	<b>ვინმემ ხომ მაინც უნდა თქვას სიმართლე!</b> [სასურველია, ჩემთვის ნაცნობი სიმრავლიდან ერთმა მაინც თქვას სიმართლე.]
აუცილებლობა – <b>მომეცი ფანქარი, რაღაცით ხომ უნდა დავეწერო!</b> [სულერთია რომელ ფანქარს მომცემ ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან, მთავარია იყოს საწერი საშუალება.]	<b>მომეცი ფანქარი, რაიმეთი ხომ უნდა დავეწერო!</b> [ჩემთვის ნაცნობი ფანქრებიდან ერთ-ერთით დავეწერ.]
ეჭვი – <b>ვიღაც უნდა იყოს სახლში.</b> [ჩემთვის უცნობია ვინაა ეს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სახლში არის ადამიანი.]	<b>ვინმე უნდა იყოს სახლში.</b> [ეჭვი მაქვს, რომ ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი უნდა იყოს სახლში.]

5. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: **შეკითხვა** აუცილებლად იყენებს **ნაცნობი სიმრავლის გამოხატველ -მე ნაწილაკიან** ფორმას, რადგან ლოგიკურად შეუძლებელია შეკითხვა დაისვას უცნობი სიმრავლის შესახებ, მას პასუხი ვერ ექნება. ამდენად, თუ გარკვეულ კონტექსტში ჩანაცვლება ვერ ხერხდება, ანუ **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმის შეცვლა არ ხდება **-მე** ნაწილაკიანი ფორმით, ამგვარი ჩანაცვლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წინადადება **კითხვითი მოდალობით** შეიცვლება.

მტკიცებითი წინადადება.	დაუშვებელი კონტექსტი.	კითხვით გამოხატული კონტექსტი.
<i>ამ ოთახში ვიდაც იყო.</i> [უცნობი სიმრავლე.]	#ამ ოთახში ვინმე იყო.#	<i>ამ ოთახში ვინმე იყო?</i> [შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი]
<i>რომელიღაც სტუდენტი ყოფილა გუშინ უნივერსიტეტში.</i> [უცნობი სიმრავლე]	#რომელიმე სტუდენტი ყოფილა გუშინ უნივერსიტეტში. #	<i>რომელიმე სტუდენტი იყო გუშინ უნივერსიტეტში?</i> [შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი]
<i>გუშინ ვიდაცამ მიკითხა სამსახურში.</i> [უცნობი სიმრავლე]	#გუშინ ვინმემ მიკითხა სამსახურში.#	<i>გუშინ ვინმემ მიკითხა სამსახურში?</i> [შეკითხვა - ნაცნობი სიმრავლიდან ერთი]
<i>სადღაც იყვნენ.</i> [უცნობი სიმრავლე]	#სადმე იყვნენ. #	<i>სადმე იყვნენ?</i> [შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი]

6. იცვლება **მწკრივის ფორმა:-ლაც** ნაწილაკიანი ფორმის **-მე** ნაწილაკიანი ფორმით ჩანაცვლება, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, თავისუფლად არ ხდება. ეს პროცესი გარკვეულ პირობას გულისხმობს, კერძოდ, კონტექსტში ხდება მოდალური სემანტიკის შემოტანა. კითხვის გარდა შესაძლებელია სხვა მოდალური სემანტიკის შემოტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს ზმნის **მწკრივი**. წყვეტილის ნაცვლად ხოლმეობით-შედეგობითი (პირობითი) მწკრივის ფორმა ჩაენაცვლება. ეს მიუთითებს იმას, რომ გარკვეული მოდალური სემანტიკის შემოტანა წინადადებაში დასაშვებად ხდის ფორმათა ჩანაცვლებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს გარკვეული მწკრივის ფორმას:

<b>წყვეტილის მწკრივის ფორმა</b>	<b>ხოლმეობით-შედეგობითი (პირობითი) მწკრივის ფორმა + ვარაუდის მოდალობა</b>
<i>სადღაც წავიდნენ.</i>	<i>სადმე წავიდოდნენ. // სადღაც წავიდოდნენ.</i> (ვარაუდი: ნაცნობი ან უცნობი სიმრავლიდან რომელიმე ადგილას წავიდოდნენ)
<i>ვიდაც იყოს აქ.</i>	<i>ვინმე იქნებოდა აქ. // ვიდაც იქნებოდა აქ.</i>

<i>როგორღაც გააკეთა.</i>	<i>როგორმე გააკეთებდა. // როგორღაც გააკეთებდა.</i>
<i>რადღაც უნდოდა.</i>	<i>რადღაც ენდომებოდა. // რაზე ენდომებოდა.</i>
<i>რომელიღაც მაღაზიაში იყიდა.</i>	<i>რომელიმე მაღაზიაში იყიდოდა. // რომელიღაც მაღაზიაში იყიდოდა.</i>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: **-მე** და **-ღაც** ნაწილაკიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სემანტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ორი სისტემა ემსახურება ორი განსხვავებული სემანტიკის გამოხატვას. ესაა **განუსაზღვრელობა ნაცნობი და უცნობი სიმრავლის გამოკვეთით: -მე ნაცნობი სიმრავლისთვის, -ღაც უცნობი სიმრავლისთვის.**

თუ წარმოდგენილი მოსაზრება მისაღებია, ეს ნიშნავს, რომ მორფოლოგიური ფორმების სემანტიკური ანალიზი მომავალ კვლევებში ბევრ სხვა საინტერესო საკითხს წარმოაჩენს. მორფო-სემანტიკური ანალიზის დონე, ვფიქრობთ, ბევრი პრობლემის ახლებურ ახსნასა და გასაღებს მოძებნის.

### ლიტერატურა

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1953 -1964  
**ქართული ლექსიკონი 2014** – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.

**მორფ. ლექს., 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**ნორმები 1986** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბილისი, 1986.

<https://translate.google.com/>

<http://dictionary.ge/>

**Nino Sharashenidze**Modality and the Indefinite Pronouns in Georgian<sup>1</sup>

## Summary

In the Georgian language indefinite particles form a unified system and are derived from the question words (question pronouns) by adding particles *-me* and *-gac*. All indefinite pronouns have the same formants. The indefinite pronouns with the both particles have approximately the same semantics – an indefinite meaning of the given form. These two formants make two systems of the indefinite pronouns but there is no absolute synonymy of the forms. The language in general never gives two forms for one semantic meaning. There must be a difference in any semantic nuances. The dictionaries of the Georgian language, both explanatory or bilingual, do not give any difference in this case, the explanation of the forms is similar. In the present article the data of the dictionaries are analyzed and a key principle is formulated to distinguish the two systems for the Georgian language learners. The basic issue to scrutinize the forms is to distinguish a known and an unknown reality, in other words, plus control and minus control semantic category. The particle *-me* is used with the known reality (or plus control), while *-gac* particle is employed for the unknown reality (or for minus control).

---

<sup>1</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), 218 000 “The Category of Modality in the Georgian Language”.

## წინო ციხიშვილი

### ყალიბთა მონაცვლეობა წყვეტილის წარმოებაში (საშუალო ქართულის ძეგლების მიხედვით)

საშუალო ქართულში წყვეტილის წარმოებაზე დაკვირვებისას ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში საყრდენი მორფემის პრინციპის სახელითაა ცნობილი (ახალი ქართული ენა, II, 2016). მისი მეშვეობითაა განსაზღვრული ხსენებული მწკრივის წარმოების ტიპი როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. მწკრივის ნიშანთა განაწილებისას არსებითი მნიშვნელობა არა მთლიანად ფუძეს, არამედ უშუალოდ საყრდენ მორფემას ენიჭება... ნამყო ძირითადის წარმოების ტიპს ძველ ქართულში საყრდენი მორფემის სტრუქტურა განსაზღვრავს (გოგოლაშვილი 1985: 70). საყრდენი მორფემის პრინციპითაა გამოყოფილი წყვეტილის წარმოების ოთხი ძირითადი ყალიბი ახალ ქართულშიც. საყრდენია ის მორფემა, რომელსაც უშუალოდ დაერთვის მწკრივის ნიშნები; საყრდენი მორფემა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძირეული ან სუფიქსური. „განსხვავებულია ვითარება იმის მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო; მარცვლოვანთაგან –ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია თუ არა“ (ახალი ქართული ენა, II, 2016: 360).

ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ წყვეტილში ორგვარი წარმოება გვაქვს: -ი სუფიქსიანი და -ე სუფიქსიანი (შანიძე 1980). საყრდენი მორფემის პრინციპის გათვალისწინებით ასკვნიან, რომ წყვეტილის ფორმებში გამოვლენილი -ო ელემენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში ერთსა და იმავე ოდენობად. სახელდობრ, სხვაა ის -ო ბოლოსართი, რომელიც I და II სუბიექტური პირის ფორმებში მონაცვლეობს ნულთან. ამის გათვალისწინებით გამოიყოფა ორი ყალიბი -ო ბოლოსართიანი ფორმებისა:

I. თუ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და დრო-კილოთა II სერიის გარკვეულ ფორმებში ხმოვანს კარგავს, ნამყო ძირითადი -ო ელემენტით იწარმოება ან უნიშნოდაა წარმოდგენილი:

მოვ-კალ-ი	მოვ-კალ-	მოვ-კალ-ი-თ
მოჰ-კალ-ი	მოჰ-კალ-	მოჰ-კალ-ი-თ
მო-კლ-ა		მო-კლ-ეს

განხილული ტიპი წარმოადგენს წყვეტილის წარმოების I ყალიბს (ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა + ი || 0).

II. ზმნათა ის ჯგუფი, რომელთა წყვეტილის ფორმებში გამოვლენილი -ო ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან, წარმოადგენს წყვეტილის წარმოების II ყალიბს. აქ სამი მორფოლოგიური ჯგუფია გამოყო-

ფილი: ა) **-ამ** თემისნიშნიანები (ვაბ-ამ – დავა-ბ-ი); ბ) **დონიანი** ვნები-თები (დავბერ-დ-ი); გ) „უნიშნო ვნებითა“ ერთი ნაწილი (გავ-თბ-ი).

**-ე** სუფიქსთანაც ორი შემთხვევა განირჩევა: განსხვავება, გარდასაყრდენი მორფემის აგებულებისა, გამოვლინდება კიდევ მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი აფიქსით. კერძოდ, სხვაა ის **-ე** მაწარმოებელი, რომელიც მიერთვის მარცვლოვან უკუმშველ საყრდენ მორფემას და რომელსაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **-ა** შეესაბამება. და სხვაა ის **-ე**, რომელიც დაერთვის უმარცვლო საყრდენ მორფემას და რომელიც მესამე სუბიექტურ პირში **-თ** ნიშანს გულისხმობს. ამის მიხედვით გამოიყო კიდევ ორი ყალიბი:

III. მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + **-ე** სუფიქსი, სუბიექტური მესამე პირის ნიშანია **-ა**. წყვეტილის წარმოების ეს ტიპი III ყალიბია. ამგვარი ყალიბის ზმნები ენაში მრავლადაა.

IV. წყვეტილის წარმოების IV ყალიბია: უმარცვლო საყრდენი მორფემა + **-ე** სუფიქსი, მესამე პირის ნიშანია **-თ**. IV ყალიბის ზმნები ენაში შედარებით მცირედ მოიპოვება (ახალი ქართული ენა 2016: 360-367).

საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც წყვეტილის მწკრივს ერთდროულად ორი ან მეტი ყალიბით იწარმოებს.

პარალელიზმი უმეტესად I და IV ყალიბის ზმნებთან გვხვდება; აქ სამი ქვეჯგუფის გამოყოფა შესაძლებელია: 1) რამდენიმე ზმნა პარალელურ ფორმებს S<sub>3</sub> პირში გამოავლენს, S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირთათვის კი მხოლოდ I ყალიბის უმწკრივისნიშნო ფორმები დასტურდება. ესენია „ჩავუსწარ – ჩავუსწრე“, „შევიგრძენ – შევიგრძნე“, „აღვეგზენ – აღვეგზნე“, „შევიცან – შევიცნე“ ფუძეთა მიხედვით მონაცვლე ზმნები:

ჩავუსწარ- // —

ჩაუსწარ- // —

ჩაუსწრ-ა // ჩაუსწრ-თ

ფიცხლა შევჯე, ჩავეგებე, მე **ჩავუსწარ**, ჩავე წინა (ვეფხ., 587, 2);

შუღლი გვექონდა, თქვენც **მოგვესწარ**, თქვენმა მოსვლამ გაგვაშველა (თ. I. გვ. 88. 224, 4);

მუნ ჟამსა რასმე **შევესწარ** სიცოცხლის დასამწარესა (დავითიანი, გვ. 84. 407, 4);

ვედარ **აესწრა**, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანიტა (ვეფხ., 1103, 3);

**აასწრა** სიმაწ სინდთა მეფისა მემან ხოსრო ხაზართა მეფისა მესა (ამ. 229, 4);

ბედმან **შემასწრა** საშოვარს, თეთრი მერგება მე ბევრი (ბეს., გვ. 58. 78, 2);

მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტრახნის არე-მარესა,

იქ უვარესად **შაესწრა** ამბავსა საწყინარესა (დავითიანი, 100. 519, 3).

აღნიშნული ზმნის S<sub>3</sub> პირის **-ა** და **-თ** სუფიქსიანი ფორმები თეიმურაზ I-ის სხვადასხვა პოემაში გვხვდება:

ვთქვით: **მოგვესწრა** ჩვენ ასული, ალვის ნორჩად გვენაყოფის (თ. I. გვ. 28. 30, 1);

**დაესწრო** პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან (თ. I. გვ. 4. 14, 1).

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ფორმათა პარალელიზმს სულხან-საბა მიმართავს „სიბრძნე სიცრუესა“ და „მოგზაურობა ევროპაში“, „სწავლანში“ კი მხოლოდ **-ა** ბოლოსართიანი ფორმებია:

თუმცა უნათლავმა იესო ქრისტე აღიარა და ნათლისცემა არა **ესწრა** და ქრისტესთვის მოკლეს (საბა, სწავლ., გვ. 278. 132);

ასე გაშმაგდა მკალავი, ვირსაც **გაუსწრა** (საბა, ს.ს., გვ. 70);

რა აქიმთან შევიდნენ, აქიმმან **დაასწრო**, აგინა და ეგრე უთხრა (საბა, ს.ს., გვ. 91);

ორმოცი მილი ვლეთ და დამე **გვესწრა** (საბა, მოგზ., გვ. 203);

დამემ **გვისწრო**, ჯენევიას ზევიდამ ერთი სოფელი იყო, იქ დავდექით (საბა, მოგზ., გვ. 156).

დასახელებული ზმნის ფორმობრივი პარალელიზმი დასტურდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ და „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ავტორთან:

ამან მოილოცა იერუსალიმი და **დაესწრა** კრებასა შინა და სიბრძნითა თვისითა ამხილა მწვალებელთა (ბატონიშ., II, გვ. 165);

გარნა **უსწრო** მათ სიღამემან და დასდგნენ საჯავახოსა გარდმოსავალსა მთასა ზედა (ბატონიშ., II, გვ. 59);

და არავინ განერა მათგანი, გარნა რომელი **შეესწრა** ზღუად და ივლტოდეს ნავითა (ქ. ცხ., I, 176, 2);

ხოლო წმიდამან ნინო **შეუსწრო** ციხედ არმაზად (ქ. ცხ., I, 89, 5).

განხილული შემთხვევიდან ამკარაა, რომ I ყალიბის **-ა** ბოლოსართიანი ფორმები სჭარბობენ **-ო** სუფიქსიანი ზმნებს, თუმცა, ზოგ ავტორთან მხოლოდ ეს უკანასკნელი ფორმები გვხვდება:

ამასობაში ქმარი **მოესწრო** მას დიაცსა (თ. II, 164, 28).

ვი-გრძენ- // —

ი-გრძენ- // —

ი-გრძნ-ა // ი-გრძნ-ო

ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ **ვუგრძენითა** (ვეფხ., 1147, 2).

და რაჟამს მივეყვ კელი, **ვაგრძენ** ჰამოდ აღყვანებაჲ და მოვსწყყდი მიწასა (აბუს. ტბ., 63, 119);

რამინს გულმან **უგრძნა**, რომელ ეგდენ ჰამო ყოფნა დაუმწარდებოდა (ვის., 152, 36);

გაუკვირდა მეფესა და სიქიმზე მათი ვერ **აგრძნა** (საბა, ს.ს., გვ. 18);

ხოლო **იგრძნა** საურმაგ, და წარვიდა ფარულად და ივლტოდა (ქ. ცხ., I, 26, 19).

IV ყალიბის **-ო** სუფიქსიანი ფორმები იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვნახეთ:

მირ მეფე წყლულებითა შეურვებულმან **გრძნო**, რომელ მოკვდების იგი (ბატონიშ., II, გვ. 85).

აღვა-გზენ- // —



აღა-გზენ- // —

აღა-გზენ-ა // აღა-გზენ-ო

**ჰაღვავზენ** ყოვლი გულისთქმა, აღვლადენ ვა მალა ქედი (არჩ., I, გვ. 269);

მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და **აღვზენ** შურიტა ზოროტად (ქ. ცხ., I, 197, 5);

გულისა ჩემსა ასეთი ცეცხლი **აეგზნა**, რომელ თმობა და სიხარული ორივე დამიწუა (ვის., 289, 9).

პარალელური ფორმები სხვა ძეგლებში აღმოჩნდა:

შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი **დაავზო** კვესითა (ვეფხ., 192, 4);

**აეგზნო** ნაკვერცხალი და გარეცხილს გვანდა (საბა, მოგზ., გვ. 200);

მაშინ **აღვზნო** რისხვითა მურვან-ყრუ (ბატონიშ., II, გვ. 79).

ვი-ცან- // —

ი-ცან- // —

ი-ცნ-ა // ი-ცნ-ო

შევსთვალე: „რამაზ მეფეო, **ვცან** შენი დანაპირები (ვეფხ., 419, 2);

თუ კაცნი ვინმე გინახვან ზედიტნი და მათი ამბავი ვერა **სცანით**, რა საკუირველია (ამ., 12, 6);

რა ახლა **იცან** საწყუთრო დასაბამითგან მზრუნავი,

მიბრძანე მისი შემხები ვინ დარჩა გაუთხუნავი?! (დავითიანი, გვ. 101. 526, 3);

აწ მივედით დარიელამდის და **ვსცანით** ესე (სამ. ძეგლ., I, გვ. 401);

და **ვცან** სიცრუვენნი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! (ქ. ცხ., II, 93, 13).

S<sub>3</sub> პირის ფორმათაგან I ყალიბის ფორმები უფრო ხშირად გვხვდება:

მაშინ **სცნა** ხანთა მეფემან შესვლა იამანთაგან (ამ., 130, 1);

შენ, შემოქმედი, ვერ **გიცნა**, ვერ მისწვდა მიუწდომელსა (თ. I, გვ. 15. 7, 2).

იმან გვიკითხა, **გვიცნა** (საბა, მოგზ., გვ. 170);

და **სცნა** ესე ალათემურ, აიყარა ბარგითა და დედაწულითა (ქ. ცხ., II, ).

არჩილისა და იოანე ბატონიშვილის თხზულებებში ერთიმეორის გვერდითაა **-ა** და **-ო** სუფიქსიანი ფორმები:

რა **გამიცნა**, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამკობრათ (არჩ., II, 255, 3);

უსაზომოდ გაეხარა, **სცნო** საცოლო ქალწული ჰყვა (არჩ., I, გვ. 168. 263, 1).

არჩილთან თუ **-ა** სუფიქსიანი ფორმები სჭარბობენ **-ო** ბოლოსართიანებს, „კალმასობაში“, პირიქით, IV ყალიბის **-ო** სუფიქსია უმრავლესობაში:

და **იცნა** ზოქაულთუხუცესმან, რომელ ესე იყო აზნაურთაგანი რაჭისა (ბატონიშ., II, გვ. 117);

მეთოდმაც რა **გამოსცნო** ბერისა მუნ ყოფა, სიყვარულით მოიკითხა და შეიტკბო დიდად (ბატონიშ., II, გვ. 60).

2) ცალკეა აღსანიშნი I და IV ყალიბთა მონაცვლეობის ისეთი შემთხვევა, როცა ფორმოზრივი პარალელიზმი  $S_1 - S_2$  პირებშია წარმოდგენილი,  $S_3$  პირში პარალელიზმი არ დასტურდება: ე. ი. ერთ-ერთი პარადიგმა ნაკლული. როდესაც I პარადიგმა ნაკლული, ამის მაგალითი „დავაკელ – დავაკელ“, „გავსძელ – გავსძელ“ ფუძეთა მიხედვით მონაცვლე ზმნებია.

დავა-კელ- // დავა-კლ-ე

დაა-კელ- // დაა-კლ-ე

———— // დაა-კლ-ო

ქრისტიანმან უთხრა: მაჰმადი რად **დააკელო** ( საბა, ს.ს., გვ. 72);

რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ **დავაკელ** სიკვდიმდი,

არ გავსტყდი, არც შეუზარდი, ვირე არ მოვჰკვდი, მანამდი (არჩ., II, 1095, 1);

ასე გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, **მოუკელით**, და ზოგი, როგორც ძველთაგან ყოფილიყო, აგრევე გავარიგეთ (სამ. ძეგლ., II, 410).

პარალელური **-ე** სუფიქსიანი ფორმები კი „ვისრამიანსა“ და „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნუსხაში ვნახეთ:

რაის მიზეზისათვის **დავიკლე** აქამდისი სიყმისა სიხარული (ვის., 182, 32);

‡ ჩემდა, ნუ უკუე **და-სამე-ვაკლე** დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ შე-სამე-ვსცეთ სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 12).

$S_3$  პირის **-ო** ბოლოსართიანი ზმნები „დავითიანში“, და სულხან-საბას თხზულებებში დადასტურდა:

წყალმან მრავალი **აკლო**, შემცირდა,

მეთის თვემდი მთა წყალს შესცილდა (დავითიანი, გვ. 256. 549, 1);

წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი **დააკლო** (საბა, ს.ს., გვ. 115).

რა ჯენოვანის თემში შევედით, კლდემ **იკლო** და ტყემ იმატა (საბა, მოგზ., გვ. 154);

ვინათგან ნებსით **დააკლო**, საიდუმლო არა შესრულდების (საბა, სწავლ., გვ. 292. 163).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ „დააკლა“ ფორმის უქონლობა ომონიმისაგან თავის არიდების ფაქტს წარმოადგენს. ეს უკანანსკნელი მოკვდინების შინაარსის მქონე ზმნას რომ არ დამსგავსებოდა, ენამ IV ყალიბის **-ო** სუფიქსიანი ფორმით ჩაანცვლა.

გავს-ძელ- // გავს-ძლ-ე

გას-ძელ- // გას-ძლ-ე

———— // გას-ძლ-ო

ველარ **გაფუძელ**, იგიცა მოკვალ გულითა ხელითა (ვეფხ., 900, 4);

ველარ **გაუძელ** შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა (თ. I, გვ. 23. 68, 2);

ამით **გაგსძლე**, რომელ რამინ შენსა გუერდით იყო (ვის., 119, 27);  
ველარ **გაგსძლეთ** ულომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება (არჩ., II, 568, 2).

საინტერესო ვითარებაა „დავითიანში“. პოეტურ ნაწილში ავტორი ყოველთვის I ყალიბს მიმართავს, IV ყალიბის **-ე** სუფიქსიან ფორმას კი დავით გურამიშვილი მხოლოდ ანდერძ-მინაწერში, გაულებსავ ნაწილში ხმარობს:

მოვკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ **შევიძელ** მე სიმწირით,

ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით (დავითიანი, გვ. 23. 10, 3).

ჩემის კელით მეტი ვერ **შევიძლე** და სხვა ვერავის ვენდევ ამის მოუპარაობის მიზეზებითა (დავითიანი, გვ. 284).

პარალელური ფორმები „სამართლის ძეგლებშიც“ აღმოჩნდა. სახელდობრ, **-ე** ბოლოსართიანი ზმნა 1125 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძში აღმოჩნდა, I ყალიბის უმწკრივისნიშნო ფორმები კი XVIII საუკუნის წყალობის სიგელში და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში დადასტურდა:

და ვერ **უძლე** დატევებად საწუთოასა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან (სამ. ძეგლ., II, 19);

და თუ მეტი **შევიძელით**, მეტს მოვართმევთ დიდებულებასა თქუნესა (სამ. ძეგლ., II, 425);

რამეთუ ჩვენ ასრე **შევიძელით** და დაწერეთ (სამ. ძეგლ., I, გვ. 225).

S<sub>3</sub> პირის **-ო** სუფიქსიანი ფორმები სხვადასხვა ძეგლში გამოვლინდა:

რად დავვიწყდი, რა მივსცილდი, რად ვერ **გასძლო**, რა მისჭირდა? (ვეფხ., 836, 2);

მერე კულა ველარ **გაუძლო** გულმან და მივიდა სარკუმელთა ზედა (ვის., 247, 16);

ველარ **გაძლო**, მან იცოცხლა ხანი რამე დია მცირე (თ. I, გვ. 83. 190, 1);

მის გამო ველარ **შეიძლო** მან ქვეყნის პატრონობანი (დავითიანი, გვ. 53, 186, 4);

ავსიტყვამ მეფის უნახაობა ველარ **გასძლო** და წავიდა მათად ნახვად (საბა, ს.ს., გვ. 32);

თვინიერ უფლის ვერვინ **შეუძლო**

თავის თვისისა მტკიცედ მცველობა (არჩ., I, გვ. 244. 98, 7).

ყალიბთა ზემოთ განხილულ მონაცვლეობას მიეუთვნება „დავასკვენ – დავასკვენ“, „შევიგენ – შევიგენ“ ტიპის მონაცვლეობა იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე IV ყალიბის პარადიგმა ნაკლული, საშუალო ქართულის ძეგლებში აღნიშნულ ზმნათა S<sub>3</sub> პირის **-ო** სუფიქსიანი ფორმები არ დადასტურდა: თუმცა „დაასკვნო“ ფორმა არც ახალ სალიტერატურო ქართულში გვხვდება.

დავა-სკვენ- // დავა-სკვენ-ე

დაა-სკვენ- // დაა-სკვენ-ე

დაა-სკვენ-ა // \_\_\_\_\_

აღსანიშნავია, რომ პარალელური წარმოების ფორმები მხოლოდ არჩილთან, ერთსა და იმავე პოემაში შეგვხვდა:

გამომისტუმრა, წამოველ, კაცი თან გამომატანა,

მეც ნება დავრთე, **დავასკვენ** მე მისი აქ წამოტანა (არჩ., II, 419, 2);

ვითა **დაასკვენ** გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა (არჩ., II, 388, 4);

**დავასკვენთ** ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა (არჩ., II, 635, 1).

რაც შეეხება S<sub>3</sub> პირის **-ა** ბოლოსართიან ფორმებს, სამ ავტორთან ექვსიოდე ზმნა მოვითვალეთ:

ფარსადანს წინა **დაასკვნა** გაგზავნა მოციქულისა (ვეფხ., 309, 1).

ვერა რომელმან **დაასკვნა** (საბა, ს.ს., გვ. 65).

არჩივეს, მევემ **დაასკვნა** თავისის ელჩის გაგზავნა (არჩ., II, 484, 1).

შევი-გენ- // შევი-გნ-ე

შეი-გენ- // შეი-გნ-ე

შეი-გნ-ა // ———

მე სარკმელთა გარდავადეგ, რა **შევიგენ**, არ მოჰყიდეს (ვეფხ., 1123, 1);

სიბნელისაგან თავისი გზა ველარა **შევიგენით** (ამ., 431, 8);

რა მრავალი გულისთქმა შევქმენ, მის სენის თავი **შევიგენ** (საბა, ს.ს., გვ. 92).

არჩილის პოემაში დადასტურდა **-ე** სუფიქსიანი ფორმა. აქვე ვნახეთ აღნიშნული ზმნის **-ევ** სუფიქსიანი ფორმაც:

რა **შევიგენეთ** მისი მოსვლა, ავემზადეთ ჩვენც საომრად (არჩ., II, 548, 1);

თუმც მაშინ ვერ **შევიგენეთით**, მერმე შეგვექნა ჩივილი (არჩ., II, 687, 4).

S<sub>3</sub> პირის **-ა** ბოლოსართი სხვადასხვა ძეგლშია:

**შეიგნა** მისლვა მეფისა მისად უკანა მდეველად (ვეფხ., 95, 4);

თავისა გზა და კუალი ველარა **შეიგნა** (ამ., 255, 1);

რა დაუდასტურდა მოაბადს ვისის ქალწულობა, თავისა გზა ველარა **შეიგნა** მიჯნურობისაგან (ვის., 55, 32);

**შეიგნა** ვაზირმან, ყოველივე ამხანაგთა ხრიკი იყო (საბა, ს.ს., გვ. 18);

რა ამათი ხმა **შეიგნა**, ყარჩიხახანს უწყო დაღვა (არჩ., II, 600, 4).

3) საშუალი ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში „შერეული პარადიგმის“ ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი მაგალითი:

ვა-მცენ- // ———

ა-მცენ- // ———

———— // ა-მცენ-ო

ეს I და IV ყალიბთა მონაცვლეობის ის შემთხვევაა, როცა S<sub>1</sub> – S<sub>2</sub> პირებში I ყალიბის უნიშნო ფორმებია მხოლოდ წარმოდგენილი (არ ჩანს **-ე** ბოლოსართი), S<sub>3</sub> პირში კი, პირიქით, არ დასტურდება I ყალიბის **-ა** სუფიქსიანი ფორმა და პირის ნიშნად მართო **-ო** ბოლოსართი გვხვდება:

მის ხისგან სჭამე, რომლისგან **გამცენ**, დაგიდევ სჯულია (თ. II, გვ. 7. 48, 2);

არამედ ეკლესიათა წმიდათა და კაცთა ღმრთის მსახურთა ეკრძა-  
ლებოდეთ, ვითარცა იგი **გამცენ** კურანსა შინა ჩემსა (ქ. ცხ., I, 238, 4);

საკმაო წმინდანი გყოლიათ ქართველთა და გმადლობ, რომელ  
კარგად **შემამცენ** ცხოვრებასა მათსა (ბატონიშ., II, გვ. 161);

და ყოველნი იგი მცნებანი შენნი, რომელნი **მამცენ**, დავიმარხენ  
(სამ. ძეგლ., I, 124).

მრავლად გვხვდება  $S_3$  პირში **-ო** სუფიქსი:

თვალმან გულს **ამცნო** ცათა შვენება (დავითიანი, 243. 445, 1);

**ამცნო** ესე მწყემსობა და ასწავა წინამძღრობა პეტრეს (საბა,  
სწავლ., გვ. 208, 645);

თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა **გამცნო** შენ  
უფალმან (სამ. ძეგლ., I, გვ. 105);

მაშინ **მიუმცნო** გურიელსა საქმე ესე (ქ. ცხ., II, 501, 18).

წყვეტილის ფორმათა პარალელური წარმოების ცალკე ჯგუფს  
ქმნიან ზმნები, რომლებიც აღნიშნულ მწკრივს I და II ყალიბების მი-  
ხედვით იწარმოებენ. ასეთია „დავშვერ – დავშვრი“, „გარდავკედ –  
გარდავკედი“, „მოვკუედ – მოვკუედი“, „შევსცეთ – შევსცეთი“, „შევკერბ  
– შევკერბი“ ფორმათა მიხედვით მონაცვლე ზმნები.

„დავშვერ – დავშვრი“ და „გარდავკედ – გარდავკედი“ ფორმო-  
რივი პარალელიზმი I და II ყალიბთა მონაცვლეობის ისეთი მაგალი-  
თია, როცა საშუალო ქართული I ყალიბს აძლევს უპირატესობას, II ყა-  
ლიბის ზმნები კი იშვიათობას წარმოადგენს: მაგალითად, „დავშვერ –  
დავშვრი“ მონაცვლეობისას I ყალიბის 10 ზმნასთან II ყალიბის მხო-  
ლოდ 1 ზმნა დადასტურდა:

მე **დავშვერ** ვითა წესია საურავ-გადახდილისა (ვეფხ., 546, 1);

**დავშვერით** ომითა და ღონე ვერა ავიგეთ, რომელმცა მორეულ  
ვიყვენი (ამ., 301, 4);

ვინაჲთგან გვიხილენით ჩვენ გლახაკნი და **მოშვერით** ჩვენთვის  
(საბა, სწავლ., 207, 642).

II ყალიბის **-ი** სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა თეიმურაზ II-ის  
პოემაში. ამავე ავტორთან I ყალიბის ფორმებიც აღმოჩნდა:

მიკვირს, დღეო, რად ვერ **დაშვერ** გრძელ საუბარ ამბის თქმითა?  
(თ. II, გვ. 17. 128, 1);

ვუთხრათ: „რად **დაშვრი** ტყუილზედ, რად სთქვი არ იყო წესიო  
(თ. II, გვ. 122. 2, 1).

იგივე ითქმის „გარდავკედ – გარდავკედი“ ფორმათა მონაცვლეო-  
ბაზე: I ყალიბის ზმნები შეგვხვდა თითქმის ყველა ავტორთან, II ყა-  
ლიბისა – იშვიათად:

გყვეს ლაშქარნი უთვალავნი, წყლისა პირსა **გარდავხედით**  
(ვეფხ., 197, 2);

და ესე ვითარითვე საკრველებითა მრავალნი გამოიქსნნა ამან წმიდა-  
მან ჳელისაგან წარმართთაჲსა, რომლისა აღწერასა **თანაწარვედ** სიმრავ-  
ლისათჳს საკრველებათჲსა, ღმრთისა მოყვარენო (აბუჟ. ტბ., 61, 89);

პარალელური წარმოება „დავითიანში“ და არჩილის პოეზიაში გამოვლინდა:

მე შენსა მცნებას **გარდავკე**, ამაღ აღარა მიწამე (დავითიანი, გვ. 264. 23, 2);

ამაზე **წავკედი**, მცნებას **გარდავკედი** (დავითიანი, გვ. 163. 14, 3);

ნათლისღება შევაგინე, სჯულს **გარდავკედ** სიჭაბუკებს (არჩ., I, გვ. 65. 6, 1);

ჟამთა სიმუხთლემ ესე ქმნა, **გარდავკდით** მე და ი სარი (არჩ., I, გვ. 89. 61, 3).

საშუალი ქართული თუ ზემოთ განხილულ შემთხვევებში I ყალიბის ფორმებს ანიჭებს უპირატესობას, „მოვკუედ – მოვკუდი“, „მოვსცეთ – მოვსცთი“ ფორმათა მონაცვლეობისას აღნიშნული ენობრივი პერიოდის სამწერლობო ძეგლებში, პირიქით, II ყალიბის **-ი** მწკრივისნიშნიანი ფორმები დომინირებენ:

ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინვე **მოვკუედ**, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა (ქ. ცხ., I, 99, 12).

„ვისრამიანში“ ფორმოზრივი პარალელიზმი დადასტურდა:

რად არ **მოვკუედ** მამისა ჩემისაგან წინათ (ვის., 52, 17).

რად არ მასვე კარგსა ყოფასა შიგან მყოფი **მოვკუდი?!!** (ვის. 225, 38).

თითქმის ყველა დანარჩენ ძეგლში II ყალიბის ზმნები შეგვხვდა.

ანალოგიური ვითარებაა „შევსცეთ – შევსცთი“ ფორმათა მიმართებისას:

გამწირე და მეცა **მოვსცეთ** (ვის., 238, 10);

ჰ ჩემდა, ნუ უკუე და-სამე-ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ **შე-სამე-ვსცეთ** სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 13);

კვლავ თავსა დაგმობს: „უჭკუოდ **შევსცთიო** ვითა სულელი (ბეს., გვ. 57. 74, 1).

**შევსცდი** და მწყემსსა წაუველ, გაუდექ მრუდათ მოვნასა (დავითიანი, გვ. 108. 584, 1);

რისთვის ჩამოგყევ ბაასში, რად **შევსცდი**, რა დამეფეთა? (არჩ., II, 128, 1).

„შევკერბით – შევკერბით“ ფორმათა მონაცვლეობა ჟამთააღმწერლის თხზულების სხვადასხვა ნუსხაში გვხვდება. სახელდობრ, I ყალიბის ზმნა ვახტანგის შემდეგდროინდელ (V) ხელნაწერშია, ხოლო II ყალიბის **-ი** მწკრივისნიშნიანი ფორმა რუმეიანცევისეულ ნუსხაში დასტურდება:

ჩვენ ყოველნი ამაღ **შევკერბით**, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ (ქ. ცხ., II, 217, 4);

არა განდგომად **შევკერბით**, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ (ქ. ცხ., II, 215, 18).

I და II ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითია „დავხაშ – დავხში“ პარალელიზმი. I ყალიბის ზმნა „ვეფხისტყაოსანშია“:

**უემოვიაშ** კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა (ვეფხ., 1120, 4).

პარალელური ფორმა ბასილი ეზოსმოდღვის თხზულებაშია:

აქა **დაგეში** სიტყუსა წყობა (ქ. ცხ., II, 150, 3).

I ყალიბის ფორმად ჩაითვლება ბესიკის პოეზიაში გამოვლენილი „დამიხშე“ ზმნაც, რომლიდანაც ისტორიულად მომდინარეობს IV ყალიბის „დამიხშე“ ფორმა. თუმცა, ეს უკანასკნელი საშუალო ქართულის მასალაში არ დადასტურებულა:

სამართლიანი გზა დაადე, **დამიხშე** კარი! (ბეს., გვ. 8. 3, 4).

საინტერესო ფორმა აღმოჩნდა „დავითიანში“. „ქაცვია მწყემსის“ ერთ ეპიზოდში გვხვდება „დასცი“ ზმნა. საფიქრებელია, ეს უკანასკნელი „დასცა“ ზმნის II პირის ფორმაა, I ყალიბის „დაეც“ ზმნის პარალელურად წარმოებული:

დავ-ეც- // დავ-ს-ც-ი

და-ეც- // და-ს-ც-ი

და-ს-ც-ა // და-ს-ც-ა

თუმცა, აშკარაა, ამგვარი ფორმა დავით გურამიძეის პოემაში მოსაზღვრე რითმითაა განპირობებული:

ვინც ეკალზედ **დასცი**

ახივე, ზედ აცვი

ღმერთმან დაგზარდოსთ (დავითიანი, გვ. 198. 1128, 3).

საშუალო ქართულის ძეგლებში მოვიძიეთ იშვიათი ფორმებიც, რომლებიც წარმოების ტიპით II ყალიბის ზმნებს მიეკუთვნება. უმარცვლო საყრდენ მორფემასთან გამოვლენილი **-ი** მწკრივის ნიშანი მათ **-ე** ბოლოსართიან IV ყალიბის ზმნათა პარალელურ ფორმებად მიგვაჩვენებებს. თუმცა, ფორმოზრივი პარალელიზმი მხოლოდ  $S_1 - S_2$  პირებში დასტურდება. „ავენთი“ ზმნის არსებობა „ვეფხისტყაოსანში“ და თეიმურაზ I-ის „შამი-ფარვანიანში“ არ არის შეპირობებული პოეტური საზომით:

**ავენთი**, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა (ვეფხ., 330, 1),

რა შენ ბრწყინვალედ **აენთი**, მე დასაწვავად მზა ვარ და (თ. I, გვ. 19. 35, 1).

ასევე ვერ დავადასტურეთ  $S_3$  პირის „გერგა“ ფორმა, მაგრამ „დავითიანში“ გვხვდება „გერგი“ ზმნა, რომელიც საყრდენი მორფემის სტრუქტურითა და **-ი** მწკრივის ნიშნით II ყალიბის ფორმად მოიაზრება. სალექსო მეტრი არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ამგვარი წარმოების საფუძველს:

თუ შენ **გერგი** წილად, ფიცხლავ საქორწილად

მამას ვთხოვ დასტურს (დავითიანი., გვ. 244. 454, 3).

III და IV ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითია „ვსძლი(ვ)ე – ვსძლე“ ფორმათა პარალელიზმი, რმელიც საშუალო ქართულის ძეგლთა ენაში დადასტურდა:

ვს-ძლი(ვ)-ე // ვს-ძლ-ე

ს-ძლი(ვ)-ე // ს-ძლ-ე

ს-ძლი(ვ)-ა // ს-ძლ-ა

პარალელური ფორმები სამივე პირშია რეალიზებული:

დანღიზში ქიზიყის ბოლოს **ვძლიეთ** ლეკთა და მრავალი ადგილკეთ (ბატონიშ., I, გვ. 20).

„ქართლის ცხოვრებაში“ ჟამთააღმწერელი აღნიშნული ზმნის წვეტილს III ყალიბით წარმოადგენს:

გარნა იქმნა ქცეულება ბედისა ხუარაზმშას სახლისა და ყოვლგან **ვიძლიე** (ქ. ცხ., II, 173, 18).

იგივე ზმნა ჯუანშერთან IV ყალიბითაა წარმოებული:

არა ძალითა ჩემითა **ვსძლე** თარკანს, არამედ ძალითა დამზადებელითა ჩემისათა (ქ. ცხ., I, 154, 14).

ჯუანშერისავე თხზულებაში გამოვლინდა ამ ზმნის ფორმოზრევი პარალელიზმი. ერთი ფრაზის სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ყალიბია წარმოდგენილი. კერძოდ, XV საუკუნის ანასეულ ნუსხაში IV ყალიბის ფორმა, XVII – XVIII საუკუნეთა მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ხელნაწერებში კი III ყალიბის „ვსძლივეთ“ იკითხება:

არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმკნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა **ვსძლიეთ** მტერთა, არამედ ჯუართითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა (ქ. ცხ., I, 140, 14).

S<sub>3</sub> პირის III და IV ყალიბის ფორმები გვერდი-გვერდაა არჩილის პოემებში, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, „ქართლის ცხოვრებაში“. მაგალითად, არჩილის შემოქმედებაში ერთ -ა სუფიქსიან ფორმასთან ხუთი -ო ბოლოსართიანი ზმნაა. თვით პოემა „ვისრამიანშია“ პარალელური ფორმათწარმოება:

შენსა ეშმაკსა ბოროტსა ვერას ცდით ვერას **დასძლია** (არჩ., I, გვ. 214. 662, 3).

სიხარულმან **სძლო** ჭმუნვასა, დასწყდა რუ ცრემლთა დენისა (არჩ., I, გვ. 195. 501, 2)

„კალმასობაში“ ერთ -ა ბოლოსართიან ზმნასთან სამი -ო სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა:

და მასცა **სძლივა** ბერმან, რომელმანცა მოახსენა იამამანს (ბატონიშ., II, გვ. 177).

ამან **სძლო** ავარიის მთავარსა, მჭადიჯვარს მდგომარესა (ბატონიშ., II, გვ. 188).

„ქართლის ცხოვრებაშიც“ ანალოგიური ვითარებაა. პარალელური წარმოება დასტურდება თხზულებებში „მატიანე ქართლისა“ და „ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი“:

**სძლია** და აოტა ბანაკი მათი (ქ. ცხ., I, 56, 17);

**სძლო** თრდატ და ჰელად შეიპყრა და იოტეს ბანაკი გუთთა (ქ. ცხ., I, 68, 14);

და **სძლია** ლიპარიტვე, და გააქცია მეფე (ქ. ცხ., I, 301, 19);

ხოლო გიორგი მეფემან **სძლო** სიკეთითა, სიბრძნითა და ძურუქსენებელ იქმნა (ქ. ცხ., I, 316, 4);

და **სძლია** ამირ-ბუბაქარ და აოტა უფროსი ძმა, და დაჯდა ათაბაგად (ქ. ცხ., II, 63, 1);

ამას შინა **სძლო** მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან, და გააქცივნეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი და ლეკნი (ქ. ც., II, 19, 10).

წყვეტილის მწკრივის წარმოებაში ყალიბთა მონაცვლეობის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ისეთი ტიპის მონაცვლეობა, როცა



სამი ყალიბი იყრის თავს კონკრეტული მწერლის ენაში. საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებიდან ასეთი შემთხვევა არჩილის ერთ პოემაში დადასტურდა. აქ ერთმანეთის გვერდით I, II და IV ყალიბები გვხვდება: პარალელური ვარიანტები მხოლოდ  $S_1$  პირში გამოვლინდება:

მოსკოვს, სტამბოლს და ისპანს, მას შიგნით მთა და ბარამდი,  
ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან **დავასევ** მანამდი (არჩ., II, 1095, 4).  
ხუთასთავ შუბი **დავასვით** კაცთა და ზოგმა ჰუნესა (არჩ., II, 940, 4).  
IV ყალიბის ფორმათა გამოჩენა ორივეგან მოსაზღვრე რითმით უნდა აიხსნას:

ხისიყსაც ხმა დაგვივარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე,  
დათუნა იქით გავგზავნე, მტერს ხრმალი ველარ დავასვე(არჩ., II, 1006, 4);

რადაც დარჩა სასიკვდინე, შენ ლახვარი მე **დამასე**,  
რად არ მამკლავ, რად გინდივარ, დამაბერე, **დამანასე** (არჩ., II, 1040, 3).

ზემოთქმულის შეჯამებისას დავასკვნით: განსახილველი ენობრივი პერიოდის ძეგლების მიხედვით წყვეტილის წარმოებაში ყალიბთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა:

1) ზმნათა გარკვეული ჯგუფი წყვეტილს ერთდროულად I და IV ყალიბებით იწარმოებს.

2) რამდენიმე ზმნა პარალელურ ფორმებს I და II ყალიბებით წარმოადგენს.

3) ერთი ზმნა წყვეტილს III და IV ყალიბებით იწარმოებს.

4) გამოვლინდა ორიოდე იშვიათი ფორმა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, II და IV ყალიბთა მონაცვლეობაზეც ვიმსჯელოთ.

5) აქვე დადასტურდა შემთხვევა, როცა ერთი ზმნა წყვეტილის მწკრივს პარალელურად სამი ყალიბით იწარმოებს (I, II და IV).

## ლიტერატურა

**ახალი ქართული ენა 2016** – ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, II, 2016.

**გოგოლაშვილი 1985** – გ.გოგოლაშვილი, ნამყოს სახეობათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე), XXIII, 1985.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი, III, 1980.

## დამოწმებული წყაროები და შემოკლებათა განმარტებანი

**აბუს. ტბ.** – აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, 1233 წ. ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბილისი, 1941.

**ამ.** – „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბილისი, 1967.

**არჩ I** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1936.

**არჩ II** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937.

**ბეს.** – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით. ტფილისი, 1932.

**დავითიანი** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი, 1955.

**ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, კ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით. თბილისი, 1966.

**ვის.** – „ვისრამიანი“, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი, 1962.

**თ. I** – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი, 1934.

**თ. II** – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით. თბილისი, 1932.

**ბატონიშ.** – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი, 1948.

**სამ. ძეგლ. I** – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, I, 1963.

**სამ. ძეგლ. II** – ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, II, 1965.

**საბა, მოგზ.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი, 1959

**საბა, ს.ს.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი, 1959.

**საბა, სწავლ.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1963.

**ქ. ცხ. I** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, I, 1955.

**ქ. ცხ. II** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, II, 1959.

**Nino Tsikhisvili**

Alternation of Patterns in the Derivation of the  
Discontinuous Screeve  
(Based on the Middle Georgian Monuments)

Summary

According to the principle of a basic morpheme in new Georgian four main patterns of the derivatin of the discontinuous screeve are identified. The same principle defines the derivation type of the said srceeve in old Georgian (G. Gogolashvili). In the linguistic material of middle Georgian (XII-XVIII cc.) several cases of the pattern alternation in the derivation of the discontinuous screeve have been identified:

- 1) A certain group of verbs uses I and IV patterns at the same time to derive the discontinuous screeve, e.g. *čausčra//čausčro, icna//icno*;
- 2) Several verbs represent their parallel forms by I and II patterns, e.g. *davšver//davšvri, ševscet//ševscti*;
- 3) There is a case when a verb derives the discontinuous screeve by III and IV pattaerns parallely, e.g. *szli(v)a//szlo*;
- 4) Two rare forms have been identified that enable us to discuss even the alternation of II and IV patterns, e.g. *aventi//atente*;
- 5) We have found a case when a verb parallely derives the discintinuous screeve by I, II and IV patterns, e.g. *davasev//davasvi//davasve*.

## როენა ჭკადუა

### ზოგი ოდენპრეფიქსიანი და კონფიქსიანი მიკროტოპონიმებისათვის სვანურში

მიკროტოპონიმის შესწავლა იმთავითვე საშურ საქმედ მიიჩნეოდა, რადგანაც იგი გაცილებით უფრო ცვალებადია, ვიდრე მაკრო – პროფ. ვ. ნიკონოვი თავის წიგნში „ტოპონიმის შესავალი“ წერს, რომ რაც უფრო დიდია ობიექტი, მით უფრო მდგრადია (устойчивый) მისი სახელწოდება, თუმცა იქვე აღნიშნავს: „...ხანდახან მცირე ობიექტი... უფრო დიდხანს ინარჩუნებს თავის სახელწოდებას, ვიდრე დიდი ობიექტი“ (ვ. ნიკონოვი, 1965: 48).

მიკროტოპონიმური მასალა მდიდარი ლექსიკური მარაგია, რომელშიც კარგად ჩანს ხალხის შემოქმედება, მისი საქმიანობა და ამ საქმიანობის ცვლის ხასიათი. ხშირად ისტორიული ამბებისა და ყოფითი სიტუაციების დეტალებიც კი არის შემონახული, განსაკუთრებით ორ- და სამკომპონენტური გეოგრაფიულ სახელებში. მაგ.: ბალსზემოურში გვაქვს ტოპონიმი **ნამესტნიკი ზენილდ** „ნამესტნიკის (მეფისნაცვლის) ვაკობი“. ამჟამად ეს ადგილი საძოვარია, მაგრამ ადგილობრივთა გადმოცემით, აქ, მდინარე ნაკრას მარცხენა მხარეს, პატარა ვაკეზე შეხვედრიან სვანები მოსალაპარაკებლად ნიკოლოზ მეფის ნაცვალს.

**ნარჯი კოჯაშ ლაშდარ** – ხევი – „ნათელი კლდის საყრელი“. ეს გახლავთ კლდეებს შუა მოქცეული ღარი, ბალსზემო სვანეთში, ბეჩოში, საიდანაც გადმოყრიდნენ ხის მორებს და შემდგომ მიჰქონდათ დასამუშავებლად. რელიეფის გამო მისი ჩამოტანა სხვანაირად ვერ ხერხდებოდა (ასეთი ადგილი საკმაოდ მრავლად არის სვანეთში სხვადასხვა სახელწოდებით). სამეგრელოში ადგილს, სადაც იგივე პროცესი „ხარებზე გამობმული ღვლერჭით ხდებოდა“, **საჯოლო სუკი** „სათრიელას სერი“ ჰქვია (ცხადაია, 2008: 352). ეს მცირე მაგალითია იმ უთვალავთაგან, თუ როგორ ინახავს ტოპონიმი ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გარკვეულ დეტალებს.

მიკროტოპონიმთა შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს მათი სპეციფიკისა და ტოპონიმოლოგიაში მათი ადგილის შესახებ (კერძოდ, რა მიეკუთვნოს მიკრო-ს და რა არა). ზოგადად, ამ ტერმინში ალ. ლლონტის განმარტებით იგულისხმება „...მცირე გეოგრაფიული ერთეულის, ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის, ერთი ან ორი დასახელებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესის, საბოსტნე, სავენახე, მცირე მდინარეთა, წყაროთა, მაღლობთა, ხეობათა, ხეების, ტყეების, უბნების, ქუჩების სახელწოდებანი“ (ლონტი, 1971: 5).

ტოპონიმთა შეგროვება-შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მის შემსწავლელ ერთგვარ ცენტრად მიჩნეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის (შემდგომში: ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი) ლაბორატორია, რომელიც კოორდინირებას უწევდა და უწევს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს მთელ საქართველოში. ამ ლაბორატორიის თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ამბაკო ჭკადუამ მოიარა მთელი სვანეთი და შეაგროვა უნიკალური მასალა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, თავი მოუყარა ამ რეგიონში არსებულ მავრო – და მიკროტოპონიმებს. მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გამორჩენია უმნიშვნელო, მცირე ზომის ობიექტის სახელის შეტანა ტოპონიმთა ნუსხაში, იმის მითითებით, თუ რას წარმოადგენს ეს ადგილი (სათიბია, საძოვარია, წყაროა თუ ა. შ.), აღუნიშნავს სვანეთის რომელ ნაწილში, რომელ სოფელში მდებარეობს. ჩაუწერია ხალხური ეტიმოლოგია, დაუფიქსირებია თითოეულ ბარათზე რესპონდენტთა ვინაობა. ტოპონიმთა შეგროვების ყველა წესის დაცვით ჩატარებული, სასკოლო რვეულის ფურცლებზე შესრულებული ეს ნამუშევარი ამჟამად ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, სადაც რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს მუშაობა ფუნდამენტურ-გამოყენებით გამოკვლევაზე „სვანური ტოპონიმისა“. ა. ჭკადუას მიერ შეკრებილი მასალა (სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ გამოიცა მის სიცოცხლეში) კომპიუტერულად მუშავდება ამ განყოფილების თანამშრომელთა მიერ, მზადდება გამოსაცემად და როგორც პრაქტიკული ნაწილი – „ტოპონიმისკური ლექსიკონი“ შევა ნაშრომში „სვანური ტოპონიმისა“. ტოპონიმისკური ლექსიკონის გამოსაცემად მომზადების პარალელურად მიმდინარეობს მისი შესწავლა-გაანალიზება. წინამდებარე სტატიაც ძირითადად ამ მასალას ეყრდნობა.

ონომასტიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართველური ტოპონიმები რამდენიმე სტრუქტურულ მოდელში ერთიანდებიან:

- ა) პირველადი (მარტივი), არამარკირებული ტოპონიმები;
- ბ) შედგენილი, აფიქსებით ნაწარმოებნი;
- გ) რთული შედგენილობის (კომპოზიტები);
- დ) სინტაგმური;
- ე) სამ- და მეტკომპონენტისანი გეოგრაფიული სახელები.

ჩამოთვლილთაგან ქართველურ მიკროტოპონიმიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია აფიქსური წარმოების სახელები, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკე ქვეჯგუფს ქმნიან: ოდენპრეფიქსიანი, ოდენსუფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი (კონფიქსიანი). აფიქსებსა და ძირს შორის შეიძლება თავი იჩინოს სხვადასხვა ფუნქციის ან სულაც სინქრონიულ დონეზე უფუნქციო ელემენტებმა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულში გეოგრაფიულ სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოება შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ოდენსუფიქსური და კონფიქსური. ეს მოვლენა მიჩნეულია საერთოდ სიტყვაწარმოების დამახასიათებლად (ზურაბიშვილი, 1961: 140).

სვანურში ოდენპრეფიქსული წარმოება საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი თავსართებით: **ლა-**, **ლე-**, **ნა-** ... ეს თავსართები გეოგრაფიულ სახელებში დასტურდება როგორც ცალკე, ასევე თანმხლები სუფიქსებით.

სვანურ ენაში **ნა-/ნა-** ძირითადად აწარმოებს ვნებითი გვარის ნამყოს მიმღობას აწმყოს ფუძეზე დაყრდნობით (თოფურია, 1967: 222), ხოლო სახელებთან წინავითარების ლექსიკურ შინაარსს, ანუ როგორც ა. შანიძე უწოდებს, ყოფილობას გადმოსცემს (შანიძე 1980: 168).

ეს ორი გრამატიკული ოდენობა როგორც წარმოების მხრივ, ასევე ფუნქციურადაც ახლოს დგას ერთმანეთთან (ვაშაკიძე, 1992: 89).

სვანურის წინავითარების სახელებში ხშირად მხოლოდ პრეფიქსული წარმოება გვაქვს იქ, სადაც ქართულის შესაბამის ეკვივალენტებში კონფიქსური დასტურდება:

**ნა-სუფელ** „ნა-სოფლ-არ-ი“, **ნა-ქორ** „ნა-სახლ-არ-ი“, **ნა-საყდარ** „ნა-საყდრ-ალ-ი“ და ა. შ. აღნიშნული ვრცელდება გეოგრაფიული სახელების წარმოებისას. მაგ.:

**ნა-სკარ** – სამოვარი „ნა-დღეობ-არ-ი“ მესტია-ლატალი; – ტყე – მე-სტია-ლენჯერი (**სკარ** – გვარის ან თემის საერთო დღეობა).

**ნა-ფატუ** – სამოვარი, სათიბი, ყანა, „ნა-ფეტვ-არ-ი“ ლენტეხი-მაზაში.

**ნა-ქართ** – სამოვარი, „ნა-თალგამ-არ-ი“, მესტია-ლენჯერი.

**ნა-ქლაქუ** – სათიბი, „ნა-ქლაქ-არ-ი“, მესტია-თავრარი.

**ნა-ქერბაქ** – სამოვარი, „ნა-ქარაბაქ-ევ-ი“, ლენტეხი-ჩოლური.

**ნა-ჩუალ** – სამოვარი, „ნა-მეწყრ-ალ-ი“ ლენტეხი-ხელები.

საუძლიაუტო პოზიცივაში, სვანურის უძლიაუტიან დიალექტებში **ნა-** პრეფიქსის ხმოვნითი ნაწილი უძლიაუტიანია:

**ნა-სეტ** – კიდე „ნა-სვეტ-არ-ი“ მესტია-ლახამულა.

**ნა-ქელ** – სახნავი, „ნა-ფარდულ-არ-ი“ (**ქელ** „ფარდული“) მესტია-დაკარი.

**ნა-ღედარ** – ყანა „ნა-ცერცვ-ალ-ი“ (**ღედარ** „ცერცი“) ლენტეხი-მაზაში.

ზემომოყვანილი სახელურფუძიანი ტოპონიმები სხვადასხვა სახის ყოფილობას გამოხატავენ, აღნიშნავენ თუ რა იყო უწინ ამ ადგილას (სახლი, ფარდული, ცერცვის ყანა...), გეოგრაფიულ სახელთა აღნუსხვის მომენტისათვის კი სრულიად სხვა დანიშნულებით დასტურდება: სათიბი, სამოვარი, სახნავი და სხვ.

განსაკუთრებით ხშირია ისეთი მიკროტოპონიმები, რომელთა ძირი მარცვლეული კულტურის სახელს წარმოადგენს. ამით გვექმნება წარმოდგენა, თუ რა სახის მარცვლეული ითესებოდა უწინ ამ რეგიონში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, თუნდაც იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, თანამედროვე სვანეთში იშვიათად მოჰყავთ ეს კულტურები. მაგ.: **ზენთხ** „შვრია“, **ქირს** „ოსპი“, **ღედარ** „ბარდა, ცერცი“, **მანაშ** „ჭკავი“, **კუტეცნ** „ხორბალი“ და ა. შ.

წინამდებარე სტატიაში ტოპონიმთა სემანტიკურ მხარეს შევხებით იმდენად, რამდენადაც ეს დაგვჭირდება სტრუქტურული ანალიზისათვის, კერძოდ, რა მაწარმოებლები დაერთვის ამ ფუძეებს და როგორ იწარმოება ესა თუ ის გეოგრაფიული ტერმინები.

**ქირს** ზს., **ქირც** ქს. „ოსპი“

უწინ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. გამოთქმაც კი არსებობს ლაშხურში „ქირცამ“, რაც ოსპისმოყვარულს „ოსპიჭამიას“ ნიშნავს, გადატანით კი – მეტისმეტად ღარიბს. ამ ფუძეზე ფორმანტთა დართვით დასტურდება შემდეგი მიკროტოპონიმები:

**ნწ-ქირც-ჟ** – ყანა, ლენტეხი-ლესემა.

**ნწ-ქირს-ჟ-პრ** – სამოვარი (ადგილობრივებს კარგად ახსოვთ აქ ოსპს რომ თესავდნენ, დღეს სამოვარია) მესტია-სოლი.

**ნწ-ქირც-ჟ-პლ** – ტყე, ლენტეხი-ჭველიერი; – სამოვარი, ლენტეხი-ტვიბი; – სახნავ-სათიბი – ლენტეხი-მამი.

**ნწ-ქირც-ულ-ა** – ყანა, ლენტეხი-ფაცი.

### მანაშ „ჭკავი“

**ნა-მანაშ-ჟ** – სამოვარი – მესტია-ჭუბერი.

**ნა-მანაშ-ჟნ** – მუხნარი ტყით – მესტია-დავბერი.

**ნა-მანაშ-ულ-პრ** – სათიბი – მესტია

**ნა-მანაშ-ჟ-პრ** – ყანა, ლენტეხი

განსაკუთრებით ხშირად დასტურდება ადგილის სახელწოდებად **ნა-გარდღიშ** და **ნა-ქართობლარ** „ნა-კარტოფილ-არ-ი“. ის ამჟამად სამოვარს ან სათიბს ჰქვია. სასოფლო-სამეურნეო მიწის სიმცირის გამო ხშირად ტყეშიც კი გაკაფავდნენ სწორ ადგილს, გაწმენდნენ ბუჩქების და ქვისგან, დახნავდნენ და კარტოფილს (ყველაზე ხშირად) თესავდნენ. ასეთ განატყვ ყამირ ადგილებში განსაკუთრებით კარგ მოსავალს მოიწევდნენ. დროთა განმავლობაში ნიადაგი იფიტებოდა და შემდგომ სხვაგან ამუშავებდნენ მიწას. სახელწოდებები კი შემორჩა.

სახელურფუძიან ტოპონიმებში ხშირად ჩანს ბუნებრივი კატაკლიზმები. განსაკუთრებით ბევრგან გვხვდება **ნაზვავარი**, **ნამეწყრალი** ტერიტორიები, სადაც ამჟამად სამოვარი, სათიბი ან უბრალოდ დეღე და ღარია. სახელწოდებაში სახელურ ნაწილად დასტურდება: **ქაპ** ზს. **ჟამ** ლშ., **ქაპ** ლტ.; „ზვავი“; **ჩაშალ** ზს., ლტ. **ჩაშალ** ლშ. „მეწყერი“.

**ნა-ქაპ-ჟ** – ღარი „ნა-ზვავ-არ-ი“ მესტია-ლახამულა.

**ნა-ქაჟ** – სამოვარი ლენტეხი-ჭველიერი.

**ნა-ჟამ-ინ** – სამოვარი, ლენტეხი.

**ნწ-ქა-ურ-ა** – დეღე, მესტია.

**ნა-ჩაშალ** – სამოვარი, ლენტეხი-ხელედი.

**ნა-ჩაშალ-ჟ-არ** – ყანები, ლენტეხი-ჭველიერი

**ნა-ჩაშლ-პრ** – სამოვარი, მესტია-კაცხი.

**ნა-ჩლუჟ-პრ** – ყანა, მესტია-ჩვაბიანი.

**ნა-ჩოლჟ-პრ** – უბანი – ლენტეხი-კახურა.

**ნწ-ჩელ** – დეღე, მესტია-ვედი.

მასალიდან ჩანს, რომ სახელურფუძიანი ტოპონიმებისათვის ბუნებრივია როგორც ოდენპრეფიქსული, ისე კონფიქსური წარმოება. იგივე ვითარება ვლინდება ზმნურფუძიანი ტოპონიმების წარმოებისას.

პ. ცხადაია წიგნში „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ წერს, რომ ზმნურფუძიანი ტოპონიმია აღნიშნავს მოქმედების ადგილს და აგრეთვე

„...მხოლოდ ობიექტური (საობიექტო) მიმღეობა იჩენს განსაკუთრებულ მიდრეკილებას დაახასიათოს ესა თუ ის ობიექტი იმის მიხედვით, რა მოვლენასაც იქ ჰქონდა ადგილი და იქცეს გეოგრაფიულ სახელწოდებად (ცხადაია, 1985: 32). როგორც მოსალოდნელი იყო, იგივე ხდება სვანური მიკროტოპონიმის ზმნურფუძიან სახელებთან. მაგ.:

**ნწ-კუიშ** – ყანა, სამოვარი „განატეხი“ (ნაკვიშს ემახიან, რადგანაც აქ უწინ ყამირი იყო. **ლი-კვშ-ე** „გატეხვა“), მესტია: ხაიში, ტობარი, სკორმეთი და კიდევ ბევრ სხვა ადგილას.

**ნა-ტყუიფ** – ყანა, სათიბი, სამოვარი „განატეხი, განაგლეჯი“ (ლი-ტყუფ-ე „ყამირის გატეხვა“) მესტია: იფარი, უღვალი, ხერხვაში, მურშველი, ჩვიბიანი, მულახი, ბოგრეში და ა. შ.

**ნწ-ტყიფ-უ** – ხრამი-, – ფლატე- „მონაწყვეტი, მონაგლეჯი“ (დაქანებული გამოშვლებული ფერდობები, სადაც მიწის მონაგლეჯი, მონახეთქი ეტყობა, მაგრამ ახლა ზოგან გზაც კი არის გაყვანილი ამ ადგილებში).

**ნწ-შიხ-უ** – უბანი სოფლის, სათიბ-სამოვარი, კლდე, ფლატე, საბალახო-, ... „და-ნამწვ-არ-ი“ (**ლი-შიხ/ლი-შხ-ი** 'და'წვა). ეს ტოპონიმი უამრავ ადგილას დასტურდება, განსაკუთრებით ზემოსვანეთში: იდლიანში, დავარში, წირმინდში, დიზში, სკორმეთში და ა. შ. დღეს ამ ადგილებს ხშირად დანაწევავის კვალი არც ეტყობათ, მაგრამ ადგილობრივებს ახსოვთ ხანძარი ამ ტერიტორიებზე. ზოგან საკირეები იყო და კირს 'გამო'წვავდნენ, ან რაიმე საჭიროების გამო წაუკიდებენ ცეცხლს ტყეს, შემდეგ გატეხდნენ ყამირს და სხვა დანიშნულებით იყენებდნენ.

**ნწ-მგუბ** – ტყე „ჩამონაწყვეტი“ (**ლი-მგუბ** – „ჩამოწყვეტა“) მესტია, წვირმი.

**ნა-ცად-უ** – ყანა – „განაცვალი“ (**ლი-ცად-ი** „გაცვლა“) მესტია, კალა.

**ნწ-ყიდ** – სათიბი, სამოვარი (**ლი-ყიდ-ი** „ყიდვა“) „ნაყიდუ“.

როგორც სახელფუძიანებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, ზმნურფუძიან ტოპონიმებშიც **ნა-** პრეფიქსთან ერთობლიობაში ნაირგვარი სუფიქსები დასტურდება. მაგ.:

**ნა-შიხ-უ** გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ადგილის სახელად: სოფლის უბანი, სათიბი, სამოვარი, ყანა, კლდე, ფლატე, და სხვ.

**ნწ-შხ-უ-წრ** – სამოვარი, ტყე „დანა-მწვარ-ებ-ი“ (**-წრ** მრ.-ის ფორმატი) მესტია, სოფ. მურყმელი.

**ნწ-შხ-ულ** – ვაკობი (**-ულ** კნინობითის ფორმანტი) მესტია-ხაიში

**ნწ-შხ-ულ-წრ** – სამოვარი (კნინობითი **-ულ**, მრავლობითი **-წრ**) მესტია-ხაიში).

ქ. მარგიანი სტატიაში „სვანური ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი“ აღნიშნავს, რომ „...სვანური როგორც საზოგადო სახელები, ასევე ტოპონიმები ხასიათდება კნინობითის მაწარმოებლებით მარკირებული ლექსემების განსაკუთრებული სიმრავლით“ (მარგიანი, 2013: 89). მართლაც, კნინობითის ფორმანტები დასტურდება როგორც მარტივ, ასევე ნაწარმოებ ტოპონიმებში და, რა თქმა უნდა, **ნა-/ნწ-** პრეფიქსიანებშიც. მაგ.:

**ნა-საყდარ-ილ** – სათიბი „ნასაყდარ-ალ-ი“ მესტია-ხაიში.

**ნწ-შხ-ულ** – ტყე „და-ნა-მწვ-არ-ი“ მესტია-ლენხერა.



**ნა-ჯუდ-ილ-ზრ** – „სამოვრები“ მესტია-თოთანი.

**ნა-ზგ-ულ** – ყანა „ნა-ხიდ-არ-ი“ მესტია-მურყმელი.

**ნა-ტყიც-ულ** – ხრამი „მონარღვევი“ მესტია-ვედი.

**ნა-ფატ-ულ** – სამოვარი „ნა-ფეტვ-არ-ი“ ლენტეხი-კახურა.

**ნა-ქორ-რღ-ორ** – სამოვარი „ნა-სახლ-არ-ი“ ლენტეხი-კახუნდერი.

**ნა-შხ-ულ** – ტყე „დანა-მწვ-არ-ი“ მესტია-ციცხვარი.

**ნა-შხ-ულ-ზრ** – ყანა „და-ნა-მწვარ-ებ-ი“ მესტია-იდლიანი.

კინიობითი ფორმანტებიდან **ნა-/ნა-** პრეფიქსიან ტოპონიმებში დასტურდება: **-ილდ**, **-ოლდ**, **-ულდ**; **-ილ**, **-ოლ**, **-ულ**, **-იდ**, **-გდ** და ა. შ.

ქ. მარგიანი ზემოთ აღნიშნულ წერილში ხაზს უსვამს, რომ „...სვანურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში... ხშირად გვხვდება რამდენიმე ფორმანტით მარკირებული გეოგრაფიული სახელები“ (მარგიანი, იქვე: 90).

**ნა-/ნა-** პრეფიქსიანებთანაც ერთმანეთის პარალელურად დასტურდება:

- { **ნა-ლა-ჯუამ** – სათიბი „ნა-ეკლეს-არ-ი“ ლენტეხი-გვიმრალი.
- { **ნა-ლა-ჯუამ-გლ** – სამოვარი – ლენტეხი-ლექესირი.

- { **ნა-კუთშ** – ყანა „გა-ნა-ტეხ-ი“ მესტია-ხაიში.
- { **ნა-კუთშ-ზრ** – სამოვარი – მესტია-იდლიანი.
- { **ნა-კუთშ-ილ-ზრ** – სათიბი – მესტია-სკორმეთი.

- { **ნა-მ-ძგუთბ** – ფლატე „ჩამონაშალი“, მესტია-ნესგუნი.
- { **ნა-მ-ძგურ-რა** – ტყე – მესტია-ლეშუკვი.

- { **ნა-ტყუთფ** – ყანა, სათიბი, სამოვარი, მესტია.
- { **ნა-ტყუთფ-ზრ** – ყანა, მესტია.
- { **ნა-ტყუთფ-იერ** – სათიბი.
- { **ნა-ტყუთფ-ულ-არ** – სახნავი.

**ნა-** პრეფიქსი მიჩნეულია ერთ-ერთ უძველეს, საერთო-ქართველურ აფიქსად. ზმნურფუძესთან ის აწარმოებს მიმღობას, სახელურთან კი – წინავითარების სახელებს.

სვანურ ტოპონიმიაში ის გვხვდება, ერთი მხრივ, ოდენ პრეფიქსად, მეორე მხრივ კი სუფიქსთა თანხლებით. კერძოდ:

- ნა** – **-უ**
- ნა** – **-ი** (იშვიათად)
- ნა** – **-არ/-ზრ/-ალ...**
- ნა** – **-ურ-ა**
- ნა** – **-ურ-არ**

ზემოთ დადასტურებულ სუფიქსთა (**-უ**, **-ი**, **-არ/-ზრ/-ალ...**, **-ურ**, **-იერ...**) დანიშნულება-ფუნქციის შესახებ მსჯელობა მართებული იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრულად იქნება გაანალიზებული მიკროტოპონიმთა სხვადასხვა სახეები (არამარკირებული, ოდენ-

სუფიქსიანი და სხვ.), რადგანაც ეს ფორმანტები ფიგურირებენ გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად **ნა**-პრეფიქსის მომდევნოდ, თუ ძირეული მორფემა იწყება ხშული თანხმოვნით, ვითარდება სონორი (რ, მ, ნ). ხშულთა წინ სონორთა გაჩენა დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის და ასეთ შემთხვევაში საურთიერთო პალატალიზაციას აქვს ადგილი (ჟღენტი, 1949: 187).

აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა უძველეს საფუძვლად ზოგი ტოპონიმის ვარიანტულობას სვანურში. მაგ:

**ნა-ქორ/ნა-ნ-ქორ/ნა-ლ-ქორ/ნა-ჟ-ქორ** „ნა-სახლ-არ-ი“.

**ნა-ჩუალ/ნა-ჩუალ** „ნა-მეწყრ-ალ-ი“.

**ნა-ქაჩ/ნა-მ-ქაჩ-ჟ** „განა-კაფი“ და ა. შ.

საინტერესო ფაქტია აგრეთვე, რომ **ნა**-პრეფიქსიანი სახელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ორ- და მეტკომპონენტიან მიკროტოპონიმებში ხან მსაზღვრელის, ხან კი საზღვრულის როლში. მაგ.:

**ნა-ჟჰ-ჟ-ა ლარე** – სამოვარი „ნაზვავარი მინდორი“ მესტია, ნაკი.

**ნუაშერ ნაშიხჟ** – სამოვარი/ტყე „ნუანთ დანაწვავი“ მესტია, ტობარი.

ვრცლად ამ საკითხის შესახებ შემდგომ გვექნება მსჯელობა. წინამდებარე სტატიაში მხოლოდ მცირე ნაწილია განხილული იმ ზღვა მასალისა, რომელსაც სვანური ტოპონიმია წარმოადგენს.

## ლიტერატურა

**ვაშაკიძე 1992** – თ. ვაშაკიძე, წინავითარების სახელთა წარმოება ქართულში, იკე XXXI, თბილისი, 1992.

**ზურაბიშვილი 1961** – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.

**თოფურია 1967** – ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967.

**მარგიანი 2013** – ქ. მარგიანი, სვანური ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი, ფილოლოგიური პარალელები, 6, თბილისი, 2013.

**ჟღენტი 1949** – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949.

**ღლონტი 1971** – ალ. ღლონტი, ტოპონიმური ძიებანი, I, თსუ-ს გამოც., თბ., 1971.

**ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერების ანალიზი), თსუ-ს გამოც., თბილისი, 1985.

**ცხადაია 2008** – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, თბილისი, 2008.

**Никонов 1965** – В. Никонов, Введение в тоонимику, Москва, 1965.

**Roena Chkadua**

On Some Micro-Toponyms Having a Single  
Prefix or a Confix

Summary

Studying and analyzing the micro-toponymic material is of utmost importance as it reflects people's activities and their details. In addition, it is much more changeable than macro-toponymy.

The paper deals with the geographical names having the prefix *na-/nä-* as a formative. The said formative can be found with an accompanying suffix as well. The prefix *na-* adds to the verbal as well as the nominal form. It gives the words with a verbal or a nominal base a specific lexical meaning.

The micro-toponyms prefixed by *na-* are attested as independent geographical names as well as a modifier or a head.

**ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი**

**კნინობითობის სუფიქსთა წარმომავლობის  
შესახებ ქართულში**

კნინობითი სახელები (დომინუტივები) ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, გამორჩეულ და მეტად თავისებურ ჯგუფს წარმოადგენს. წარმოქმნილი სახელების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, კნინობით სახელებს მაწარმოებელი მნიშვნელობას კი არ უცვლის, არამედ სემანტიკურად აზუსტებს: გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია ძირეული სახელით აღნიშნულზე. მხოლოდ საგნის სიმცირის გამოხატვა იშვიათია, ჩვეულებრივ, საგნის სიმცირესთან ერთად გამოხატულია მთქმელის ემოციაც: **ბიკ-იკ-ო, თაგ-უნ-ა, ჩიტ-უნ-ი-ა ...** ზოგჯერ მხოლოდ მთქმელის დამოკიდებულება ჩანს და საგნის სიმცირე არც იგულისხმება. სააღერსო დამოკიდებულებაა გადმოცემული შემდეგ სახელებში: **დედ-ილ-ო, ხაზ-უკ-ა, მამ-იკ-ონ-ა, თამ-უნ-ი-ა...** დამამცირებელი, დამცინავი დამოკიდებულება ჩანს სახელებში: **ვაჭრ-უკ-ან-ა, ზებრ-უხ-ან-ა, ზებრ-უც-უნ-ა, გლეხ-უკ-ა...**

კნინობითი სახელები სალიტერატურო ქართულში ნაკლებად გვხვდება. მათი გამოყენება უფრო ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ისინი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული დიალექტებში, თუმცა სემანტიკური ჯგუფები, რომელთათვისაც დამახასიათებელია კნინობითობა, სხვა ენებთან (რუსულთან, გერმანულთან) შედარებით შეზღუდულია.

დომინუტივების მაწარმოებელთა რაოდენობა მრავალრიცხოვანია. ესენია: **-ა, -ო, -აკ, -იკ, -უკ, -ალ, -ელ, -უნ, -უკ, -ი-ა, -იკ-ა, -იკ-ო, -უკ-ა, -ალ-ა, -ელ-ა, -უნ-ა, -ურ-ა, -უნ-ი-ა, -იკ-ელ-ა, -უკ-ელ-ა, -ოკ-ინ-ა, -უხ-ან-ა, -ურ-უნ-ა, -უც-უნ-ა** და სხვ. კნინობით სუფიქსთა ასეთი მრავალფეროვნების მიზეზი ის არის, რომ ისინი ხშირად ერთმანეთის ბგერწერული ნაირსახეობებია. მათი სიმრავლე იმითაც არის გამოწვეული, რომ ფუნქციური თვალსაზრისით კნინობითობა მრავალ სემანტიკურ ნიუანსს მოიცავს: მოფერებას, აღერსს, სიყვარულს, სიბრალულს, დაცინვას, დამცირებას, ირონიას, გაკიცხვას, უპატივცემულობას, აგდებულ დამოკიდებულებას.

კნინობით სუფიქსთაგან ზოგი მეტად პროდუქტიულია, ზოგი – ნაკლებად, ზოგი სუფიქსი კი ერთეულ სიტყვებში თუ შეგვხვდება: **-უც, -უკ, -უხ, -უჯ, -უხ-ან-ა, -უც-უნ-ა...**

საინტერესოა დომინუტივების მაწარმოებელი სუფიქსების წარმომავლობის საკითხი.

ძველ ქართულში კნინობითობის გამოსახატავად ორიოდ სუფიქსი გვხვდება: თითო-ოროლა შემთხვევაში **-ა**, უმეტესად კი **-აკ**: **ქალ-ა**, **კახუკ-ა**, **ქათამ-ა**, **კნინ-აკ-ი**, **მცირე-აკ-ი**, **სახლ-აკ-ი**, **ძმისწულ-აკ-ი**, **ქუყყან-აკ-ი**, **გოდორ-აკ-ი**, **შვილ-აკ-ი**... ძველ წერილობით ძეგლებში დომინუტივების სიმცირეს იმით ხსნიან, რომ V – XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო მწერლობის ენა იყო და კნინობითი ფორმები მის სტილს არ შეეფერებოდა (მარტიროსოვი, 1978: 108).

ძველ ლიტერატურულ ტექსტებში დადასტურებული დომინუტიური ფორმების უმეტესობა თანამედროვე ენაში აღარ გამოიყენება. მათთან დაკავშირებით, კერძოდ კი **-აკ** დაბოლოებიანი ზოგი სახელის შესახებ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ირანული ენებიდან უნდა იყოს შემოსული. ესენია: **აგარაკი**, **გუადრაკი // გუარდაკი**, **ზუარაკი**, **მუშაკი**, **ხორშაკი**, **ასაკი**, **სენაკი**... (იქვე: 108, 118). მათ შორის ზოგს პარალელური ფორმებიც მოეპოვება: **დანა – დანაკი**, **ქალა – ქალაკი**, **მუშა – მუშაკი**, **გლახა – გლახაკი**... ისინი, მკვლევართა აზრით, შესაძლოა სხვადასხვა დროს იყოს შემოსული საშუალო და ახალი სპარსულიდან (საშუალო სპარსულის **-აკ** დაბოლოება ახალ სპარსულში იძლევა **ა-ს**). ისიც დასაშვებია, რომ **-აკ** შემდეგ დაერთო ნასესხებ სიტყვას, თუმცა **-აკ** დაბოლოებიანი სახელები სომხურშიც გვხვდება და, როგორც არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გარეგნულად და ფუნქციურად მსგავსი სუფიქსები ქართულ, სომხურ და სპარსულ ენებში დამოუკიდებლად გაჩენილიყო (მარტიროსოვი, 1978: 118). კნინობითი **-აკ** სუფიქსი, როგორც მ. ტუსკია აღნიშნავს, ახალ ქართულში პასიური და იშვიათი ხმარებისა გახდა, თუმცა ტექნიკური ლიტერატურის ენამ კვლავ აღჭურვა ახალი სასიცოცხლო ძალით: **ზაგირ-აკ-ი**, **თამას-აკ-ი**, **თვალ-აკ-ი**, **კბილ-აკ-ი** და სხვ. (ტუსკია, 2010: 84). გენეტიკურად **-აკ** სუფიქსთან უნდა იყოს დაკავშირებული **-იკ**, **-უკ** სუფიქსები, რომლებიც ძველ ქართულში არ გამოიყენებოდა, მაგრამ თანამედროვე ქართულში რთული სუფიქსების შემადგენელ კომპონენტად საკმაოდ გავრცელებულია: **ვარ-იკ-ა**, **ზიჭ-იკ-ო**, **ზიჭ-უკ-ა**, **შტერ-უკ-ა**, **ტიტლ-იკ-ან-ა**, **ვარ-იკ-ელ-ა**, **ვაჭრ-უკ-ან-ა** და სხვ.

დომინუტიურ სუფიქსთა ნაწილი: **-ალ**, **-ელ**, **-ილ**, **-ან**, **-ინ**, **-უნ**, **-ურ**, რომლებსაც უმეტესად **-ა** სუფიქსი ერთვის, აშკარად გამოიყოფა სახელებში, როგორც კნინობითობის მაწარმოებლები, თუმცა ეს მათი მეორეული ფუნქცია უნდა იყოს, რამდენადაც ისინი, დამოუკიდებლად თუ რომელიმე პრეფიქსთან ერთად, სხვადასხვა ფუნქციით დასტურდება სახელებში:

**-ალ** (კნინობითობას გამოხატავს შემდეგ სახელებში: **კინწ-ალ-ი**, **ჩუმ-ალ-ა**, **ყრუ-ალ-ა**) გვხვდება ზედსართავებში მ პრეფიქსთან ერთად (მ-ალ-ალ-ი, მ-ძევ-ალ-ი), მიმღეობებში მ-, მო-, სა-, ნა- პრეფიქსებთან ერთად (მ-ტირ-ალ-ა, მო-ტირ-ალ-ი, სა-მკ-ალ-ი), ასევე წილობით რიცხვით სახელებში ნა-სთან ერთად (ნა-ათ-ალ-ი).

**-ელ** (**კყონი-ელ-ა**, **გიორგ-ელ-ა**, **წიწკ-ელ-ა**) გვხვდება ზედსართავებსა და მიმღეობებში (ხმ-ელ-ი, ცხ-ელ-ი, ქს-ელ-ი, მშენებ-ელ-ი, მზრდ-ელ-ი), დასტურდება მდინარის, წყაროს, ღელის სახელებშიც (ნოდ-ელ-ა).

**-ილ (დედ-ილ-ო, მამ-ილ-ო)** გამოხატავს მსგავსებას (დედა-ილ-ა, მამა-ილ-ა), აწარმოებს მასდარის ფუძეს (ტკივ-ილ-ი, დუმ-ილ-ი, წად-ილ-ი), ასევე მიმღეობებს (დაწერ-ილ-ი, მოკრეფ-ილ-ი, დანაყ-ილ-ი).

**-ან (ზებრ-უხ-ან-ა, ზაჩ-ან-ა)** გვაქვს გვარეულობის აღმნიშვნელ სახელებში (ოთარა-ან-ი, პეტრეს-ან-ი), შედის მქონებლობის გამომხატველი რთული სუფიქსების შემადგენლობაში (ცხენ-ოს-ან-ი, წვერ-ოს-ან-ი, კლდ-ოვ-ან-ი, სახელ-ოვ-ან-ი), აწარმოებს მასდარის ფუძეს (ლაწ-ან-ი, ჩახ-ან-ი), მიმღეობებს (მ-ჩხავ-ან-ა, მ-კივ-ან-ა).

**-ინ (ცოტ-ინ-ა, მარტ-ოკ-ინ-ა, პაწ-აწ-ინ-ა)** გამოხატავს მსგავსებასაც (დედა-ინ-ა, მამა-ინ-ა), აწარმოებს მასდარის ფორმას (ლიწ-ინ-ი, ქიც-ინ-ი).

**-უნ (ზიჭ-უნ-ა, კაც-უნ-ა, დათ-უნ-ა, თაგ-უნ-ა)** გვხვდება მასდარებში (ლაწ-უნ-ი, ჟღარ-უნ-ი, კრაწ-უნ-ი).

**-ურ (გუბ-ურ-ა, კოკ-ურ-ა)** გვხვდება ზოგი მცენარისა და ცხოველის სახელში და გამოხატავს მსგავსებას (სალამ-ურ-ა, ფეს-ურ-ა), პრეფიქსთან ერთად გამოიყენება ხელობის სახელებში (მე-ზღვა-ურ-ი), წინავითარების სახელებში (ნა-გზა-ურ-ი), გამოხატავს ნიშან-თვისებას (მე-დიდ-ურ-ი), დანიშნულებას (მე-გზ-ურ-ი), აწარმოებს მასდარის ფუძეს (ფათ-ურ-ი).

დიმინუტიური აფიქსები ზოგ საზოგადო და საკუთარ სახელში ეტიმოლოგიურად გამოიყოფა. ვ. თოფურია თავის ნაშრომში „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ აღნიშნავს: საკუთარ სახელთა და მათგან წარმომდგარ გვართა შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გაცილებით მეტი კნინობითი ნიშანი გამოვყოთ, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენებიო. მკვლევარს ნიმუშად მოჰყავს გვარების მიხედვით აღდგენილი საკუთარი სახელები, რომლებიც „ერთისა და იმავე ძირისაგან სხვადასხვა კნინობითის სუფიქსით არის წარმოქმნილი: პაპ-ალ-ა (პაპალაშვილი), პაპ-ან-ა (პაპანაშვილი), პაპ-ი-ა (პაპიაშვილი), პაპ-ო-ა /პაპ-უ-ა (პაპუაშვილი), პაპ-ინ-ა, პაპ-ულ-ი (პაპულაშვილი), პაპ-უნ-ა (პაპუნაშვილი), პაპ-იტ-ა (პაპიტაშვილი), პაპ-უჩ-ა და სხვ.“ (თოფურია, 1979: 102). არაერთი საზოგადო სახელის მოყვანა შეიძლება, რომლებშიც დიმინუტიური სუფიქსი ეტიმოლოგიურად გამოიყოფა: გორგოლ-აჭ-ი, ქერ-ეჭ-ი, კა-უჭ-ი, ჭუჭრ-უტ-ან-ა, ჩიჩქ-იტ-ა და სხვ. (ტუსკია, 2010: 85).

ეტიმოლოგიურად გამოყოფილი დიმინუტიური სუფიქსების ერთი ნაწილი ტ, ც, ჩ, ჭ, თანხმოვნებითა და რომელიმე ხმოვნით არის მიღებული: **-აც, -აჩ, -აჭ, -იც, -იჩ, -იჭ, -უც, -უჩ, -უჭ...** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა, ეს სუფიქსები **-აკ, -იკ, -უკ** სუფიქსთა ბგერწერულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ (მორფემების ლექსიკონი, 1988).

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული ეს სუფიქსები დაკავშირებული იყოს იმ სახელებთანაც, რომლებიც ფუძის რედუპლიცირებით არის წარმოქმნილი და თავიანთი სემანტიკით კნინობით სახელებს უახლოვდებიან.

რედუპლიცირებული ფუძეები ქართულში საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ფუძის გაორმაგებას ხშირად ფონეტიკური ცვლილებებიც ახლავს.

გვაქვს სახელები, რომლებშიც ფუძის მეორე ნაწილში თანხმოვანი იკარგება:

**ზაც-ზაც-ა > ზაც-აც-ა**

**ზარ-ზარ-ა > ზარ-არ-ა**

**ქორ-ქორი > ქორ-ორ-ი**

**ხუჭ-ხუჭ-ი > ხუჭ-უჭ-ი**

**კვაჭ-კვაჭ-ა > კვაჭ-აჭ-ა /კოჭ-იჭ-ა**

ვფიქრობთ, ამ ტიპის სახელები არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ გენეტიკურადაც არ არის შორს **-აც, -არ, -აჭ, -ორ, -ოჭ, -უც, -ურ, -უჭ** კნინობით სუფიქსიანი სახელებისაგან:

**-აც: ყბ-აც-ა**

**-არ: ყბ-არ-ა**

**-აჭ: გორგოლ-აჭ-ი, ზაღლ-აჭ-ა-მ**

**-იც: გორ-იც-ა**

**-იჭ: კობ-იჭ-ი**

**-უც: ფეხ-უც-ა, გოგ-უც-ა**

**-ურ: პაპ-ურ-ა, თიკნ-ურ-ა**

**-უჭ: პარკ-უჭ-ი, გლეხ-უჭ-ა**

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში, განსაკუთრებით დიალექტებში, დიმინუტიური სუფიქსები მეტად მრავალფეროვანია. ქართულ ენას აქვს პოტენცია, რომ კნინობითობის შინაარსი სუფიქსთა მრავალფეროვნებით გამოხატოს, რასაც კნინობითობის ნიუანსების სიმრავლეც განაპირობებს.

## ლიტერატურა

**თოფურია 1979** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, V, კნინობითი ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979.

**მარტიროსოვი 1978** – არ. მარტიროსოვი, კნინობითი სახელები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XX, თბ., 1978.

**სანიკიძე 1976** – ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, III, თბ., 1976.

**სახლთხუციშვილი** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური დიალექტის ლექსიკონი.

**ტუსკია 2010** – მ. ტუსკია, სახელური და სახელზმნური სიტყვაწარმოება ქართულში, თბ., 2010.

**ქართული ენა 2008** – ქართული ენა, ენციკლოპედია, „ეროვნული მწერლობა“, თბ., 2008;

**ქართლური დიალექტის ლექსიკონი 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

„საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“.

**Nino Chumburidze, Mariam Kikonishvili**

## On the Origin of Diminutive Suffixes in Georgian

## Summary

Diminutive suffixes in Georgian, as well as in many other languages, are a distinctive and specific group. They are less attested in literary Georgian and are common in the colloquial speech. They are especially widespread in dialects.

The number of the formatives of diminutives is big. They are *-a*, *-o*, *-aḱ*, *-iḱ*, *-uḱ*, *-al*, *-cl*, *-un*, *uḱ*, *-i-a*, *-iḱ-a*, *-iḱ-o*, *-uḱ-a*, *-un-a*, *-uḱ-a*, etc. and the complex suffixes derived through their unification.

The issue of the origin of the formatives of diminutives is quite interesting.

In old Georgian two suffixes are identified to express a diminutive meaning – the rarely used *-a* and common *-aḱ*, e.g. *kal-a*, *čabuḱ-a*, *katam-a*, *ḱnin-aḱ-i*, *mcire-aḱ-i*, *saxl-aḱ-i*, *zmiḱul-aḱ-i*, *kucḱan-aḱ-i*, *godor-aḱ-i*, *švil-aḱ-i*...

It is supposed that the diminutive suffix *-aḱ* identified in old literary texts may have been entered the language from Persian. The suffixes *-a* and *-aḱ* are the only suffixes attested in the old Georgian literary monuments.

A part of diminutive suffixes *-al*, *-cl*, *-il*, *-an*, *-in*, *-un*, *-ur* that are added by the suffix *-a* are apparently distinguished in nominals as formatives of diminutives but we think that it is a secondary function because they are attested independently or with a prefix performing different functions in nominals.

Some diminutive suffixes are derived by means of the consonants *t*, *c*, *č*, *ḱ*, *ḱ* and any of the vowels, e.g. *-ac*, *-ač*, *-aḱ*, *-ic*, *-ič*, *-iḱ*, *-uc*, *-uč*, *-uḱ*... These suffixes may be the onomatopoeic variants of the suffixes *-aḱ*, *-iḱ*, *-ḱu*.

In our opinion, there is a chance that they are etimologically related to the nominals that were derived through the base reduplication.



## ნინო ხახიაშვილი

### მ ლ ი ვ ი სიტყვისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მლივი** არის: „1. ძვ. და კუთხ. (ქიზ.) გალეული, თხელი... 2. პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი. „ჩემი მადლობელი მხოლოდ მლივია, პატარა ნაცარა ჩიტი“ [ამბობს კლდე] (ვაჟა). 3. ◊ **მლივი ნაწლავი** ანატ. ადამიანის წვრილი ნაწლავი თორმეტგოჯა ნაწლავიდან თემოს ნაწლავამდე“ (ქეგლ V, 1958).

ქართული ენის დიალექტებში ეს სიტყვა ძირითადად „გალეულის“ მნიშვნელობითაა:

„**მლივ**-ი<sup>1</sup> (ქიზიყ., ქსნის ხეობ.) გალეული, თხელი. „მერა მლივია და შავარდენი ბუნჩულა“ (ს. მენტემ., ვ. სომხიშვ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ (ღლონტი 1984).

„**მლივ**-ი პატარა, დალეული. რომელიც ძან დალეულია, რო არც სიმაღლით არი, არც სისქითა, გამწიკვლული არი უხეიროთა, ამაზე იტყვიან, მლივი ადამიანი არიო (იგ.). წყაროზე რო ჩავედი, ერთი მლივი გოგო მოდიოდა, დიდი კოკა ეემსო და გეედო მხარზედა, ნეტა როგორა სძრავდა! (იგ.). ი მლივი გოგო რო ძყავთ ჭკვიანიანთა, ის აცხოვდა დღედ თორნეში პურსა (წილკ.)... **მლივი კვერცხი** პატარა, მოლეული კვერცხი. ნეტა რომელი ქათმისაა ეს მლივი კვერცხი? (მეგ.)“ (ქართლ. ლექსიკ., 1981).

**მლივ**-ი „გალეული, გამხდარი“ (გ. ლიქოკ.) (შდრ. საბა, პ. ხუბ., ქართლ. ლექსიკ.: მ ლ ი ვ ი, ქეგლ, სტ. მენტემ. ნ ა მ ლ ე ვ ა) (ხევს. ლექს., ჭინჭარაული 2005).

**მლივ**-ი „სუსტი, ნაზი, უღონო“ (ფშ. ლექს., გ. ხორნ. 2000).

აგრეთვე, ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით, **მლივი** არის: „ნალევა, გალეული, თხელი, ჭანი, სიფრიფანა, тонкий, тощий“... **ნალევა** „მლივა, გალეული, тощий“... (ნ. ჩუბინაშვილი 1961). დავით ჩუბინაშვილთანაც, **მლივი**: „ზედს. გალეული, გამხდარი, ჭანი, ნალევა, თხელი, სიფრიფანა, тощий, тонкий“ ... **ნალევა** ზედს. მლივი, გალეული, ჭანი, тощий“ ... (დ. ჩუბინაშვილი 1984).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც **მლივი** არის: „გალეული ZABCDE.“ განმარტებაში სიტყვა რედაქტორის მიერ „ნახეთი“ გაგზავნილია **ლევა** ზმნასთან, აგრეთვე ამ ფუძესთან დაკავშირებულ წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებთან: „**ლევა** გალევა... ნ. აღლევა, გალევა, განლევა, ლევნა, მლივი, მოლევა... **გალევა** მოკლება ZA. მოკლებასავით B...“ (სულხან-საბა I, 1991). საბას **გალეული** ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ აქვს გატანილი, თუმცა ის დასტურდება ილია აბულაძის მიერ შედგენილ ისეთ სიტყვათა საძიებელში, რომლებიც ნახმარია ლექსიკონის განმარტებაში, ხო-

ლო სალექსიკონო ერთეულებად გატანილი არ არის: „**გალეული** ნ. მ ლ ი - ვ ი“ (აბულაძე 1998).

ზემომოყვანილი მასალის მიხედვით აშკარაა, რომ **მლივი**-ი უკავშირდება **ლეე**- ძირს (გა<sup>ნ</sup>ლ<sup>ე</sup>ვა, მილევა...): რაც გაილია, – გალეული, ნალევი (ნამლევა), – თანდათან კლებით გაქრობაზე მიმდგარი...

ვფიქრობთ, ამ აზრის ერთგვარი დამოწმებაა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი მოთხრობიდან („კლდე სალი“) მოყვანილი ეს ნაწყვეტიც – ერთგვარი „პოეტური ეტიმოლოგია“ **მლივი** სიტყვისა:<sup>1</sup>

„ჩემი მადლობელი მხოლოდ **მლივია**, **პატარა**, **ნაცარა ჩიტი**, და-**მფრთხალივით**, **მხრების თახთახით რომ დაფრინავს**; მოვარდება ჩემთან გულგახეთქილი, თრთის, კანკალებს, დნება შიშით, ვინ იცის, რამ შეაშინა. ყველაფერი აშინებს: „მიშველე, ჩემო დედილო, ნუ მოუშვებ ჩემთან ნურც ქორს, ნურც ალაღს: – მომკლავენ, მიტევენ; მიშველე, დამიფარეო“.

ძალიან გულჩვილია და ძალიან საწყალი, სუსტი, ბეჩავზე ბეჩავი არსება. რა ვქნა, მეც შვილობას ვეუბნები, თუმცა იგი მე – კლდეს, ამაყს, საღს, დიდებულს – რა შვილობას გამიწევს, მე კიდევაც რომ დედობა გავუწიო? შეუძლიან განა? არა... **მლივი** ვერ იქნება კლდის შვილად, ვით კრავი შვილად ლომისა. **მლივმა** როგორ უნდა შეასრულოს ანდერძი კლდისა: ვინ მისცა უძლურ არსებას იმდენი სიმტკიცე, მხნეობა, სიძლიერე სულისა, აასრულოს, უპატრონოს, ექმნას დარაჯად ჩემ ნდობა-სურვილთა და მისწრაფებათა? სად შეუძლიან მაგ **დამდნარს**, **გამქრალს შიშით**, **თრთოლით გალეულს**, უმხედროს დიდებულს უკვდავების წადილს კლდისას? ეს სურვილი მხოლოდ კლდისაა და კლდის მზგავსს მის ანაგლეჯს, მის ჯიშისას, შეუძლიან დაიცვას და აღასრულოს ღირსეულად...

– მლივო, საბრალო მლივო! იცოცხლე საცოდავო, ღმერთმა გამოროს ყოველივე განსაცდელი: შენ რა შვილობას მიზამ, შე საწყალო? სუსტი რომ არ იყოს და ჩემში ძალას არ ჰხედავდეს, არც მლივი მომეპყრობოდა ასე ალერსით... რას მეწამლება მწირი ბალახების და ღვთის ლოცვა-მუდარაში ჩამომდნარ მესვეტედ დაყუდებულს ყვავილთა და მცენარეთა სიყვარული?! “ ... (ვაჟა-ფშაველა 1964). [ხაზგასმა ჩვენია, – ნ. ხ.].

ალექსი ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ **მლივი** ასეა განმარტებული: „**მლივი**-ი 1. პატარა, ერთი ციცქნა. „იმ მლივის [ბულბულს] თუ თავს არ წაადგე, ვერც კი დაინახავ თვალით“ („სვავი“). 2. „პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი“(გლ). ჩემი მადლობელი მხოლოდ მლივია, პატარა ნაცარა ჩიტი... მლივი ვერ იქნება კლდის შვილად, ვით კრავი შვილად ლომისა („კლდე სალი“)(ალ. ჭინჭარაული 1969).

შესაძლოა, **ლივ**- ფუძის გაორკეცებით იყოს მიღებული სიტყვა **ლივლივი**. სულხან-საბას განმარტებით: **ლივლივი**-ი ნადირთ ხლდომა ZabCaqE. ნ.: სიარული, სლვა... **სიარული** სლვის ქმნა... სიარულიცა არიან მრავალსახელ, რამეთუ ყოველთა ცხოველთა სლვანი განიყოფებიან... პირუტყვთ კისკასად რეცა შეფრენასა [ეწოდების] **ხლტომა**; მათსავე ჰაერში გრძლად **გახელტასა** – **ლივლივი**... (სულხან-საბა I, 1991).

<sup>1</sup> ქეგლის განმარტებაში – „პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი“ (მნიშვ. 2.) – ილუსტრაცია სწორედ ამ მოთხრობიდან არის დამოწმებული.

ნიკო ჩუბინაშვილი კი ასე განმარტავს ამ სიტყვას: „**ლივლივი**-ი (**ლივ-ლივებს**) წყალთ ციმციმი, მცირე დღევა. – **მფრინველთ ლივლივი** (ნახე სიარულში) **колыхать, колыхание ... სიარულ-ი** სლვა, მოძრაობა ცხოველთა, გარდადგმით ფერხთათა, ანუ მფრინველთა ჰაერსა შინა და თევზთა წყალსა შინა ქნევითა ფრთეთა, გინა უსულოთა ნივთთა ძალითა ბუნებითათა ანუ ხელოვნებითა, ვითარ სლვა მდინარეთა, ეტლთა, ნავთა, ზორბალთა, საქამოთა და მისთანათა (ზაქარ. 9, 8; ვეფხისტ. 147), ход, хождение, походка; სახენი ამისნი: ჩჩვილთ ოთხზედ სიარულს ეწოდება **ჩოჩვა, ცოცვა, ბობღვა, ბორდღვა, ზლოტვა** და **ფოფინი**; ... მფრინველთა ჩვეულებრივსა ჰაერში სიარულსა **ფრენა** და **ფრფინვა**; ხლტომით ფრენასა – **გოგვა** და **გოგმანი**; ცუდსა სლვასა – **ლახლახი, ფრთების უძრავად ფრენასა – ლივლივი**; თევზთა წყალში სლვასა – **ცურვა**... ზემოწერილნი გუარნი სიარულისანი ხშირად იხმარებიან გარდალებით კაცთაგან ცხოველთადმი და უსულოთადცა... (ნ. ჩუბინაშვილი 1961).

ქართულში **ლივლივი**-//**ლავლა**- ფუძეგაორკეცებული, ხმოვანმონაცვლე სინონიმური სახელები დასტურდება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ლივლივი** არის: „ტალღისებრი რიტმული მოძრაობა. ძირს ქართლის ყანებს გააქვთ ლივლივი (გ. ლეონ.). ზღვა შეკრთა, წყალმა დაიწყო თრთოლა, რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით (გ. ტაბ.)... **ლავლა**-ი იხ. ლივლივი“ (ქეგლ IV, 1955). **ლავლა**-ი (ქართლ.) ლივლივი, რხევა, ქანაობა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.) (დლონტი 1984).

**ლივ**- მარტივი ფუძის სახით არ გვაქვს (ცალკე, დამოუკიდებლად), მაგრამ გვაქვს მისი ხმოვანმონაცვლე ვარიანტები **ლევ**- // **ლა**- (ზმნური და სახელური ფუძეები):

**ლევ**<sup>1</sup> სახელი ლ ე ვ ს<sup>1</sup> ზმნის მოქმედებისა, – დამთავრება, დაბოლოება, ბოლოს მოღება... **ლევ-ს**<sup>1</sup> 1. ათავებს, ამთავრებს, ბოლოს უღებს... გადატ. აღნობს, აქრობს...(ქეგლ IV, 1955).<sup>1</sup>

შდრ.: „**ლა**-ი (ხევსურ.) რაღაც საბედისწერო სიტყვაა, რომლითაც მამახურა (ნ.) თითქოს კაცს სწყევდეს. მამახურა უძახებს: „**ლა**ვი“, დასწყევს და მაშინ ის კაც ვერ გადასჩების იმით სიკვდილს, რითაც მამახურა სიკვდილს შაუთვლის (ა. შან., 152)“ (ალ. დლონტი 1984).<sup>2</sup>

ვფიქრობთ, **მლივი** (მ-ლივ-ი) შეიძლება იყოს მიმღეობური ფორმა \***ლივ**-ს [„ტალღისებურად რიტმულად მოძრაობს; თრთის, ირხევა, ქანა-

<sup>1</sup> **მილივა** 1. თანდათანობითი შემცირებით ან შესუსტებით მოსპობამდე, გაქრობამდე მივა. // დაილევ<sup>2</sup> (მნიშვ. 2). თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილივენით (ილია)... **მილივლ**-ი 1. თანდათან კლებით გაქრობაზე მიმდგარი, - მისუსტებული... 2. დასასრულს მიუახლოვდება, - გავა, მიიწურება (დრო)... // გადატ. გამხდარი, გალეული... (ქეგლ V, 1958).

<sup>2</sup> ამ განმარტებისას ალ. დლონტი იმოწმებს ავ. შანიძის „ვევსურული მასალების ლექსიკონს“ (შანიძე 1923-1924), რომელიც გამოქვეყნებული იყო 1923-1924 წ. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში“ (გვ. 259-330). შდრ.: „მთის კილოთა ლექსიკონი“: „ჯ. რაღაც საბედისწერო სიტყვაა, რომლითაც მამახურა თითქოს კაცს სწყევდეს (ჯ. მას.) (შანიძე I, 1984). შდრ.: ალ. ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონი“: „**ლა**-ი ზმუკი! დარდულა! ზახრუმა! რაღაც საბედისწერო სიტყვაა, რომლითაც მამახურა (ნ.) თითქოს კაცს სწყევდეს (ა. შან.). [მამახურას] თუ კაც ასძრახდ შინით, „რაივ“ თუ უძახ, მამახურა უძახებს: „**ლა**ვი“, დასწყევს... (ბ. გაბ. 152, 8) (შდრ. პ. ხუბ.: **ლა**ვი“ (ჭინჭარაული 2005).

ობს...“] ზმნისა – [„მთრთოლი“...] [\***ლიგ**-ი „ტალღისებური რიტმული მოძრაობა; თრთოლა, რხევა...“]; შემდეგ კი, სემანტიკური გადაწყვეით (ვაჟას ეტიმოლოგიას თუ დავესესხებით): „თრთოლით, რხევით გამქრალი; გაქრობამდე მისული, დალეული, გალეული“.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1998** – ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, თბილისი, მერანი, 1998.

**ვაჟა-ფშაველა 1964** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1964.

**სულხან-საბა I, 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991.

**ქეგლ IV, 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. IV, თბილისი, 1955. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც.

**ქეგლ V, 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, თბილისი, 1958.

**ქართლ. ლექსიკ. 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. თბილისი, 1981.

**ღლონტი 1984** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი: ალექსანდრე ღლონტი, თბილისი, 1984.

**შანიძე 1923-1924** – აკაკი შანიძე, ჰევსურული მასალების ლექსიკონი, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული“ I-II, ტფილისი, 1923-1924.

**შანიძე I, 1984** – აკაკი შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1984.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი, 1984.

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

**ჭინჭარაული 1969** – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969.

**ჭინჭარაული 2005** – ხევსურული ლექსიკონი, ალ. ჭინჭარაული, თბილისი, 2005.

**ხორნაული 2000** – გიგი ხორნაული, ფშაური ლექსიკონი (8046 სიტყვა), თბილისი, 2000.

**Nino Khakhiashvili**Concerning the Word *m l i v i*

## Summary

In Vazha-Pshavela's poetry the word *mlivi* means a small grey cliff bird. In the Georgian language dictionary, the meaning of the said word is "thin". The word *mlivi* is semantically related to the verb "deplete". We think that *mlivi* (*m-liv-i*) can be the past participle form of the verb *\*liv-s* (to undulate). Later through the semantic modification (based on Vazha's etymology) it acquired the following meaning: disappeared through shaking; almost depleted, cf. *livlivi* "to ripple" (GLED IV, 1955).

## ნანა ხოქოლავა-მაჭავარიანი

### კვლავ *ძეგლი*-ს მნიშვნელობისათვის ქართულში

ძველსა და ახალ ქართულში სახელი **ძეგლი**<sup>1</sup> მრავალფეროვანი სემანტიკით გამოირჩევა, რაც ყურადღებას იპყრობს. სათანადო სალექსიკონო მონაცემების მიხედვით, **ძეგლი** არის: „გამოსახულება“, „ქანდაკება“, „კერპი“: „იქმნა იგი **ძეგლ** მარილის“ დაბ.19,26“; „ადილო ლოდი იგი მუნ ... და აღმართა ძეგლად“ დაბ. 28,18; „დაამკუნეს ყოველნი **ძეგლნი** ბაალისნი“ IV მფ, 10,27; „ვიქმნეთ ვითარცა ძეგლი ისი ქვისაჲ“ მ. ცხ. 338 (აბულაძე, 1973); „სამძღვარივით წერთ და ორონად<sup>2</sup> ითქმის“ (საბა, 1993); „დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად, ანუ სამძღვარად..., столн“ (ჩუბინაშვილი, 1961); „დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად ან სამზღვრად, столн памятник“; „**სამძეგლე**, ზედ. столновои“ (ჩუბინაშვილი, 1984). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. ნაგებობა ან ქანდაკება ვისიმე ან რისამე სამახსოვროდ; 2. წარსული მატერიალური კულტურის ნაშთი; 3. ძეგლი მწერლობის ნაწარმოები. 4. ისტ. კანონი (ან კანონთა კრებული), განაჩენი, დადგენილება, განწესება (ქეგლ, 1964). **ძეგლის** სინონიმებია: მონუმენტი, ობელისკი, მემორიალი (1), (საფლავზე) მატური<sup>3</sup> (ჯორჯანელი, 2003).

სახელი **ძეგლი**/(**ძენგლი**) დასტურდება აღმ. საქართველოს მთის ეთნოგრაფიულ მასალასა და დიალექტებში, შდრ.: **ძეგლი** – ღვთის სამადლობელი ზედაშე (ცოცანიძე, 2012); **ძენგლი** – ესა თუ ის ოჯახი ან გვარი ამა თუ იმ ხატს აღუთქვამდა, რომ ამა და ამ დღეობაში (დღესასწაულზე)

<sup>1</sup> **„ძეგლი** ფართო გაგებით – რაიმე ობიექტი, რომელიც ქვეყნის, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია... მ-ისთვის დამახასიათებელია აქტიური საზ. ზემოქმედების ფუნქცია, რომელიც მჟღავნდება როგორც იდეურ პროგრამაში, ისე მხატვრულ განხორციელებაში. მ. ისე იდგება, რომ მისი ხილვა მრავალმა ადამიანმა შეძლოს. იგი მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს გარემოს ორგანიზებაში. მ-ის პროტოტიპებს ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებასა და უძველეს ცივილიზაციებში ვხვდებით... პირველი მემორიალური დანიშნულების მ. ანტ. სამყაროში შეიქმნა... შუა საუკუნეების შემდეგ ქრისტ. სამყაროში მ-ის ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო ჯვარი“ (ქსე, 1987).

<sup>2</sup> **„ორონი** რომელი ითარგმანების *ძეგლად* წერილისა და საზღვრად სიტყვისა საღ-თსა მის მოქალაქობისა ნ. ძეგლი“ (საბა, 1991); შდრ.: **შიძი** – საზღვარი; **შიწი** – 1. შემოვფარვლავ, განვსაზღვრავ, საზღვარს ვუდებ, 2. ვნიშნავ; 3. საზღვრებს ვდებ, შემოვისაზღვრავ, ვითვისებ; **შირქაღ** **შირქაში** – ცალკეული ბოძებით საზღვრის დადება (გიორგობიანი, 2013).

<sup>3</sup> **მატური** – საფლავის ძეგლის ტიპი, რომელშიც იგულისხმება მრავალფეროვანი „ფეხზემდგომი“ ძეგლები. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მატური არის „სასაფლაოზე მცირე გალავანი ერთის ნათესავის მიცვალებულისთვის“, ე. ი. *საგვარეულო სასაფლაო... მატური* ადრეულ ხანაში გაიგებოდა, როგორც საგვარეულო სასაფლაოს აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, ხოლო მოგვიანებით იგი იქცა „ფეხზემდგომი საფლავის ძეგლების“ კრების სახელად (ეთნ. ლექსკ., 2013).

ყოველ წელიწადს უთევდა ღამეს, დანათლავდა დროშით, დაკლავდა საკლავს, ან მოხარშავდა ლუდს და მისთ. ძეგლი შთამომავლობაზე გადადიოდა. ამგვარად, ძეგლი ერთგვარი თვითგასამართლება იყო. ბუდის ჰევსურები დანადგებაც უწოდებდნენ და ძეგლსაც... აგრეთვე: მეძეგლე, ძეგლად აძე [სძე], ძეგლად დაიდებს. (1053), **მეძეგლე** – ვინც ძეგლი (იხ.) დაიდო (589) **ძეგლად აძე [სძე]**– ძეგლი (ი.) აკისრია (1053); **ძეგლს დაიდებს** – ძეგლს იკისრებს (1053) (ჭინჭარაული, 2005). „ძეგლის დადების მიზეზი ყოფილა **მიძიმე ავადმყოფობაც**. ავადმყოფის პატრონი ჯვარის წინაშე სდებდა აღთქმას, რომ თუ მისი წყალობით ავადმყოფი გადარჩებოდა, ძღვენ-ზედაშესა და ლოცვა-ვედრებას არ მოაკლებდა. ასეთ შემთხვევაშიც ჯვარის დღესასწაულებიდან ერთ-ერთი იქნებოდა შერჩეული“ (ქეშეკაშვილი, 1991: 83).

ძველ ქართულ ტექსტებში **ძეგლი**, ასევე, დასტურდება, როგორც იურიდიული ტერმინი, ან ამგვარ ტერმინთა ერთ-ერთი კომპონენტი: **ძეგლის-წერა** – „აქტი, ტრაქტატი, დადგენილება, ხსენება“ (აბულაძე, 1973); **ძეგლთ-დება** „განწესება აღწერილი ძეგლზე“; **ძეგლი სჯულისა** *узаконение писанное на столе* (ჩუბინაშვილი, 1984); **ძეგლი-განაჩენი** შდრ.: „ჩუენ, მეფეთა-მეფემან გიორგიმ... დავდევით ძეგლი- განაჩენი ესე მას ჟამსა“ (ქსმ, 1963: 401)...

**ძეგლ**-ი დასტურდება ტოპონიმებად, მათ შორის, ისტორიულ წყაროებშიც. შდრ.: **ძეგლევი**: 1. სოფელი არაგვსა და ქსანს შუა. 2. დაბა. მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე სოფ. **ძეგლევის** ტერიტორიაზე (ტოპოარქ. ლექსკ., 2013); 3. **ძეგლი, ძეგლის მთა** – ნაეკლესიარი ადგილი, ბორცვი კლარჯეთში. მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრების“ მე-14ს. ჟამთააღმწერლის ასწლოვან მატიანეში (ქართლ. ცხ. 2012: 249-250. არ არის შეტანილი „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიურ ლექსიკონში“). შესაძლოა აქვე შემოვიდეს მიკროტოპონიმები: **საძეგური**<sup>1</sup> (\*საძეგლური) – ადგილი ახალგორის ძეგლევთან (შდრ., ჭილაშვილი, 2001: 30); **ძეგორა** (<\*ძეგლგორა) – სერი (სიხარულიძე, 1971: 100).

„ძველი აღთქმის“ ქართულ ტექსტებში არაერთგანაა დადასტურებული **ძეგლი** და, ჩვენი დაკვირვებით, გარდა ლექსიკონებში მითითებული მნიშვნელობებისა („გამოსახულება“, „ქანდაკი“, „კერპი“), ის არის **ნიში, მანიშნებელი**: 1. უფლის სამყოფელის, წმინდა ადგილის: „[იაკობმა ლოდი] **აღმართა ძეგლად** და დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა და უწოდა ადგილსა მას „სახლი ღმრთისა“ (დაბ. 28,18); 2. ადამიანის უფალთან ურთიერთობის ადგილის: „მე ვარ ღმერთი შენი, რომელი გეჩუენე შენ ადგილსა მას ღმრთისასა, სადა-იგი სცხე **ძეგლსა ჩემსა** და **აღმითქუ მე აღთქუმა**“ (დაბ. 31,13); 3. ადამიანებს შორის უფლის წინაშე დადებული გარკვეული შეთანხმება-ვალდებულებების: „აწ მოვედ და აღვითქუათ აღთქუმა მე და შენ და იყოს საწამებელ შოვრის შენსა და ჩემსა. და თქუა:

<sup>1</sup> ახალგორის ძეგლევთან არის ადგილი სახელწოდებით „საძეგური“, სადაც აღმოჩნდა ძვ. წ V-IV სს. დათარიღებული ძვირფასი ნივთები, ცნობილი „ახალგორის განძის სახელით“. „ახალგორის ძეგლევი იმითაც არის საყურადღებო, რომ აქვე მდებარეობს საინტერესო ადგილი, რომლის სახელიც „ძეგ“–თან დაკავშირებული მგონია... ეს არის ადგილი საძეგური“ (ჭილაშვილი, 2001: 34).

აჰა-ესერა არავინ არს ჩემ თანა, აჰა-ესერა **უფალი არს მოწამე** შოვრის ჩემსა და შენსა. მოილო იაკობ **ლოდი** და აღდგა **მეგლად**“ (დაბ. 31, 44-45; იხ. ასევე, დაბ. 31, 48-52); **4.** საზღვრის (სამანი<sup>1</sup>): „აჰა, ბორცვი ესე და **მეგლი**, რი დავაფუძნეთ შს ჩმსა და შს შნსა, ნუცა შენ წიაღმოხუალ ჩემდა ბორცუსა ამას ჩემსა და **მეგლსა** ამას ბოროტებით...“ (დაბ. 31,51-54); **5.** საფლავის: „და აჰმართა იაკობ მეგლი საფლავსა ზედა რაქელისსა, ესე არს მეგლი საფლავისა რაქელისი ვიდრე დღენდელად დღედმდე“ (დაბ. 35,20); **6.** სახელის უკვდავყოფის: „აბესალომ ვიდრელა ცოცხალა იყო, აღმართა **მეგლი** ერთი საკსენებელად თავისა თვისისა უბესა ერთსა სამეფუფოსა და თქუა: არა მივის შვილი, რათა მაკსენებდეს! და ეწოდა ადგილსა მას კელ აბესალომისა აქა ჟამამდე.“ (2 მეფ. 18,18) (ხაზგასმა ყველგან ჩვენია-ნ.ხ.).

„მველ აღთქმაში“ დადასტურებული **მეგლი** ახალ ქართულ თარგმანში ძირითადად გადმოღებულია როგორც „**სვეტი**“ (დაბ.19, 26; 35,20; 28,18- 22; 31,13; 31, 44-45; 31, 51-52; 2 სჯ. 7,5; გამ. 34,13; 2 მეფ. 18,18 – ბიბლია, 1989). სინონიმებადაა წარმოდგენილი **სვეტი** და **მეგლი** „ბიბლიის ლექსიკონშიც“ (142), რაც, ვფიქრობთ, მველი ქართულისათვის ზუსტი არ უნდა იყოს. ამასთან, **მეგლი** და **სვეტი** სინონიმებად არ დასტურდება საბას „სიტყვის კონასა“ და ი. აბულაძის „მველი ქართული ენის ლექსიკონში“.

ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ **მეგლი** შეიძლება იყოს მხოლოდ **ქვის**. ის არის **ლოდი**, რომელიც **აღმართება** რაიმე დანიშნულებით, რის შემდეგაც ეს ქვა (ლოდი) ხდება **მეგლი**, **წმინდა ნიში** (შდრ: „**ლოდ-ი** „კლდე“, „ქვა“ ... „აღმართენ შენ ქვანი იგი“- 2მჯ. 27,4; **ლოდ-ი მსტუარ-ი** „ლოდი სალოცარი“, მეგლი - ლევიტ.26,1 (აბულაძე, 1973); „**ლოდი** დიდი ქვა“ (საბა, 1991); „ლოდი არს ქვა დიდი... კაცთა აღსაღებელი... ქვა კაცთაგან აღებად საჭირო...“; (საბა, 1993); „**ლოდ-ი** (ლოდისა) ძალიან დიდი ქვა“ (ქეგლ, 1955).

მველ ქართულში დადასტურებული **სვეტი/სუეტი** სათანადო ლექსიკონებში ასეა განმარტებული: „სვეტი“ (აბულაძე, 1973); „სვეტი“, „ბურჯი“ (სამოც. სიმფ. ლექსკ., 2009); „ბოძი“ (საბა, 1993); „შენობათა ქვეშ მედგმული ქვითკირისა ან ძელის დიდი ბოძი, მრგვალი, გინა კუთხეებიანი“ (ჩუბინაშვილი, 1984). ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „სუეტი/სვეტი უდრის ბერძნულს κίωv-„კიონს“-ს და στήλη- „სტელე“-ს“ (ჯავახიშვილი, 1946: 96). (შდრ.: κίωv, οὐς ἢ = στήλη - სვეტი, კოლონა; στήλη 1. ბოძი, ხიმინჯი; 2. საფლავის სტელა, გადატ. მეგლის აღმართვა; 3.სასაზღვრო ნიშანი; 4. მემორიალური სტელა; 5. ხელშეკრულება; 6. კანონი; კანონის ასლი (გიორგობიანი, 2013: 224, 423-424).

**სვეტი** შეიძლება იყოს სხვადასხვა მასალის: **ხის** (გამ. 26, 32-37; ); **რკინის** (იერ. 1,18); **ვერცხლის** (ქება 3,9-10); **ქვითკირითა** და **აგურით** ნაშე-

<sup>1</sup> შდრ.: „**სამანი** - მიწაში ჩადგმული ქვა. იდგმება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს: სოფლების ტერიტორიის გასამიჯნავად, მოსისხლეთა შერიგების ნიშნად, ვინმეს საზოგადოებიდან მოკვეთის დროს და სხვ.“ (კიკნაძე, 2009: 360). „**სამან**-ი (სამანისა) [სპარს *სამან* „ზომა“, „საზღვარი“ ] 1. საზღვარი, მიჯნა. 2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად. 3. ეთნ. მანა, ქვა, რომელსაც ასობდნენ მიწაში ვისიმე დარისხების ნიშნად.... **სამანს ჩაუსვამენ** ეთნ. ვისიმე თემიდან მოკვეთის შერისხვის ნიშნად მიწაში სამანს ჩაასობენ... **სამანში ჩატანებული** ეთნ. გადატ. ვისაც სამანი ჩაუსვებს, ვინც (რაც) შერისხეს“ (ქეგლ, VI, 1960).



ნი (ჯავახიშვილი, 1946: 96-97). **ძეგლისგან** განსხვავებულია **სვეტის** აგებულება და დანიშნულება: „სვეტი რამდენისამე ნაწილისაგან შედგებოდა და თითოეულს ნაწილს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა ხუროთმოძღვრებაში. თუმცა ზოგჯერ სვეტი პირდაპირ იატაკზეც იყო ხოლმე დადგმული, მაგრამ უფრო ხშირად სვეტს თავისი განსაკუთრებული საფუძველი ჰქონდა ხოლმე, რომელზედაც იგი დაყრდნობილი იყო. ამ საფუძველს „სვეტის ხარისხი“ ერქვა... [ის] ბერძულის თარგმანის „ბაზის“-ს უდრის... სვეტს სარქველი უნდა ჰქონოდა და ამ სარქველ ეწოდებოდა „თავი სვეტისა“... ამას გარდა სვეტისათვის ჩვენ გვაქვს საბურავი და ბულაური... სვეტს, თუ რომ ქვითკირითა და აგურით არ იყო აგებული, ქვისას აშენებდნენ. ამას „ქვის სუეტი“ ეწოდებოდა... იგი ხშირად მთელი ქვისა იყო და ამიტომ სვეტს დადგმა „აღმართვა“ (აია სოფ. 591,595) სჭირდებოდა. მაგრამ შეიძლებოდა „სვეტები კედლისა... ყოფილიყო. ხშირად სვეტები კედელში იყო დატანებული, ან არადა კედელზე იყო მიდგმული, ასეთ სვეტებს „კედელზედ აყრდნობილი“ .. ეწოდებოდა...სვეტები ან ერთ ხაზზე, გასწვრივ იდგა ხოლმე, ან „შუა მოვლით“, „მრგვლად“, „მოვლებული“... ამართული და აყრდნობილი სვეტები შეიძლებოდა ან თითო-თითო ყოფილიყო, ან ორ-ორი სვეტი მდგარიყო ერთად...“ (იქვე, ხაზი ჩვენია – ნ. ხ.).

„ძველ აღთქმაში“ **ზაგინი, ძეგლი, ლოდი, კერპი, ქანდაკი** ერთმანეთის გვერდითაც დასტურდება და, როგორც ჩანს, ისინი თავყვანისცემის სხვადასხვა ობიექტს აღნიშნავს შდრ.: „არამედ ესრეთ უყო მათ, **ზაგინები**<sup>1</sup> მათი დაამკვთ, **ძეგლები** დაჰმუსრეთ, **კერპები** მათი სერტყები დაჰკაფეთ, **ძეგლები** მათი დაწვით ცეცხლითა (2რჯლ. 7,5); „არა ჰქმნე თავისა თვისისა **ჯელითქმნული**, არცა **გამოქანდაკებული**, არცა **ძეგლი** არა **აღმართთ** თქუენ, არცა **ლოდი** სასტრად<sup>2</sup> აღსდგათ ქუეყანასა თქუენსა თაყუანის-საცემელად თქუენდა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი (ლევ. 26,1). ამასთან, **კერპი** და **ქანდაკი** ხელით ნამუშევარია, რომელიმე ღვთაების გამოქანდაკებული ფიგურაა (შდრ.: „**კერპი** აჩრდილი არსებისა, გინა წარმართ(თ) ცრუ ღთი, გინა **ჯელით** ქმნილი... **ჯელით** ქმნული ღმერთი (საბა, 1991); **კერპი** „ქანდაკებული“, „გამოქანდაკებული“, სახე, ხატი, გამოდნობილი, ღმერთი, „მსგავსება“... (აბულაძე, 1973); **ქანდაკი** ამოყვანილი, გინა ამოჭრილი (საბა, 1993); **ქანდაკი** გამოქანდაკებული, „ნაწახნაგები“; **ქანდაკებული** „კერპი“, „ჩამოსხმული“, **გამოქანდაკებული**, გამოთლილი ძეგლი; **გამოსაქანდაკებელი** გამოსასახველი, გამოსაწერელი (აბულაძე, 1973: 451; 44); **ქანდაკი-ი** – ქანდაკება; **ქანდაკებულ-ი** კერპი; გამოქანდაკებული (სარჯველაძე, 2001).

ამგვარად, ძველი ქართული განასხვავებს **ძეგლისა** და **სვეტის** დანიშნულებას, მასალას, აგებულებას. **სვეტი**<sup>3</sup> შეიძლება იყოს სხვადასხვა მა-

<sup>1</sup> **ზაგინი-ი** „ბომონი“, „ტადარი“ კერპთა (აბულაძე, 1973); „...ტადარი სამსხვერპლო (წარმართთა და ებრაელთა)... სიტყვა ირანული წარმოშობისაა, მაგრამ ქართულში შემოსული ჩანს სომხურიდან“ (გიგინეიშვილი, 2016)).

<sup>2</sup> **სტრევა** „მრვა“, „აღმრვა“ „წარმდოლა“ (აბულაძე, 1973).

<sup>3</sup> შდრ.: **სუეტ-ი** სვეტი: „სუეტითა ღრუბლისაითა ეტყოდა მათ“ **ფს. 98,7**; „სუეტნი და სუეტნის-თავნი ოქროცხებული“ **ფლკტ. 133,29**; „სვეტები ეზოსაა, რაოდენი არს კარავსა“ **რიცხვ 4, 26**; „მდებარე იყო მუნ ნაკუეთი მარმარილოსა სუეტისა“ **მ. ცხ. 247r**; „ეკუეთა სუეტსა და წყლულება შეამთხვა თავსა“ **მ.სწ. 158, 29** იხ. მესუეტე (აბულაძე, 1973). **მესუეტე**

სალისგან შექმნილი სწორი ფორმის, ხშირად რთული აგებულების, ბოძი, საყრდენი, ბურჯი (შდრ.: მსაჯ. 16, 29; 3 მეფ. 7,15-21; გამ. 26, 32-37), ხოლო გადატ. – უფლის სახე (გამ. 13, 21-22; რიცხ. 12,5); **მეგლი** კი არის **აღმართული** მასიური ქვის **ნიში**, რომელიც ზოგჯერ სათაყვანებელ ობიექტად (**კერპად**) გვევლინება.

ვფიქრობთ, ძველ ქართულში **მეგლის** ძირითადი მნიშვნელობა სწორედ **ქვის წმინდა ნიშია**<sup>1</sup>. ის არის ერთგვარი მატერიალური გამოხატულება ადამიანის მიერ უფლისა და საზოგადოების წინაშე „კავშირის შეკვრის“ (შეთანხმება-ვალდებულების, საზღვრის დადების...), რაიმე მოვლენის სამარადქამო ხსოვნის და სხვ., რაც ხშირად მასზე წარწერითაც გამოიხატება. ამგვარი ნიშები მეცნიერებაში ცნობილია **სტელას<sup>2</sup>, ქვაჯვარას<sup>3</sup>**, (გარკვეულწილად **მონოლითის<sup>4</sup>**) სახელით<sup>1</sup>. **მეგლის** ეს დანიშნულე-

– სვეტზე დაყუდებული (იქვე: 233); **მესუეტე** სვეტზე დაყუდებული... სულის მოღვაწე, რომელიც ბუნებრივი ან ხელოვნური სვეტის თავზე ცხოვრობდა ლოცვასა და მარხულობაში (შერთ. ლექს., 2008); **სუეტი**: სვეტი, ბურჯი: რომელ არს ეკლესია ღმრთისა ცხოველისა, სუეტი... ჭეშმარიტებისა, 1 ტიმ. 3,15; ეგონა სუეტად თავი თქსი, გად. 2,9; ყყო იგი სუეტი ტამარსა შინა, გამოცხ. 3,12; ფერკნი მისნი, ვითარცა სუეტნი ცეცხლისანი, გაორცხ. 10.1 (სამოც. სიმფ., ლექს., 2009). „**სვეტი**: მართ ვითა სვეტი-ა 1617,4; თავი სვეტსა შევეტაკე 558,2; ჰვარვენ ნათლისა სვეტითა 1409,2; ზედ ლხინი ადგა სვეტად 409,2; სად დაჰლარგენ სინათლისა ეგ სვეტნი 821,4“ (ვეფხ. 291); **სუეტი** – ალაშენა ერეკლე მეფემან სუეტი 230,6; ვახტანგ... დაეფლა საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა, რომელსა შინა არს ღმრთივადმართებულისა სუეტისაგან დაპყრობით 204,10 [სუეტ.]. (ქართლ. ცხ სიმფ. ლექს., 1986). **სუეტი** ბოძი . ნ. მესუეტე (საბა,1993); **მესუეტე** სვეტზედ მდგომი წმიდა (საბა, 1991); **სვეტი** შენობათა ქვეშე შედგმული ქვითკირისა ანუ ძელის დიდი ბოძი მრგვალი, გინა კუთხეებიანი (გამოს. 13,21 და 26,15; ფსალ. 74, 4), თ. დირაგ. ( ჩუბ., 1961). **სვეტი** (სპარს.), ს. შენობათა ქვეშ შედგმული ქვითკირისა ან ძელის დიდი ბოძი, მრგვალი, გინა კუთხეებიანი (ჩუბ., 1984); ქველის მიხედვით, **სვეტი** არის: 1. საგანგებო კვარცხლბეკზე დადგმული ან მიწაში ჩარჭობილი სწორი ძელი ქვის, აგურის და მისთ. მაღალი და ვიწრო ნაგებობა ცილინდრული ფორმისა; მას ეყრდნობა ჭერი, კოჭი, აივანი და სხვ.; კოლონა//მოედანზე ან ქუჩაში აღმართული ასეთივე ნაგებობა რაიმე ისტორიული ამბის აღსანიშნავად (ქველ, 1960).

<sup>1</sup> „მეგლი ადამის“ მიხედვით, წმინდა ნიში, ასევე, შეიძლება იყოს: ქვები (დაბ. 24,4; ისუ. ნავ. 4,4-9; 20,2); ბორცვი (დაბ. 31,46-47, 52), ხე (დაბ. 21. 33).

<sup>2</sup> შდრ.: „**სტელა** - 1. მემორიალური მეგლის - საფლავის ქვის, ერთ-ერთი ტიპი... სტელისებური მეგლების აღმართვის ტრადიცია მიცვალებულთა საფლავზე უძველესი დროიდან იყო გავრცელებული... ასეთი ტიპის მეგლებს „მატურის“ სახელითაც მოიხსენიებენ; 2. სალოცავი ობიექტები, რომელთა მრავალნაირი ტიპებია დადასტურებული საქართველოში. 3. სამიჯნო სტელები, რომელთა ნაწილზე რელიგიით ხელია ამოკვეთილი, როგორც მფლობელის უფლების დამადასტურებელი სიმბოლო“ (ეთნ. ლექს., 2013). „სტელები და სტელისებური მეგლები ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია მთელ მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში ... საფლავის მეგლთა ასეთი ტიპი ქრისტიანობამდელი კულტურის მონაპოვარია...“ (ნადირაძე, 2001: 118; 114).

<sup>3</sup> შდრ.: „უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წყაროები **ჯვრებს** უწოდებენ ქვის იმ მეგლებს, რომელთაც მეცნიერებაში, საზოგადოდ, **სტელები** ეწოდებათ. „აღზუმართე ესე ჯუარი“ აღნიშნულია ამ უძველეს მეგლებზე. „ჯუარი“ ეწოდება ქვის ოთხწახნაგა სვეტებსაც, სწორკუთხოვან ბრტყელ ფილებსაც და კონტურების მიხედვით გამოჭრილ ქვის ჯვრებსაც. (ჯაფარიძე, 1982: 53).

<sup>4</sup> **მონოლითი**- 1. მთლიანი ქვის ლოდი. 2. მთლიანი ქვისაგან გამოთლილი საგანი (მაგ., ქანდაკება). 3. ნიადაგის ნიმუში, გამოჭრილი ვერტიკალურად ისე, რომ მისი სტრუქტურული აგებულება არ იყოს დაშლილი (ჭაბაშვილი, 1989); „ქვაჯვარა... იგივე მონოლითებია დეფორმირებული ... ზოგი მონოლითი „ქვაჯვარა“-და გადაქცეული, ზოგი კი ობელისკად“ (მელიქსეთ-ბეგი, 1938: 110).

ბა, მაგ., „სასაზღვრო ნიში“, ჩანს საბასა და ჩუბინაშვილების განმარტებებში (იხ. ზმ); ასევე, „ხელშეკრულება-ვალდებულებების ნიშია“ ამოსავალი იურიდიულ (ძეგლი, ძეგლისწერა...) და ხალხურ ტრადიციებთან დაკავშირებულ (ძეგლი/ძენგლი) ტერმინთათვისაც (იხ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2017: 267-279).

**ძეგლის** ეს ძირითადი მნიშვნელობა („წმინდა ნიში“) **სვეტს** მოგვიანებით დაუკავშირდა (**ძეგლის** განმარტებისას სიტყვა „სვეტი“ და რუსული „стоил“, „стоил памятник“ ჩნდება ჩუბინაშვილების ლექსიკონებში) და ყველაზე ზუსტად გამოიხატა თხზული სახელით - **ნიშანსვეტი** (შდრ.: „ნიშანსვეტი-ი რისამე მანიშნებელი სვეტი, ნიშანი“- ქეგლ, 1958).

**სვეტი** სპარსული წარმომავლობის სიტყვადაა მითითებული დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (ჩუბინაშვილი, 1984). საგულისხმოა, რომ თანამედროვე სპარსულში გვაქვს **soṭun** „სვეტი“, „ბოძი, „საყრდენი“ (რუბინჩიკი, 1970)<sup>2</sup>.

თუკი **სვეტი** ქართულში შემოსულია, იგი ადრეული ნასესხობა უნდა იყოს. შესაბამისად, ნასესხობად ივარაუდება<sup>3</sup>: გა-**სუტ**-ილ-ი (მოხ.) „გამხდარი, წვრილი“ (დლონტი, 1984); **სუეტ/სეტ** (სვან.) „სვეტი“, „ბოძი“ (სვანური ლექსიკონი, 2000). შდრ.: „სეტს ჯგერაჟიმ ესერ ჳამშა ხოგ“ (სვან.) – „ბოძს წმინდა გიორგის ძალა აქვსო (უდგასო)“ (იქვე, 887); მეგრ.: **სეიტ-ალ-ი** „ასვეტილი“ (ქობალია, 2010); „უშნოდ გრძელი“ (ქაჯაია, 2002); **სეიტ**-ილ-ი „გამხდარი, წვრილი“, **ო-სეიტ**-ინ-ან-ს „წვრილია, გამხდარია“ (ჩუხუა, 200-2003: 208); **სეირტინ-ი, სეირტინუა** „უშნოდ გაზრდა სიმაღლეში“ (ქაჯაია, 2002). (**სეიტილი** - დაშრეტილი, დავსებული, ამოქოლილი; **სეიტუა** - დაშრეტა, დავსება, ამოქოლვა; **ოსეიტალი** - დასაგმანი, ამოსაქოლი (კარი); დასაშრეტი, დასავსები (თვალეები)“ (ქობალია, 2010), შესაძლოა, საფლავისა თუ აკლდამისთვის განკუთვნილი ქვის დანიშნულებას უკავშირდებოდეს).

რაც შეეხება **ძეგლ-** ფუძიან ტოპონიმებს, ვფიქრობთ, ისინი იმ ადგილთა უძველესი სახელებია, სადაც ამგვარი სტელები (წმინდა ნიშები; კერპები) იყო აღმართული. სპეციალურ ლიტერატურაში ტოპონიმ **ძეგლის** ეტიმოლოგია სამართლიანადაა დაკავშირებული აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში გავრცელებულ **ძეგლ-/ძენგლ-**თან და გამოთქმულია ვარაუ-

<sup>1</sup> სპეც. ლიტ-ში სტელასა და ქვაჯვარას თავდაპირველი დანიშნულების შესახებ მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებანი **ძეგლის** ამ სხვადასხვა მნიშვნელობისა და დანიშნულების დასტურია, შდრ.: ადრექრისტიანული სტელები და ჯვრები მიჩნეულია მემორიალურ ძეგლებად (გ.ჩუბ.); საფლავის ძეგლებად (ლ. მუსხ.), საკულტო-მემორიალურ ძეგლებად (ალ. ჯავ.); თავდაპირველად სამლოცველო დანიშნულების, შემდეგ ერთგვარი შეწირულების საგნად და სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნად, ასევე, იურიდიული ხასიათის ძეგლებად (ვ. ცისკარ.); ქვის ადრექრისტიანულ საკულტო ძეგლებად მკვეთრად გამოხატული ქრისტიანული სიმბოლიკითა და წარწერებით; ასევე: „ჯუარს“ (სტელას) აღმართავდნენ ცოცხლების სალოცველად, გარკვეული, კონკრეტული პირის... „ყოვლისა სახლისა მცველად“ (ო. ჯავ).

<sup>2</sup> შდრ., ზორჰან-ე ყათეს ლექსიკონისა მიხედვით: ფალ. stun, ავესტ. stuna, ძვ. ინდ. sthuna, ქურთ. stun, istun, ავღ. stan (ზორჰან-ე ყათე, ტ. 2., 1983, თეირანი). მასალაზე მივივითთარ რ. რამიშვილმა.

<sup>3</sup> სპეც ლიტ-ში საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია **სუტ-** ძირი, შდრ.: „ს.-ქართვ. **სუტ-** „გახდომა; წვრილი“ > ქართ. **სუტ-** „ზან. **სეიტ-** <“**სუტ-**“ (ჩუხუა, 2000-2003: 208).

დი, რომ „შესაძლებელია, „ძეგლი“ განაჩენის, ვალდებულების მნიშვნელობით წინათ არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების კუთვნილება იყო... ადგილს, სადაც უძველეს დროში ადასრულებდნენ გარკვეულ რიტუალს და რომელიც დაკავშირებული იყო გარკვეულ ვალდებულებასთან, დროთა განმავლობაში ეწოდა **ძეგლი**.“ (ჩოხარაძე, 2015: 117-118). მაგრამ რა შეიძლება იყოს ყოფილიყო ეს „გარკვეული ვალდებულება“? ვფიქრობთ, საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: **1.** სამხ. დასავლეთ საქართველოში აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მეტყველებაში სანათესაო წრის, გვარის, მეტსახელის აღმნიშვნელი ტერმინის - **ლაღაბის** - გვერდით დადასტურდა სხვა ტერმინებიც: **ძეგლი/მენგლი/მერგლი/მერგი** (მაგ., „ჩემი **მენგლია** კახაბერიძე“<sup>1</sup>). ლაზურშიც გვაქვს მეტსახელი **მენგე/მენგი** (თანდილაძე, 2013); **2.** „ძველი აღთქმის“ მიხედვით, საფლავი გაიგივებულია სამშობლოსთან, ის ერთგვარი სამანია<sup>2</sup>. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფლავს ქრისტიანულ კულტურაშიც – „სასაფლაო წარმოადგენდა ადგილს, სადაც ხდებოდა ქრისტიანი თემის შეკრება მიცვალებულთა მიმართ სადღესასწაულო რიტუალების აუცილებელი წესების შესრულების მიზნით... ეს ვითარება განაპირობებდა სასაფლაოს, **საფლავის ძეგლით მონიშვნას**“ (ნადირაძე, 2001: 56-57).

ამის გათვალისწინებით, ვვარაუდობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმები (**ძეგლი/ძეგლის მთა, ძეგლევი**...) შეიძლება გულისხმობდეს წმინდა, სათაყვანო ადგილს, სადაც იდგა **წმინდა ნიში**, შდრ.: „ძეგლი“ უნდა განვიხილოთ, როგორც „კერპთაყვანისმცემლების საკულტო ადგილი“ (ჭილაშვილი, 2001: 30-34); „...დასაშვებია, აქ უძველესი დროიდან კერპი, ძეგლი იყო აღმართული, მანამდე, ვიდრე აქ ქრისტიანული სამლოცველო აშენდებოდა...“ (ფაღავა, 2012: 205). დავძენთ, რომ ეს შეიძლება იყოს ძირითადი **საგვარეულო სალოცავი და ნიში, აღმართული ამა თუ იმ გვარის სამკვიდრო ტერიტორიის მოსანიშნად, მფარველად**, რომლის წინაშეც გვარს გარკვეული მოვალეობები ჰქონდა (აქვე მოიაზრება საგვარეულო აკლდამა-სასაფლაოც). **ძეგლი** (სტელა, ქვაჯვარი<sup>3</sup>), „იმ უძველესი ხა-

<sup>1</sup> მასალა მოგვაწოდა რ. თოფჩიშვილმა.

<sup>2</sup> შდრ.: „მას შემდგომ, რაც როსტომმა დახმარება გაუწია ცრაზმისხვევლებს, სამაგიეროდ მოითხოვა სამკვიდრო ადგილი მათ შორის. მაშინ ლარგვისის მამასახლისმა ასწავლა ხერხი: **„უკუეთუ გნებავს მკვიდრ ყოფაი ქვეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა“**. როსტომმა მოითხოვა სასაფლაო ლარგვისის მონასტერში ყველაზე საპატიო ადგილას და მიიღო კიდევაც. დროთა განმავლობაში როსტომი იმდენად გამდიდრდა, ერისთავობა მოინდომა და საამისოდ მან ასეთი არგუმენტი წამოაყენა: **„გისიგა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესია და ყოველი მიმდგომნი მისნი“** (მესხია, 1954: 321. ხაზი ჩვენი-ნ.ხ.). „[მეუღლისთვის] აზრამს უნდა გაეთხარა პირველი საფლავი უცხო მიწაზე, რომ იქ სამშობლოს თესლი დაეთესა, მკვდარი მიზარებოდა უცხო მიწას, როგორც მსხვერპლი, რომელიც მომავალი ქვეყნის საფუძველი გახდებოდა“ (კიკნაძე, 1989: 28).

<sup>3</sup>, [ქვაჯვართა]ქველი ნიმუშების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა ზემო და ქვემო ქართლი. ამჟამად უკვე ეჭვს აღარ იწვევს მათი დიდი ნაწილის გამოყენება საფლავის ქვებად... დიდი ნაწილი იყო გამოყენებული სალოცავი და სამიჯნო დანიშნულებით... ამ ტიპის ძეგლთა გამოყენება საფლავის ქვებად სათავეს იღებს V-VI საუკუნეებში...“ (ნადირაძე, 2001: 130; 133); „ისტორიული წყაროებით ქვაჯვართა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ჯვარმა მოიკიდა ფეხი. შემდეგში მის ადგილს იჭერს ტაძარი...“ (თოფურია, 1942: 63)..

ნის წესწყობილებების ნაშთი უნდა იყოს, როდესაც დაბა-სოფლის მოსახლეობა მომეტებულ ნაწილად ერთი რომელიმე გვარის, ანუ „სახლისკაცთა“-გან შესდგებოდა“ (ჯავახიშვილი, 1979: 166).

სპეც. ლიტ-ში **ძეგლი**-ს ფუძედ მიჩნეულია **ძეგლ-** (აკ. შანიძე<sup>1</sup>). სხვა მოსაზრებით, სიტყვა **ძეგლის**თვის ამოსავალია \***დეგ-** ძირი, რომელიც **დეგ-**ს (დგომა) უკავშირდება (მიქაილოვი, 1988: 110).

ჩვენი ვარაუდითაც, **ძეგლ-**ი არის **ლ-** სუფიქსით ნაწარმოები სახელი (მსგავსად: კოჭ-ლ-ი (შდრ.:კოჭ-ა), მად-ლ-ი (შდრ.: უ-მად-ურ-ი) (შდრ.: ჯორბენაძე..., 1988). შესაბამისად, გამოვაცალკევებთ ლექსიკურ ძირს - **ძეგ-** („შვერილი“). (შდრ., ასევე, ჭილაშვილი, 2001: 34). საზოგადოდ, სათანადო მასალის ანალიზზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ საერთოქართველურ დონეზე აღდგება ალტერნირებული ლექსიკური ძირები: \***მაგ-//ძეგ->ძეგ-ტ** „ჩხვლეტა-სიძულვილი“ // „შვერილი“ > // „ეკლიანი (საძულველი) მცენარე“. (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2016: 117-135). (**ძეგ-ლ-** ს უშუალო შესატყვისობები ქართველურ ენებში არ უჩანს, თუმცა საგულისხმოა მეგრული: **ჯაგ-ა** „მძლავრი, ღონიერი...“ (ქობალია, 2010); **ჯაგ-ურ-ა/ჯაკ-ურ-ა** - მამაკაცის საკუთარი სახელი (მოკ. მასალა - ნ.ხ.).

სემანტიკური გადასვლები ასე წარმოგვიდგენია: ლექსიკური ძირი \***ძეგ-** „შვერილი“, „წვეტიანი რამ“ > **ძეგ-ლ-ი** „აღმართული ლოდი განსაკუთრებული დანიშნულებებით (აღთქმა, შეთანხმება, ვალდებულება, ხსოვნა, სამანი; სათაყვანო“ > „მატური“, „ქანდაკება“; (>„წარსული მატერიალური კულტურის ნაშთი“, „ძველი მწერლობის ნაწარმოები“); ტერმინები: ეთნ. „ერთგვარი ვალდებულება ხატ-სალოცავებისადმი“, „აღთქმული ზედაშე“; იურდ. „საყოველთაო კანონთა ნივთიერი გამოხატულება (სვეტი, ხელნაწერი)“.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**ბიბლია 1989**, – თბილისი, 1989.

**ბიბ. ლექსკ., 2009** – ბიბლიის ლექსიკონი, (მასალები), ტ. II, თბილისი, 2009.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი, 2016.

**გიორგობიანი 2013** – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2013.

<sup>1</sup> შდრ.: „ზოგიერთ **ეგ-**იან გეოგრაფიულ სახელს ფუძედ გამოყენებული აქვს ქართულში კარგად ცნობილი საზოგადო სახელი: **ვამლ-**ი - ვამლ-ეგ-ი, **ძეგლ-**ი - ძეგლ-ეგ-ი... ეს კი გვაფიქრებინებს, რომ **ეგ** აქ უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი. მაშასადამე, *ვაშლევი, ძეგლევი* დღევანდელ სალიტერატურო ენაზე იქნება: ვაშლები, ძეგლები (შანიძე, 1981: 441, 442; ხაზი ჩვენია--ნ.ხ.).

**თანდილავა 2013** – ალ. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.

**თოფურია 1942** – ვ. თოფურია, ქვაჯვარნი საქართველოში, მსკი, ტ. IV, თბილისი, 1942.

**კიკნაძე 2009** – ზ. კიკნაძე, ანდრეზები, 2009, თბილისი.

**ეთნ. ლექსკ., 2013** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2013.

**მელიქსეთ-ბეგი 1938** – მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938.

**მესხია 1954** – შ. მესხია, ძველი ერისთავთა, მსკი, თბილისი, 1954.

**მიქაილოვი 1988** – К. Ш. Микаилов, несколько картвельских этимологий, იკე, ტ. XXVII, თბილისი, 1988.

**მც. სჯ. კან., 1972** – მცირე სჯულის კანონი, გამ. მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.

**მცხ. ხელნ., 1981** – მცხეთური ხელნაწერი, (მოსეს ხუთ-წიგნეული, ისუ ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981.

**ნადირაძე 2001** – ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, თბილისი, 2001.

**რუბინჩიკო 1970** – Рубинчик Ю.А., Персидско-русский словарь, Масква, 1970.

**საბა 1991; 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991; 1993.

**სარჯველაძე 2001** – სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

**სვანური ლექსიკონი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**სამოც. სიმფ. ლექსკ., 2009** – ქართული სამოციქულო სიმფონია ლექსიკონი, თბილისი, 2009.

**სიხარულიძე 1971** – ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმთა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბილისი, 1971.

**ფაღავა, 2012** – მ. ფაღავა, ძველისა და მოძნადორის ეტიმოლოგიისათვის, ბსუ-ს ქრისტიანული კვლევის ცენტრის კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ტ. IV, თბილისი, 2012.

**ქსმ, 1963** – ქართული სამართლის ძეგლები, I, თბილისი, 1963.

**ქართლ. ცხ. სიმფ. ლექსკ., 1986** – ქართლის ცხოვრების სიმფონია ლექსიკონი, II, თბილისი, 1986.

**ქართლის ცხოვრება 2012** – ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბილისი, 2012.

**ტოპოარქ. ლექსკ., 2013** – ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2013.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 2002.

**ქსე, 1987** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11, თბილისი, 1987.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩი-ქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964, თბილისი, 1950-1964.

**ქეშაკაშვილი 1991** – ი. ქეშაკაშვილი, ძეგლის გავრცელების არეალის და მნიშვნელობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

**ქობალაია 2010** – ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

**ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

**შანიძე, 1981** – ავ. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981.

**შერთ. ლექსკ., 2008** – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შემდგენელი გრ. რუხაძე, თბილისი, 2008.

**ჩოხარაძე 2015** – მ. ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015.

**ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

**ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ავ. შანიძემ, მეორე ოფსეტური გამოცემა, თბილისი, 1984.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

**ცოცანიძე 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2012.

**ძგ.აღ., 1989** – წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, თბილისი, 1989.

**ჭაბაშვილი 1989** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989.

**ჭილაშვილი 2001** – ლ. ჭილაშვილი, ტოპონიმიკური შენიშვნები, თბილისი, 2001.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2016** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარის ეკლიანობით მოტივირებულ ფიტონიმთა ლექსიკური ძირების ერთი წყებისათვის ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, XII, თბილისი, 2016.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2017** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ერთი რიგის იურიდიული ტერმინებისათვის (*ძეგლი, ძეგლისწერა, ძეგლისდება*), ქართული ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი, 2017.

**ჯავახიშვილი 1979** – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1979.

**ჯავახიშვილი 1946** – ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946.

**ჯაფარიძე 1982** – ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბილისი, 1982.

**ჯორბენაძე..., 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**ჯორჯანელი 2003** – ვ. ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, თბილისი, 2003.

### **Nana Khocholava-Machavariani**

## On the Meaning of the Word *zegli* in Georgian

### Summary

In old and new Georgian, the word *zegli* “monument” is distinguished with a wide variety of semantics.

According to the Georgian texts of the Old Testament the main meaning of *zegli* is a hovel except for the dictionary definitions “*gamosaxulcba*”, “*kandaḳi*”, “*ḳerpi*”;

Old Georgian differentiates the purposes, material, structures of *zegli* “monument” and *sveti* “column”. *sveti* can be a straight column/pillar having a complex structure while *zegli* is an erected big stone, a hovel. It is a kind of material expression of a relationship, remembrance of any occurrence, etc. by a man for God and the society that is sometimes shown even in the inscription. Such things are known as a stela or a monolith in science.

We suppose that the word *zegl-i* was derived by the suffix *-i* like *ḳoḳl-i* “lame” (cf.: *ḳoḳ-a* “coil”), *mad-l-i* “blessing” (cf.: *u-mad-ur-i* “thankless”), etc. Accordingly, we separate the lexical root *zng-* “corbel”. On the basis of the relevant material we think that the alternate lexical roots can be restored at the Common Kartvelian level, e.g. *\*zag/zcg-* > *zcg- wčxvleḥa-sizulvili* “prick-hatred” // *šverili* “corbel” > // *eḳliani (sazulveli) mcnare* “Thorny (hateful) plant”.

We believe that the semantic transitions are as follows: the lexical root *ziri \*zcg-* “corbel; bristly thing” > *zcg-l-i* “n erected big stone”, a stela having a specific purpose (agreement, obligation, memory, etc.) > *maḥuri, qandakeba* “monument”; (> remains of material culture, the old writing); Terms: ethn. A kind of commitment to the temples, sacramental wine; leg. A general rule, ordinance.



## ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ჟ ი უ ლ ი ბ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა

### ქართული ენის სამხრული დიალექტების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე

ქართული ენის დიალექტთა გამოყოფისა და დაჯგუფების შესახებ მსჯელობისას სამხრულ-დასავლურ დიალექტად მიიჩნევენ **იმერხეულ** დიალექტს. გამოკვლევებში იმერხეულის სინონიმად **კლარჯულიც** მოიხსენიება. 1963 წელს ვარლამ თოფურია წერდა: „ისტორიულად დამოუკიდებელი კილო იყო კლარჯული (იმერხეული), რომლის მატარებელი ქართველები შავშეთ-კლარჯეთის სოფლებში ცხოვრობენ მდ. იმერხევის აუზში. ეს მცირე ნაწილია სამხრეთ საქართველოს ტაო-კლარჯეთის დიდი და ძლიერი სამეფოსი, რომელიც IX საუკუნეში შეიქმნა. იგი მოიცავს შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს (თორთუმს, ოლთისს) და სხვა მხარეებს“ (თოფურია, 1963, 164). უფრო ადრე, 1961 წელს აღნიშნული დიალექტის მიმოხილვისას ვ. თოფურია მას იმერხეულს უწოდებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „შეიძლება კლარჯული (ან შავშურ-კლარჯული) დარქმეოდა. იმერხეულის გარდა უთუოდ სხვა დიალექტური ერთეულებიც იყო სამხრეთ საქართველოში“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 375). ასე რომ, ამ ტერიტორიაზე რამდენიმე დიალექტის შესახებ ისტორიულად შეიძლება საუბარი, XX საუკუნის ვითარების მიხედვით მხოლოდ ერთი დიალექტის შესახებ უნდა ვისაუბროთ... როგორც ვთქვით, ტერმინიც არაა ერთგვაროვანი: იმერხეული (კლარჯული) / კლარჯული (იმერხეული) / შავშური (კლარჯული)... ამის მიზეზი ისაა, რომ ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მეტყველების შესახებ XX საუკუნეში მწირი ცნობები მოგვეპოვებოდა. „იმერხეულ კილოს ვიცნობთ იმ მოკლე მიმოხილვითა და მცირე ჩანაწერებით, რომელიც გამოაქვეყნა ნიკო მარმა შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში 1911 წელს“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 375). „ქართული დიალექტოლოგიის“ ქრესტომათიაში სწორედ ამ „დღიურებიდან“ არის ამოკრებილი მასალა. შემდგომ ბ. ჯორბენაძემ კლარჯული დიალექტის ლინგვისტური ანალიზი სწორედ ამ მასალის საფუძველზე შეძლო (ჯორბენაძე, 1989, 577-588)...

პრობლემას ისიც ქმნიდა, რომ 1911 წელს პეტერბურგში გამოცემული ნ. მარის წიგნი „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა... ამ მხარის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის შრომები, მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით ნ. მარის „დღიურებს“ სხვა ფასი აქვს...

XX საუკუნის მიწურულს პოლიტიკური ვითარება შეიცვალა; შესაძლებელი გახდა „იქითა საქართველოში“ გასვლა და ლინგვისტური მასალის მოპოვება.

1989 წელს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს ბესარიონ ჯორბენაძეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის

დოცენტმა შუშანა ფუტკარაძემ თავისი განზრახვა გაანდო და მხარდაჭერა სთხოვა. ბ. ჯორბენაძისა და ინსტიტუტის საპატიო დირექტორის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის აქტიური მხარდაჭერით შ. ფუტკარაძემ შეძლო 1989 წელს ემოგზაურა თურქეთში, ისტორიულ ქართულ მიწაზე. სწორედ ქ. ლომთათიძისა და ბ. ჯორბენაძის ხსოვნას მიუძღვნა ავტორმა 2016 წელს გამოცემული „ჩვენებურების ქართულის“ მე-2 წიგნი... შ. ფუტკარაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც ნ. მარის მოგზაურობის შემდეგ (1904 წ.) შეძლო ადგილზე ჩაეწერა ქართული დიალექტური მასალა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მნიშვნელობა იმ მასალისა, რომელიც მოიპოვა შ. ფუტკარაძემ. ახლაც მახსოვს, როგორი მღელვარებითა და აღტაცებით ვეცნობოდით საკმაოდ რთულ პირობებში ჩაწერილ აუდიო და ვიდეო მასალას ენათმეცნიერების ინსტიტუტში... ამ მასალის საფუძველზე შ. ფუტკარაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1995 წელს. მან მის მიერ მოპოვებული მასალა და გამოკვლევა ორ წიგნად გამოსცა: „ჩვენებურების ქართული“, წიგნი I (ტექსტები და სალექსიკონო მასალა), 1993 წ.; წიგნი II (გამოკვლევა), 2016 წ.

გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი „ჭოროხის ქვეყნების“ მეცნიერულ შესწავლას გასული საუკუნის 90-იან წლებში მიეცა. ეს საქმე ითავა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა. აქ 1995 წელს ჩამოყალიბდა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“. იმავე წელს მოეწყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია ტაოში (ხელ-ლი დოც. მამია ფაღავა; წევრები, დოცენტები მერი ცინცაძე, ლილე თანდილავა, ელგუჯა მაკარიძე, რევაზ დიასამიძე და მძლოლი ტარიელ ნიჭარაძე). ასე დაედო სათავე ამ მხარის შემსწავლელ კომპლექსურ ექსპედიციებს. 2000 წელს ზემოხსენებული ლაბორატორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომელიც 2004 წელს გადაკეთდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრად“. 2009 წლიდან ეს ცენტრი „ქართველოლოგიის ინსტიტუტად“ იწოდება. ხელმძღვანელი ამ სტრუქტურული ერთეულისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და გახშირებული ექსპედიციებისა არის პროფესორი მამია ფაღავა. ესეც ვთქვათ: მამია ფაღავამ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი სწორედ „ჭოროხის ქვეყნების“ მეტყველებას ეხებოდა (2004 წ.)...

ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ქართულ დიალექტოლოგიაში კორექტივები შეიტანა; სამხრეთ-დასავლური ქართულის დიალექტური დიფერენციაციის ორი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი:

I. შ. ფუტკარაძის აზრით, „ტაო-კლარჯულ ქართულში გამოიყოფა რამდენიმე დიალექტური ერთეული, როგორცაა: იმერხეული (ისტორიული შავშური), ლივანური, მაჭახლური და ტაოს ქართული. მათ შორის ექცევა აჭარულიც“ (ფუტკარაძე, 1995). ავტორი მიმოიხილავს „მუჰაჯირთა მეტყველებას“, მაგრამ მას არ უწოდებს დიალექტს. აღნიშნავს, რომ მუჰაჯირთა მეტყველებას „შენარჩუნებული აქვს 100-150 წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე“ (ფუტკარაძე, 1995). ავტორი ტაო-კლარჯულში ხუთი დიალექტის გამოყოფისათვის ასეთ საფუძველს ხედავს: „ამ დია-

ლექტების განმსაზღვრელი ენობრივი ნიშნები ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს. კერძოდ: იმერხეული იმერხეველებს შორის იმერხევეშია გავრცელებული; ლივანური – ლივანში, მაჭახლური – მაჭახელში, ტაოს ქართული – ტაოში“ (ფუტკარაძე, 1995).

იმერხეულის გვერდით ლივანური, მაჭახლური და ტაოური დიალექტების გამოყოფას მხარს უჭერს ტ. ფუტკარაძე; ერთი დაზუსტებით: „მუჰაჯირთა ქართულს“ (ჩვენებურების ქართულს) იგი დიალექტად მოი-აზრებს (ფუტკარაძე, 2003).

ეს არის ერთი ვარიანტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართულის დიალექტური დაყოფისა:

1. იმერხეული (ისტორიული შავშეთი)
2. ლივანური
3. მაჭახლური
4. ტოს ქართული
- (5. მუჰაჯირთა ქართული)

განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს მ. ფაღავა. მისი აზრით, სამხრულ-დასავლურ ქართულში ოთხი დიალექტი უნდა გამოიყოფოს:

1. აჭარული (კილოკავებით ზემოაჭარული, ქვემოაჭარულით, ქობულეთური)
2. შავშური (კილოკავებით მაჭახლური და იმერხეული)
3. კლარჯული (იგივე ლივანური)
4. ტაოური

მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულს იგი ნარევი მეტყველებად თვლის და მას სამხრული მეტყველების შესასწავლ დამატებით მასალად მიიჩნევს (ფაღავა, 2004).

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მ. ფაღავას თავდაპირველი დასკვნები ემყარებოდა სამხრული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის ანალიზს, ხოლო შ. ფუტკარაძისა – ცალკეულ ნაირსახეობათა ლინგვისტურ ანალიზს. დასკვნების სხვადასხვაობა, შეიძლება იფიქროს კაცმა, ამის შედეგია; მაგრამ არა გვეგონია, ასე იყოს...

ის ფაქტი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში არ არის ერთგვარობა ზოგადად დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივიცაა: სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა პრინციპით ახდენს კლასიფიკაციას.

მოგვიანებით სამხრული მეტყველების ინტენსიური შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით მ. ფაღავამ ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა:

– შავშური კილო // შავშური დიალექტი **კილოკავებით**: იმერხეული, მაჭახლური.

– კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი **კილოკავებით**: ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული (ლივანური).

– ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.

– აჭარული კილო // აჭარული დიალექტი **კილოკავებით**: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.

**აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური** ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს // სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ“ (ფალავა, 2003; 2013).

მომავალმა კვლევა-ძიებამ სურათი შეიძლება გარკვეულწილად შეცვალოს; ყოველ შემთხვევაში შეიძლება დაზუსტდეს ვითარება. ამჯერად ჩვენთვის ეს ვარიანტია საყრდენი. ამ თვალსაზრისს ვემყარებოდით მაშინაც, როცა „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ II წიგნზე ვმუშაობდით (გამოცა 2016 წელს) და მაშინაც, როცა „ახალი ქართული ენის“ III და IV წიგნებს ვამზადებდით (გამოცა 2017 წელს). სწორედ ჩვენი თხოვნით ამ გამოცემებისათვის მამია ფალავამ და ნანა ცეცხლაძემ შეადგინეს შავშური, კლარჯული და ტაოური დიალექტების სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები, რისთვისაც მათ კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას: ამ ცდით შევძელით ქართული დიალექტური სივრცის მეტ-ნაკლებად სრული სურათის შექმნა. თუმცა ჩვენს ზემოდასახელებულ გამოცემებში ყველა შემთხვევაში შეიძლება ვერ გავითვალისწინეთ ეს ახალი კვლევის შედეგები და ტრადიციულად თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველება იმერხეულად მოვიხსენიეთ – ეს ინერციისა და ტრადიციული ლიტერატურის გავლენაა... და კიდევ, სამეცნიერო ლიტერატურაში როცა იმერხეულზე საუბრობდნენ, ძნელია ამჯერად გავარკვიოთ თანამედროვე კლასიფიკაციით მეტყველების რომელ ნაირსახეობაზეა საუბარი...

როგორც ვთქვით, 1995 წლიდან ბათუმის უნივერსიტეტში დაიწყო გეგმაზომიერი კომპლექსური შესწავლა „ჭოროხის ქვეყნებისა“. შეიქმნა მუდმივმოქმედი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია; გაიმართა 16 სამეცნიერო კონფერენცია, დაარსდა და გამოიცა 11 „კრებული“, რომელშიც ექსპედიციებისა და კონფერენციების მასალებია გამოქვეყნებული. მართლაცდა შთამბეჭდავი სტატისტიკაა... ექსპედიციები მოიწყო ზემოაჭარაში (ხიხაძისა და ღორჯომში), შავშეთში, კლარჯეთში, ტაოსა და მუჰაჯირთა დასახლებებში...

როგორც ვთქვით, გასული საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა **ნიკო მარმა** და დავიტოვა ფასდაუდებელი მასალა ამ მხარის შესასწავლად. როცა ჩვენი ბათუმელი მეგობრები შეუდგნენ ამ დიდ საქმეს, ნ. მარის დღიურები მათთვის ერთგვარი გზამკვლევი იყო... „დღიურებში“ აღწერილი იქითა საქართველო უკვე ისტორია იყო; საუკუნის წინანდელი აღწერა ისეთ სურათს იწახავს, ამჟამად რომ მისი ნახვა (ყოველ შემთხვევაში იმ სახით) აღარ შეიძლება; ზოგი რამის კვალიც აღარ ჩანს... შედარებისათვის: 2016 წელს რუსთაველის საზოგადოებამ მოაწყო რამდენიმე დღიანი ექსპედიცია შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში. პირველი, რამაც საოცრად ჩაგვწყვიტა გული, ტბეთის მონასტრის ნანგრევები იყო; საუკუნეების წინანდელი სუნთქვა ჩამოშლილი კედლების ნანგრევებში იკარგება; გროვად ჩაყრილ ქვებსა და ჩუქურთმებში... ნ. მარმა შემოგვინახა ტბეთის მონასტრის სურათი: ტაძარი ჯერ კიდევ მხნედ დგას; ნ. მარი „დღიურებში“ წერს: „ძველ ეკლესიასთან ვართ, რომელიც ერთი შეხედვით არ იმსახურებს ნანგრევების სახელს. დაცარიელებული, მიძინებული, კარგად შემკული ეკ-

ლესია შემალღებაზე. ტაძარი მიმართულია არმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ გადახრით“ (მარი, 2015, 116)...

ვთქვით, ნ. მარის „დღიურები“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. დღის წესრიგში დადგა ამ დღიურების თარგმნა და გამოცემა; ეს ჩანაფიქრი აისრულეს და 2015 წელს ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა **ნიკო მარის „შავშეთისა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“**. წიგნი შესანიშნავად თარგმნა ისტორიკოსმა რევაზ დიასამიძემ. ამ გამოცემაშიც დიდია წვლილი მამია ფაღავასი, როგორც რედაქტორის, გამოკვლევისა და შენიშვნების ავტორისა; როგორც მ. ფაღავა აღნიშნავს, ამ საშურ საქმეში ჯგუფის სხვა წევრებსაც მიუძღვის წვლილი (ზ. შაშიკაძეს, თ. ჩოხარაძეს, ნ. მგელაძეს, თ. შიოშვილს, ლ. მელიოიან-ფუტკარაძეს). **ეს ერთი დიდი საქმეც გაკეთდა:** „არადა, მის (ამ წიგნის - გ.გ.) საჭიროებას ყოველდღიურად გრძნობს ქართული ყოფისა და კულტურის მკვლევარი, განსაკუთრებით ის, ვინც თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ქართულ პროვინციებს იკვლევს“ (მარი, 2015, 5).

ეს იმდენად მნიშვნელოვანი გამოცემაა, რომ შეიძლება მასზე ვრცლად მსჯელობა, მაგრამ წინამდებარე მოკლე მიმოხილვაში ამით დავკმაყოფილდეთ... სხვაც ბევრი გვაქვს სათქმელი.

ცხადია, ბათუმის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ცენტრის საქმიანობის შესახებ სრულად ვერ ვისაუბრებთ, მკითხველს ინფორმაცია გვინდა მოვაწოდოთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოცემაზე.

კომპლექსურმა ექსპედიციებმა, მათ საფუძველზე გამართულმა სამეცნიერო კონფერენციებმა თუ გამოცემულმა კრებულებმა გააჩინა იდეა, მონოგრაფიულად შესწავლილიყო, უფრო სწორად, მონოგრაფიებში მოქცეულიყო სამხრეთ საქართველოს „ქვეყნების“ შესახებ მოპოვებული და გაანალიზებული მასალა. პირველი ასეთი ცდა შავშეთის ქვეყანას მიეძღვნა.

**შავშეთის** ქვეყნის კომპლექსური ექსპედიციის წევრები იყვნენ: დოც. **მ. ცინცაძე**, პროფ. **მ. ფაღავა** (დიალექტოლოგია), დოც. **ნ. ცეცხლაძე** (ონომასტიკა), პროფ. **თ. შიოშვილი** (ფოლკლორი), პროფ. **შ. მამულაძე** (არქეოლოგია), პროფ. **თ. ფუტკარაძე** (ეთნოლოგია), დოც. **მ. ჩოხარაძე**, დოც. **ზ. შაშიკაძე** (ისტორია), მოგვიანებით ჯგუფს შეუერთდა დოქტორი **გ. ჩოხარაძე**. სამხრეთ საქართველოს შესწავლის ისტორიაში ეს იყო პირველი ასეთი მასშტაბური ექსპედიცია. შედგა მომავალი მონოგრაფიის გეგმაც:

ნაწ. I. **გამოკვლევები**

**თავი 1. შავშეთის ისტორია**

**თავი 2. შავშეთის მატერიალური კულტურა**

**თავი 3. შავშეთის ეთნოლოგია**

**თავი 4. შავშური კილო**

**თავი 5. შავშური ტოპონიმია**

**თავი 6. შავშური ფოლკლორი**

ნაწ. II. შავშური დიალექტისა და ფოლკლორის მასალები ლექსიკონითურთ.

მონოგრაფიას უნდა დართოდა ასევე შავშური ყოფისა და მატერიალური კულტურის ამსახველი ფოტომასალა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი 2008 წელს დააფინანსა „რუსთაველის ფონდმა“.

არსებული ისტორიული და სამეცნიერო მასალის საფუძვლიანმა ანალიზმა, კომპლექსური ექსპედიციების (2005, 2009, 2010 წლებში) მოპოვებულმა მდიდარმა მასალამ ექსპედიციის წევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ

„1. ისტორიული შავშეთის ერთ ნაწილში, ე. წ. მექართულე შავშეთში კარგადაა გადარჩენილი ქართული ენა (შავშური კილო), ფოლკლორი, ეთნოლოგიური ყოფა. ქართულად ლაპარაკობენ უფრო მეტად უფროსი და საშუალო ასაკის შავშელები, ახალგაზრდობამ უმეტესად ქართული აღარ იცის...“

2. შავშეთის მეორე ნაწილში, ე. წ. მეთურქულე შავშეთში ქართული ენა დაუფიწყიათ. აქაური მოსახლეობის უმეტესობა მშობლიურენადაკარგული ქართველია... ქართულის ცოდნა-არცოდნის გამო ერთმანეთისგან გაიმიჯნა იმერხევი და შავშეთი, ისტორიულად და ტერიტორიულად ერთი კუთხე – შავშეთი ორ კუთხედ იქნა გააზრებული... მეთურქულე შავშეთში ჯერ კიდევ გადარჩენილია ქართული ყოფის ელემენტები, თურქულით შეცვლილი ქართული ენა კი შეფარებულია აქაურთა თურქულ მეტყველებაში; ბევრი ლექსიკური ერთეული ბუნებრივად ისმის შავშელთა თურქულში... უმეტესად შენახულია ქართული გეოგრაფიული სახელები...“

3. შავშეთის მთელი ქვეყანა მოფენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებით: ეკლესიებით, ხიდებით, საფორტეფიკაციო ნაგებობებით – ციხე-კოშკებით, დარანებით (სახიზნარები), მარნებით, საწნახელებით...“

ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა“ (შავშეთი, 2011, 6).

დიახ, ექსპედიციებმა ის აზრი განამტკიცა, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული „ქვეყანა“ – სპერი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა. ამ კულტურულმა სივრცემ თავისი წვლილი შეიტანა ერთიანი ქართული კულტურის მშენებლობაში...“

გეგმა შთამბეჭდავი იყო; მოპოვებული საანალიზო მასალა მნიშვნელოვანი; კვლევის შედეგები ასევე მნიშვნელოვანი!.. და ეს შედეგები შეიკრა ერთ ვრცელ მონოგრაფიად, რომელიც **2011 წელს გამოცა** ქართველოლოგიურმა ცენტრმა: **„შავშეთი“** (618 გვ.)...

ცხადია, ამ მცირე წერილში ვერ შევძლებთ ამ მონოგრაფის ღირსეულად წარმოჩენას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ესაა სამაგიდო წიგნი ქართული ენისა და კულტურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის მკვლევართათვის; სანიმუშო თავისი შედგენილობით, კვლევის მეთოდოლოგიით და საქმისადმი ერთგულებითა და თავდადებით!...

დადგა ჯერი ჭოროხის სხვა „ქვეყნებისა“. „შავშეთის“ შემდეგ „კლარჯეთი“ ჩაიფიქრეს და **2016 წელს გამოცა კიდევ „კლარჯეთი“** (გამომცემლობა „სამშობლო“, ბათუმი, 2016, 1090 გვ.). წიგის ავტორები არიან: **მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მათა ზარამიძე, მალხაზ ჩოხრაძე, თინა შიოშვილი,**

**შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე.**

მონოგრაფია ძირითადად ემყარება 2007-2015 ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ მასალას; ასევე სხვადასხვა დროს სხვა ავტორთა მიერ შეკრებილ მასალებს... წიგნზე ავტორებთან ერთად მუშაობდნენ მხატვარ-არქიტექტორები **ჯემალ მიქელაძე** და **გიორგი დუმბაძე**. ასევე ექსპედიციებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ **ნუგზარ ცეცხლაძე, რუსლან ზარამიძე, თამთა ხალვაში, თამარ ჩოხარაძე** და **ბაქარ ჩოხარაძე**...

ასეთი წიგნები იმსახუებენ იმას, რომ მათი წარდგინება ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე მოხდეს, ღრმა ანალიზის საგანი გახდეს, ფართოდ გაშუქდეს, ღირსეულად დაფასდეს!... თუმცა ეს მომავლის საქმე მგონია; ამჯერად წიგნის გეგმას გავაცნობ მკითხველს და ამით გავუჩინთ სურვილს კრებულთან შეხვედრისა:

I ნაწილი

- თავი I. კლარჯეთის ისტორიიდან;
- თავი II. კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლები;
- თავი III. ლიტერატურულ-მწიგნობრული ძეგლები კლარჯეთში;
- თავი IV. კლარჯული სოფლები;
- თავი V. კლარჯეთის ეთნოგრაფია;
- თავი VI. კლარჯული ფოლკლორი;
- თავი VII. კლარჯული კილო;
- თავი VIII. კლარჯეთის ტოპონიმია;

II ნაწილი

- I. კლარჯული ფოლკლორის მასალები (ვარიანტებითურთ);
  - II. კლარჯული კილოს მასალები.
- ლექსიკონი.

რამდენადაც ვიცი, ბათუმელმა კოლეგებმა 2017 წელს ახალი გრანტი მოიგეს და ტაოს შესახებაც იგეგმება ასეთივე მონოგრაფიის შექმნა!

„შავშეთი“! „კლარჯეთი“! „ტაო“! დიდებული საქმეა! „მუჰაჯირების ქართული“ რიგშია...

ზემოთაც ვთქვით: მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას ქართველოლოგიური ცენტრის თანამშრომლები დამოუკიდებელ დიალექტად არ განიხილავენ; მათი აზრით, მუჰაჯირთა ქართული ნარევი მეტყველებაა და დამატებითი მასალა სამხრულ-დასავლური ქართულის შესასწავლად.

2012-2016 წლებში ქართველოლოგიის ცენტრმა მოაწყო 5 კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პრovinციაში გაშენებულ მუჰაჯირთა დასახლებებში. რამდენიმე წიგნიც ჩაიფიქრეს. 2017 წელს ბათუმის უნივერსიტეტმა გამოსცა ამ სერიის პირველი წიგნი; სრულად: **„ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში. წიგნი პირველი. მაჰახლელი მუჰაჯირები“** 450 გვ.) წიგნის ავტორები არიან **მ. ფა-**

**დავა, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, მ. ზარამიძე, ზ. შარვაძე, ნ. მგელაძე, რ. ზარამიძე.**

მონოგრაფიაში საისტორიო წყაროებისა და კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს შეკრებილ მასალაზე დაყრდნობით მოთხრობილია მაჭახლის ისტორია, მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნოლოგიური ყოფა, ფოლკლორი, მეტყველების თავისებურებანი... აქვე დაბეჭდილია ფოლკლორული და დიალექტური მასალა ლექსიკონითურთ... სამართლიანად მიუთითებენ ავტორები: „მუჰაჯირობისა და მუჰაჯირთა პრობლემების კვლევა ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი ამოცანაა; მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭოროხის აუზის შესასწავლად, როგორც ჭოროხის „ქვეყნების“ ისტორიული ვითარების რეკონსტრუქციის პირველხარისხოვან და, ვიტყვით, შემავსებელ წყაროს“ (გვ. 5)...

მუჰაჯირობა და მუჰაჯირები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფართო (მრავლისმომცველი) თემაა. ეს პირველი წიგნი შემოგვთავაზეს ბათუმელმა კოლეგებმა. იმედია, ასეთივე წარმატებით გასრულდება სხვა წიგნების გამოცემაც...

ამ თემაზე საუბრისას კიდევ ერთ წიგნს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას: გასულ წელს **მამია ფაღავამ და ნანა ცეცხლაძემ** საინტერესო ნაშრომი შემოგვთავაზეს: „**სამხრული კილოები – ბრუნებისა და უღლების პარადიგმები**“ (გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2017, 336 გვ.). ეს ფაქტობრივ გაგრძელებაა იმ ცდისა, ზემოთ რომ აღვნიშნეთ – „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ II წიგნში რომ დაიბეჭდა: შავშურის, კლარჯულისა და ტაოურის ბრუნებისა და უღლების პარადიგმის ნიმუშებისა. ამ გამოცემაში ეს პარადიგმები შევსებულია და აქვე აჭარული დიალექტის პარადიგმებიცაა წარმოდგენილი. ასე რომ, ოთხივე სამხრული კილოს (მ. ფაღავას თვალსაზრისით) პარადიგმებს შეიძლება გავეცნოთ ამ წიგნში, ვიმსჯელოთ, დავეთანხმოთ თუ არა სამხრული დიალექტების ავტორისეულ კლასიფიკაციას... ეს ნაშრომი ამაშიც დაგვეხმარება და ამითაც იმსახურებს გამორჩეულ შეფასებას!..

ჩვენ ზემოთ ნიკო მარის „დღიურებზე“ ვისაუბრეთ. როგორც ჩანს, სწორედ ეს „დღიურები“ იყო სტიმულის მიმცემი **მამია ფაღავასათვის**, როცა მკითხველის წინაშე სამი მნიშვნელოვანი წიგნით წარდგა:

„**შავშური ჩანაწერები**“ (გამომცემლობა „ჰოროსი XXI“, თბილისი, 2011, 362 გვ.);

„**მუჰაჯირთა შთამომავლებთან**“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2016, 494 გვ.);

„**კლარჯული ჩანაწერები**“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017, 452 გვ.).

ნ. მარის „დღიურები“ შემთხვევით არ მიხსენებია: ეს წიგნები არ არის მოგზაურის მხატვრული ჩანაწერები; ეს არის მამულიშვილური ინტერესების მქონე მეცნიერის ფიქრის, განსჯისა და ანალიზის შედეგად შექმნილი უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი გამოცემები! მოუთმენლად ველით ამ სერიის მომდევნო წიგნს – ტაოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს!..



ველით ამ წიგნსაც და კიდევ არაერთ სიხარულს ბათუმელი კოლეგებისაგან!

ღმერთმა ხელი მოუმართოთ მათ ამ დიდ საქმეში!..

P.S. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ 2018 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ „კლარჯეთის“ ავტორები დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო პრემიით.

### ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

**თოფურია 1963** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქესს, III, თბილისი, 1963.

**მარი 2015** – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები (თარგმანი რუსულიდან), ბათუმი, 2015.

**ფაღავა 2003** – მ. ფაღავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი: ბსუ შრომები, V, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სესია, ბათუმი, 2003.

**ფაღავა 2004** – მ. ფაღავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004.

**ფაღავა 2013** – მ. ფაღავა, მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2013.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993.

**ფუტკარაძე 1995** – შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1995.

**ფუტკარაძე 2003** – ტ. ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი: ენათმეცნიერების საკითხები, 1, 2003.

**ფუტკარაძე 2016** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, II, ბათუმი, 2016.

**გიორგი გოგოლაშვილი**

გოგოლაშვილი გიორგი, 2010, ქართული ზმნა  
(ფორმაწარმოების საკითხები) (form – building issues [509-512])  
(ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 519 გვერდი).

უთუოდ ყურადსაღებია, თუკი დღეს ვინმე მიუძღვნის ნაშრომს ქართულ ზმნას, რადგან ამ თემას როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი და დიდი ტრადიცია აქვს. ამიტომაც ამ საკითხზე შექმნილი ნებისმიერი ახალი მონოგრაფია მისი ავტორისაგან რთული და ვრცელი ლიტერატურის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

**გიორგი გოგოლაშვილს** ბოლო წლებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ქართული ენის დიდი მონათესაისა და პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილისა და ქართული სალიტერატურო ენის შესახებ<sup>1</sup>; თავის ახალ მონოგრაფიაში კი შესაშური სიზუსტით გვაწვდის ქართულ ენათმეცნიერებაში ზმნის კატეგორიასთან დაკავშირებულ არა მხოლოდ დღემდე არსებულ ცნობებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გვაცნობს იმ ძირითად პრობლემებს, რომელთა შესახებაც მან ჯერ კიდევ 70-იან–80-იან წლებში, მცირე მოცულობის მონოგრაფიაში გამოთქვა საკუთარი თვალსაზრისი<sup>2</sup>.

მონოგრაფიის სტრუქტურა ძირითადად ტრადიციულ სისტემაზეა აგებული. ავტორი შესავალში გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას „მწკრივის“ ცნების ისტორიასთან დაკავშირებით (10-17), რაც ასევე ხანგრძლივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს (95-217), ეხება ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციის (17-25) და ზმნის „ფუძის“ ცნების საკითხებს და სხვ. (25-30). მონოგრაფიის I თავში იგი მიმოიხილავს ქართული ზმნის კვლევის ისტორიას ანტონის „გრამატიკის“ პერიოდიდან მოყოლებული. მონოგრაფიის II თავი ეძღვნება მთლიან პარადიგმას: მწკრივებს, უღლებების სისტემას (217-236) და სუპლექტიზმს (236-241). ნაშრომის მეორე ნახევარში (243-478) ცალ-ცალკეა განხილული ქართული ზმნის ფორმათა წარმოების საკითხი (ზმნისწინისა და ვერსიის ხმოვნების გარეშე). ავტორი ეხება პირის ნიშნებს (245-290), პრეზენსის სისტემის ფორმათა წარმოებას (291-355), სა-

<sup>1</sup> „დედა ენა“ – მეგლი სამარადისო. თბილისი, დედა ენა, 2011. ირაკლი ავალიანთან ერთად: „დედა ენა“ – წიგნთა წიგნი (ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება), თბილისი, 2001;

„ქართული სალიტერატურო ენა“ (ისტორია და თანამედროვეობა) / Georgian Literary Language (History and present situation). თბილისი: მერიდიანი, 2009;

„ქართული სალიტერატურო ენა“, ნარკვევები (თსუ, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი (თსუ-ს გამომცემლობის სტამბა), 2013.

<sup>2</sup> „დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“ / Формы второй группы времен и наклонений в новогрузинском языке [R. 98-111] (თსუ, ახალი ქართული ენის კათედრა). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1984;

„ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“ / Система спряжения грузинского глагола [R. 166-169] (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება, 1988.

ხელდობრ, თემის ნიშნებს და განმავრცობელ სუფიქსებს (291-337), დენომინალური ზმნების ფუძეს (347-350), მონოპერსონალურ-დენომინალურ (347-350) და მედიაოქტიურ ზმნებს (350-355), ასევე აორისტის სისტემის ფორმათა წარმოებას (356-455), სახელდობრ, მის სუფიქსიან (356-375) და სხვა ტიპებს (375-409), ოპტიტივს (მეორე კავშირებით: 403-422), გზისობას (423-455), ბოლოს კი, პერფექტის სისტემის ფორმებს (456-478).

ცხადია, ნაშრომში წამოჭრილ უამრავ პრობლემაზე ძნელია ამომწურავად მსჯელობა<sup>1</sup>. საგანგებოდ არ ვიმსჯელებთ მის მეორე ნაწილზე; ასევე არ დავიწყებთ კამათს იმ არგუმენტებზე, რომლებიც ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების სტატუსს ეხება<sup>2</sup>, განსაკუთრებით ეს ითქმის: დროზე, კილოზე (მოდალობა, მოდუსი), გზისობაზე (იტერატივი), აქტზე, თანამდევრობაზე (დროული მიმართება). ავტორის თვალსაზრისით, ისინი მორფოლოგიურ კატეგორიებს არ განეკუთვნებიან, რადგან მორფოლოგიურად არ არიან გამოხატული და, ამდენად, სემანტიკურ კატეგორიებს წარმოადგენენ, რასაც ზმნის ფორმა კონტექსტის ინტერპრეტაციის საშუალებით გამოავლენს<sup>3</sup>. საერთოდ კი, ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მაგალითი მაინც უნდა იყოს მოყვანილი, რადგან აშკარაა, რომ იგი ავტორისათვის მორფოლოგიური თეორიის ფუძემდებლურ, მთავარ მიზანს შეადგენს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში იმ გავრცელებული მეცნიერული თვალსაზრისის თემატიზირება ხდება, რომელიც აკაკი შანიძის საოცარი ავტორიტეტის წყალობით ურყევ კანონად იქცა.

ამ მეცნიერული თვალსაზრისის თანახმად: ა) სასკოლო გრამატიკის ენით თუ ვიტყვით, ქართული ზმნის დროები და კილოები იმ სიტყვათა ფორმების რიგებს (მწკრივებს) განეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავდებიან იმ დროს, როდესაც დანარჩენი მორფოლოგიური კატეგორიების (დროს, კილოს და სხვა „ელემენტების“, § 268) თვალსაზრისით, ისინი ინვარიანტული (უცვალელებელი) კატეგორიები არიან; ბ) პრეზენსის სისტემა (პირველი სერია) არა მხოლოდ მწკრივის პრეზენსს, იმპერფექტს და I კონიუნქტივს („პრეზენსის წრეს“ ანუ, „აწმყოს წრეს“) მოიცავს, არამედ მასში აგრეთვე პარალელური მწკრივის ფუტურუმი, კონდიციონალისი და კონიუნქტივ-ფუტურუმის („ფუტურუმის წრე“

<sup>1</sup> ამის ახსნას ავტორი მოკლედ ცდილობს თავის ერთობ ინფორმაციულ ნაშრომში: გიორგი გოგოლაშვილი, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა“ / An academic course of the morphology of present-day Georgian language (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 317-385.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში აღნიშნულ ტერმინს ვხმარობ ისეთი კატეგორიებისათვის, როგორცაა: დრო, კილო, პირი და ა. შ., უხეშად რომ ვთქვათ, ისეთი მორფოსინტაქსური ნიშნებისაგან განსხვავებით, როგორცაა პრეზენსი, პერფექტი..., ინდიკატივი, კონიუნქტივი, 1, 2, 3 პირი და ისეთი მორფოლოგიური ნიშნები, როგორცაა, მაგ. ფლექსიის კლასის ნიშნები. აქ უარს ვამბობ, განვიხილო ვიწრო მნიშვნელობით განსხვავებები (სინტაქსურად რელევანტურ) მორფოსინტაქსურ ნიშნებსა და სემანტიკურად რელევანტურ მორფოსემანტიკურ ნიშნებს შორის, რადგან ამ დრომდე გარკვეული არ არის, რომელი კატეგორიები მიეკუთვნება სინტაქსურად რელევანტურს და რომელი – არა.

<sup>3</sup> ამ საკითხზე მნიშვნელოვან კამათს, სხვათა შორის, ისიც ამწვლავს, რომ ქართულ ტერმინებში არ ჩანს განსხვავება „დროს“ სემანტიკურ და გრამატიკულ (Tempus) განმარტებას შორის.

ანუ „მყოფადის წრე“) შედის, და მნიშვნელობა არა აქვს, „პრეზენსის წრესა“ და „ფუტურუმის წრეს“ შორის არსებობს სრული პარალელიზმი (იმ ზმნეზის მსგავსად, რომლებიც ფუტურუმს პერფექტისეული ზმნისწინით აწარმოებენ) თუ არა (მაგალითად, მედიაოქტიურ ზმნებთან:); c) ზმნისწინით ნაწარმოები ფუტურუმის წრის ფორმები (და-ვ-წერ) განსხვავდებიან პრეზენსის წრის შესაბამისი უზმნისწინო ფორმებისაგან (ვ-წერ), როგორც დროის ნიშნით (მომავალი vs აწმყო), ასევე ასპექტითაც (სრული vs უსრული), იმ დროს, როდესაც ასპექტის ანალოგიური, ფორმალური განსხვავება აორისტის სისტემაში (და-ვ-წერ-ე vs ვ-წერ-ე) დროის ნიშანს არ უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ავტორი ამ ნიშნებს გამოწვევით და კრიტიკულად განიხილავს:

a) მისთვის მისაღებია „მწკრივის“ შანიძისეული დეფინიცია (მხოლოდ პირისა და რიცხვის ცვლილებები) ჰ. არონსონის მსგავსად, რომელმაც აღნიშნული ცნება (თავად შანიძის მიერ შემოთავაზებული ფორმა *screeue*) თავის 1922 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი გახადა, თუმცა იგი აკრიტიკებს დანარჩენი კატეგორიების (დრო, კილო...) კატეგორიულ ინვარიანტილობის იდეას. მართლაც, მაგალითად, პრეზენსს, უმეტესი მწკრივების მსგავსად, შეუძლია გამოხატოს სხვადასხვას დრო, სახელოდობრ, აწმყო, მყოფადი, „ზოგადი აწმყო“ (108) და ამ თვალსაზრისით იგი ვარიანტიურია. მაგრამ მაშინაც კი, თუ შანიძის „პრეზენსის“ ისეთ ინტერპრეტაციას მოვახდენთ (§ 272 „ძირითადად „აწმყო“, ხანდახან „მყოფადი“), რომ „დროის“ „ელემენტი“ ვარიანტიურია (შესაძლოა, ა. შანიძეს ინვარიანტიურ, პარადიგმის შიგნით, ოპოზიციების წყალობით დადგენილ „ძირითად მნიშვნელობაში“ სრულად რ. იაკობსონისეული თვალსაზრისი ეგულისხმება), მაშინაც კი, „დროის“ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციაზე მითითება ჯერ კიდევ ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ პრეზენსის დროს, როგორც ასეთს, ტემპორალური მნიშვნელობა არ გააჩნია და მისი „დრო“ მხოლოდ კონტექსტით განისაზღვრება. შეიძლება, ბევრად უფრო საჭიროცაა, რათა ყოველი „მწკრივი“ (როგორც ამას შანიძე აღნიშნავს ხაზგასმით §40-ში; 269) ზმნის პარადიგმის შიგნით თავისი ოპოზიციების საშუალებით იქნას აღწერილი (თუნდაც რ. იაკობსონის მიერ „რუსული ზმნის სტრუქტურა“-ში წამოწყებული ტრადიციის ჩარჩოში. 1932); ასე, მაგალითად, მისი აღწერა, პრეზენსისაგან განსხვავებით, შეიძლება იმპერფექტისათვის დამახასიათებელი „წინადროულობის“ ნიშნით ანდა „შემდგომდროულობის“ ნიშნით ფუტურუმში: „მეტყველების პროცესისადმი „შემდგომდროულობას“ ამ შემთხვევაში ფუტურუმის პრიმარული მნიშვნელობა ექნება, თუ ამას არაფერი უშლის ხელს („default“), იმ დროს, როდესაც ფუტურუმი გარკვეულ კონტექსტებში „შემდგომდროულობის“ ნაცვლად, ეპისტემურ მოდალობას და „ერთდროულობას“ გამოხატავს (მაგ. „სახლში იჯდება (ფუტურუმი) და ყურმილს არ იღებს“ (პრეზენსი)), სადაც „შემდგომდროულობის ოპოზიცია განეიტრალეზულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მ წ კ რ ი ვ ე ბ ი ს მნიშვნელობის საკითხი (უფრო ახლობელ, სპეციფიკურ!) კონტექსტზე მითითებით არ ამოიწურება. საჭიროა დადგინდეს ზმნის კატეგორიების პარადიგმატუ-

ლი მნიშვნელობების მახასიათებლები, სახელდობრ კი, გათვალისწინებული უნდა იქნას მათთვის დამახასიათებელი ურთიერთმიმართებები<sup>1</sup>.

ბ) პარადიგმების ამკარად შეზღუდვა ფორმალური ნიშნებით, ავტორის საშუალებას აძლევს „პრეზენსის წრესა“ და „ფუტურუმის წრეს“ შორის არსებული ოპოზიცია მხოლოდ ასპექტუალური ოპოზიციით ახსნას (რომელიც შანიძის აზრით, სიტყვაწარმოების ფენომენს წარმადგენს და, როგორც ასეთი, ფლექსიას არ გენკუთვნება. იგი ფლექსიურ კატეგორიად მხოლოდ „მყოფადის დროით მნიშვნელობასთან“ კავშირის გამო გადაიქცევა). ავტორის აზრით, „მწკრივის“ იდენტიფიცირება მისი ფუძის საშუალებით უნდა მოხდეს<sup>2</sup>. მაგრამ, რაკი ზმნისწინები ფუძის შემადგენელი ნაწილები არ არიან, ამიტომ პერფექტული და იმპერფექტული ფორმები, როგორც აწმყოს, ასევე აორისტის სისტემაში, ერთადერთ მწკრივს განეკუთვნებიან (და-წერ / წერ, შესაბამისად, და-წერე / წერე), თუმცა ფორმას „დაწერ“ გარკვეული კონტექსტების გარეშე, სხვა ტემპორალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფორმას „წერ“, იმ დროს, როდესაც განსხვავება „დაწერე“-სა და „წერე“-ს შორის ყოველთვის მხოლოდ ასპექტუალურია. რაც შეეხება ზმნების „ტირის“ (აწმყო) და „ი-ტირებ-ს“ (მყოფადი) „უასპექტო“ ფორმებს (შანიძე § 332), ავტორის აზრით, მათ სხვადასხვა ფუძე აქვთ და, შესაბამისად, სხვადასხვა მწკრივებს განეკუთვნებიან („ფორმათა ერთ პარადიგმაში მათი მოქცევა, ცხადია, არ მოხერხდება“, 224); ამგვარი ვითარება ტრადიციულად ისე გამოიხატება, რომ „ნასესხი“ ფორმა „კონკრეტულად“ სხვა პარადიგმაში შედის (მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდება ჯდ-ს სუპლექტურ ფორმაში „ი-ჯდ-ება“, „ზი-ს“ ზმნის პარადიგმაში). ყველა ამ შემთხვევაში აღარ არის ძალაში დეფინიცია, რომლის თანახმადაც, პარადიგმა ერთი ლექსემის ფლექსიურ ფორმებს მოიცავს („ტირის“ და „ტირებს“ აქამდე გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ერთადერთი ლექ-

<sup>1</sup> საინტერესო ანალიზის მაგალითი წარმოგვიდგინა ავთანდილ არაბულმა ნაშრომში: „ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის“, მაცნე, 1992, 4: 98-118; ასევე: „ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში“, ენათმეცნიერების საკითხები, 1999, 1: 42-53; „ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის“, გ. გოგოლაშვილის რედაქც. 2011: 385-413 (შეად. შენიშვნა 3). არაბულიც მიდის იმ დასკვნამდე, რომ შანიძის კონცეფცია არსებითად სწორია, თუმცა აორისტისა და პერფექტის სისტემაში განსხვავებს ასპექტთან დაკავშირებულ მ წ კ რ ი ვ ე ბ ს და შესაბამისად, დაადგენს 16 მწკრივს.

<sup>2</sup> აღნიშნული თვალსაზრისი ავტორს გამორჩეულ ენათმეცნიერთა საზოგადოებაში მიუჩენს ადგილს. ჰანს ფოგტი, თავის 1936 წელს (ასევე 1971 წელს) გამოცემულ „გრამატიკაში“ გამოთქვამს აზრს, რომ გარდამავალი ზმნების აწმყოს სისტემაში პრეზენსი, იმპერფექტი და პრეზენსის კონიუნქტივი შედის (გვ. 130-131). მყოფადთან მიმართებაში იგი ამბობს, რომ ქართული ფუტურუმის განსხვავება აწმყოსგან „ფორმალური კრიტერიუმებით“ ვერ ხერხდება (გვ. 236). ცნობილია მის მიერ ჩამოთვლილი შემდეგი ვარიანტები: აწმყო ზმნისწინით ან მის გარეშე, მყოფადი ზმნისწინით ან მის გარეშე (სახელდობრ, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან). ზმნისწინიან ზმნებს აწმყოს გამოხატვა შეუძლიათ („მიუშურება“ და „ეშურება“ – ორივე აწმყო), თუმცა ზმნისწინები ზმნის ფორმას „ხშირად“ მყოფადის მნიშვნელობას აძლევს (le sens d'un futur) (გვ. 181-182). ტერმინს „პრეზენს-ფუტურუმი“ იგი, რა თქმა უნდა, ავტორისგან განსხვავებით, სახელდობრ, იმ ფორმებისთვის ხმარობს, რომლებიც პრეზენსს ან ფუტურუმს გამოხატავენ (გვ. 237), მაგრამ არა ისეთი ფორმების შემთხვევაში, როგორცაა „დაწერს“ ან „იცხოვრებს“, რომლებსაც მხოლოდ ფუტურალური მნიშვნელობა აქვთ.

სემის ფლექსიური ფორმები არიან და ამიტომ ერთსა და იმავე პარადიგმაში შედიან. ეს კი ემთხვევა იმ მოსაზრებას, რომ „ტირის“ და „იტირებს“ სემანტიკური მიზნების გამო განეკუთვნებიან ერთმანეთს (224)<sup>1</sup>.

ც) აკაკი შანიძე მიიჩნევს, რომ „დაწერს“, „იტირებს“, „იჯდება“ და ა. შ. ერთსა და იმავე მწკრივს მიეკუთვნება. მათი განსხვავებული ფორმ-წარმოების მიუხედავად, ისინი ფუტურუმის ფორმები არიან. ავტორისთვის კი, პირიქით, „ფუტურუმი“ მნიშვნელობაა („მყოფადი“) და არა გრამატიკული კატეგორია. შანიძის კატეგორიები: „პრეზენსი“, „ფუტურუმი“ და ა. შ., ამის საპირისპიროდ, გრამატიკულ, სახელდობრ კი, მორფოლოგიურ კატეგორიებს წარმოადგენენ, რომლებიც როგორც აუცილებელი დამაკავშირებელი წევრები, ერთი მხრივ, მორფოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, სინტაქსსა და სემანტიკას შორის ფუნქციონირებენ. წინამდებარე ნაშრომში გამოთქმულია მყარი თვალსაზრისი მორფოლოგიური ფორმის ავტონომიის შესახებ, მაგრამ იგი არ იძლევა უფლებას, რომ ყველა კანონზომიერი მიმართება ფორმასა და მნიშვნელობას შორის აღწერილ იქნას, და, ამდენად, ხელს უშლის გრამატიკის მთავარი ამოცანის შესრულებას. ამისათვის გვესაჭიროება მორფოსინტაქსური ნიშნები, როგორცაა „ფუტურუმი“ და არამხოლოდ „პერფექტული პრეზენსი“ ან „მყოფადი“ (როგორც კონტექსტის ინტერპრეტაციის შედეგი).

რამდენადაც მესმის, ავტორი უარყოფს „ფუტურუმის“ მორფოსინტაქსურ სტატუსს, როდესაც იგი ერთადერთი ცნების ქვეშ აერთიანებს ისეთ ფორმებს, როგორცაა „დაწერს“ და „იტირებს“, და, არ მოჰყავს ფორმა ზმნისა „დაწეროს“ (თუმცა მას „მყოფადის მნიშვნელობა“ აქვს). ნაცვლად ამისა, მასთან (თანმიმდევრულად!) გვხვდება მხოლოდ „პრეზენს-ფუტურუმი“, რომელიც ერთნაირად ახასიათებს ფორმებს: „წერს“ / „დაწერს“ (განსხვავებული ასპექტით), ასევე „იცხოვრებს“, „იჯდება“ (ტრადიციულად ფუტურუმის ფორმები) და „აღ-იქვამს“ და „გან-აგრძობს“ (ტრადიციულად როგორც პრეზენსის, ასევე ფუტურუმის ფორმები) (გვ. 233-234). მაგრამ „ფუტურუმი“ საჭირო ცნებაა. ავიღოთ, მაგალითად, წესი, რომლის თანახმადაც უარყოფითი ნაწილაკი „ნუ“ + „ფუტურუმი“ უფრო „უარყოფით თხოვნას“ გამოხატავს, მაშინ, როდესაც „ნუ“ + „პრეზენსი“ უმთავრესად „აკრძალვას“ გულისხმობს ასევე „უასპექტო ფორმებისთვისაც: „ამ გასაღებს ნუ დაკარგავ“ მიმართებაშია: „გასაღებს ნუ კარგავ“, ისევე როგორც: „ნუ იმუშავებ ამდენ ხანს“ და „ნუ მუშაობ ამდენ ხანს“. წესი, რომ ფუტურუმს ეს თვისება გააჩნია, ინჰერენტულ მორფოსინტაქსურ ნიშანს (ფუტურუმს) აკავშირებს სემანტიკურ ინტერპრეტაციასთან (გარდა, შესაბამისად, „ნეიტრალური კონტექსტისა“ (ა. არაბული)!). იმ წესზე მსჯელობა, რომ „პერფექტული პრეზენს-ფუტურუმი ან უასპექტო პრეზენს-ფუტურუმი „ნუ“ ნაწილაკის თხოვნას“ გამოხატავს“, შესაძლოა მართებულიც იყოს, მაგრამ ეს ვერ დაადგენს კ ი რ დ ა პ ი რ კავშირს „ფუტურუმის“ ნიშანსა და „თხოვნის“ სემანტიკურ მნიშვნელობას შორის. სიტყვა „ნეტავი“ ზოგადად მართავს კონიუნქტივს („ნეტავი მალე გათენდებოდეს“. ა. ლლონტის მაგა-

<sup>1</sup> სამწუხაროდ, არ ხდება მსჯელობა იმის თაობაზე, რაში მდგომარეობს ეს მიკუთვნებულობა. ეს სემანტიკური მიმართება კი არ არის (მაგ. „იდენტური მნიშვნელობა“. სინონიმები არ ემსახურებიან მორფოლოგიური ხარვეზების შევსებას), არამედ იგი დაფიქსირებულია როგორც ფლექსიის კლასის ნიშანი სალექსიკონო სიტყვაში.

ლითი), მაგრამ მხოლოდ ფუტურუმ-კონიუნქტივი გამოხატავს „აღსასრულელებელი სურვილის“ ფარდობით არანამდვილობას: „ნეტავი ამისთანა გოგო გამოჩნდებოდეს და ამ საღამოს იცეკვებდეს“ (წინადადების პირველი ნაწილი ეკუთვნის ა. პაპიძეს). გარდა ამისა (როგორც ვხედავ), კოორდინაცია მწკრივის ნიშანთა იდენტურობას პირველ და მეორე კავშირებითში და, შესაბამისად, „ფუტურუმშიც“ მოითხოვს, როგორც ფორმების „გამოჩნდებოდეს“ და „იცეკვებდეს“ ინჰერენტულ ნიშანს, და არა მხოლოდ ამ ფორმების სემანტიკის კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას. რაც შეეხება „ფუტურუმისა“ და „კონიუნქტივის“ ნიშნებს, ფორმები: „გამოჩნდებოდეს“ და „იცეკვებდეს“ იდენტური უნდა იყოს (და მათი ნიშნები, ამ თვალსაზრისით, სინტაქსურადაც, და მკაცრად თუ მივუდგებით, მასასადამე, მორფოსინტაქსურადაც რელევანტური არიან): ეს ის იდენტურობაა, რომელსაც „პერფექტული ფუტურუმ-კონიუნქტივი“, შესაბამისად, „პრეზენს-ფუტურუმი“ ვერ გამოხატავს. უფრო მეტიც, ეს იდენტურობა „ფუტურუმის მწკრივის“ არსებობას მოითხოვს.

ამრიგად, მორფოსინტაქსური ნიშნები პარადიგმის ფორმების დიფერენციაციას ახდენენ და მათ შესაბამის ადგილს მიუჩენენ პარადიგმაში<sup>1</sup>. ამ ფორმების ენობრივ რეალობაში არსებობა იმით არის უზრუნველყოფილი, რომ არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ უკავშირდება და, ამდენად, მათი შესრულება აუცილებელია. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: „ფუტურუმი“, „კონიუნქტივი“ და სხვ. (შესაბამისად, ის რელევანტური ნიშნები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიებისგან განასხვავებენ).

ამრიგად, ეს ფაქტებითა და მოსაზრებებით მდიდარი მონოგრაფია მხოლოდ პრობლემების მცირე ნაწილს განიხილავს. ზემოთ გამოთქმული შენიშვნები კი არანაირად არ ამცრობს მის მნიშვნელობას. მონოგრაფიის ღირებულება, ერთი მხრივ, იმ უზარმაზარი სფეროს კვლევაში მდგომარეობას, რომელსაც ქართული ზმნით დაინტერესებული პირი მომავალში გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ მონოგრაფიას მრავალი სხვა ნაშრომისგან, უპირველეს ყოვლისა, ის გამოარჩევს, რომ ავტორი წამოჭრის საკითხებს, რომლებიც სულაც არ არის მარტივი და მორფოლოგიური თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. ამ საკითხების დასმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათზე გაცემული შესაძლო პასუხები, და, ღირს იმად, რათა საქართველოში თუ სადმე სხვაგან, მათზე პასუხების გასაცემად (საერთაშორისო კვლევის დონეზე) კრიტიკული, და, ამავდროულად, ობიექტური დისკუსიები გაიმართოს.

## ვინფრიდ ბოედერი

<sup>1</sup> ზმნის ფორმის განსაზღვრა არც მხოლოდ მისი ფორმალური ელემენტებიდან და არც მათი კომბინაციიდან გამომდინარე არ ხდება. ის, რომ „მივც-ე“- ზმნაში „ე“ „მივწერ-ე“ - ზმნის „ე“-ს იდენტური არ არის, ამაზე პარადიგმაში ამ ფორმის ადგილი მიუთითებს. ასევე „ვამლე“-ზმნის დრო მისი მორფოლოგიური ფორმიდან კი არა, პარადიგმაში მისი იმ ადგილიდან გამომდინარეობს (სახელდობრ, სწორედ როგორც „ფუტურუმისა“), რომელიც მას „ვიმუშავე“-ზმნის მსგავსად უკავია. „მივცემ“-ზმნის ფუტურუმის მნიშვნელობა, როგორც ასეთი, მისი ზმნისწინიდან არ გამომდინარეობს, დაე, თუნდაც ამ ტიპის ზმნის „პერფექტივიზაცია“ სემანტიკურად „მომავლის“ მნიშვნელობას მოითხოვდეს.

„ნაშრომი განძად დაშთების“  
(რეცენზია ოთხწიგნეულისა „ახალი ქართული ენა“, ოსუ  
გამომცემლობა, 2016-2017)

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც წარმმართველი ქართული ენათმეცნიერული საზრისისა, ნაყოფიერად იღვწის ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურისა თუ ლექსიკური საგანძურის შესწავლა-კვლევის სფეროში. ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი უმდიდრესი სამეცნიერო ცოდნა და გამოცდილება კანთიელად აისახა იმ შედეგებზე, რომლებსაც დღეს იმკის ქართული მეცნიერება. ამ მხრივ, მრავალთაგან საკმარისია დავასახელოთ არნოლდ ჩიქობავასეული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციით გამოცემა, რომელიც სარედაქციო ჯგუფთან ერთად თავს იდვა აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა. ამჯერად კი ჩვენს ხელთაა გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით ოთხ წიგნად გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომი - „ახალი ქართული ენა“, რომლის იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ეს გრამატიკული კორპუსი ფაქტობრივად არის ახალი ქართული ენის ერთიანი შემაჯამებელი კურსი, რომელშიც ქართულ ენათმეცნიერებაში დაგროვილი უმდიდრესი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებითა და ქართველოლოგიაში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით განხილულია ქართული ენის მორფოლოგიის კარდინალური საკითხები, რომელთა დამუშავებაში გიორგი გოგოლაშვილთან და ავთანდილ არაბულთან ერთად მონაწილეობდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი: გიორგი ცოცანიძე, მურმან სუხიშვილი, მანანა ტუსკია, ნინო ჭუმბურიძე, ნინო ჯორბენაძე...

ოთხწიგნეულის მე-3-მე-4 ტომები ქართული ენის დიალექტთა მორფოლოგიურ აღწერას ეთმობა. ამათგან მე-4 ტომი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად ემპირიული მასალაა. აქ წარმოდგენილია ქართული ენის თითოეული კილოს ფორმანარმოების ძირითადი პარადიგმები და დართული აქვს ისეთი შერჩეული ტექსტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ პირს ამა თუ იმ დიალექტური მეტყველების შესახებ. აქამდე ასეთი სრული გზამკვლევი ქართული დიალექტების შემსწავლელს ნამდვილად არ ჰქონია. დიალექტური მეტყველების ნიმუშების ტექსტებთან ერთად ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმები დაურთეს ამ დიალექტების ჩინებულმა მცოდნეებმა: დარეჯან ჩხუბიანიშვილმა, გიორგი ცოცანიძემ, მამია ფაღავამ, მარიამ კობერიძემ, ხათუნა ყანდაშვილმა, მაია ბარიხაშვილმა, ზეზვა ქავთარაძემ, მანანა კობაიძემ, მა-



ია კობიაშვილმა, მარინა ბერიძემ, ნინო შარაშენიძემ, ნარგიზა სურმაჯამ, ნანა ცეცხლაძემ,...

და მაინც, ოთხწიგნეულის სამეცნიერო სტატიათა უდიდესი ნაწილის ავტორები გახლავან გიორგი გოგოლაშვილი, ნინო შარაშენიძე, გიორგი ცოცანიძე და ავთანდილი არაბული.

მონოგრაფიას სასიკეთოდ წაადგა აწ განსვენებულ ენათმეცნიერთა: არნოლდ ჩიქობავას, ივანე ქავთარაძის, ალექსი ჭინჭარაულის, თედო უთურგაძის, ბესარიონ ჯორბენაძის, გურამ ბედოშვილის, კონსტანტინე კაკიტაძისა და სხვათა წვლილი. და მაინც ამ კორპუსის შექმნაში განსაკუთრებული მოხსენიების ღირსია ღვაწლი ბესარიონ ჯორბენაძისა. 80-იანი წლების ბოლოს სწორედ მან შთაბერა ახალი სული ენათმეცნიერების ინსტიტუტში დიდი ხნის წინ არნ. ჩიქობავას მიერ დასახულ იდეას ახალი ქართული ენის აკადემიური კურსის შესაქმნელად; მანვე დასახა გეგმა, შექმნა ვრცელი პროგრამა-პროსპექტი („ქართული ენის მორფოლოგია“, 1995) და შემოიკრიბა მის განსახორციელებლად აქტიური გუნდი... რომ არა ბედის სიმუხთლე, დარწმუნებული ვართ, წარმატებითაც დაასრულებდა დასახულ საქმეს. წარმოდგენილი ოთხტომეულის ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისხალსაც არ უკარგავენ უფროს კოლეგასა და მეგობარს, როგორც ფაქტობრივ თანაავტორს, მაქსიმალურად იყენებენ მის დანატოვარს და მის მიერ თეორიულ პოსტულატებსაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ...

ღირსსაცნობია, რომ ოთხწიგნეულის ავტორებმა სათანადოდ გაითვალისწინეს ქართული ენათმეცნიერების კორიფეების - აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას... შრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული ენის მეცნიერულ კვლევას. ამ მხრივ, საეტაპოდაა მიჩნეული აკაკი შანიძის კაპიტალური მონოგრაფია „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, მორფოლოგია, I (1953 წ.). ავტორთა სამართლიანი შეფასებით, „ა. შანიძის ამ მონოგრაფიამ არა მარტო შეაჯამა ნახევარსაუკუნოვანი (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ადრეულიც) კვლევის შედეგები, არამედ თვისობრივად ახალი საფუძველი შეუქმნა ქართული ენის თანამედროვე გრამატიკის თეორიას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ქართულ სინამდვილეში ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“ განსაზღვრა ქართული ენის შემდგომი კვლევის მიმართულება“.

და აჰა! ესეც „ქართული ენის შემდგომი კვლევის მიმართულება“ – ახალი ქართული ენის შემაჯამებელი კურსი - „ახალი ქართული ენა“, რომლის პირველ და მეორე წიგნში განხილულია „სალიტერატურო ენის მორფოლოგია“ (სახელი; ზმნა; 2016 წ.), ხოლო მესამესა და მეოთხეში - „დიალექტების მორფოლოგია“ (კრებსითი ანალიზი; პარადიგმები; 2017 წ.). ასე რომ, „მორფოლოგია“ სახეზეა, თუმცა კვლევა გრძელდება და, როგორც ამ პროექტის ავტორები გვამედებენ, მომდევნო წიგნები მიედევნება ახალი ქართული ენის ფონეტიკას, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიასა და სინტაქსს.

ასე რომ, ამ კოლექტიური ნაშრომის მიზანი საკმაოდ შთამბეჭდავია: „წინამდებარე პროექტი სწორედ მიზნად ისახავს, გაერთიანდეს რამდენიმე თაობის მეცნიერული ნააზრევი ამ სფეროში, შეიქმნეს ახალი კონცეპ-

ტულური და თეორიული საფუძვლები და აიგოს ისეთი თანმიმდევრული გრამატიკული კორპუსი, რომელიც იქცევა საერთო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ორგანულ ნაწილად. წინამდებარე პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ქართულ სინამდვილეში ჩვენ გვექნება ახალი ქართული ენის მორფოლოგიის მეტ-ნაკლებად სრული შემაჯამებელი ნაშრომი, ქართული სახელმწიფო ენის განვითარების თანამედროვე ეტაპის შესაბამისი, რაც სრულიად ახალ საფეხურს შექმნის ქართული ენის მორფოლოგიის სამომავლო კვლევაში“ (წიგნი III, 5).

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის გათვალისწინებით ნაშრომში თავიდანვე გაცხადდა თვალსაზრისი მისი განვითარების ორი პერიოდის გამოყოფის თაობაზე; კერძოდ: ა) **ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და ბ) **ახალი ქართული სალიტერატურო ენა** (წიგნი I, 10).

განსახილველი წიგნეულები ეძღვნება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების კვლევას თანამედროვე ენათმეცნიერული მიღწევების დონეზე; ნაშრომი სათანადოდაა დაფასებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის... ღვაწლი ახალი ქართული ენის ჩამოყალიბებასა, დამკვიდრებასა და სალიტერატურო ენის დახვეწა-სრულყოფაში; განსაზღვრულია მთავარი მიმართულება: **სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები** (წიგნი I, 29). ამასთანავე, ეს ცვლილებები ქაოტური კი არ არის, არამედ გარკვეულწილად კანონზომიერიცაა, ვინაიდან ენაში ყველაფერი ურთიერთშეპირობებული და ურთიერთგანსაზღვრულია; ამიტომაცაა, რომ ნაშრომის ავტორები არაერთხელ დაგვიბეჯითებენ: **ენა სისტემაა!** ნაშრომის მთავარი ღირსებაც სწორედ ესაა - **ენაში მიმდინარე ყოველი ცვლილება განხილულია დინამიკაში, როგორც სისტემის ორგანული ნაწილი**: არსებითი სახელის ლექსიკურ-გრამატიკული სისტემა; ზედსართავი სახელის ხარისხის სამწევროვანი სისტემა; ნაცვალსახელთა სისტემა გენეზისის მიხედვით; ბრუნების სისტემა... უღლების სისტემა; დრო-კილოთა სისტემა; პირის ნიშანთა სისტემა...

ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებად მიგვაჩნია ისიც, რომ ავტორები სათანადოდ აფასებენ მემკვიდრეობით მიღებულ მონაპოვარს, თუმცა საკუთარ თვალსაზრისსაც გვთავაზობენ და არგუმენტებით ასაბუთებენ თავიანთი პოზიციის მართებულობას. ამ მხრივ თვალსაჩინოა მათი თვალთახედვა თუნდაც ზმნის გრამატიკული კატეგორიების განხილვისას; ავტორთა აზრით, ერთურთისაგან უნდა გაიმიჯნოს მორფოლოგიური და სამანტიკური სტრუქტურა, ვინაიდან **„ფორმის მორფოლოგიური სტრუქტურა და სემანტიკური სტრუქტურა ხშირად არ მისდევენ ერთმანეთს“** (წიგნი II, 124). ამგვარი მიდგომით შემოთავაზებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა... არ არის გრამატიკული კატეგორიები, უფრო სემანტიკური კატეგორიებია. თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ ავტორთა პოზიცია დროის კატეგორიის მაგალითზე.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ დრო არის ზმნის ერთ-ერთი ძირითადი გრამატიკული კატეგორია, კერძოდ - უღლების კატეგორია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოითქვა საკმაოდ საფუძვლი-

ნი მოსაზრება, რომლის თანახმადაც დრო არ არის გრამატიკული კატეგორია, იგი ოდენსემანტიკური კატეგორიაა, რაც კიდევ უფრო დამაჯერებლად დასაბუთდა მონოგრაფიაში „ქართული ზმნა“ (გოგოლაშვილი, 2010) და სათანადოდ აისახა „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიურ კურსში (გოგოლაშვილი, 2011). აღნიშნული თვალსაზრისია გატარებული წინამდებარე ნაშრომშიც, რომელშიც ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი: „დრო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის დროული მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; დროის გაგებას ფორმას კონტექსტი ანიჭებს“ (წიგნი II, 68-69).

მოსაწონია მეთოდოლოგიური მიდგომა განხილულ საკითხთა მიმართ, რაც თანმიმდევრულადაა გატარებული მთელ შრომაში; კერძოდ, როგორც სალიტერატურო ენის მორფოლოგიის, ისე დიალექტების მორფოლოგიის საკითხები გაანალიზებულია არა მხოლოდ თეორიულად, არამედ გათვალსაზრისებულია შესაბამისი პარადიგმებითა და თანდართული ტექსტებით.

განსაკუთრებულ ხაზგასმას მოითხოვს ის, რომ წარმოდგენილი კორპუსი მაქსიმალურად არის მისადაგებული თანამედროვე საუნივერსიტეტო სწავლების საჭიროებებს. მასში საკითხები გადმოცემულია ნათლად და გასაგებად, მისაწვდომი სამეცნიერო ენით; თემები პარაგრაფების სახით იმგვარად არის დასტრუქტურებული, რომ სტუდენტს მაქსიმალურად გაუადვილდეს საკითხის დამოუკიდებლად მიგნება (აღსანიშნავია, რომ ასეთი თემების დეტალური დაპარაგრაფება აქამდე არსად მოიპოვებოდა). სხვათა შორის, პირველ-მეორე ტომის გაყოფა „სახელებად“ და „ზმნებად“, ასევე, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მეცნიერული სიახლეები ცალკეულ სტატიებში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული, მაგრამ ისე, რომ თავად ტექსტი არ იყოს გადატვირთული კომენტარებითა, მითითებებითა და სქოლიოებით. სამაგიეროდ, თითოეულ ტომს ერთვის მაქსიმალურად ამომწურავი ბიბლიოგრაფია; წიგნეულებზე დართული სამეცნიერო ლიტერატურა მშვენიერი გზამკვლევაა მკითხველის სამოგზაუროდ საენათმეცნიერო სივრცეში.

ერთი სიტყვით, ახალი ქართული ენის მორფოლოგიის ამ კორპუსის სასწავლო-სამეცნიერო ღირსება ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება მის სამეცნიერო ღირებულებას, თვალის ერთი გადავლებითაც, აქ იმდენი საკითხია დასმული ახლებურად და გადაწყვეტილი ორიგინალურად, რომ ამ სიახლეებზე მსჯელობას სხვა, უფრო ფართო ფორმატი დასჭირდება...

ამრიგად, ჩვენს ხელთაა უდიდესი შრომითი რუდუნებით შექმნილი ახალი ქართული ენის შემაჯამებელი აკადემიური კურსის ოთხწიგნეული: სალიტერატურო ენის მორფოლოგია, წიგნი I, II და დიალექტების მორფოლოგია, წიგნი III, IV; ველით მომდევნო წიგნებს, რითაც გასრულდება შემაჯამებელი სრული კურსი.

და რაც უმთავრესია, ნაშრომის ავტორებს აქვთ უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა ქვეყნისა და სახელმწიფო ენის წინაშე,

გამოხატული შესაბამისი განაცხადით: **„ახალი ქართული ენის სრული კურსის მრავალტომეულის შექმნა არის XXI საუკუნის ვალი ქართული სახელმწიფო ენის წინაშე“** (წიგნი III, 4).

უნდა აღვნიშნოთ, რომ გრამატიკის სარეცენზიო კორპუსით მისმა შემქმნელებმა ღირსეულად გაისტუმრეს ამ „ვალის“ ნაწილი; ასევე ვიმედოვნებთ, რომ მრავალტომეულის ავტორები კვლავაც **არ დარჩებიან ვალში ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.**

**როინ ჭიკაძე**

## საზოგადო ჭირის მოზარე ანუ თანამედროვე ქართულის ანამნეზი ვახტანგ იმნაიშვილისებურად

პროფესორ ვახტანგ იმნაიშვილის სახით ჩინებული პროფესიონალი დააკლდა ქართული ენის მსახურთა და გულშემატკივართა რიგებს; კოლეგებს – როგორც მაძიებელი მკვლევარი და უკომპრომისო პოლემისტი; სტუდენტებს – როგორც ერთგული მეგობარი და წინამძღოლი პროფესიული დაოსტატების სირთულეთა დაძლევაში...

იგი, როგორც პროფ. ივანე იმნაიშვილის – აკად. აკაკი შანიძის ღირსეული მოწაფისა და კოლეგის – მემკვიდრე-შვილი და შეგირდი, უმთავრესად ძველ ქართულ ტექსტოლოგიასა და გრამატიკაში იღვწოდა, ძლიერ საუნივერსიტეტო ფილოლოგიურ სკოლას ერთგულებდა. ამ სკოლის მადლი მოსდევს მის მიერ მომზადებულსა და გამოცემულ ძველ ქართულ ტექსტებს – „მამათა ცხორებანი“ (თბ. 1975); მამასთან თანაავტორობით არის შექმნილი ფუნდამენტური ორტომეული „ზმნა ძველ ქართულში“ (მაინის ფრანკფურტი, 1996), რომელშიც ამ ურთულესი სფეროს ყველა წვრილმან საკითხზე იპოვის პასუხს დაინტერესებული პირი. უძვირფასესი ხელნაწერი მემკვიდრეობის შემცველია მისი „უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში“ (თბ. 2004). დიდი ქართველი მოღვაწეების ფრიად ღირებულ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას წარმოაჩენს მისი „არდავიწყება მოყვრისა“ (თბ. 2006) და სხვ.

ამ მნიშვნელოვან ძიებათა კვალდაკვალ ვახტანგ იმნაიშვილი, ვითარცა ნაფიცი პედაგოგი და სალიტერატურო ენის სიწმინდის ქომაგი, როგორც ჩანს, ჩვეული სიბეჯითით კრებდა სხვადასხვა კატეგორიის გადაცდომებს სალიტერატურო ენის ნორმათაგან, ესოდენ მოხშირებულს ჩვენს საინფორმაციო სივრცეში, სხვადასხვა გამოცემებში, აუდიო-ვიდეო თუ ბეჭდურ წყაროებში.

უპირველესად ამ მასალის სიუხვე და ნაირგვარობა იპყრობს ყურადღებას, მეტიც, გაცეხას იწვევს. ჩვენს თვალწინ არის ქართული სალიტერატურო ენის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განვითარების სანდო სინჯები სახელმწიფო ენის ფუნქციონირების არსებითად ყველა სფეროდან; რა ჟანრისა, რა დარგისა და რა ხასიათის ტექსტობრივ ილუსტრაციას არ იხილავთ აქ: აი, სპორტული გაზეთის „ლელოს“ 1964 წლის №236-ის მაგალითი: „*მ ე რ ე ნ ის აზრით გაიმარჯვა უფრო სრულყოფილმა ტაქტიკამ*“; აი, 1974 წლის „ცისკარი“: „*მამ დაგვებედე დიდი საქმენით, შემოდგი ფეხი, ახალო წელო*“; ეს უკვე 2013 წლის „24 საათი“: „*20 იანვარს მეთანი აფეთქდა კ ე მ ე რ ო ვ შ ი*“; ანდა – თანამედროვე ინტერნეტსაიტები – 2012; „*ხომ არ აჯობებს, შეიქმნას ორი სტატია: ერთი თანამედროვე ქალაქზე, მეორე ძველ კ ო რ ი ა ნ თ ზ ე*“...

კოლეგები მიჩვეული იყვნენ, რომ ლექტორი ვახტანგ იმნაიშვილი მუდმივ სიახლეებს სთავაზობდა სტუდენტებს სემინარებსა თუ ტესტურ შემოწმებებზე, სულ ცოცხალი შთაბეჭდილებებით იყო ჩართული ენის განვითარების პროცესში; მაგრამ ნაკლებ ჩანდა, რომ იგი ასევე რეგულარულად აკვირდებოდა ამ „ანომალიათა კანონზომიერებას“. თუმცა მისი ცალკეული – თითქმის ყოველთვის პოლემიკური – გამოსვლები კონფერენციებზე საკმაოდ წარმოაჩენდა მის ორიგინალურ ხედვასა და მახვილ თვალს.

ავტორის ამ ბოლო სქელტანიან წიგნში – „ქართული მართლწერის სადავო საკითხები“ (თბ. 2016, 488 გვ.) – 30 ამგვარი აქტუალური სტატიაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა მწვავე საკითხებსა და გაკვეთლ თემატურ პრობლემებს წამოსწევს. მაგრამ სანამ ზოგ ამ საკითხზე შევჩერდებოდეთ, ჯერ ზოგადად შევაფასოთ ენობრივი სიწმინდის პრობლემისადმი ავტორის დამოკიდებულება.

ამ წიგნში თავმოყრილ დაკვირვებებს ორი არსებითი მხარე აქვს:

1. **ემპირიულ-მეთოდური.** მკვლევარი ერთნაირი ყურადღებით აკვირდება და აფიქსირებს როგორც ქართული ენის ნორმატიული არეალის „შელახვის“ უკვე მრავალწლიან სიმპტომურ მოვლენებს, გამოვლენილს გრამატიკის ცენტრალურ უბნებზე, ასევე სრულიად პერიფერიულ, ზოგჯერ – მარგინალურ, შემთხვევებს ცალკეულ სიტყვათა დაწერილობის მხრივ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენგან, მის კოლეგათაგან, თითქმის არავინ გახდიდა ყურადღების ღირსად ისეთ ინტერნეტანომალიებს, როგორცაა, მაგალითად, **ვანუატელი** (ვანუატუ სახელწოდებიდან), (დასაქმების) **სფერები** და სხვ. მაგრამ როდესაც ამ ხასიათის მასალა ერთად იყრის თავს და გარკვეულ კლასიფიკაციას ექვემდებარება, იძულებული ხდებით დაეთანხმოთ ავტორს, რომ ეს შემთხვევები არა „კალამლაფსუსის“, არამედ, სულ მცირე, დაბალი წიგნიერების შედეგია, და რადგანაც ამ ილუსტრაციათა წყაროების უმეტესობა თანამედროვე ახალგაზრდობის აქტიურ სივრცეს განეკუთვნება, მოძღვრისეული პედანტიზმი და დაჟინება ამ სამარცხვინო ნაკლოვანებათა გამოსავლენად შესაფერის დაფასებას იმსახურებს.

2. **თეორიულ-პრინციპული.** ვახტანგ იმნაიშვილი ერთგულია გრამატიკული მოვლენების შეფასების (ანალიზის, სწავლების, ნორმირების) უნივერსიტეტისეული ტრადიციისა: გრამატიკა ენის კანონთა კრებულია და ის მკაცრად, არაორაზროვნად უნდა იყოს მოწესრიგებული. ფართო გაგებით, ეს არის ტრადიციულ-პედაგოგიური მიდგომა, რომელიც წესსა და ნორმაში, ჩვეულებისამერ, კატეგორიულია. ამ ერთგვარ სქოლასტიზმს, რომელსაც ძველი ქართული მწიგნობრობის ფასეული ტრადიციები კვებავდა, ახალ პერიოდში უთუოდ ხელი შეუწყო საბჭოურ სივრცეში გაბატონებულმა რუსული ენის „გრამატიკულმა“ სულისკვეთებამ.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ წმინდა მეცნიერული პოზიციიდან სქოლასტიკური გრამატიკის ჩარჩოებში დარჩენა შეუძლებელია. მეცნიერისთვის ყოველი ენობრივი მოვლენა ფასეულია, როგორც ენის განვითარების სიმპტომი, და მას მოვლენათა სისტემაში ადგილი უნდა მიეჩინოს. „მეცნიერი“ იმით ეწინააღმდეგება „პედაგოგს“ (არცთუ იშვიათად ეს ორი ფენომენი ერთ პიროვნებაში უპირისპირდება ერთმანეთს), რომ პირველი

არ უშვებს ერთი და იმავე გრამატიკული ფორმის ვარიანტების არსებობას, მეორე კი ამას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს.

აი, ამ მეორე პოზიციად ჩამოყალიბდა XX საუკუნეში ენათმეცნიერების ინსტიტუტის (როგორც სალიტერატურო ენის ნორმატიული მოწესრიგების საბაზო სამეცნიერო დაწესებულების) ბაზაზე შემუშავებული ძირითადი პრინციპები სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა. უფრო ზუსტად, ამ პოზიციას საფუძვლად დაედო არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული ორი დებულება:

1. ცოცხალი, ცვალებადი ენის ნორმა არ შეიძლება უცვლელი იყოს და

2. როცა სალიტერატურო ენა გადაჭრით არ გვიჩვენებს არჩევანს მოცილე ფორმათა შორის, მაშინ ეს პარალელიზმი ნორმაშიც უნდა აისახოს.

სწორედ ამ განსხვავებულ მიდგომათა „ფრონტის ხაზზე“ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ის ლოკალური პაექრობები, რომლებიც ცალკეულ (თუ – ტიპობრივ) ნორმატიულ საკითხებს წარმოაჩენს და რომელთა ნაწილმა ვახტანგ იმნაიშვილის სარეცენზიო წიგნშიც მოიყარა თავი.

უნდა ითქვას, რომ მეცნიერმა ამ საგულდაგულო გამოწვლილვით, ამ კრიტიკული ჩაკირკიტებით პირველ რიგში ჩვენს საერთო სამაგიდო წიგნს – „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს“ გაუწია დიდი სამსახური, ვინაიდან მან, როგორც სხვამ არავინ, წარმოაჩინა ის წინააღმდეგობანი, რომელთაც დროთა განმავლობაში უჩენია თავი. დროთა განმავლობაში, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ იმ ცვლილებებს, რომლებიც, ენის განვითარების პირობისამებრ, აქა-იქ იჩენდნენ ხოლმე თავს ლექსიკონში (მანამდე – ცალკეულ კვლევებსა და ნორმატიულ ინიციატივებში), მაგრამ ამ ცვლილებათა განმაპირობებელი მთელი სისტემის გათვალისწინება ხშირად არ ხერხდებოდა და წინააღმდეგობებიც ამიტომ იჩენდა თავს. ამასვე უნდა მივაწეროთ ის ლაკუნები, რომლებსაც ამა თუ იმ ორთოგრაფიის მაძიებელი არაერთხელ აწყდება ამ ლექსიკონში. ყოველივე ამის გამო, ორთოგრაფიული ლექსიკონის ყოველი მომდევნო გამოცემა სიახლეებს, ახალ სიტყვაფორმებს იძენდა, მაგრამ ნორმატიულ სიმწყობრეს კარგავდა. ამიტომაც უდგას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციას ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უახლესი ქართული ენის ადეკვატური სისტემური სურათის ჩამოყალიბება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, ამაოდ არ დამშვრალა იგი, ვისაც „ღვარძლის მმარგლავის“ უამური და უმადური საქმე უღია კისრად. აღნიშნულ არათანამიმდევრულობას მეცნიერი ამ წიგნში შესულ თავის ბევრ ოპუსში წარმოაჩენს, ხოლო ერთ-ერთ წერილს სწორედ ასეთი „გამომწვევი“ სათაური აქვს: „რეკომენდებულ ფორმათა სიჭრელე „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. წერილი წარმოაჩენს ამ ტიპის წინააღმდეგობებს:

**უმსგავსოება** აკრძალულია, მაგრამ: სჩადის (**უმსგავსოებას**);

**დაფქვილი** აკრძალულია, მაგრამ **ჩამოფქვილი** – დასაშვები;

**რთვილი** აკრძალულია, მაგრამ **რთვილზე** დასაშვებ ვარიანტად ეწყვილება **თრთვილს**;

**გაიიოლებს** აკრძალულია, ხოლო **იოლი** – დასაშვები და მისთ.

მაგრამ ამით, ბუნებრივია, არ ამოიწურება მეცნიერის დაკვირვებები

სალიტერატურო ენის განვითარების დღევანდელ ეტაპთან დაკავშირებით. მაინც რა საკითხებს ეხება, რა პრობლემებს წარმოაჩენს ამ წიგნში პროფ. ვახტანგ იმნაიშვილი?

უპირველესად ეს შეეხება ქართული ზმნის ამოუწურავ პრობლემატიკას. საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც აკაკი შანიძემ ფუნდამენტური საკვალიფიკაციო ნაშრომი შექმნა  $S_2O_3$  პირის ნიშანთა გასაოცარი ისტორიის შესახებ და, თითქოს, კუნჭულიც კი არ დაუტოვებია, რომელიც მეცნიერის ბრწყინვალე გონებას არ გაენათებინა. მაგრამ დღესაც უტრიალებს ქართველოლოგია ამ საკითხებს და მის ნორმატიულ ასპექტს შეეხება ვ. იმნაიშვილის წერილიც „**ჰ** და **ხ** პრეფიქსების ხმარების სრულყოფისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“.

ასევე ზმნურ პრობლემატიკას შეეხება წერილები: „სამპირიანი გარდაუვალი ზმნები“, „ისწრაფვის“ თუ „ისწრაფის?“ ასევე არაერთ ზმნურ ფორმას შეეხება ისეთი კრებსითი ხასიათის წერილები, რომლებშიც საერთო ტენდენციებია წარმოჩენილი და რომელთა სპეციფიკაზეც უკვე მივუთითეთ.

არაერთი წერილი შეეხება საზოგადო თუ საკუთარი არსებითი სახელების ცალკეულ ფორმათა მართებულობა-უმართებულობის პრობლემას:

„**ი-ფუძიანი** სიტყვების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“;

„ორმაგი მრავლობითის ფორმები თანამედროვე ქართულში“;

„საკუთარ სახელთა ბრუნების ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ქართულში“;

„ა-ფუძიანი სახელების კვეცისათვის“ და სხვ.

ასევე არაერთი წერილი შეეხება სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს:

„უქონლობის სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“;

„რთული გეოგრაფიული სახელების ერთი ჯგუფის მართლწერისათვის“ და სხვ.

ცალკეული წერილები შეეხება სხვა მეტყველების ნაწილებს, ფონეტიკურსა თუ სინტაქსურ საფუძვლებს ცალკეულ ორთოგრაფიულ მოვლენათა ასახსნელად...

თუ რამდენად ორიგინალურად და, ამავე დროს, სკრუპულოზურად ხელეწიფება ვ. იმნაიშვილს საკითხის წარმოჩენა, ამის მაგალითად გამოდგება წერილი „სამპირიანი გარდაუვალი ზმნები“.

სიმპტომურია: ეს იშვიათი ზმნები, რომელთათვისაც განსაკუთრებული ყურადღება თითქმის არავის მიუქცევია, ამ წიგნში 20 გვერდზე მეტს იკავებს; რაც მთავარია, ყველა ეს შემთხვევა ავტორისათვის ნიშანდობლივი სიუხვით არის ილუსტრირებული.

ეს ზმნები, როგორც ცნობილია, ძირითადად ე-პრეფიქსიანი დეპონენსური ვნებითებია („ელაპარაკება“ ტიპისა), რომელთაც ფუნქციონირებისას მეორე ირიბი ობიექტი უვლინდება; არანაკლებ საინტერესოა სხვა ტიპის წარმოებებში: უყვება, ჰპირდება...

ავტორი სათანადოდ აფასებს ამგვარ შემთხვევათა ყველა აღწერას (ა.



შანიძე, ლ. კვაჭაძე, ი. იმნაიშვილი, ბ. ჯორბენაძე და აღნიშნავს, რომ „სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი კონსტრუქციის მქონე ათიოდე ზმნას მიუთითებენ, სინამდვილეში კი ასეთ ზმნათა რაოდენობა გაცილებით მეტია და ოთხ ათეულს აღემატება. ზოგიერთი მათგანი შედარებით ხშირად იხმარება, ზოგი კი, რომ იტყვიან, სანთლითაა საძებარი“ (გვ. 109).

სტატიაში მართლაც აღირიცხება 50-მდე ასეთი თავისებური შემთხვევა (ზოგიერთის უნიკალურ ილუსტრაციასაც დავიმოწმებთ):

**უყვება, ჰპირდება,**

**ესესხება:** *ლოა კაპანაძეს კოტე მახარაძე სადღეგრძელოს ესესხა („სარკე“).*

**ეკითხება, ეცილება, ემუქრება, ედავება,**

**ეთამაშება:** *მომდევნო პარტიაში ტალი ბოტვინუს ლაზიერის გამბიტს ეთამაშა („ლელო“);*

**მიუხვდება, გამორჩება, ეხვეწება, შეეწევა, ელაპარაკება, ევედრება, ეცეკვება (ვალსს),**

**ემართლება** (მხოლოდ I სერიაში): *ემართლები სწორედ შენს ბედს (აკაკი); ცემს რას მემართლებით (რ. ერისთ.);*

**ეფიცება, ექადება:** *წიწილის დამღონებელსა ტანჯვასა ექადებიან (ვაჟა); შენი ვარსკვლავი ბედს გექადის (აკაკი);*

**ეპუება:** *[ტოროლა] მიმინოსაც არაფერს ეპუებოდა (ი. გოგებ.);*

**ეპირება:** *გალმიდან მგელი გამოღმა ცხვარს მძობას ეპირებოდა (ვაჟა);*

**ურჩევნია/ერჩივნა, დასთანმდება/ეთანხმება, ებოდიშება,**

**ეცინის:** *[სალომიკას] ეცინოდნენ უენობას... მიხრა-მოხრას (ნ. ლორთქ.);*

**ერჩის:** *კატას რას ერჩის მურა? (აკაკი);*

**დაეხარბება, დაეაჯება:** *ესტატე ბურტელაძე დაგვეაჯა იმის დასჯის პატიებასა (ზ. ანტ.);*

**შეეზიარება, ენუკვის/დაენუკვება:** *[წიწილა] ქარსაც კი შევლას ენუკვის (ვაჟა);*

**ეზუტბუტება, ეტიტინება, ეჩიჩინება** („მეზობელი რას არ ეჩიჩინა“ – „ურაკა.“), **ეჩურჩულება, ეწუწუნება, ეჭიკჭიკება, ეყაყანება, ეჯიყჯიყება, ექაქანება, ეჭიჭყინება...** ეთათბირება, ემასლაათება, ესაუბრება, ებასება, ელაქლაქება, ეტრაბახება, ეხუმრება...

როგორც მონაცემები ადასტურებს, ეს ზმნები, ჩვეულებისამებრ, ორპირიანი გარდაუვალი ზმნებია – ერთი ირიბი ობიექტით, მაგრამ ფუნქციონირებისას (აქტიური ბუნების გამო) „შეიძლება გაჩნდეს მესამე პირიც: რაზე ლაპარაკობენ, ანუ რას ელაპარაკება ერთი მეორეს. მივიღებთ: ელაპარაკება ის მას მას. იგივე კონსტრუქცია გვექნება მეორე სერიაშიც: ელაპარაკა ის მას მას“ (გვ. 108).

კიდევ ერთი თავისებურება ამგვარი ზმნებისა ის არის, რომ, რაკი მეორე (ნივთის) ობიექტიც ირიბია, ის მესამე სერიაშიც შენარჩუნებულია, ანუ ეს ზმნები მესამე სერიაშიც სამპირიანობას ინარჩუნებენ (განსხვავებით გარდამავალ ზმნათაგან); მაგ.:

**დავითი თავის მეგობარს ბასილას თურმე რაღაცას შეჰპირებოდა (მ. ჯავახ.).**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარ ზმნებში ეს მეორე – ნივთის ობიექტი არცთუ იშვიათად უბრალო დამატების სახით დაჩნდება; შდრ.:

ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ [სპირიდონას] თავიანთ მიცვალებულთა **ამზავს**, ეკითხებოდნენ ამათ იქაურ **ყოფაზე** (დ. კლდ.).

რაც მთავარია, ამ თემის შემოტანა სტატიათა ნორმატიულ ციკლში ავტორს უკარნახა იმან, რომ აღწერილი ზმნები, უთუოდ სამვალენტობისა და აქტიური ბუნების გამო, სინტაქსურ კონსტრუქციას იცვლიან და გარდამავალი ზმნის პირთა კომბინაციაზე გადადიან; როგორც ივ. იმნაიშვილზე მითითებით ავტორი წერს: „მესამე პირის შემატება ამ ზმნას ახლებური სინტაქსური დალი დაასვა: რაკი ახალი ფორმა სამპირიანია, მოლაპარაკე მას აღიქვამს ყველა სხვა სამპირიანი (მაშასადამე, გარდამავალი) ზმნის ფარდად და მათი ყალიბის მიხედვით II სერიაში სუბიექტს მოთხრობითში სვამს; ხოლო ახლად შეძენილ მეორე (ირიბ) ობიექტს – სახელობითში და ასე ვიღებთ სალაპარაკო ენაში (განსაკუთრებით, დასავლურ დიალექტებში) გავრცელებულ კონსტრუქციას: „მოსწავლემ მასწავლებელს გაკვეთილი მოუყვა“ (გვ. 123).

მაგ.: *რარიგად მოუყვე მისი შვილის გაბოროტიანება? (დ. კლდ.);*

*გადაირბინე და მელანოს ოთხიოდე კვერცხი ესესე (მ. ჯავახ.).*

*ერთხელ თურმე სადღაც დათა ყანჩაშვილმა ნარდი ეთამაშა აღმასკომის თავმჯდომარეს (ვ. ლორთქ.).*

ეს შემთხვევები კი, ცხადია, არაკანონიკურია.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ვ. იმნაიშვილის ეს მწუხრის წიგნი დიდძალ მასალასა და ორიგინალურად დანახულ საკითხებს შეიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მიმდინარე სავალალო ვითარების შესახებ. ის მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მშობლიური ენის ბედით დაინტერესებულთ, მიაწვდის მათ სასარგებლო საზრდოს როგორც მასალის, ისე პრობლემების დანახვის კუთხით. ერთადერთი რამ, რის გამოც სინანულს გამოვთქვამთ, არის ის, რომ წიგნს საძიებლები არ ახლავს, რომ ეს მდიდარი მონაცემები უფრო ადვილად მისაკვლევი ყოფილიყო.

**ავთანდილ არაბული**

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ა. არაბული</b> – არნოლდ ჩიკობავას საუკუნე.....	3
<b>A. Arabuli</b> – Arnold Chikovaba’s Century.....	22
<b>თ. ბურკულაძე</b> – განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის გამოყენების შესახებ.....	23
<b>T. Burchuladze</b> – On Using Some Conjunctions of a Definitive Subordinate Clause.....	28
<b>გ. გოგოლაშვილი</b> – ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი... (მუხრან მაჭავარიანის პოეზიის გამო).....	29
<b>G. Gogolashvili</b> – Voice, Words, Full stops, Verses Broken into Pieces (Based on the Poetry by Mukhran Machavariani).....	44
<b>ქ. დათუკიშვილი</b> – სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში.....	45
<b>K. Datukishvili</b> – On the Issue of the Nominal Base.....	49
<b>მ. ლაბარტყავა</b> – თანდებულები გურულ დიალექტში.....	50
<b>M. Labartkava</b> – Postpositions in Gurian Dialect.....	53
<b>ნ. ლოლაძე</b> – არსებობა-მყოფობის ზმნები ტიპოლოგიურ კონტექსტში.....	54
<b>N. Loladze</b> – Verbs Denoting Existence/Being in Typological Context.....	60
<b>თ. მახარობლიძე</b> – მოდალობის ზოგი საკითხისათვის ქართულში.....	61
<b>T. Makharoblidze</b> – Concerning Some Issues of Modality in Georgian.....	75
<b>ნ. სააკაძე</b> – ქვემოქართლური კილოს ენობრივი თავისებურებანი.....	76
<b>N. Saakadze</b> – Linguistic Peculiarities of Lower Kartlian Dialect.....	79

- მ. საღლიანი** – ი „ც“ ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნება სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში.....80
- M. Saghliani** – Declension of Nouns Having the Particle "c" in Svan Dialects and Subdialects.....103
- მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი** – „ეკონომიურობის პრინციპი“ და მისი გამო-მწვევი ფაქტორები ჩოლურულ მეტყველებაში.....104
- M. Saghliani, N. Shavreshiani** – “The Principle of Economy” and Its Causative Factors in Cholur Speech.....118
- ნ. სურმავა** –თავიეთ-ი და თავიანთ-ი რეფლექსივების ურთიერთმიმართე-ბისათვის (სამწერლობო ძეგლთა მონაცემების მიხედვით)..119
- N. Surmava** – On Interrelation of the Pronouns taviet-i and taviant-i (Based on the Data of Literary Monuments).....129
- ჭ. კირია** – პროსოდიული ხმოვნები ზანურში.....130
- Ch. Kiria** – Prosodic Vowels in Zan.....135
- ხ. ყანდაშვილი** – ფრაზეოლოგიზმები, როგორც სიტყვის განმარტება სულ-ხან-საბას „სიტყვის კონაში“.....136
- Kh. Kandashvili** – Phraseological Units as Definitions in Sul Khan-Saba’s “The Bundle of Words”.....140
- ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი** – შერეული, ნარევი სახის რთული წინადა-დებისათვის ჩოლურ მეტყველებაში (სვანურის დიალექტებ-თან მიმართებაში).....141
- N. Shavreshiani, L. Giglemiani** – On the Mixed Complex Sentence in Cholur Speech (Compared to Other Svan Dialects).....156
- ნ. შარაშენიძე** – მოდალობა და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ქარ-თულში.....157
- N. Sharashenidze** – Modality and the Indefinite Pronouns in Georgian.....165
- ნ. ციხიშვილი** – ყალიბთა მონაცვლეობა წყვეტილის წარმოებაში (საშუალო ქართულის ძეგლების მიხედვით).....166
- N. Tskhishvili** – Alternation of Patterns in the Derivation of the Discontinuous Screeve (Based on the Middle Georgian Monuments).....179

- რ. ჭკადუა** – ზოგი ოდენპრეფიქსიანი და კონფიქსიანი მიკროტოპონიმებისათვის სვანურში.....180
- R. Chkadua** – On Some Micro-Toponyms Having a Single Prefix or a Confix.....187
- ნ. ჭუმბურიძე, მ. კიკონიშვილი** – კნინობითობის სუფიქსთა წარმომავლობის შესახებ ქართულში.....188
- N. Chumburidze, M. Kikonishvili** – On the Origin of Diminutive Suffixes in Georgian.....192
- ნ. ხახიაშვილი** – მ ლ ი ვ ი სიტყვისათვის.....193
- N. Khakhiashvili** – Concerning the Word m l i v i.....197
- ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი** – კვლავ *ძეგლი*-ს მნიშვნელობისათვის ქართულში.....198
- N. Khocholava-Machavariani** – On the Meaning of the Word *ძეგლი* in Georgian.....208

### ბიბლიოგრაფიული განყოფილება

- გ. გოგოლაშვილი** – ქართული ენის სამხრული დიალექტების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე.....209
- ვ. ბოდერი** – გოგოლაშვილი გიორგი, 2010, ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები) (form – building issues [509-512]) (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 519 გვერდი).....218
- რ. ჭიკაძე** – „ნაშრომი განმად დაშთების“ (რეცენზია ოთხწიგნეულისა „ახალი ქართული ენა“, თსუ გამომცემლობა, 2016-2017).....224
- ა. არაბული** – საზოგადო ჭირის მოზარე ანუ თანამედროვე ქართულის ანამნეზი ვახტანგ იმნაიშვილისებურად.....229

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

მთარგმნელი რიტა ჯაიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი